ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 17 აპრილი 2015 | № 8 (242)



ზვიად გამსახურდიას ასი დღე
რა დარჩენიათ აქ მოხუცებს?!
შექსპირული ტრაგედიის გმირი
ზელიმხან მაღრაძის მოთხრობა
გოგი ჭიაბრიშვილის გულაგიანა
ლაშა-გიორგის პორტრეტისათვის
ყუმუხური პოეზიის დიდოსტატი
არქიტექტურული პოეზიის ვნება
ვარლამ შალამოვის ნოველები
ინტერვიუ მარინე ვეკუასთან
ლალი ხვედელიანის ლირიკა

შინაარსი

რედაქტორის გვერდი	2	**არქიტექტურული პოეზიის ვნება** (შოთა ბოსტანაშვილის უცნაური მედიტაციები)
ექსპრეს-ინტერვიუ	3	**მარინე ვეკუა „მოთმინება და წინსვლა“** (მოამზადა მარიამ მეზურნიშვილმა)
დაუვიწყარი სახელები	5	**ნინო ქუთათელაძე დღეს ის ჩვენთან არის...** (ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წლისთავის გამო)
პროზა	8	**ზელიმხან მაღრაძე საფლავი ხიზაბავრაში**
ერი და ბედისწერა	13	**როსტომ ჩხეიძე ძველი ხიგულას საიდუმლოება** (ზვიად გამსახურდიას ასი დღე)
პოეზია	28	**შოთა ბოსტანაშვილი აქეთქება (ლექსი და ლექსიკონი)**
ეპისტოლე	33	**გიზო თავაძე ძალიან დამაინტერესე თემურ გაბუნიას წიგნით** („ჯერომ სელინჯერი — ნამდვილი ბრძოლა“)
	34	**ლალი ხვედელიანი მენდელსონის მარში და სხვა ლექსები**
უცხოეთის ცხოვრებიდან	36	**დავით ხიზამბარელი რა დარჩენიათ აქ მოხუცებს?!** (კორმაკ მაკარტი)
ისტორიის თეთრი ლაქები	39	**ლელა ჯიყაშვილი ბედნიერი ყოფნა** (გოგი ჭიაბრიშვილი)
რეპორტაჟი	45	**ეკა ბუჯიაშვილი ძალიან ქართული სევდა** (წარდგინება ოთარ ჩხეიძის ნოველების კრებულისა „შესანდობარნი“)
მოვუსმინოთ მეორე მხარესაც	49	**როზა დევდარიანი ქურხული ნონსენსი** (ბექა ქურხულისა და გიორგი შენგელაიას სატირული ზღაპარი „ცოცხზე გადამჯდარი მეფე“)
სილუეტი	52	**გურამ ბენაშვილი ლიტერატურული ვიტრაჟები** (გურამ ასათიანი, გივი გეგეჭკორი, რეზი თვარაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი)
კავკასიის გზებზე	58	**ნონა აბაშმაძე ყუმუხური პოეზიის დიდოსტატი** (ანვარ აჯიევი)
ახალი წიგნები	60	**გიგი ხორნაული უკვალოდ არ ჩაივლის** (შთაბეჭდილება იკა ქადაგიძის პუბლიცისტურ კრებულზე „ძირს ომერტა!“)
	61	**როზეტა გუჯეჯიანი ძველი ქართული ყოფის სურათები** („მზე შინა და მზე გარეთა. ქართული ხალხური დღეობა-დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები აღწერილი ბავშვებისათვის“)
პირველი შთაბეჭდილება	62	**ნინო ჩხიკვიშვილი თბილი სიჩუმე...** (ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2015 წლის 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული თამარ შაიშმელაშვილის ლექსების გამო)
საქართველოს გზებზე	62	**ნინო ვახანია შექსპირული ტრაგედიის გმირი** (ზუგდიდიდან ხაშურამდე)
ახალი თარგმანები	66	**ვარლამ შალამოვი პატარ-პატარა ნოველები**
ამ მთისა და იმ ბარისა	71	**სინამდვილისა და სიმართლის გამოძახილი**

ჩვენი მწერლობა

ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2015 წლის 1 მაისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეგი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ლევან გოთუა

ტყუპი ტბა, კალიფორნია, აშშ

არქიტექტურული პოეზიის ვნება

(შოთა ბოსტანაშვილის უცნაური მედიტაციები)

აბრაჰამ იბნ ეზრას სტრიქონებს შოთა ბოსტანაშვილი ჯემალ აჯიაშვილის დატირებად აქცევდა და ასე დააგვირგვინებდა მისადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ სტატიას: ასე მოგელტვი, მაგრამ ამაოდ: ველარც ხიდი ვცან, ველარც — მეხიდე, დაბლით გზა დაშთა, მაღლით — საბაოთ, მე — საფეხურით გადმოვიკიდეო...

საფეხურიდან გადმოკიდების სიმბოლური ხატი ისე შეძრავდა, წერილის სათაურადაც მას შეარჩევდა.

ბოლო ხანს ლექსებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს — ტელეფონში, კომპიუტერში... მართლაც უცნაურობად აღიქმება, აბა, სხვა რა, როდესაც ისრაელიდან თბილისში მოისმის ვაჟაფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და არაბული პოეზიის ნიმუშები დედნისავე ენაზე, თანაც ჯემალ აჯიაშვილისათვის ნიშანდობლივი დიდებული დეკლამაციით.

შოთა ბოსტანაშვილი თავისი პოემის „ოთხი ლაპარაკი“ ფრაგმენტებს წაუკითხავდა და კიდევ ერთხელ მოისმენდა თანამოსაუბრის შეფასებას — საქებარი ეპითეტებით სავსეს...

გავიდოდა ცოტა ხანი და... მწარე გულისტკივილი გამოითქმოდა გამოსათხოვარში: ნეტა ჩამეწერა ჩვენი ეს, თითქმის ერთსაათიანი, ურთიერთშეხმიანება, ვინ იფიქრებდა, რომ ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იქნებოდაო...

ეს სტრიქონები კიდევ ერთხელ შეგვაგონებს, რომ არ გადავდოთ სამომავლოდ ის, რისი აღსრულების სურვილიც გაგვიჩნდება, არ გვეგონოს, რომ ყოველთვისაც მოვასწრებთ... ცოცხალს რომ შეჰყურებ ადამიანს, გგონია, რომ სულ ასე იქნება, და დრო-ჟამი თავის გზაზე ივლის ისე, რომ თქვენს ურთიერთობაში არ ჩაერევა... მაგრამ დრო-ჟამს თავისი მკაცრი კანონები აქვს და ძალიან უხეშად სჩვევია ჩარევა და თვით ყველაზე ფაქიზი ძაფების გაწყვეტაც...

ასე გადაიდო სამომავლოდ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთი თავყრილობისათვის გამიზნული შეხვედრაც შოთა ბოსტანაშვილთან, როგორც პოეტთან, სწორედ ის „ოთხი ლაპარაკი“ რომ მოგვესმინა მისთვის ჩვეული ოსტატური დეკლამაციით... როგორც პოეტთან, თორემ როგორც კრიტიკოსი და ორატორი ჩვენს ლიტერატურულ შეხვედრებს აღარც აკლდებოდა... და მე კი დღემდე მაწუხებს ეს ჩაშლილი შეხვედრა, რადგანაც თურმე ბატონი შოთას სიცოცხლეც შემოზღუდული ყოფილა... არ ვუჯერებდით, გული რომ აწუხებდა, რადგანაც გარეგნულად ყოჩაღად გამოიყურებოდა...

კადიშს რომ წაიკითხავდა ჯემალ აჯიაშვილის სახელზე, „სიდურის“ ტექსტის ერთ ფრაგმენტს ხელახლა დაუბრუნდებოდა და მერე შალომ დავიდის ქართულ თარგმანსაც გაახმიანებდა: დაე იყოს ნება შენი, უფალო, ჩვენო ღმერთო და ჩვენი მამების ღმერთო, რომ გვიხსნა, დღეს და დღენიადაგ, კადნიერთაგან და კადნიერებისაგან, ბოროტი კაცისგან, ავზნე ქალისგან, ბოროტი წადილისაგან, ავგული მეგობრისაგან, ბოროტეული მეზობლისაგან, ბედითი ხიფათისაგან, ავთვალისაგანო...

და ასე გრძელდებოდა ვედრება, ვიდრე ეს აკორდი დააბოლოვებდა: მძიმე მოქიშპისაგან, რომელიცაა აღთქმის ძე, ან არ არის ძე აღთქმისა (მას მნიშვნელობა არა აქვს), და ჯოჯოხეთის მსჯავრისგანო.

მალე მის სახელზეც გახდებოდა საჭირო კადიშის წაკითხვა.

და ქართული ვერსიის გახმიანებაც.

ეგაა, მისადმი მიძღვნილი სტატიები არ დაიხუნძლებოდა პოეტური ალიტერაციებითა და სიტყვათა თამაშით, თვითონ საითაც მიდრეკილიყო მთელი არსებით და აღარ დაგიდევდა ჟანრს, ოღონდაც ხელიდან არ გაეშვა შემთხვევა სიტყვების თავის ნებაზე დატრიალებისა, მათი მარჯვედ დანაწევრებისა და ახალ-ახალი წახნაგების პოვნისა მათ შინაარსშიც და გარეგნულ აგებულებაშიც, დეტალების გამკვეთრებით სიტყვათა უცნაურ და ეფექტურ კარნავალურობას რომ აღწევდა.

თუ ვინმე უჭერდა მხარს მის პოეტურ ძიებებს, ერთი უპირველესთაგანი გურამ ბათიაშვილიც, მაგრამ პუბლიცისტიკაში ალიტერაციისა და სიტყვათთამაშის გადმოტანა უკვე აღარ ეჭაშნიკებოდა და ურჩევდა მეგობარს: თავი აერიდებინა ამ მიდრეკილებისათვის, ჯერ ესეისტიკაშიც შეემსუბუქებინა ეს ტენდენცია, თორემ პუბლიცისტიკაში ხომ უბრალოდ გაუმართლებლად მიიჩნევდა.

ის არ დაუთმობდა, კამათი კი ცხარე სჩვეოდა, მითუმეტეს, როდესაც მისთვის ყველაზე სანუკვარს შეეხებოდნენ, იმ პოეტურ თავისებურებას, თვითონ მიღწევად რომ მიითვლიდა.

არ იყაბულებდა შოთა ბოსტანაშვილის არგუმენტებს გურამ ბათიაშვილი, ოღონდ არასოდეს მისცემდა თავს ნებას, ჩარეულიყო მის ტექსტებში თუნდ რედაქტორის უფლებით და ოდნავ მაინც გაეკრა შალაშინი. თავს კი იმით ინუგეშებდა: შოთა ხომ იმ ავტორთა რიგს განეკუთვნება, რომელთაც ასეთი შემოქმედებითი ცელქობის უფლება ყოველთვის აქვთო.

ცხადია, ასევე განმეორდებოდა ეს ტექსტები იმ წიგნის ფურცლებზე, გურამ ბათიაშვილი რომ შეადგენდა მეგობრის გარდაცვალების წლისთავზე და ერთად შეკონავდა გაზეთ „მენორაში“ წლების განმავლობაში დაბეჭდილ მის პუბლიცისტურ თუ ესეისტურ წერილებს, წინათქმაში კი საგანგებოდ აღნიშნავდა იმ რამდენიმე გულისტკივილს, სიცოცხლის ბოლო წლებში რომ იწვნევდა ღვაწლმოსილი არქიტექტორი, საერთაშორისო ასპარეზზეც რომ მიეღწია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის.

პოეზიისა და არქიტექტურის სინთეზს რომ ესწრაფოდა, ინვესტორი დაანგრევდა ამ პრინციპით შექმნილ მის ნაგებობას თბილისში, დავითაშვილის ქუჩაზე;

ახალციხელთა ლოცვის რეკონსტრუქციის პროცესშიც არ გაითვალისწინებდნენ მის მოსაზრებებს;

ბეით ქნესეთის მესვეურები ყურსაც არ ათხოვებდნენ მის რჩევებს ანდა არ სურდათ მისთვის ყურის დაგდება;

ხოლო რაც შეეხება მისი გარდაცვალების წინა საღამოს, ეტყობა, რაღაც ძალზე საწყენი შემთხვეოდა, რადგანაც რედაქტორის წინათქმაში გვამცნობდნენ, რომ ამის თაობაზეც ოდესმე მოგვითხრობდნენ.

პოეზიისა და არქიტექტურის შერწყმას რომ ესწრაფოდა არქიტექტურაში, ამასვე ესწრაფოდა პოეზიაშიც — რათა ეს ორი შემოქმედებითი ვნება მარჯვედ მოერგო ერთიმეორისათვის... და ამ გზას თავდავიწყებული ჟინით მიჰყვებოდა.

გრაფიკული ლექსი ჩვეულებრივი მოვლენა გახდებოდა დასავლურ მოდერნისტულ პოეზიაში, ჩვენშიც რომ მიმართავდნენ ამგვარ ცდებს, ტარიელ ჭანტურია იქნებოდა თუ ვახტანგ ჯავახაძე, შოთა ბოსტანაშვილი კი ამ სახეობის იმ ფორმას ამჯობინებდა, არქიტექტურულ ნაირგვარობად რომ წარმოდგება და... ჰოი, რა უჯიათად და მიკროსკოპული ჩაღრმავებით უტრიალებდა თითო ბგერასა თუ სასვენ ნიშანს, ყოველ დეტალს დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა და ასე აგებდა იმ ორიგინალურ პოეტურ კონსტრუქციებს, თავის მკითხველთა წრესაც რომ გაიჩენდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თანადგომის წყალობითაც, მათ შორის კი ისეთ ჩინებულ შემფასებელს, ნანა კუცია რომ გახლავთ, რომელიც ვრცელი კრიტიკულ-ესთეტიკური განსჯით გამოეხმაურებოდა მის პოეტურ კრებულს, მღელვარე არქიტექტურულ-ლირიკულ მედიტაციებს.

— ასეთი ლექსები არასოდეს წამიკითხავსო, — ეტყოდა ოთარ ჭილაძე და... ბატონი შოთა რარიგ ამაყობდა ამ შეფასებით და... მეტი მონდომებითაც ჩაეფლობოდა მისთვის საყვარელი მწერლის შემოქმედების შესწავლაში... და ისე მოხდებოდა, რომ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე ოთარ ჭილაძის მხატვრულ თავისებურებებს რომ უტრიალებდა, უეცრად სუნთქვა გაუძნელდებოდა, აშკარად შეეტყობოდა, ცუდად რომ იყო... და ძალიან

შეშფოთდებოდა მის გვერდით მჯდომი მაკა ჯოხაძე: ბატონო შოთა, ხომ არაფერი გიჭირთ, წყალი ხომ არა გნებავთო?..

და იმას კიდეც ამოქარდებოდა სული.

— არ მოკვდეთ, ბატონო შოთა, ბატონო შოთა, არ მოკვდეთ, — გარს ეხვეოდნენ და ჩასძახოდნენ კონფერენციის მონაწილენი, მაგრამ სასწრაფო დახმარების მანქანა რომ მოვიდოდა, მას უკვე აღარაფერი ეშველებოდა...

ბევრი შემოქმედი ინატრებს ასეთ სიკვდილს, ბევრი მკვლევარი გაიფიქრებს: ეჰ, ნეტა მეც ასეო!..

მაგიდას დააკვდე სამეცნიერო მოხსენების კითხვისას, ლიტერატურულ პრობლემატიკაზე მსჯელობისას...

ნატვრით ინატრებს, მაგრამ იშვიათად რგებიათ ამგვარი აღსასრული, შოთა ბოსტანაშვილი საიდანაც გაიხურავდა წუთისოფლის კარს...

გაიხურავდა და... ლტოლვით კი კვლავაც მიელტვოდა, მაგრამ აწ უკვე ამაოდ — ვეღარც ხიდს სცნობდა, ვეღარც მეხიდეს, დაბლით გზა დაშთებოდა, მაღლით — საბაოთ, თვითონ კი საფეხურით გადმოეკიდებოდა...

დაუმცხრალი არქიტექტურული პოეზიის შექმნის ჟინით, მაგრამ იმ უეცარი გასხივოსნებისას ბედს შერიგებული: დაე იყოს ნება შენი, უფალო, ჩვენო ღმერთო და ჩვენი მამების ღმერთოო!..

მარინე ვეკუა

„მოთმინება და წინსვლა“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— მძიმე და უიმედო ავადმყოფობა.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში მომწონს ცხოვრება, მაგრამ მოგზაურობა კი უზომოდ მიყვარს.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— უმაღლესი ბედნიერებაა, როდესაც ოჯახის წევრები გყავს გვერდით და ჯანმრთელები. მე განსაკუთრებულად ვგრძნობ ამას 1 იანვარს, როდესაც მთელი ჩემი დიდი ოჯახი — ახლა უკვე 28 კაცი ვიკრიბებით საზეიმო სადილზე და ნაძვის ქვეშ ვატარებთ ნახევარ დროს — ეს „საჩუქრების დღეა“. ეს არის ჩემთვის უმაღლესი ბედნიერება, როდესაც ჩემი ოჯახის წევრები გვერდით მყავს და მათგან ვგრძნობ უსაზღვრო სიყვარულს. იმ მომენტში მე არა მხოლოდ ვგრძნობ, არამედ ფიზიკურად ვხედავ ჩემს ბედნიერებას.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— გამოკვეთილად არ მყავს, ყველა წაკითხულ წიგნში მეგულება ლიტერატურული პერსონაჟი, რომელსაც ვუთანაგრძნობ.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ასევე, არც ისტორიული პერსონაჟები არ მყავს გამოკვეთილად, თუმცა განსაკუთრებულად ბოლო დროს დამაინტერესა პოლიტიკოსი ქალების ბიოგრაფიებმა.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— მიყვარს იმპრესიონისტები და პრიმიტივისტები. გამორჩეულად კლიმტი, რენუარი და რემბრანტი. ქართველებიდან გუდიაშვილი, ახვლედიანი, ონიანი, სუთიძე.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გულის სიღრმემდე მიყვარს კლასიკური მუსიკა — მოცარტი, ბახი, დებიუსი.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— ღირსებას, ჭკუას, დარბაისლობას და სიყვარულის უნარს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— სიყვარულის უნარს, მოთმინებას და სიბრძნეს. კიდევ ერთი: ჩინელები ამბობენ, იმისთვის, რომ შეინარჩუნო ქორწინება, უნდა ფლობდე 11 რაღაცას. და იცით, რა არის ის 11 რაღაცა — 11-ჯერ აღებული მოთმინება. ეს დიდი ნიჭიცაა და ნებისყოფაც. ალბათ, ქალს უნდა ჰქონდეს ერთიც, და მეორეც.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— ერთგულება და სიყვარული. ადამიანი უნდა იყოს ერთგული მისთვის ძვირფასი ადამიანის, საქმის, ქვეყნის, პრინციპების. სიყვარული კი ყველაფერს შეაძლებინებს, წარმოუდგენელს გააკეთებინებს.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ბევრი რამის კეთება მიყვარს, განსაკუთრებულად სტუმრის მიღება, ეს ჩემთვის რიტუალივითაა. მიყვარს მოგზაურობა, კერვა, თხილამურებზე სრიალი, კონცერტებზე და სპექტაკლებზე დასწრება.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არც ერთი, რადგან მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, უნიკალურია. ვცდილობ, რომ ადამიანებისაგან, რომლებიც ჩემთვის მისაბაძნი არიან. ვისწავლო, პროეცირება გავაკეთო ჩემს პიროვნებაზე, კონკრეტულ სიტუაციაზე.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ გამოვარჩევ გულწრფელობას. როდესაც გულწრფელი ვარ, არაფრის მეშინია. სიმართლე მაძლიერებს.

— რას აფასებთ ყელაზე მეტად მეგობრებში?

— უპირობო ერთგულებას, სულდიდობას და დანდობას. იმიტომ, რომ თუ ადამიანმა, განსაკუთრებით რომელიც გეძვირფასება, უნებლიე შეცდომა დაუშვა, და ეს შეცდომა რომელიმესთვის საბედისწერო არ აღმოჩნდა, უნდა შეგეძლოს პატიება და თანაც სწრაფად სამუდამოდ დავიწყება.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ჩემ მთავარ ნაკლად ვთვლი ზედმეტ სიფრთხილეს. არ მრცხვენია იმის კითხვა რაც არ ვიცი, ვუსმენ კოლეგების მოსაზრებებს, მეგობრების რჩევებს, სხვის გამოცდილებას და მხოლოდ მერე ვღებულობ გადაწყვეტილებას. ზოგჯერ ვარ ძალიან მიამიტი, რაც ვფიქრობ უკვე უხერხულიც კი არის...

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— თუ ქალურ ბედნიერებაზეა საუბარი, ბედნიერებაა, როდესაც სუნთქავთ ერთნაირად და ერთდროულად პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— იმის საწინააღმდეგო რაც წინა კითხვაში ვთქვი, უბედურებად მიმაჩნია, როცა გიწევს ისეთ ადამიანთან ერთად ყოფნა, ვინც შენთვის მხოლოდ ტანჯვის მომტანია.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მე მინდა ვიყო ისეთი, როგორიც ვარ და დავრჩე ასეთად. შეიძლება უფრო ტანწერწეტა და ცოტათი მაღალი, ეს ხუმრობით.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი, ჭკვიანი ფერია, მე ასე მიმაჩნია.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მიყვარს ყვავილები. ეს ბებიისაგან გამომყვა ალბათ, ის თავად ძალიან ლამაზი ქალი იყო, (თბილისში მას ეძახდნენ „შავ ბრილიანტს") მას უყვარდა ზოგადად სილამაზე — სილამაზე ადამიანებში, საგნებში, რაც გამოიხატებოდა ფორმებში, ხაზებში, ფერებში, ფერთა შეხამებაში და ა.შ. ბავშვობიდან ჩემში განავითარა ესთეტიკის შეგრძნება, აღქმა. მიმაჩნია რომ ყველა ყვავილი თავისებურად ლამაზია, მაგრამ გამოვყოფდი გვირილას — ის მაბრუნებს ჩემ ბავშვობის მოგონებებთან, რომლებიც უკავშირდება ციმბირს, იქაურ მოკლე ზაფხულთან, რომელიც სავსე იყო გვირილებით.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მომწონს თუთიყუშები, ტროპიკულ კუნძულებზე მაცხოვრებლები, საოცარი ფერებით. გედი რომელიც საოცარი გრაციოზულობით მიცურავს სარკისებურ ზედაპირზე — როგორი ჰარმონიაა მის მოძრაობაში. ამპარტავნობა, ღირსება და სიდიადე.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ბევრია, თუმცა შემიძლია გამოვყო მარკ ტვენი, ტოლსტოი, მიხეილ ჯავახიშვილის გადაკითხვაც მიყვარს. ბოლო დროს წაკითხულ ავტორთა შორის გამაოცა ნობელიანტ ლესინგის რომანმა „და მღერის ბალახი".

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ბაირონი, შექსპირის სონეტებსაც ხშირად ვკითხულობ, ბოდლერი, კიპლინგი, პუშკინი, გალაკტიონი, ბარათაშვილი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ლევ ტოლსტოის რომანების ლიტერატურული პერსონაჟები თავიანთი სიყვარულით, ფილოსოფიით, თავგანწირვით, სულიერი სიმდიდრით.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— არსებობენ რეალურ ცხოვრებაში ისეთი ადამიანები, რომლებიც აკეთებენ ისეთ საქმეს და აღწევენ იმდენს, რომ მე გმირებად მიმაჩნია. ცხოვრების ყველა ეტაპზე შემხვედრიან გმირები, რომლებიც ჩემს აღფრთოვანებას იწვევდნენ.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— არაერთხელ წამიკითხავს, რომ გამოჩენილი მამაკაცის გვერდით თითქმის ყოველთვის დგას ჭკვიანი და მამაცი ქალი. მე ამ მაგალითზე გავიზარდე, მყავდა ბაბუა, აკადემიკოსი ილია ვეკუა, რომლის გვერდით იდგა მისი მეუღლე თამარ ბარნოვი. მე მისნაირი ბრძენი და ლამაზი ქალი ჯერ არ მინახავს, მისი ყოველი სიტყვა, ქცევა სულ თვალწინ მაქვს. ისე, ბოლო დროს მართლაც გამიტაცა XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკოსი ქალების ბიოგრაფიების გაცნობამ.

— საყვარელი სახელები?

— ქართული სახელები — ლევანი, ვახტანგი, თამარი, ნინო, გიორგი. არ მომწონს სახელების დაკნინება. მომწონს ჩემი შვილიშვილების სახელები — ალექსანდრა და ალექსანდრე, მართალია არ არის ქართული, მაგრამ ორივე ძალიან ლამაზი და ძლიერი სახელია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უსამართლობას, ჩაგვრას, არც ერთი არ მასვენებდა. სტუდენტობისას მინდოდა სახალხო კონტროლში მემუშავა, სამართლიანობა რომ დამემყარებინა პლანეტაზე. რამდენჯერმე ჟურნალისტიკაც კი გამოვიყენე ამ მიზნით.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ადამიანები არ მეზიზღებიან,ზიზღით ვერ მოვიხსენიებ ვერცერთ წასულ ადამიანს, მაგრამ ჩემი შინაგანი პრინციპებიდან გამომდინარე ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია ისტორიულად ცნობილი დიქტატორები, არც კი ჩამოვთვლი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

— ომი, ჩემი ღრმა რწმენითა და აზრით, სისულელეა. ადამიანებს გვაქვს სიტყვა და ჭკუა ცხოველებისაგან განსხვავებით მოსალაპარაკებლად. როდესაც ჩვენ არ შეგვიძლია სიტყვით და ჭკუით ერთმანეთს შორის ან ქვეყნებს შორის ურთიერთობების მოგვარება, ესეიგი უნიათოები ვართ და ერთმანეთს ძალით ვეჯახებით. ნამდვილი დიპლომატია აუცილებლად გამონახავს გზებს, რათა რა დაუშვას ადამიანების სიკვდილი, უბედურება, უსახლკარობა და ა.შ.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას მისცემდით?

— სიახლეები, რომელიც მოიტანა დრომ, მე ზოგადად მომწონს. დაზღვევის შემოღება, როგორც ფენომენი, რომელიც ჩვენ ქვეყანას არ ჰქონია. ძალიან მომწონს ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპი. მომწონს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფორმა, რომელმაც კარი ჩაუკეტა კორუფციას.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— კლასიკური ცეკვის ნიჭი. ცეკვა ჩემთვის არის ესთეტიკის და ხელოვნების გამოვლინება, ცრემლით ვუყურებ ყოველ შესრულებას. რა თქმა უნდა კლასიკური ბალეტი უფრო მიყვარს, მაგრამ საინტერესოა თანამედროვეც. მიყვარს ბალერინების ისტორიების კითხვა, უცხოეთში ყოფნისას ყოველთვის ვცდილობ დავესწრო მსოფლიოში ცნობილ საბალეტო წარმოდგენებს ცნობილ თეატრში და ვახერხებ კიდეც.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— საღ გონებაზე მყოფი და ფიზიკურად არ ვიყო დაუძლურებული.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მოუსვენარი, სულ მინდა მოვასწრო ყველაფერი, რაც ჩაფიქრებული მაქვს და ეს არ მასვენებს.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შეწყნარებას იმსახურებენ?

— უნებლიე შეცდომები, როგორი მძიმეც არ უნდა აღმოჩნდეს შედეგი.

— თქვენი დევიზი?

— მოთმინება და წინსვლა.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— არ ვიცი, რას მეტყოდა, მაგრამ ვიცი, მე რას ვეტყოდი: არ მოასწროს არასოდეს შვილის სიკვდილი დედას და გააქროს ავადმყოფობა.

სამშაბათს, 21 აპრილს
ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტის დარბაზში
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
თაოსნობით გაიმართება
წარდგინება

ელგუჯა მარღიას

რობაიებისა

მომხსენებელი
იოსებ ჭუმბურიძე

დასაწყისი 14 საათზე
კოსტავას 5

ნინო ქუთათელაძე

დღეს ის ჩვენთან არის...

(ლევან გოთუას დაბადებიდან 110 წლისთავის გამო)



უცნაური ლეგენდა თუ სინამდვილე დადიოდა თბილისში. 1924 წლის 29 აგვისტოს, როცა 19 წლის ლევან გოთუა დააპატიმრეს და რამდენიმე დღეში ფედერალისტი მამაც ზედ მიაყოლეს, მეტეხის ციხე პატიმრებით გაიტენა, ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არსად ჩანდა. პატიმრებით სავსე საკანში მეხთატეხასავით გაისმა:

— გოთუა!

ყველამ იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს — ტუსაღი დასახვრეტად უნდა გაეყვანათ. მაშინ ბატონმა პართენმა, ლევანის მამამ, წინ წადგა ფეხი და სხვებთან ერთად მორჩილად გაჰყვა ბადრაგს.

რამდენიმე ხნის შემდეგ პართენ გოთუა უკან მოაბრუნეს საკანში იმ საბაბით, რომ ის, ვინც უნდა დაეხვრიტათ, ახალგაზრდა კაცი იყო, მოხუცი კი არაფერში ჭირდებოდათ.

მოგვიანებით, ეს უცნაური განცდა, რაც მაშინ ლევან გოთუას დაეუფლა, „უგზო ქარავანში" აღწერა. ამ ნოველის მთავარი გმირი გორგასლან ნასყიდაშვილიც შვილს ჩაენაცვლა სიკვდილში.

ამაზე გასაგებად როგორ უნდა აიხსნას ქართული სიტყვა „გენაცვალე"?! გულწრფელად ამ სიტყვის თქმა მხოლოდ მშობელს შეუძლია.

ასეთ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ლევან გოთუა, ოჯახში, სადაც თითქმის ყველამ უარი თქვა პირად ბედნიერებაზე და საშინელი რეპრესიების ქარცეცხლში გაატარა ცხოვრება.

15-16 წლის ჭაბუკი ლევანი უკვე წერდა, წერდა ლექსებს და ამაზე თითქმის არავინ ლაპარაკობს. 1921 წლის თებერვალში, როცა ის და მისი უფროსი ძმა — არჩილი — მე-11 არმიის „მოსაგერიებლად" გაიპარნენ კოჯორში, სახლში ლექსების ერთი-ორი რვეული დარჩა ლევანს.

მე ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, როცა გავიგე, რომ ლევან გოთუა ლექსებს წერდა. თვითონ მითხრა, ახალგაზრდობაში მეც ლექსებს ვწერდი, მაგრამ მერე დავხიე და, თუ სადმე რამ დამრჩა, იმას არასოდეს გამოვაქვეყნებ! პროზა კი ორმოცი წლის შემდეგ იწყება, რიგიანი, დაბრძენებული თხრობაო.

სიტყვა სიტყვად... დრომ კი სხვაგვარად განსაჯა. მწერლის დამ, ქალბატონმა თამარ გოთუამ უკვე სახელმწიფო არქივში ჩაბარებული და ზოგი სახლში შემორჩენილი ოცდაორწლიანი გადასახლებიდან გამოგზავნილი ბარათებიდან ამოკრიბა ლექსები და პატარა კრებულიც შეადგინა. სამწუხაროდ, იმდროინდელი სიდუხჭირის გამო ამ კრებულმა დღის სინათლე ვერ იხილა, მაგრამ ერთი კი ცხადია, ჩვენ ხელთა გვაქვს საინტერესო პოეტური თავგადასავალი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში ნატანჯი ერთი პატიოსანი ქართველი მწერლისა, რომელმაც არ ისურვა სამშობლოს პყრობილებასთან შეგუება.

წიგნი დიდ ტექსტოლოგიურ მუშაობას მოითხოვდა, რადგან ზოგი სიტყვა სულაც წაშლილი, ქაღალდის გადანაკეცში გაცრეცილი და გაუგებარი აღმოჩნდა. ეს სამუშაო დიდი გულისყურით შეასრულა ცნობილმა პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ და ამისათვის, რა თქმა უნდა, დიდ მადლობას იმსახურებს. აქაც, შესაძლოა, ბევრი რამ საკამათო იყოს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ საქმე გაკეთდა.

ახლა თვითონ ლექსების შესახებ...

პირადად ჩემთვის ეს თხზულებები მეტად საინტერესოა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შორეული ყინულეთის მზრალ მიწაზე, სამშობლოდან შორს შეიქმნა, მათში მაინც იგრძნობა ახალგაზრდული სილაღე, ქართულის უბადლო ცოდნა, განსაკუთრებული სწრაფვა სიტყვათწარმოებისაკენ, რაც უდავოდ გამორჩეულს ხდის მის ცნობილ პროზაულ ნაწარმოებებსაც. ლექსების უმეტესობა სასვენი ნიშნების გარეშე, უფრო სწორად, მძიმეთა გარეშეა დაწერილი. თუ გავიხსენებთ ცნობილ სიმბოლისტთა თხზულებებს, თითქმის ყველგან უგულებელყოფილია მძიმე, როგორც სასვენი ნიშანი. როგორც ჩანს, ლევან გოთუა ეთანხმებოდა მათ პოზიციას, რომ სადაც მოეგუნებება მკითხველს, იქ უნდა დასვას მძიმე, იქ შეყოვნდეს. ასეა თუ ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ სასვენი ნიშნების არხმარება მწერლის პრინციპია.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ლექსები, რომლებიც ხასიათდება გამორჩეული ბგერწერით, უცნაური კეთილხმოვანებითა და თავისებური რიტმული წყობით. მაგალითად ლექსი „თასმა ასონანსი". შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ ნიმუში ასონანსურ რითმათა ცვენისა:

დავლიე
წარმავალის
უმიზნო
ნაზომი...
ზმუიან
საზღვართან:
ნაღარა
ღვარი
და ჟღერით
მღერის
ვეჟანა
ეჟვანი...
მოჟონავს
ნავსი...
ავსილი

სამსალით —
სწორედ
ასეთია
თასმა
ასონანსი...

ეს ლექსი ქალაქ ძაუგშია დაწერილი 1928 წლის 14-15 დეკემბრის ღამით.

მეორე ამგვარივე კეთილხმოვანების ნიმუში „ცეკვა ციბრუტი" ბატონი სილოვანის მიერ შედგენილ კრებულში ვერც მოხვდა. მე ხელი დავავლე, გადავწერე და შემდეგ გადავბეჭდე. ლექსში საოცრად ზუსტი რიტმული სურათია დახატული. პირველად, როცა ეს ლექსი წავიკითხე, თვალწინ დამიდგა ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შესრულებული „მავრიტანული ცეკვა":

ციბრუტ-ცაბრუტი
არციბრუტი
ნაციბრუტევი: ცა და ბრუ ტანი
დათ იციბრუტეს
— დაეცი ბრუტუს
დანა — ციბრუტა
და ნაციბრუტი
დანაც ბრუტია...

ძნელი წარმოსადგენი იყო ჩემთვის, რომ ლევან გოთუა ასეთ ლექსებს წერდა. თუმცა იმ ლექსებშიც, სადაც ასე აშკარად არ არის გამოხატული სწრაფვა სიტყვაში მელოდიის ჩამოქნისა, იგრძნობა განსაკუთრებული დამოკიდებულება ბგერისადმი.

ლექსთა საერთო განწყობილება მელანქოლიურია და, მიუხედავად ამისა, მაინც შემართული და მოიმედე. ნუ დაგვავიწყდება, რომ მათი უმეტესობა ნარიმში, ვორკუტასა და ბიისკშია დაწერილი. აი, მაგალითად ეს:

რა ცუდია. ღამეში
როცა აკაკუნებენ...
და შემოვა კამეჩი
თეთრი ხელთათმანებით...

ანდა ეს:

შუბლი იმთავად მოვიეკლე,
ხვედრია — ვიცი, მეც მებედება,
ჩვენში მგოსანი ან უნდა მოჰკლან,
ან მგოსანი ჰკლავს შემოქმედებას.

მას მრავალი „ბრუტუსი" და „კამეჩი" შეხვდა ცხოვრების გზაზე, ეკლის გვირგვინიც უტარებია, მაგრამ ვერ მოკლა შემოქმედება, ვერც თავი მოიკლა, რადგან რჯული არ აძლევდა ამის უფლებას და წერდა მაღალი ძაბვის ჯიხურის იატაკის ქვეშ სანთლის შუქზე, წერდა რისკის ფასად და საქართველოში იდუმალ ფურცელ-ფურცელ აგზავნიდა „გმირთა ვარამის" ფრაგმენტებს. და ამაში შველოდა ფანტასტიკური მეხსიერება. თავისუფლების ჟამს წერდა გრემქალაქში, წერდა მთაში, მაღალ მწვერვალთა დაპყრობამდე, წერდა დავით გარეჯში და, რა ვიცი, კიდევ სად. წერდა ძირითადად ფანქრით, წვრილი ასოებით, საწერი ფურცლის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულს იყენებდა. წერა მისთვის გახლდათ პური არსობისა.

ლევან გოთუა მრავალმხრივი ადამიანი იყო. მისი შემოქმედება მწერლობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს: პოეზიაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუმცა ახალგაზრდობის შემდეგ არც შეხებია მას: გახლდათ შესანიშნავი დრამატურგი და, სხვა თუ არაფერი, ვახტანგ ტაბლიაშვილის მიერ დადგმული „მეფე ერეკლე" მაინც უნდა გახსოვდეთ თეატრის ისტორიიდან; იყო უებრო პროზაიკოსი, ნოველების დიდოსტატი; გახლდათ პუბლიცისტი და თანამედროვე სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებთა ავტორი, არაჩვეულებრივი მოქართულე... ხანდახან მიფიქრია, რომ მის წიგნს ალბათ ლექსიკონი უნდა დავურთოთ, რათა თანამედროვე ახალგაზრდებმა გაიაზრონ, რა მდიდარი ენა გვაქვს ქართველებს.

მისი პროზაული ნაწარმოებები რამდენიმე ქვაკუთხედს ეყრდნობა: სიბრძნეს, ზნეობას, ერთობას, სიყვარულსა და ღირსებას. მე ვთვლი, რომ ამ უკანასკნელის გარეშე ქართული ლიტერატურა არც არსებობს და, თუ ქართულად არის დაწერილი რომელიმე ნაწარმოები, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართულია.

ბატონმა ლევანმა არა მხოლოდ, როგორც პიროვნებამ, არამედ როგორც მწერალმაც მრავალი ტკივილი იწვნია. „ცხოვრებაში მე ბევრი ძიება და დუმილი შემხვდაო..." — ჩიოდა ერთ-ერთ წერილში. სამწუხაროდ, დუმილი გრძელდება, რადგან დღეს საზოგადოებამ მისი დისიდენტური ცხოვრების პერიპეტიები უფრო იცის, ვიდრე საკუთრივ მწერლობა. დუმილი გრძელდება, რადგან ნიჭიერი და გამორჩეული კაცის დასამარება, უფრო სწორად კი, გზიდან კონკურენტის ჩამოცილება ასე უფრო იოლია. ისე, უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის მწერლობას, რომელსაც ლევან გოთუა ემსახურებოდა, არასახარბიელო დრო ერგო წილად და, ვშიშობ, რომ ეს დრო ჯერაც გრძელდება. ასე რომ არ იყოს, ათასი ჯურის თანამედროვეთა „ქმნილებებს" კი არ უნდა თარგმნიდნენ უცხო ენებზე, არამედ სწორედ ლევან გოთუას წარმოაჩენდნენ ლიტერატურულ ფესტივალებზე, წიგნის ბაზრობებზე და კიდევ, რა ვიცი, სად...

მარტო ის რად ღირს, რომ მითრიდატე VI ევპატორის თემას თითქმის არავინ შეხებია, თუ არ ჩავთვლით მოცარტის ყრმობისდროინდელ ოპერას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიდგა ქართულ სცენაზე. მითრიდატე ევპატორი დიდი მისიით მოევლინა ამ ქვეყანას — მან გააერთიანა შავი ზღვისპირეთის დაქსაქსული ტომები და შექმნა ერთიანი სახელმწიფო. ის ეზიარა რომაულ, ბერძნულ და ქართულ კულტურას, ფლობდა 22 ენას, საბრძოლო ხელოვნებას ზღვასა და ხმელეთზე, იცოდა მედიცინა და მეწამლეობა, მან შექმნა პირველი ქართული ფლოტი.

მწერალი რომანში ჩამოთვლის ქართველურ ტომებს: „ტუბალნი, კაბადოკნი, მესხნი, ხალიბნი, ხალდები, ლაზები, ბიძერები, მაკრონები, სანიკნი, ტაოელნი, სვანნი, ჰენიოხნი, აფხაზნი, აფშილნი, დრილნი და მრავალნი სხვანი." იქნებ ამით მაინც გავაგებინოთ მსოფლიოს, რომ მრავალი ქრისტიანი წმიდანი სწორედ ჩვენს მიწაზე დაიბადა, მათ შორის, წმიდა გიორგი და წმიდა ნინო, ჩვენი განმანათლებელი. ამ ბოლო ხანს გაჩნდა ვერსია, რომ ქალწული მარიამიც კაბადოკიელი გახლდათ. ვინ იცის, სად მიგვიყვანს ისტორია და დიდზე დიდი მეცნიერება — გენეტიკა. მხატვრულ ლიტერატურაში, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს მწერლის ფანტაზია, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ როცა წლობით ერთი ეპოქის გმირთა ცხოვრებით ცხოვრობ, შენც გარდაისახები იმ დროის შვილად, ინტუიტურად გრძნობ და განიცდი ამა თუ იმ საუკუნეში მომხდარს. გარდასახვა კი მწერლის უცილობელი თვისებაა, დიდი მწერლისა — მითუმეტეს. გავიხსენოთ თუნდაც გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარის" მაგალითი. თვითონ ლევან გოთუაც ამ აზრს გამოხატავს თავის „მგზავრულ კრიალოსანში": „თითო ადამიანი — თითო დამთავრებული სამყაროა. თითო მწერალი, ჩემის აზრით, გარდა ამისა, სხვა დაუმთავრებელ სამყაროებსაც მოიცავს."

ლევან გოთუა ნაწარმოებიდან ნაწარმოებში აგრძელებს და ავითარებს ქართველთა ერთობის თემას. გახსოვთ ალბათ „გმირთა ვარამში" დაწყებული აზრი: „ერისთვის, მთლიან სახელმწიფოსთვის უმჯობესია ერთ — იქნებ არა საუკეთესო აზრზე და მრწამსზე მოდგეს ყველა, ან დიდი უმრავლესობა, ვიდრე მრავალი საუკეთესო აზრი იყოს და ვერც ერთზე ვერ მოდგეს ერი..."

„მითრიდატე" ამ მხრივ უნაკლოა. მარტო ბედან კოლხი რად ღირს? სწორედ მის ბაგეთაგან ვგებულობთ პირველად ტომთა ერთობის იდეის შესახებ. როცა მითრო შეგირდი მას თავის სამშობლოზე, ანუ ტომთა ადგილსამყოფელზე ჰკითხავს, ბედანი პასუხობს: „მე ყოველ ნათესაურ ტომთ-სამყოფელს სამშობლოდ ვგრძნობ და არა მარტო იმ კუთხეს, სადაც ჭიპი მიმაჭრეს! სადაც ჩემი გამჩენი ნათესავთ მოდგმა ბინადრობს და დედააზრად ბრძნული თანაცხოვრება უზრახავთ... არის ერთობა, არის ბჭობის ერი, დარბაზის ერი, თემის ერი... და არის ჩვენში ტომის ერიცა და ტომთა ერიც!.. და მე ამ ერის კაცი ვარ!"

როგორ ჰგავს ეს თვითონ მწერალს, მწერალიც ხომ ამას ამბობდა: დედა იმერეთში გაზრდილი მეგრელი მყავდა, მამა — გურული, ქართლში გავიზარდე, კახეთში იქმნებოდა ჩემი პირველი რომანი, სამცხე-ჯავახეთი სულს მიძლიერებდა და შემოქმედების ძალას მაძლევდა, სვანეთის მთებში დავეხეტებოდი დევნილი და მიუსაფარი... მე ქართველი ვარ და საკუთრივ არც ერთ კუთხეს არ ვეკუთვნიო! დიახ, ის სრულიად საქართველოს ეკუთვნოდა, ყველას და ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ.

„მითრიდატეში" წარმოჩენილი თითოეული ბერი მისი სულის ნაწილია, მწერლის სიბრძნითაა ნასაზრდოები. ვეშაგ ნეტარი კი საქართველოს თანამდევი სულია, სული, რომელიც ნაწარმოებიდან ნაწარმოებში სახელს იცვლის, მაგრამ სწორ ფიქრს აძლევს, მართალ გზაზე აყენებს ხელისუფალთ და მთლიანად ერს. აი, როგორ არიგებს ის ჭაბუკ მითრიდატეს: „განა ადამიანთა აღდგომა-გაცოცხლება არ ძალუძთ ღმერთებს, მაგრამ არ ჩადიან ამას! არც არის საჭირო! ქვეყანაზე მეტად ცოტანი არიან ადამიანები, რომელთაც ნამდვილად არ ჰყოფნით ერთი სიცოცხლე. დანარჩენი ჩვეულებრივი სიხარბეა! მაგრამ ჩემგან იცოდე, ერთია აღდგომა, მეორეა — მეორედ მოსვლა, მესამეა და სულ სხვა უკვდავება სულისა!" ვეშაგ შიშველი აქვე დაურთავს: მე ვარ ერი ჩემი და სახელი სხვა არცა მაქვს და არცა ვარ მსურველ!" როგორ ჰგავს ის მთაზე წარმოსახულ ილიას მოხუცს, რომელიც აცხადებს: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული..." ასეთი თანამდევი უკვდავი სულები ყოველ დროში ჰყავდა ჩვენს ქვეყანას და ეს არაჩვეულებრივად იცოდა ლევან გოთუამ. აბა, ვინ არის „გმირთა ვარამის" ბერი ზოსიმე, რომელიც გრიგოლ ხანძთელსაც წააგავს და სულხან-საბასაც, ილიასაც და კიდევ მრავალ მაშვრალს საქართველოში? უცნაურია, მაგრამ ის ორჯერ გაუნაპირდება ქვეყანას და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ზნეობა და ვაჟკაცობა დაკნინებულია, მაგრამ როგორც კი თუნდაც ერთი მსურველი აღმოჩნდება სულიერების აღდგენისა, ის ისევ სააქაოს უბრუნდება. იმიტომ, რომ ისიც სიმბოლური სახე, სულია... დედამიწაზე კი სული მაშინ განსხეულდება, როცა მის საჭიროებას იგრძნობს ერი.

არ შეიძლება გვერდი ავუარო რომანებსა და პიესებში ბრძოლების აღწერას. „გმირთა ვარამიდან" დაწყებული ამას ყოველთვის ბრწყინვალედ ართმევდა თავს მწერალი. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს პიესებში, რადგან თეატრის სცენა ფილმის გადასაღები მოედანი არ გახლავთ, ბატალური ეპიზოდები რომ წარმოადგინო. ბატონი ლევანი თითქოს მომსწრეა ამა თუ იმ ომისა, მისი თანამედროვე და იმავე საბრძოლო იარაღებით მებრძოლი, რომელთაც მაშინ იყენებდნენ. ამ ეპიზოდებში ხშირად კულმინაციას აღწევს სამწერლო ოსტატობა: „მტერი უქარო ღრუბელივით მოდიოდა" — გვეუბნება ის; ე. ი. მოდიოდა მდორედ, მიჯრით, დიდი უფორმო წყვდიადის მაგვარი ლაქასავით. სიტყვათა რიტმულ წყობაში ისმის ხმლებისა და ფარების ჯახანი, მოკლულთა და დაცემულთა გმინვა, ჩანს მომხვდურთა „სპისა და ხარგის ბუქი".

როცა ბრძოლის აღწერაზე ვსაუბრობთ, წარმოუდგენელია ყურადღება არ მივაქციოთ დიდ მხედართმთავართა ბრძოლის წინა მოწოდებას. ეს ხომ ტრადიციად მოსდგამს ჩვენს მწერლობას რუსთველიდან და ბარათაშვილიდან დაწყებული დღემდე. საოცარია ახალგაზრდა მითრიდატეს მოწოდებაც მეომრებისადმი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის წინ: „ ჩვენ, არსებითად, რომს გამოვთხოვთ მუქარას და აქ მთელი ქართული სამყარო უნდა წარვდგეთ ერთად! საბოლოოდ ომს არა ხომალდები იგებენ, არა იარაღი, არამედ ადამიანები! ჩვენ ნათესავთა გულებში უნდა მოვიგოთ დიდი ბრძოლა, თორემ ეს ვაჭარი, მეკობრე და დამპყრობელი უფრო შორსაც წასულა და უფრო თავზე ხელაღებულიც არის!" წარმოიდგინეთ, ქართული ხომალდიონის ფონზე მშვიდ და წყნარ ზღვაში მდგარი მზესავით ლამაზი უფლისწული, რომელიც ქვასავარძელას პაპებს ეუბნება: „ჩვენ ქართულ სამყაროს სულისკვეთების, ალღოსა და რწმენის წარმართები ვართ და არც დავთმობთ ამას..."

და ისევ დავუბრუნდეთ ჩვენი ერთობის პრობლემას, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „კავშირს გულთა შორის". ეს პრობლემა ქართველთა მრავალ თაობას დღემდე გადაულახავ ზღუდედ ეღობება წინ. არადა, ეს გადაულახავი ზღუდე მეტწილად ჩვენსავე თავში უნდა ვეძებოთ. ასე სწამდა ეს ლევან გოთუას და, რაღა დაგიმალოთ, არც მე მტოვებს ეს ფიქრი. კითხვას „ასეთი რა გვჭირს ქართველებს, რომ ვერა და ვერ გავერთიანდით?" მწერალი ასე პასუხობს: „ მრავალი მტერი გვიშლის, მაგრამ ჩვენც ზედმეტად ამპარტავნული განკერძოება და ჩემიანობა გვჭირს... ყველას ბატონობა და პირველობა გვწადს, მხოლოდ თავისთვის გვსურს თამადობა, დიდი სახელი... თავისთავადობა გვინდა. ასე არ გამოდის საქმე, არა! ურთიერთსაძალაოდ ძალა არა გვყოფნის, დასათმობად — სიბრძნე". არ შეიძლება ადამიანმა საკუთარ თავთან მაინც არ აღიაროს ეს ჭეშმარიტება და თვალი არ გაუსწოროს ჯერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ხოლო შემდეგ სოჭს, საინგილოსა და ტაო-კლარჯეთს კოლას პროვინციამდე. პოლიტიკა იცვლება, იცვლებიან ადამიანებიც, ის მიტაცებული მიწები კი შეუხორცებელ ჭრილობად რჩება. რაღა იქნება ამის მერე?! ვინ ამოყელყელავდება მიღმეთიდან ჯერ სათიბის გასათიბად, მერე ჯეჯილის მოსაყვანად?!

ახლა კი ღალატის თემას მივადექით და აქვე უნდა ვთქვათ, რომ ღალატიც მრავალგვარია. ლევან გოთუას აზრით, „ისიც ღალატია, როდესაც შენს ნიჭს სამშობლოს მოაკლებ და სულ სხვის საქმეს უმადლოდ და უგზო-უკვლოდ დაალევ თავს!" ჩვენ ათასგვარ გამართლებას ვუძებნით ამასაც, მაგრამ საკმარისია, ცოტათი მაინც ვიგრძნოთ თავი ქართველებად, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ზემოთ მოყვანილ სიტყვებს დედა ამბობს შვილის საფლავთან, შვილის, რომელმაც სპარსეთის სახელმწიფოს ძლიერებას შეალია სიცოცხლე, დედა კი ყოველთვის მართალია. „ღალატია მონობის ნიშანი უპირველესი!" — აღნიშნავს მწერალი და, ვიდრე ჩვენს სულში ღალატის ერთი მისხალი მაინც იქნება, მონები ვიქნებით ღალატისა და კიდევ, ვინ იცის, ვისი და რისი მონები... რუსთველიც ხომ ამას გვეუბნება: "კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად..."

თუმცა აქვე საიმედოდ ისევ მწერლის ნააზრევი მსურს შემოგთავაზოთ: „საქართველოს მატიანეთა გამოცდილება

გვაგრძნობინებს, რომ ყოველ ას ორმოცდაათ-ორას წელიწადში ჩვენი არცთუ დიდი შესაძლებლობა იფიტება და იწყება გადაგვარება.” ამის შედეგია დღევანდელი ნახევარ-რწმენა, გაქცევა სამშობლოდან უკეთესი ცხოვრებისათვის, მემთვრალეობა და აფიონას მიტანება, ხელმრუდობა და მრუშობა. ... მაგრამ, როგორც „გმირთა ვარამის” ერთ-ერთი გმირის, ზაზა კახნიაურის, პირით იტყოდა მწერალი: „გული უნდა გავიმედგროთ... ამით ხომ არ თავდება ერის ცხოვრება.”

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, საბჭოთა დროში ლევან გოთუას ხშირად საყვედურობდნენ, რომ მის ნაწარმოებებში თანამედროვე ცხოვრება არ ჩანდა, რომ ხშირად ქმნიდა კომპოზიტებს, რომ მასისთვის გაუგებარი იყო მისი წერის ტექნიკა და ა. შ. მაშინ მწერალმა თავის კრიტიკოსებს ასე უპასუხა: „მწერალი, ისევე როგორც მთელი ერი, ერთდროულად ცხოვრობს წარსულის გრძნობით, აწმყოს შემოქმედური გაგებითა და მომავლის იმედით... და რარიგ შორეულ წარსულსა თუ მომავალს არ უნდა ეხებოდეს ნაწარმოები, მისი ეპიცენტრი მაინც თანამედროვეობაშია”. მართალია, თანამედროვე საზოგადოება და, სამწუხაროდ, მწერლობაც მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს, არც წარსულისკენ იხედება და არც მომავლისკენ, მაგრამ ლევან გოთუას აზრით, მწერლის მიზანი სწორედ ეს უნდა იყოს, წარსულისაკენ მიახედოს ხალხი და მომავლის იმედით ამოავსოს სულის ყველა ნაპრალი და ჯურღმული.

ხოლო იმ კრიტიკოსებს, რომლებიც წერის ტექნიკას და სტილს უწუნებდნენ, კრებული „მატიანურის” წინასიტყვაობაში, თითქოს სიტყვამ მოიტანაო, ისე შეეხმიანა ბატონი ლევანი: „ვინც მხატვრულ წიგნში სისტემას ეძებს, ის ვერასოდეს ვერ დაწერს, ვერც გაიგებს მწერლის აღელვებულ წიგნს!.. წავიდეს, ჭადრაკი ითამაშოს!” (სხვათა შორის, ლევან გოთუა ჭადრაკსაც დიდოსტატივით თამაშობდა და მათ შორის, არაჩვეულებრივი მეხსიერების წყალობით, ზეპირადაც, საკნიდან საკანში).

ახალგაზრდა მწერალთა გასაგონად კი ბრძანებდა: „ყველაფერი, რაც ყდაშია — წიგნი როდია! არც გაცვეთილი სიტყვები და გატკეპნილი ფურცლებია წიგნი! არც უსულო აზრებისა და სახეების გროვა... არც პირფერული ლამაზსიტყვაობა შიშნაკრავისა და ყურმოჭრილისა”.

დასასრულ უნდა გითხრათ, რომ ლევან გოთუა სიმბოლოებით მოაზროვნე მწერალია... აბა, მაშ როგორ უნდა გავიგოთ „ორშოლტა მათრახი”, რომელიც გიორგი სააკაძეს ეპყრა ხელთ, დიდი გრიგოლ ხანძთელის კედელხატული, დამწვარი აკვანი, მითრიდატეს ცხენი „შავ ქაჯად” წოდებული, სამეფოში დაბრუნებული თეთრ ცხენზე მჯდომი ევპატორი, ცხენზე, რომელსაც „ნისლა” ჰქვია, რადგან ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული მისი ცხოვრება, და მრავალი სხვა.

ლევან გოთუას ნაწარმოებები სიბრძნითა და სიკეთითაა გაჯერებული, თუმც ყველაფერს ტრაგიზმის ნიშანი გასდევს, საქართველოს უბედურებით შეძრწუნებული ადამიანის ტკივილით ნასაზრდოები, ადამიანთა გაუტანლობით დაღდასმული, მაგრამ გულუხვი და დაუნანებელი სიბრძნით აღსავსე.

წერილი კი მინდა ისევ იმით დავამთავრო, რითაც დავიწყე, ლექსით, და ამასთან, იმედიანი სტრიქონებით, უცნაური წინასწარმეტყველებით რომ აღბეჭდილა:

— მე კიდევ მოვალ მრავალგზური, ათასთვალება
აშვებულ გულით, სიკვდილს აქეთ გადმოვაბიჯებ
და ჩემი წიგნი განდეგილი და ნაწვალები
თავფურცლებიდან გადმოაფრენს ქოჩორა ბიჭებს.

დღეს ის ჩვენთან არის, ხვალაც ჩვენთან იქნება და ზეგაც, ვიდრე მის წიგნს ავიღებთ ხელში და წავიკითხავთ.



დავიბადე 1954 წლის 2 აგვისტოს ასპინძის რაიონის სოფელ ზედათმოგვში. ვსწავლობდი ნაქალაქევის ჯერ 8-წლიან, შემდეგ საშუალო სკოლაში.

წერა დავიწყე VI კლასიდან, როცა პირველად ვნახე ფილმი „აკაკის აკვანი“ — მთელი კვირა მონუსხულივით დავდიოდი, თუმცა რაც მაშინ დავწერე, ყველაფერი გავანადგურე შემდგომში. ვცადე პროზაშიც ჩემი თავი, როცა IX კლასში გადავედი, მაგრამ მაშინდელმა რაიონულმა გაზეთმა „ასპინძა“ დამიწუნა ნაწერი და დავფრთხი. მერე თბილისში სწავლის დროს კედლის გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ლექსი და ამას აება მთელი ჯაჭვი ლექსებისა. ამავდროულად აქტიურად ვიყავი ჩაბმული სპორტში.

სწავლა დავამთავრე თვითმფრინავმშენებელი ინჟინრის სპეციალობით. და ჩემი დაჟინებული თხოვნით წავედი ჯარში. იქ თან მწვრთნელი ვიყავი და თან მოქმედი სპორტსმენი. ჯარის შემდეგ ვმუშაობდი ფიზკულტურის კომიტეტში თავმჯდომარედ (ასპინძის რაიონში), მერე როსტოვის ვერტმფრენების ქარხანაში — ჯერ ოსტატად, მერე ინჟინერ-ტექნოლოგად.

1979 წლიდან თბილისის მეტრომშენებლობის სამმართველოში დავიწყე მუშაობა გვირაბგამყვანად.

1989 წელს ვახტანგ ბერიძის დიდი დახმარებითა და კონსულტაციით ჩავუდექი სათავეში ქვემო ბეთლემის ეკლესიის რესტავრაცია-აღდგენით სამუშაოებს, მერე — ზემო ბეთლემის.

აქედან დაიწყო ჩემი სწრაფვა ეკლესიების შენება-რესტავრაციისაკენ.

თბილისში ლინა ბეგიშვილმა და ავთანდილ ვართაგავამ ჩამომიყვანეს; მაშინ 15 წლისა ვიყავი. პირდაპირი გაგებით რომ ვთქვათ, მე ვიზრდებოდი კოტე ჯავრიშვილისა და მიხეილ რჩეულიშვილის ოჯახში — ლინა ერთისა შვილი იყო, მეორესი — რძალი.

აქ უამრავი ხალხის გარემოში მიხდებოდა ცხოვრება. ძია კოტეს განუყრელი მეგობრები იყვნენ ლევან გოთუა და ვახტანგ ბერიძე. ამ ორი ბუმბერაზი ადამიანის გავლენა ჩემზე მაგიურად მოქმედებდა. ასევე გურამ რჩეულიშვილის დედის ქ-ნი მარიამის მიერ მონაყოლი გურამ რჩეულიშვილზე ფრთებს მასხამდა...

წერა დავიწყე 45 წლისამ, როცა მივხვდი, რომ ჩემი სოფლის გმირების ისტორია წყალს მიჰქონდა და დავიწყება ემუქრებოდა. არც ახლა მაქვს პრეტენზია მწერლობაზე. სამწუხაროდ, ძალზე ბევრი რამ დამავიწყდა პაპაჩემ-მამაჩემის მონათხრობიდან, ბევრის დაწერას კიდევ ვცდილობ და მინდა ქართველ მკითხველს წარვუდგინო მესხური ტრაგედიები, რამეთუ მე მიმაჩნია, რომ წარსულის ტკივილმა უნდა მომავალ თაობას სიყვარული ასწავლოს.

მიყვარს მუსიკა, ზეპირად ვიცი მრავალი საოპერო ნაწარმოები — 20-მდე. ჩემი ორი შვილიც მუსიკოსია. ეს ნაწარმოები „ვინ ვარ მე? — მორბედი“ სულ პირველად ნოდარ ანდღულაძეს წავუკითხე სიკვდილის წინ რამდენიმე დღით ადრე. ეს მან გამომიშვირა თითი, რომ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში მომეტანა „ეს იყოს ჩემი უკანასკნელი ანდერძი; აუცილებლად დაბეჭდეთ „ჩვენ მწერლობაში“.

ვასრულებ მის თხოვნას.

ზელიმხან მაღრაძე

საფლავი ხიზაბავრაში

I.

მოყვრებში სტუმრად გახლდით მე და მამაჩემი სოფელ ხაზაბავრაში... ბევრი რამ ვიცოდი ამ სოფელზე. მაგრამ რამდენჯერაც ავედი, ვერასოდეს მოვახერხე მისი გვარიანად დათვალიერება. ვიცოდი, რომ მე-12-13 საუკუნეების ბაზილიკური ტიპის ეკლესია დგას, ისიც ვიცოდი, რომ ეს ტაძარი მაღრაძეებისა ყოფილა და ხიზაბავრელები კიდევ „ღარიბათ ეკლესიას“ ეძახიან.

საჭირო დრო დავიგულე თუ არა, სუფრიდან გავიპარე და რადგან ტაძარი დაკეტილი დამხვდა, გარშემო საფლავების დათვალიერება-შესწავლა დავიწყე. ძირითადად თარიღები მაინტერესებდა და რადგან ზოგიერთ საფლავზე თარიღები ციფრების მაგივრად ასოებით აღნიშნულიყო, უბიდან ბლოკნოტი ამოვიღე და საგულდაგულოდ დავიწყე მათი შესწავლა. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. ისე გავერთე, ვერც კი გავიგე, როგორ წამომადგა თავზე მამაჩემი. ვცდილობდი ერთ-ერთი საფლავის ქვიდან ყველაფერი ჩამეხატა ზუსტად, რასაც მერე გამოვიკვლევდი, ალბათ, იმიტომ რომ საკმაოდ დაზიანებული იყო ქვის ზედაპირი.

— აბა შენ თუ იცი, ვის საფლავზე ზიხარ — მომმართა მამაჩემმა და ჩემს წინ იმ საფლავის ქვაზე ჩამოჯდა, რომელსაც ვიკვლევდი.

— ვინმე ჩვენი ნათესავისა იქნება ალბათ, ჰო?! — ვკითხე მოულოდნელობისაგან შემკრთალმა და წამოვდექი. იქ, სადაც მე ვიჯექი, საფლავს აშკარად არ ჰგავდა.

— ნათესავებზე უკეთესი. ამ საფლავზე სანთელს ანთებდა პაპაჩემი, მერე მამაჩემი, და მერე მე. როცა აქ, სოფელში მასწავლებლად ვმუშაობდი. იმის მერეც, სანამ ამ მამაძაღლებმა აქედან არ წაიღეს საფლავის ქვა და იქ, ქვევით, სამამულო ომში დაღუპულთათვის ვითომ მემორიალური სკვერი გააშენეს და ღობეში კუთხის ქვებად ჩააშენეს — და ერთი გვარიანად შეუკურთხა მავანს და მავანს.

— ეგ კი, მაგრამ მაინც ვინ იყო ისეთი, რომ პაპაშენიდან დაწყებული ყველა ამ საფლავზე ამოდიოდით და სანთელს ანთებდით, ან რით იყო ჩვენს ნათესავებზე უპირატესი, რომ მათზე მაღლა აყენებ? — ნიშნისმოგებით დავეკითხე მამას, თან დავეშურე, რომ ჩახატვა მომესწრო, რადგან მზე უკვე ჩასვლას ლამობდა და შინისკენ მივიჩქაროდით.

— როგორც მამაჩემისგან ვიცი, ეს კაცი ერეკლე მეფის მარჯვენა ხელი ყოფილა, და აქაც, ასპინძის ომში ერეკლეს გადაჰფარებია და მეფეზე ნასროლი ტყვიისთვის მიუშვერია მკერდი... ეს კაცი ისევ ცოცხალი ყოფილა, სანამ აქ ნადიმი დამთავრებულა. ომის შემდეგ გამარჯვების ნადიმი სწორედ ამ მიდამოებში გადაუხდია მეფეს. როგორც ამბობენ, სამასი ხარი დაუკლავთ. მერე აქაურებისთვის მიუბარებია მეფეს ამ კაცის მოვლა, სანამ თბილისში წავიდოდა.

— სამასი ხარი?... რა ამბავია, მამა, მაგას ასორმოცდაათი ათასი კაცი მაინც უნდა, რომ შეჭამოს, ალბათ ოცდაათი ხარი თუ დაკლეს და მერე გაბუქეს. — სიტყვა გავაწყვეტინე, — თანაც ხომ კარგად ვიცი, რომ ერეკლეს ასპინძის ომში სულ ხუთი ათასი კაცი ჰყავდა მეომარი, მაგას მივუმატოთ ათასი კაცი ადგილობრივი ხალხი, ეგ არის და ეგ. მაგას, ჰა, ჰა ათი ხარი ყელამდე ეყოფოდათ... მაგას თავი დავანებოთ და ვინ იყო ეს კაცი ჩვენთვის, ახლა მეც რომ უნდა ვიარო მის საფლავზე და ალბათ ლოცვებში მოვიხსენიო?

— წამოდი, საროში საქმე მაქვს, იქამდე ფეხით გავიაროთ, გზაში მოგიყვები, ჯერ კი ხალხს ხომ უნდა დავემშვიდობოთ, სირცხვილია, ასე არ გამოვა. და საერთოდ რა დაგჩემდა, სუფრიდან რომ გაიპარები. ხალხი გკითხულობდა, ასე არ შეიძლება, შვილო, ამას მერამდენედ აკეთებ?! — ეს ისე მითხრა, რომ უნდა ეთქვა, თორემ გულის სიღრმეში ძალიანაც მოსწონდა, რომ სასმელს გავურბოდი. მასპინძლებს დავემშვიდობეთ და ფეხით დავუყევით გზას. იქ, საროში, ჩემი ძამა უნდა წამოგვწეოდა მანქანით და წაგვიყვანდა.

II.

ეს ამბავი აქ, ამ საფლავთან თვითონ მეფე ერეკლეს მოუყოლია აქაური მაღრაძე მღვდლისთვის, როცა იქ მეორედ ჩასული პანაშვიდს უხდიდა ამ ყმას. ამ მღვდელმა მერე ზედა თმოგვის ეკლესიას მიანდო ნაამბობი, 1772 წელს, როცა ხიზაბავრიდან აიყარნენ მაღრაძეები და მოუწიათ გაქცევა...

თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა ყოფილა ერეკლე მეფე, ირანიდან ახალდაბრუნებული, სხარტი და ძლიერი; მოფარიკავე ხომ უბადლო და ყველასაგან განსხვავებული... ხევსური ხევისბერი წვრთნიდა საგანგებოდ უფლისწულს ფარიკაობაში. ქიზიყში ჭიდაობა უნდა გამართულიყო და უფლისწულიც საგანგებოდ ემზადებოდა საჭიდაოდ. ირანში დაგროვილ ცოდნის გამოსამჟღავნებლად საჭირო მიზეზს და ადგილს ეძებდა ერეკლე.

დათქმულ დროს ცხენზე ამხედრებულები გამოცხადდნენ კახეთის ფალავნები, დიდძალი ხალხი მოაწყდა მოედანს. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველას იქეთ ჰქონდა თვალყური, სადაც ერეკლე იმყოფებოდა... მის გამოწვევას ყველა ერიდებოდა, მაინც უფლისწული იყო. ერეკლე თვითონ იწვევდა გამარჯვებულთა შორის გამარჯვებულს და ტოლი ვერავინ დაუდო. უფლისწული შესაშური სისწრაფით ასრულებდა უცხო ხერხებს და მრავალი ვაჟკაცის ბეჭმა იგემა ფხვიერი ქვიშა. ბოლოს ფალავანთა შორის აღარავინ დარჩა, ვინც ერეკლემ არ დაამარცხა, და ის იყო ჭიდაობის დამთავრებას აპირებდნენ, რომ წრეში სრულიად ახალგაზრდა, ახალწვერ-ულვაშშეღერებული ჭაბუკი გადმოხტა და ერეკლეს წინ აღიმართა. აშკარად ეტყობოდა, ჭიდაობა და ძალის გამოცდა სწყუროდა... საჭიდაო დაუკრეს და ის იყო ერეკლემ ხელი წაატანა ჩოხის მხრის თავზე, რომ თვალის დახამხამებაში მისი სხეული რაღაცა არაადამიანური ძალის წყალობით ჰაერში აიტაცა ჭაბუკმა, მერე ჰაერში კამარა შეჰკრა და ძირს დაენარცხა. გონი დაჰკარგა უფლისწულმა...

მუხლზე დაყრდნობილი ჭაბუკი დაბნეული თვალებით დაშტერებოდა უგონოდ მწოლარე უფლისწულს და არ იცოდა, რა ეღონა. იმ წამსვე ერეკლეს გამზრდელი მოედანზე გადმოხტა. მოხუცმა ჭაბუკი წამოაყენა და უბრძანა, სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას, თუ არა, გონსმოსული უფლისწული მას ცოცხალს არ დასტოვებდა; ესეც არ იკმარა, ადგილობრივ გლეხებს ანიშნა, სასწრაფოდ გადამალეთო-სადმე, საიმედო ადგილასო, თორემ ცოდვაა ჭაბუკი, მისი წახდენა უსამართლობა იქნებაო.

გონსმოსული ერეკლე ხმალს ეცა და შლეგივით შევარდა ხალხში. ისევ გამზრდელმა შეაჩერა და პატივმოყვარეობაშელახული უფლისწული ძლივს დააბრუნეს თელავში.

მთელი შეგნებული ცხოვრება იმ ჭაბუკს დაეძებდა მეფე ერეკლე, ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდა, მისი ხალხი იმ ჭაბუკს ეძებდა. შურისძიების ალმა აიტაცა ერეკლე და განელებას არ აპირებდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ ერეკლე ორმოცდარვა წლისა ყოფილა და თავის სასახლეში ისვენებდა, სახლთუხუცესი გაკადნიერდა და მისი მყუდროება დაარღვია.

— კარზედ ერთი ქიზიყელი კაცია მომდგარი, ამა და ამ გვარსახელის და დაჟინებით მოითხოვს, დიდო მეფეო, შენთან შეხვედრას. რამდენი ვეხვეწე, დაეცადა, მაგრამ არ იშლის. გააღვიძე მეფეო, ითხოვს, და თუ არ მიმიღებს, შენ თვითონ ნახავო.

„თავისი ფეხით მოვიდა ბოლოს, შენ გაჩვენებ სეირს, თუ კაცი ხარ; ახლა დამიდექი“ — გაიფიქრა მეფემ და უბრძანა, შემოუშვიო. თვითონ, როგორც წესია, ტახტზე დაბრძანდა და დაელოდა ქიზიყელის შემოსვლას. საოცარი სილამაზისა და ვაჟკაცური აღნაგობის მამაკაცს შემოუძღვა სახლთუხუცესი. მან მეფეს თაყვანი სცა და ცალ მუხლზე მდგომარე, თავდახრილი გაუნძრევლად განაგრძობდა დუმილს, ასე ელოდა მეფის ბრძანებას... ერეკლემ სახლთუხუცესს ანიშნა, დაგვტოვეო, და ქიზიყელისკენ მიაპყრო მზერა — „როგორ დავაჟკაცებულა ჭაბუკი, რამხელა მხარ-ბეჭი აქვს დალოცვილს. ეტყობა, კარგი მებრძოლიც იქნება, მოფარიკავეც კარგი უნდა იყოს. ახლა გამოჩნდება, რისი მაქნისია, მოვიდა რომ ახლა ფარიკაობაში გამეჯიბროს; არა, ერეკლე მეორედ მარცხს არაა ჩვეული“ — გაიფიქრა მეფემ და მოსულს ჰკითხა:

— რაზედ გარჯილხარ, ან რა გაქვს ასეთი საჩქარო, რომ სასახლის კარი ლამის შეამოანგრიე, წამოდექი და მომახსენე... რას მივაწერო შენი ასეთი თამამი საქციელი? ამდენი წელიწადია არ გამოჩენილხარ და იმალები. ახლა შენ თვითონ მოხვედი მეფის კარზე და მყუდროება დამირღვიე...

— ორი საქმისთვის მოვსულვარ, მეფეო, ერთი, ჩემი პირადულია, მეორე ქვეყნის და ქართული, სახელმწიფოებრივი. რომელს მიბრძანებ, რომ მოგახსენო, შენი კვნესამე?

— მოდი, პირადულით დავიწყოთ და, თუ მოვაგვარეთ, მაშინ სახელმწიფო საქმეზეც გადავიდეთ. აბა მითხარი, რა არის ასეთი, რის სათხოვნელად მოხვედი?

ახალმოსული არ ელოდა საქმის ასე უბრალოდ შემობრუნებას, გონებაში სხვაგვარად ჰქონდა დაწყობილი მეფესთან შეხვედრა. ამიტომ დაიბნა, ერთხანს სულ გადაიფიქრა საკუთარ თავზე რაიმეს თქმა. ბოლოს ძალ-ღონე მოიკრიფა და თამამად, თითქოს თავის თანატოლს ესაუბრებაო, ერთბაშად უთხრა, რაც უნდოდა.

— მდევნიან, დიდო მეფეო, მდევნიან... სული და ხორცი გამიმწარეს დევნაში, ოცდაათ წელიწადზე მეტია, არხეინად არ მძინავს, ყველა საფარი, რომელიც ავირჩიე, უვარგისი გამოდგა; ბოლოს სამშობლოდან გადავიხვეწე. ამან უარეს დღეში ჩამაგდო, ვერ გავძელ უცხო მხარეში. ბოლოს გადავწყვიტე, ისევ შენთან მოვსულიყავი და მეთხოვა, რომ დამიცვა ამ დევნისაგან, თორემ მთლად წამიხდინეს ყმაწვილკაცობა. ახლა სიბერეც რომ არ წამიხდეს, შენთან მოვედი, რომ დამიცვა, იქნებ შვებით მივაბარო სული უფალს, დაწყნარებულმა...

აქ ინტერესმა შეიპყრო მეფე. ვერა გაეგო რა, რატომ სდევნიდნენ მოსულს? თუ სახელმწიფო საქმის გამო, ან რაიმე შეთქმულებას რომ ეხება, ამასთან რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ ქიზიყელს, ან ვინ უნდა სდევნიდეს, ვის რა დაუშავა ნეტავ? — არა, აქ სხვა რაღაცა მგონია, და მოთმინებადაკარგულმა ერეკლემ სიტყვა გააწყვეტინა მოსულს.

— ვინ გდევნის ან რას ნიშნავს ყოველივე ეს, აღარ მეტყვი?! — ჩაეკითხა მეფე და წამოდგა.

— უფლისწული ერეკლე მდევნის, მეფეო, და მე მოვედი მეფე ერეკლესთან, რომ დამიცვას უფლისწულის დევნისაგან, რადგან უფლისწულმა მაიძულა სამშობლო დამეტოვებინა და გადავხვეწილიყავი... აქედან შორს. უცხო ქვეყანაში არ მინდა ამომხდეს სული. იქ, სხვის მიწაზე. ესაა ჩემი თხოვნა, დიდო მეფეო... — დინჯად და აუღელვებლად ჩაათავა სათქმელი ვაჟკაცმა და გაჩუმდა.

თვალთ დაუბნელდა მეფეს. მისი სახელი შორს ჰქუხდა და ყოვლადბრძენ მეფედ იცნობდა ხალხი. თურმე როგორი სულმოკლე და პატივმოყვარე ვყოფილვარო, გაიფიქრა. ამდენი ადამიანის ცოდვა-მადლის განმკითხველ და ბედის სასწორზე დამდებ მეფეს ერთი ყმაწვილის ვაჟკაცობა მტრობად როგორ მივიღე ამდენ ომგადახდილმაო. ბრძოლაში ჩემი უნიათო გადაწყვეტილებით რამდენ ჭაბუკს დაუბნელდა ალბათ მზე და ის ნაგებული ომიც ხომ წაგება იყო, ის ხომ გადავხარშე და წარსულს ჩავაბარე. რატომ დამიბნელდა გონება და გული, ამდენი ხანი რომ ვაჟკაცს ვაჟკაცობა და საჭიდაო მოედანზე განცდილი დამარცხება ვერ ვაპატიე და ჩემი მარცხი მტრობის გესლად რატომ ვაქციე? კარგი, მაშინ ჭაბუკი ვიყავი, გული და სული ამემღვრა; მერე ხომ დავბრძენდი, ასე როგორ დამრია ეშმაკმა ხელი, რომ შენდობა ვერ შევძელი. თურმე არარა ვყოფილვარ, ლაჩარიც და გაუტანელიც. ხედავ, რა მითხრა?! — უფლისწულის დევნისაგან დამიცავიო. თურმე ჯერ კიდევ მეფედ მცნობს ეს კაცი. ამდენი დევნისგან გაწამებული მაინც ჩემთან მოვიდა, რათა ისევ ჩემი დევნისგან დავიცვა...

ამ ფიქრებით მიუახლოვდა მეფე ერეკლე ვაჟკაცს; ორივე ხელი მხრებზე დააწყო. დიდხანს უყურა თვალებში. თვალები ისევ იმ ჭაბუკისა ჰქონდა-ცოცხალი, გამჭოლავი, არწივის თვალივით მიზანსწრაფული და ამაყი.

— მაშ უფლისწულის დევნისგან დაგიცვა, ჰო?! — ჩაეკითხა მეფე, მერე ცოტახანს იყუჩა, თვალი თვალში გაუყარა, მერე ძირს დახარა და თითქოს ამოიკვნესაო, ჩუმად განაგრძო — რომ შემეძლოს, იმ უფლისწულს, აქ, შენ თვალწინ გავროზგავდი, რომ ამდენი დევნა განელებულიყო შენს გულში, ძმაო ჩემო ქრისტესმიერო, და რადგან მეფის გაროზგვა არ ძალმიძს, როგორც ქრისტიანი ადამიანი, და არა მეფე, გთხოვ მიიღო ჩემი შემოთავაზება — და მის წინ მუხლზე დაეცა ერეკლე მეფე, თავი მის ფეხებამდე დააწვდინა და, როგორც ხატებას, შეჰლაღადა;

— შემინდე, თუ ძალგიძს, მეგობარო, დღეიდან თავისუფალი იქნები ყოველგვარი ბატონისაგან და, რაც მთავარია, ჩემი დევნისგან...

მოულოდნელობისაგან დამფრთხალი ქიზიყელი ძირს გაწვა და ემუდარებოდა მეფეს, წამომდგარიყო. თუ არა, თავს არ ვიცოცხლებო. ერეკლე წამოდგა და წამოაყენა ქიზიყელიც, იქვე დასვა და მიუჯდა გვერდით.

— დავივიწყოთ, რაც ჩვენს შორის იყო, მეგობარო, ახლა სახელმწიფო საქმეზე ვიმსჯელოთ, ვატყობ, ცარიელი ხელებით არ მოხვიდოდი ჩემთან ესოდენ ღირსეული ვაჟკაცი.

— იქ, გარეთ ჩემი მეგობრები იცდიან, დიდო მეფეო. უბრძანეთ შემოუშვან. მთავარი გზავნილი მათ აქვთ თქვენთვის...

— ეი, ვინ ხართ მანდ, — გასძახა მეფემ და კარებში გამოჩენილ სახლთუხუცესს უბრძანა — ჩქარა შემოიყვანეთო.

III.

კაიროდან მოსული მამლუქთა დესპანებს შემოუძღვა სახლთუხუცესი; ექვსი ვაჟკაცი. ერთიმეორეზე უკეთესნი. მზეზე გარუჯულთ ქართველობისა არაფერი დაეკარგათ.

კაიროს მბრძანებელი მამლუქი ალი-ბეი ალ-ქაბირი ფირმანს არ ენდობოდა. ეს ბიჭები თუ ტყვედ ჩავარდებიან, უწინარემც სიკვდილს არჩევენ, ვიდრე რაიმე საიდუმლოს გასცემენო, დაუბარებია, და თან დიდძალი ოქრო გამოუგზავნია მეფისათვის: „ამით ზარბაზნები ჩამოასხი და დანარჩენი ჩვენ ვიცითო“...

აღტაცებისაგან ცას ეწია მეფე და მართლაც შეიძინა ზარბაზნები, ზოგიც ჩამოასხმევინა. ამ ფულით ჯარსაც მოუარა და თოფ-იარაღით მოამარაგა. ცოტა ხნის შემდეგ უფრო დიდი ქარავანი მოადგა მეფის სასახლეს; ახლა სამომავლოდ ჯარით დახმარებაც აღუთქვეს მამლუქებმა... ოციოდე მეომარიც გამოუგზავნეს. შეთანხმდნენ, რომ ახალციხისკენ გაილაშქრებდა მეფე. იქ მოსინჯავდნენ, რამდენად მზად იყვნენ თურქები და რით შეეძლოთ დახვედრა. ერთი სიტყვით, ფხას მოუსინჯავდნენ იარაღს. ამასობაში ასპინძის ომიც მომწიფდა. მამლუქები თვალყურს ადევნებდნენ, რა შეიძლებოდა მოემოქმედებინათ, რომ მერე ერთობლივი ლაშქრობა წამოეწყოთ თურქეთის წინააღმდეგ და გამოეგლიჯათ ქართული მიწები, ზედ ურჩხულად რომ გადაჰფარებოდა თურქეთის სულთანი...

...ასპინძის ომში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ერეკლე მეფემ. აქ მისმა ნიჭმა და სტრატეგიამ კიდევ ერთხელ იელვა, თურქებმა კი თავიანთი უნიათობა გამოავლინეს. და მართლაც, სამასი ხარი დაიკლა ნადიმზე. ადგილობრივი მოსახლეობა ერ-

თიანად მოაწყდა მთელი სამცხე-საჯავახოდან. ტანჯვისა და მონობისაგან დათრგუნულმა ქართულმა მოსახლეობამ როგორც კი გაიგო თურქთა ლაშქრის დამარცხების ამბავი, კიდეც მოაწყდა ასპინძის მიდამოებს, დიდძალი იარაღი ჩაიგდეს ხელთ და გულანთებულები მზად იყვნენ სტამბოლამდე ბრძოლით გაერეკათ დანარჩენი თურქებიც. მაგრამ ერეკლეს თბილისში ეჩქარებოდა... ტოტლებენი თუ თბილისში ჩაასწრებდა, ერეკლე ტახტზე ვეღარ ავიდოდა, მაშინ მას მოუწევდა თბილისის დალაშქვრა, და ეს იქნებოდა უკვე რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაშქრობა. აქ გულგატეხილმა მესხებმა იარაღი უბეში ამოიდეს და, საომრად თამამად გამოსულები, მალვით დაბრუნდნენ სახლებში. ახალციხის ციხე-სიმაგრეში დაბანაკებული ფაშა 40-ათასიანი ჯარით გამოვიდა და დევნა დაუწყო პირველ რიგში მათ, ვინც გაბედა და ერეკლე მეფეს ომის დროს დაეხმარა ასპინძაში. მერე — ვინც იმ ნადიმზე გამოცხადდა და ფიცი დადო ერეკლეს ერთგულებისა...

1771 წელს კიდევ ერთხელ ილაშქრა ერეკლემ მესხეთში. მის გამოჩენაზე კურდღლებივით სოროებში შეძვრნენ ახალციხის ფაშაც და მთელი თურქობაც. ამ დროს კაიროში მამლუქები უკვე ჯარს ამზადებდნენ და განსჯის საგნად იყო ის, მამლუქთა ჯარი საქართველოში ჩამოსულიყო, თუ ჯერ ერეკლეს შეეტია მესხეთიდან, და თუ თურქეთი მის წინააღმდეგ ჯარს დასძრავდა, მაშინ მამლუქები ზურგში დაარტყამდნენ და აიძულებდნენ თურქეთის სულთანს ქართულ მიწებზე უარი ეთქვა.

ერეკლე მეფემ კვლავ დიდძალი ფული და იარაღი მიიღო მამლუქებისაგან, გააქტიურდნენ დესპანები კაიროსა და თბილისს შორის. მეფეს, მიუხედავად მისი სიბრძნისა და გამჭრიახობისა, ბრმად სჯეროდა, რომ რუსები გაუწვდიდნენ დახმარების ხელს და დაბრუნებული ტერიტორიების შენარჩუნებაში დაეხმარებოდნენ. ბევრი დაუშალეს მამლუქთა თავკაცებმა, მაგრამ ერეკლემ, რომელიც რუსებს თავის მოკავშირედ განიხილავდა, მოლაპარაკებაში რუსებიც ჩართო.

ხელს არ აძლევდათ რუსთა მოხელეებსა და იმპერატორს, რომ ერეკლეს წისქვილზე წყალს ედინა. ისინი საქართველოს დასახმარებლად და მიწების დასაბრუნებლად თითის თითზე დაკარებას არ აპირებდნენ. მათი მიზანი სულ სხვა იყო — საქართველო მათ უკვე ტაბაკზე დადებულ შემწვარ და შენელებულ ხოხბად ჰყავდათ წარმოდგენილი და მხოლოდ მის დასუსტებას ელოდნენ, რომ მერე გემრიელად შექცეოდნენ. ამიტომ იმ ერთობლივ მოლაპარაკებაში მონაწილე რუსის ელჩმა ფარულად კაცი აფრინა თურქეთის სულთანთან და დააბეზღა-გასცა ქართველთა და მამლუქთა გულისწადილი ...

თურქეთის სულთანი გრძნობდა, ერეკლე მეფის გააქტიურება რაღაცასთან რომ იყო დაკავშირებული, ისიც კარგად დაინახა, ტოტლებენის ღალატით რუსეთს რა ეწადა. კაიროში მამლუქთა ასეთი გააქტიურება სერიოზული გამოწვევა გახლდათ, მისთვის. მამლუქები ლეგენდადქცეული ძალა იყო გარშემომყოფ ყველა სახელმწიფოსათვის. ბევრი ფიქრის შემდეგ სულთანმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო:ყველა ქართველ მამლუქს კაცები მიუგზავნა და ვითომ საერთო და საჭირბოროტო საქმეზე მიიწვიეს რომელიღაცა ფაშასა თუ დიდებულთან; ციხე-სიმაგრეში შვიდასამდე მამლუქი გამოცხადდა ახალი ამბის მოსასმენად. ფართოდ გაღებულ ციხე-სიმაგრეში მამლუქებს შეუძღვნენ საქვეყნოდ ცნობილი ფლიდი სულთნის მოხელენი. ციხის კარები ამოკეტეს, როგორც კი უკანასკნელმა მამლუქმა შეაბიჯა ციხე-სიმაგრეში, და იქუხეს თოფებმა და ისრების წვიმა წამოვიდა მათ თავზე. ასე უმოწყალოდ ხოცავდნენ მამლუქებს მოედნის შუაგულში. ცხენ-კაცის სისხლი ღვარებად მოედინებოდა ციხის კარს მიღმა; მკვდრებისაც კი ეშინოდათ ურჯულოებს-უკვე გვამებს ხვრეტდნენ შუბებით თუ ისრებით. მხოლოდ სამი მამლუქი გადარჩა სასწაულად. სულაც გოდოლზე გაიკვლიეს გზა ბრძოლით და იქედან გადახტნენ ოცი მეტრის გოდოლიდან და თავს უშველეს.

ერეკლე მკლავმოჭრილი აღმოჩნდა. არ დააყოვნა ახალციხის ფაშამ, ჯარს წინ წაუძღვა და ყველა სოფელი დალაშქრა. აიყარნენ ქართველები და გაიხიზნენ. დაიცალა ხიზაბავრა და ზედა თმოგვი მაღრაძეებისაგან. ზოგმა ქართლს მისცა თავი, ზოგმა იმერეთს. ქართლში ჩასახლებულმა ხიზაბავრელმა მაღრაძეებმა გვარად ხიზამბარელი აირჩიეს, იმერლები გამრავლდნენ. მარელისელი მიხა თავისი ოთხი შვილით და ექვსი ძმით უკან დაბრუნდა ზედა თმოგვში. ვერ გაძლო ვაჟკაცმა მშობლიური სოფლის გარეშე... იმერეთიდან ღონღაძის ქალი ჩამოჰყვა. ზედა თმოგვში მოსული მიხა მშობლიურ სოფელში არ შეუშ-

მხატვარი ვასო იდლელი-ბასიაშვილი

ვეს-თქვენი გულისთვის ფაშა ერთიანად აგვიკლებსო, უთხრეს და იძულებული გახდა აფნიაში გადასულიყო საცხოვრებლად. იქ ჭირი დაერიათ და ექვსი საფლავი დატოვეს აფნიაში. ოთხი წლის შემდეგ ფაშა მოკვდა და მიხა ზედა თმოგვში მიიღეს. ამასობაში ყველა ქართულ სოფელში თურქი ეროვნების ხალხი ჩაასახლეს, თან მოლები დააგზავნეს ქართველების გასამაჰმადიანებლად. არნახული წნეხის ქვეშ მოექცა მთელი მესხეთის საქრისტიანო, დაადეს ისეთი ბეგარა, რომელსაც ათასში ერთი თუ გადაიხდიდა. თითქმის მთელი ჯავახეთი გადარჯულდა — ზოგი კათოლიკობას შეეფარა და კათოლიკე მისიონერებთან ერთად დაიწყეს ფარული ბრძოლა სომეხ ვითომ კათოლიკე მღვდლებთან ერთად.

ზედა თმოგველებმა აქაც ივაჟკაცეს, რაღაცნაირად მოახერხეს, რომ არცერთ თათარს არ ეცხოვრა სოფელში და მართლმადიდებლობაც შეენარჩუნებინათ ... ასე იქცა ასპინძის ბრწყინვალე ომი და ერეკლეს ლაშქრობანი შხამად და ტრაგედიად მესხებისათვის. ეს იყო 1772 წელს.

IV.

უკვე ასპინძის ომში გასწირეს რუსებმა ქართველთა მეფე, არ მისცეს საშუალება მესხეთის დაბრუნებისა. რუსებისა და თურქების ერთობლივი მოქმედებით ერეკლეს ანთებულ გულს წყალს ასხამდნენ და ფრთებს ჭრიდნენ. თურქები ერეკლეს წინააღმდეგ არ აწარმოებდნენ ფართომასშტაბიან ლაშქრობას იმიტომ, რომ რუსების წყალობით იცოდნენ, როგორც კი ჯარს დასძრავდნენ საქართველოსკენ — ზურგში მამლუქები დაარტყამდნენ და სრული მარცხი გარდაუვალი იყო. ხოლო რუსები ხანგრძლივად თბილისიდან გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ ერეკლე მეფეს,

რომ ბრძოლები ეწარმოებინა. სამჯერ ილაშქრა მეფე ერეკლემ მესხეთში. ბოლოს ხერთვისის ციხეც გაათავისუფლა თურქებისაგან; აქ კიდევ ერთხელ გაუშლიათ თავიანთი საგვარეულო დროშა მაღრაძეებს, ნადირაძეებს, გვარამაძეებს, ლომსაძეებს. ბერიძე, რომელიც ერეკლეს ასპინძის ომში მეგზურობდა და აწყურიდან მოუძღოდა მის ჯარს, ჭობარეთის ტყეზე ასპინძამდე — შლეგივით იბრძოდა, ვარძიისკენ მიუთითებდა ერეკლეს, ვარძია დაგვიბრუნეო, მაგრამ ვარძიაში ზარბაზნები ჩაედგათ თურქებს. ზედათმოგველები მონასტრის ზემოთა მხრიდან სთავაზობდნენ მის აღებას, ერთ ტყვიასაც არ გავისვრით, სულ ქვებით ჩამოვყრით ძირსო, მაგრამ უძლური იყო ერეკლე. მეფე კვლავ იძულებული გახდა თბილისი დაეცვა რუსებისაგან. თბილისიდან მოსული შიკრიკის წერილი მეტყველებდა ამას.

და კვლავ თბილისში მოუწია სასწრაფოდ დაბრუნება. ბოლოს სულაც აღა-მაჰმად-ხანი, ისიც რუსებისაგან წაქეზებული და უზრუნველყოფილი, თბილისში შემოვიდა და მოაოხრა ქალაქი. ისღა დარჩენოდა მეფე ერეკლეს, ხელი მოეწერა შეთანხმებისთვის, რომლის შემდგომაც საქართველო რუსეთის პროვინციად იქცა.

V.

— ახლა რაც შეეხება იმ საფლავს, რომელზეც შენ მეკითხები. ეს ის ქიზიყელი ჭაბუკია, რომელმაც ერეკლეს ჭიდაობაში აჯობა და რომელიც მერე ეგვიპტეში გადახვეწილი ეახლა მეფეს, როგორც მამლუქთა დესპანი და აქ, ასპინძის ომში გადაეფარა მეფეს და მეფისთვის განკუთვნილ დამბაჩის ტყვიას მიუშვირა მკერდი. ოთხი დღე უცოცხლია აქ, ხიზაბავრაში. თავზე ადგა და მზრუნველობდა ერეკლეს პირადი ექიმი, მაგრამ ვერ გადაარჩინა. მთელი სოფელი თავზე ადგა და მზრუნველობდა, მაგრამ... მომდევნო ლაშქრობაზე მოუნახულებია მეფე ერეკლეს ამ იდუმალებით მოცული ვაჟკაცის საფლავი და ხერთვისელი მოხელისათვის დაუტოვებია ვერცხლის ფული საფლავის ქვის გასათლელად.

— ლუკა პაპას რა კავშირი ჰქონდა ამ საფლავთან. ან მამაშენს და ბოლოს შენ რა გაკავშირებდათ, მამი, აღარ მეტყვი? — ვკითხე მოყოლილით აღელვებულმა მამას.

— ლუკა პაპას სიმამრი, მარო ბებოს მამა, აშუღი შივღა (ლუკა ბერიძე) ხომ გაგიგია?

— კი, როგორ არ გამიგია. პაპაჩემის ისააკის პაპა; რაც პაპამ მისი სიმღერები და ლექსები იცოდა, მაგის მეტი რა მომისმენია პაპასგან, შივღა რაღა შუაშია? სად ასპინძის ომი და სად შივღა.

— რა სულსწრაფი ხარ, რომ იცოდე. დამაცადე და გეტყვი.

შივღას მთელ ამ მიდამოში სახელი ისე ჰქონდა განთქმული, მასთან პაექრობას ვერავინ ბედავდა; ჩვიდმეტი საზი ჰქონია პაექრობაში მოპოვებული და დამონებული ამ საზის პატრონი აშუღები. ბოლოს თურქეთშიც გადასულა და ყველგან გამარჯვება მოუპოვებია. თან იქ ამ საქმეში, ვისთანაც შეგირდად იყო თავის დროზე, იმ კაცისთვის შეუბედავს და უთხოვია, ეგვიპტეში რომ ყველაზე განთქმული აშუღია, იქნებ იმას როგორმე შემახვედროო. დიდი ყოყმანის შემდეგ დაუთანხმებია და წერილიც გაუტანებია ვიღაცა დიდებულთან და ლუკაც (შივღაც) წასულა ეგვიპტეში...

იქაურ დიდებულს დიდი პატივით მიუღია შივღა და ერთი კვირის შემდეგ გამოუცხადებია საგანგებო პაექრობა, რამეთუ ეს დიდებული დარწმუნებულა შივღას ნიჭსა და დიდ ოსტატობაში.

დიდძალი ხალხი მოსძალებია ამ პაექრობას. უპირატესობა ვერცერთ აშუღს ვერ მოუპოვებია. ბოლოს იმ დიდებულისთვის უთხოვია, ხალხს რაიმე პირობა წაეყენებინა მომღერლებისათვის, რათა გამოვლენილიყო გამარჯვებული; ბევრი ფიქრის შემდეგ ამ დიდებულს ასეთი პირობა წაუყენებია: სიმღერა ეთქვათ ისეთი სიტყვებით, სადაც ბაგებაგეს არ დაედებოდა. „ბაგედაუდებელი“, ჰქვია ამ სიმღერას, შოთა ლომსაძემ გამოაქვეყნა ამას წინათ ეს ლექსი წიგნში „მესხები“. ასე რომ პაპაშენიც ხშირად მღეროდა ამ სიმღერას. აქ კი შივღას გაუმარჯვნია. არაბი დამარცხებულა. შურით ავსებულა და გადაუწყვეტია შივღას მოკვლა. ამ დიდებულს ამის შესახებ თავისი ხალხის მეშვეობით გაუგია და შივღა თავისთან დაუპატიჟნია სახლში ღამის გასათევად. თვითონ კი სამი დღის შემდეგ წარმოდგენა დაუნიშნავს, სადაც შივღას ვითომ უნდა ემღერა.

მთელი ღამე ცალკე სენაკში გამოკეტილები ისხდნენ შივღა და ის დიდებული. მას გადმოუცია ეს საიდუმლო ერეკლე მეფესა და მამლუქებთან დაკავშირებით, რაც მოგიყევი, და თან ხიზაბავრაში იმ საფლავის მოვლა-მონახულება უთხოვია შივღასთვის. „მე ორჯერ ვიყავი პაპაჩემის საფლავზე და ახლა ღრმად მოხუცებული იქ ალბათ ვეღარ ჩავალ და შენს სინდისზე იყოს პაპაჩემის საფლავის მოვლის საქმეო“. საკმაოდ ფული მიუცია შივღასათვის და სამი საუკეთესო ცხენი და ერთი კაციც თან გამოუყოლებია მეგზურად და უთქვამს: „ახლა წადი, რადგან შენს წასვლას ახლა აქ არავინ ელოდება და სამ დღეში სამშვიდობოს გახვალ, ვიდრე ესენი გაიგებენ შენს გაუჩინარებას. თუ არა, ჩემი კაცებისგან ვიცი, იმ აშუღის ასე გაბითურება ძვირად დაგიჯდება, შენი მოკვლა აქვთ განზრახულიო“.

შივღა იქედან პირდაპირ ზედა თმოგვში ჩამოსულა თავის სიძესთან, ანუ ლუკა პაპასთან. სანამ პტენაში ავიდოდა, თავისი სიძე შემოუსვამს ერთ-ერთ ცხენზე, მეორეზე ზედა თმოგველი მღვდელი და ხიზაბავრაში ასულან, აი, ამ საფლავზე. ჯერ პანაშვიდი გადაუხდიათ, მერე გაუწმენდიათ და მოუწესრიგებიათ გარშემო და იმის შემდეგ ჩვენ კი ვეღარ მოვუარეთ. საფლავის ქვა ამ უჯიშოებმა კაცს გულიდან ააცალეს და სადღაც კედელში ჩააყოლეს...

— კი მაგრამ, მამი, აქამდე რატომ არაფერი გითქვამს ჩვენთვის ამის შესახებ, არც შენ და არც პაპას, ხალხმა თუ იცის რამე ლუკა პაპას (შივღას) ჩამოტანილ ამ საოცარ ამბავზე? — ვკითხე ბოღმისაგან დამხრჩვალმა და აღელვებულმა მამას.

— ვისთვის მომეყოლა, შვილო, ან რა მომეყოლა, რუსები მამაძაღლები არიანო?! წარმოგიდგენია, რას გვიზამდნენ ყველას? — მე ვდუმდი, მამა მართალი იყო.

საკმაოდ დაღამდა კიდეც, როცა მამაჩემი ვიღაცის სახლში შემიძღვა სოფელ საროში, წამსვე სუფრა გაიშალა, თითქო მთელი დღე ჩვენ გველოდნენო. მე ერთი ლუკმაც არ გამიღეჭია, გახევებული ვიჯექი, ნათქვამმა მაგიურად იმოქმედა ჩემზე. ბოლოს, თითქოს ბურანიდან გამოვერკვიე, ყველასგან დაუკითხავად ჭიქა ღვინო ავწიე და ავდექი. დიდხანს ვიდექი ხმაამოუღებლად, მერე იმ უსახელოს — ქიზიყელის — სადღეგრძელო ვთქვი, საკმაოდ ამაღელვებელი და გრძელი სიტყვა, და მამაჩემის აცრემლებულ თვალებს რომ წავაწყდი, იქვე ასე, თორმეტი წლის ბიჭს, ჩემ გვერდით რომ იჯდა, ხელი მოვხვიე და მეც თვალები ამიწყლიანდა. დიდხანს ვკოცნიდი თავზე გაოგნებულ ყმაწვილს, მალე ჩემი ძმაც მოვიდა მანქანით წასაყვანად ... ასე დავტოვეთ მასპინძლები გაოგნებული ჩემი ქცევით და მას შემდეგ სულ ვცდილობდი ეს ამბავი ქართველი ხალხისთვის მიმეწვდინა, ვიდრე დღემდე.

გოლოთქმა:

2015 წლის 20 აპრილს სრულდება 245 წელი ასპინძის ომიდან. დღემდე არავის შეუფასებია ასპინძის ომის მნიშვნელობა სამცხე-ჯავახეთისთვის, რომ მას მოჰყვა გამუსულმანება და შემდეგ ეს ხალხი — 16 ათასი ოჯახი (მაშინ ერთ ოჯახში 25- 35 სული ცხოვრობდა) გაასახლეს ოსმალეთში, ისე, რომ ხელი არ ახლეს იქ მცხოვრებ ეთნიკურ თურქებს და მათ ადგილზე ჩამოასახლეს გათათრებული სომხები — დაშნაკები ისტორიის გაყალბება ჩვენივე ხელით ხდებოდა და ხდება ჩვენდა საზიანოდ!!

როსტომ ჩხეიძე

ძველი ხიბულას საიდუმლოება

III.

— რა იყო, ბიჭო, სახლიდან მაგდებ?

ზვიად გამსახურდია იღიმება, მაგრამ იმხელა სევდაა ამ ღიმილში!..

გაივლ-გამოივლის. შედგება. ჯონსონ კვარაცხელიას შემოხედავს. იმან არ იცის, როგორ მოიქცეს. უხერხულად იშმუშნება. ჩაახველებს. „მე რა... თქვენ როგორც გადაწყვეტთ, თორემ... მე რა...“ — ბურტყუნებს.

სახლთან „ვოლგაა“ მომდგარი და ზვიადს აჩქარებენ, უფრო საიმედო ადგილი მოგინახეთ თავის შესაფარებლად და აქ დიდხანს ნუღა დავყოვნდებით, მგონი სუნი იკრეს და წუთიწუთზე აქ გაჩნდნენო.

მაგდებ, ბიჭო?..

მასპინძელზე რომ იყოს დამოკიდებული, დაე მოესვენა, ვიდრე მობეზრდებოდა დამხობილ პრეზიდენტს, დამხობას რომ აღიარებდა, მაგრამ პრეზიდენტის სახელის აყრას — არაფრისდიდებით. „დროებითიაო“, თავს ინუგეშებდა და კვლავინდებურად ასდევდა იმედსა და ოცნებას: ისე როგორ ჩავალ სამარეში, ქვეყანას თავისი ნამდვილი სახე არ დავუბრუნო და ძლევამოსილ სახელმწიფოდ არ გადავაქციო, კავკასიური ერთიანობის წინამძღოლად და დუღაბად, მერე აღარც ჩვენ რომ გაგვიჭირდება აღარაფერი და აღარც მთელს კავკასიასო.

აგერ ჯიხაშკარშიც მოეთქვა სული, გატანჯული და გაწამებული, ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი განსაცდელი ელოდა... თუმც რაღაცას კი უგრძნობდა გული... იცოდა კიდეც, როგორ არა, თავს არ უტყდებოდა, თორემ წინასწარ ჭვრეტდა გარდუვალ ხიფათს და ამიტომაცაა, ადვილად რომ არ ასწრაფდებოდა და შეეცდებოდა, რაც შეიძლება გაეჭიანურებინა აქ ყოფნის წუთები.

წინათგრძნობა ამცნობდა, რომ ჯიხაშკარს სამუდამოდ გადაეჯაჭვებოდა მისი სახელი, ცოცხალს რომ აღარ მოუწევდა აქ მობრუნება.

და ის თითქოსდა გაცილებით სანდო და საიმედო სახლი ძველ ხიბულაში საბედისწეროდ გადაექცეოდა.

ეგებ წინათგრძნობას მინდობოდა და, თუ აქაურობა მაინც უნდა დაეტოვებინა, სადმე სხვაგან ეძებნა თავშესაფარი... მაგრამ ამ უეცარი გადაწყვეტილებით თანმხლებთ დააბნევდა, თორემ ბედისწერას როგორ აუბნევდა თავგზას.

იღიმებოდა ზვიად გამსახურდია — შენ შენი და მე ჩემიო, — და ბარემ საბოლოოდ შესჯახებოდა ბედის განაჩენს, ღიმილიანი, თითქოს უნაღვლელი სახით, რაღაც უჩვეულოდ რომ გადაცისკროვნებულიყო, აჰადა ახალ სინამდვილეში უნდა შეაბიჯოსო — თან რომ გაფრთხობს და თან ისე მაცთურად გადაშლილა, ძნელია გამოერიდო და ახლავე არა სცადო შიგნით შეღწევა, ბედისწერის საუფლოში.

მაგდებ, ბიჭო?..

ჯონსონ კვარაცხელიას 21 წელი რუსეთში გაეტარებინა — შახტაში მუშად. საქართველოში 1980 წელს დაბრუნდებოდა და კომუნისტურ პარტიას რომ გაერიდებოდა, არც ეროვნულ მოძრაობასთან ექნებოდა რაიმე საერთო — არც დისიდენტობის არსებობის ჟამს და არც მაშინ, ეს მოძრაობა იატაკქვეშეთიდან რომ ამოვიდოდა.

მისი თანაკლასელი გუჯუჯი ებრალიძე კი ჩაერთვოდა ეროვნულ მოძრაობაში, მაგრამ ეს ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შორიდან ყურებას დასჯერდებოდა.

* **გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №7**

არ იყო მისი საქმე თუნდ სიახლოვეს ეტრიალა პროტესტანტებისა, რომელნიც სულ უფრო მოიკრებდნენ ძალას, უზომოდ გაბევრდებოდნენ და... კიდეც მიიღებდნენ მონაწილეობას კომუნისტური მმართველობის დამხობაში.

ბედისწერის თამაში მაინც რა არის: მაინცდამაინც ამ განზე მდგომ კაცს ამოაყოფინებდა თავს ყველაზე მწვავე ამბების შუაგულში, ზვიად გამსახურდია თავის მოწამებრივ აღსასრულს რომ უახლოვდებოდა.

სწორედ გუჯუჯი ებრალიძე უნდა სტუმრებოდა და ეთხოვა, იქნებ რამდენიმე დღით შეიკედლო დევნილი პრეზიდენტიო.

— შინ მარტო ვარ და არ გამიძნელდება მისი მასპინძლობა.

ხაზს გაუსვამდა ამ მარტო ყოფნას, რადგანაც ოჯახის შინ ყოფნის შემთხვევაში, ეტყობა, მოერიდებოდა მათ გახვევას შარში. თავს მაინცდამაინც არ ინაღვლებდა, ოღონდ თანაკლასელობისა და პირადი ურთიერთობის ხათრით და არა პრეზიდენტისადმი განსაკუთრებული პატივისცემითა თუ კრძალვით.

და ისე დახვდებოდა, როგორც ჩვეულებრივ სტუმარს — მასაც და მის გარემოცვასაც: რობინზონ მარგველანს, ბაჩუკი გვანცელაძეს, ბესარიონ გუგუშვილსა და გოჩას, რომლის გვარიც ვერ მოეგონებინა 1999 წლის 12 თებერვლის ჩვენებაში, მაგრამ 2010 წლის 27 მაისის გამოკითხვისას ამასაც გაიხსენებდა: კეკენაძეო, — და ისეთ დეტალებსაც, რაც პირველი ჩვენებისას მხედველობის მიღმა დარჩენოდა მასაც და გამოძიებასაც.

დააზუსტებდა, რომ გუჯუჯი ებრალიძესთან ის შეთანხმება მომხდარიყო 1993 წლის 20 დეკემბერს, პრეზიდენტს კი მის თანმხლებ პირებთან ერთად 22 დეკემბრის დაახლოებით 5-6 საათისათვის მიიყვანდა მასთან ვახტანგ ზარანდია თავისი მანქანით.

გუჯუჯი მასპინძელთან ერთად შეეგებებოდა სტუმრებს.

იმ დღეებში, რასაც ზვიადი და მისი თანმხლებნი ამ სახლში დაჰყოფდნენ, აკითხავდნენ ვახტანგი და გუჯუჯი, ვიდრე ჯერ ვახტანგ ზარანდიას დააკავებდნენ — თუ თავისი ნებით ჩაბარდებოდა — სამართალდამცავი ორგანოები და შემდეგ გუჯუჯი ებრალიძესაც. იმასაც დააკავებდნენ თუ... ნებით ეახლებოდათ? ასეა თუ ისე, დაკავებისთანავე ჩაერეოდა მისი მეზობელი გია მხეიძე, აფხაზეთის უშიშროების თანამშრომელი, გამოაშვებინებდა და თავის სახლში წაიყვანდა.

ამის შემდეგ ჯონსონ კვარაცხელიას მიადგებოდა:

— პრეზიდენტი აქ არის?

ესაუბრებოდა ზვიადს და ამ ყოველივეს უამბობდა.

ძმები ანატოლი და ზაურ ჩუხუებიც ესტუმრებოდნენ მურმან ჯიქიასთან ერთად, და თუმც მასპინძელი მოერიდებოდა მათ შინ შემოყვანას, ზაური აგრძნობინებდა, რომ ისიც განდობილი იყო:

— მე ვიცი, შინ ვინც გყავს, და თუ რამე დაგჭირდეთ, ჩვენ აქ ვართ.

მერე პრეზიდენტთან საუბარსაც მოახერხებდა.

ის ორი დაკავება ვითომ ასე ადვილად ჩაივლიდა დევნილთათვის?

ხომ არ ნიშნავდა, რომ აქაც ამოაკითხავდნენ?

ძმები გამობრუნდებოდნენ ჭაქვინჯში და ამ სოფელსა და ხიბულას საზღვარზე მცხოვრებ კარლო ღურწკაიას სთხოვდნენ, რამდენიმე დღით მიეღო ოთხი კაცი სტუმრად.

— ვინ არიან? — რა გასაკვირია, ცნობისწადილი გამოეჩინა მასპინძელს.

— პარლამენტარები, — ისე დაუმალავდნენ, თითქოს ის სტუმარს ვერ იცნობდა. ან ეგებ იმიტომაც არ გაუმხილეს, სხვა შესაძლო სახლებსაც გულისხმობდნენ და, თუკი იქიდან შეარჩევდნენ რომელიმეს, კარლოს რატომ სცოდნოდა, დევნილი პრეზიდენტი მასთანაც თუ უნდა ჩამუხლულიყო?..

უკვე 28 დეკემბერიც დამდგარიყო.

ჯონსონს არ აგონდებოდა პრეზიდენტის ფრაზებიდან?

თანმხლებთ რომ განუცხადებდა:

— არავითარ შემთხვევაში შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას არ ვაპირებ.

ამათ სიცოცხლეს უფრთხილდებოდა.

თუკი ალყაში მოიმწყვდევდნენ, მისი დაცვის წევრებს იარაღი უნდა დაეყარათ და ამის ნებართვას პრეზიდენტი წინასწარვე აძლევდათ, რათა იმათ საშუალება არ მისცემოდათ ემტკიცებინათ: ორმხრივი სროლისას შემოგვაკვდნენ, თორემ მათ დახოცვას არავინ აპირებდაო.

6 საათი მოაწევდა.

მაგდებ, ბიჭო?..

— სახლი სულ არ მჭირდება, თქვენ გქონდეთ, — აილეწებოდა ჯონსონი.

მაგრამ ჯაშუშებისა მასაც ისევე ეფიქრებოდა, როგორც პრეზიდენტს.

მინდორში ხალხი მიმოდიოდა.

ვითომ ყველა თავთავის საქმეზე?

ან ნეტა ვიღას ნდობა შეიძლებოდა, ან უშუალო გარემოცვიდან?.. ანდა ვისაც უნდა მოეკითხა და სადაც უნდა წაეყვანათ. განა როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ეს ბრუნვა-ტრიალი სამეგრელოს ტყეებსა და სოფლებში?..

ზვიად გამსახურდია მოწესრიგდებოდა და ჩავიდოდა. გაუპარსავი კი იქნებოდა, მაგრამ წვერი ძალიანაც არ მოშვებულიყო.

— კოლიტი მაქვს, — შესჩივლებდა მასპინძელს. ამასაც იმიტომ, რომ ხორცეულს ერიდებოდა და ხშირად ითხოვდა მაწონს. დაცვის წევრებიც თავშეკავებით იქცეოდნენ და სმითაც საკმაოდ ზომიერად დალევდნენ.

ზაურ ჩუხუა რომ მოაკითხავდათ, აცნობებდათ: ჩემი ძმა სასაფლაოსთან გველოდებაო. და მასპინძელს ყოყმანს რომ დაატყობდა, გაეშვა თუ არა მასთან ერთად პრეზიდენტი, ის ისეთ არგუმენტს მოიყვანდა, განიარაღებული რჩებოდი, ის კი არა, კიდეც ააჩქარებდი სტუმარს: არიქა, დროზეო.

— გუჯუჯი ებრალიძემ გამომგზავნა, ეს ადგილი გაცემულია და პრეზიდენტი უნდა გავიდეს აქედან.

და ჯონსონს მწარედ წამოაგონდებოდა, პურის საყიდლად ჩასულს როგორ ეტყოდა გუჯუჯის ნათესავი: მომილოცავს, სტუმრები გყოლიაო. ძალიანაც არ უნდოდა ყურადღება მიექცია ამ სიტყვებისათვის, მაგრამ თავის მოტყუებითაც რა გამოვიდოდა... და აგერ ზაურიც უდასტურებდა: გაცემულია პრეზიდენტის ადგილსამყოფელიო.

ზვიადი მაინც ფეხს ითრევდა და ზაურ ჩუხუა ლაქუცს დაიწყებდა: ასეო, ისეო, სხვაგვარად არაფერი გამოვაო, ისეთი ადგილი მოვნახე, კაციშვილი ახლო არ ცხოვრობს და შეძლებთ გარკვეული დროით გარეთ გამოსვლასო.

აბა, სულ ოთახში გამოკეტილი ხომ არ იქნებოდნენ.

ჯონსონი შვებით ამოისუნთქებდა: მე თუ ვერ შევუქმენი საუკეთესო პირობები სახლის ადგილმდებარეობის გამო, აგერ უკეთესი სამყოფელი ხომ მაინც გამოუჩნდა, ბოლოსდაბოლოს მცირე ხნით მაინცო.

მხოლოდ მოგვიანებით უნდა შეეტყო, რომ... დიდად სახარბიელო ადგილას არ მდგარიყო ის თითქოსდა უფრო საიმედო სახლი — ქუჩაში ყოფილა გამომდგარი: წინ მეზობელი, გვერდითაც მეზობელი.

ზაური წინ რომ დააპირებდა გაძღოლას და პრეზიდენტის დაცვის წევრებიც გაემზადებოდნენ, ის შეაჩერებდათ:

— სანდო ადგილი კი არის, მაგრამ იქ მხოლოდ ოთხი ადამიანი დაეტევა.

— აბა, მაშ?..

გადაწყდებოდა, რომ ზვიადს თან ხლებოდნენ ბესარიონ გუგუშვილი და დაცვის მხოლოდ ორი წევრი, თუმც განა რა აუცილებელი იყო პრემიერ-მინისტრის თან წაყოლაც, განა არა სჯობდა, პრეზიდენტს სამი დამცველი გაჰყოლოდა და ბესარიონ გუგუშვილთან ერთი დარჩენილიყო? ეს რა ხდებოდა — ისედაც შემცირებული დაცვა მთლად ორ კაცამდე იკვეცებოდა ასე უეცრად და სახელდახელოდ?

ზვიად გამსახურდია დიდად აღარ გამოიდებდა თავს. და ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე რომ აფორიაქდებოდნენ, ჩვენ რატომ გადაგვიწყვიტეს აქ დარჩენაო, ისევ პრეზიდენტი დაამშვიდებდათ:

— ხვალ ამოვლენ და თქვენც წაგიყვანენ!..

„განა რა სახლია ასეთი პატარა?.. ცოტა უფრო მოზრდილი აღარ მოიძებნება ამ არემარეზე?..“

წინ მიუძღოდათ ზაურ ჩუხუა, ზვიადს ჯერ კიდევ იმ დროიდან რომ იცნობდა, როდესაც მისი უმცროსი ვაჟი მერაბი ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი გახდებოდა და ერთხელ ზვიადს კიდეც მოუხდებოდა მათ ოჯახში სტუმრობა, ეს მაშინ, ვიდრე პრეზიდენტი შეიქნებოდა. ძმას რატომღა გარევდა ამ ფარულ მგზავრობაში? ადრე ზუგდიდში ცხოვრობდა და ამ ადგილებს მაინცდამაინც კარგად არ იცნობდა. და სხვა რომ არაფერი, ჯერ მარტო შეუფერხებელი მიმოსვლისათვის უნდა განდობოდა ვინმეს. და ძმაზე უკეთესს ვის გაენდობოდა.

პირველად რომ მიაკითხავდა ზვიადს და ადგილის შეცვლას შესთავაზებდა, ის უარს განუცხადებდა:

— სოფელი ალყაშია მოქცეული და აქედან ვერ წავალ.

როდესაც გარეთ გამოვიდოდა, ზვიადის დაცვის წევრთაგან რობინზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე შეეხვეწებოდნენ: პრეზიდენტი მაინც წაიყვანეო, — და ეს პასუხად:

— არავითარი პრობლემა არ არის. სანდო ოჯახთან უკვე შეთანხმებული ვარ და, თუ მოისურვებთ, ყველას ერთად მოგათავსებთო...

ყველას ერთადო...

მაგრამ ზვიადი რომ ჯიხაშკარიდან წასვლას არ აპირებდა?!.

და ზაურ ჩუხუა შინ გაწბილებული რომ დაბრუნდებოდა, მეორე თუ მესამე დღეს მიადგებოდა ერთი პიროვნება, რომელსაც შორიდან იცნობდა და იცოდა, რომ ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩაბმული და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა, და ის ამცნობდა:

— პრეზიდენტი თანახმაა საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე.

ეს ის კაცი გახლდათ, პირველად რამდენიმე დღის წინათ რომ გამოჩნდებოდა და განუცხადებდა: ზვიად გამსახურდია ცუდადაა და შენი ნახვა სურსო.

და აგერ უკვე კიდეც ჩაისვამდა მანქანაში ბესარიონ გუგუშვილთან, რობინზონ მარგველანსა და ბაჩუკი გვანცელაძესთან ერთად და... ჯონსონის სახლში კი დატოვებდა ორ აფორიაქებულ ბიჭს: რა არის ეს, რა გამოვიდა, თუ ხვალ შეიძლება მივიდეთ, დღეს ვითომ რა არის ამისთანაო.

ჯონსონ კვარაცხელიასა და კარლო ღურწკაიას სახლებს შორის ოცი წუთის სავალი იყო მანქანით, მეტი კი არა.

მაგრამ იმ სახლში ამდენი ადამიანი თუ ვერ მოთავსდებოდა?

თუმც... ხვალ თუკი მოთავსდებოდნენ?

„ხვალო“, რომ აიმედებდათ პრეზიდენტი, ეს დავალებას უდრიდა ზაურ ჩუხუას მიმართ. ხვალეს არ უნდა გადასცილებოდა.

— რა იყო, ბიჭო, სახლიდან მაგდებ?

ის ფრაზა ტრიალებდა გაყინულ ჰაერში, და კიდევ ეს:

— ხვალ ამოვლენ და თქვენც წაგიყვანენ.

გოჩა კეკენაძეს ავღანეთში ბრძოლის გამოცდილება ჰქონდა 1980-82 წლებში და, როგორც ავღანელი, ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმის შემდეგ, მონაწილეობას მიიღებდა სამაჩაბლოში დატრიალებულ მწვავე მოვლენებში, ეთნოკონფლიქტად რომ სახავდა რუსული პროპაგანდა. ვიდრე ზვიად გამსახურდიას ჯერაც დისიდენტი ერქვა, მის გვერდით იდგებოდა, ხოლო როდესაც იგი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და მერე სულაც პრეზიდენტი გახდებოდა, ეს უკვე მისი პირადი დაცვის წევრად გაფორმდებოდა.

1991 წლის ნოემბრის შუა რიცხვებიდან, ვითარება სულ უფრო და უფრო რომ იძაბებოდა, დაცვის უფროსი მას გაგზავნიდა კოლხურ კოშკში, სადაც იმყოფებოდა პრეზიდენტის ცოლ-შვილი.

1992 წლის 6 იანვარს კოლხურ კოშკში მათ წასაყვანად ავიდოდა ერთი „ბეტეერი“ და ერთიც „ბერდეემი“ გვარდიელთა თანხლებით.

ამათ უნდა ეპატრონათ დევნილების გზაზე დამდგარი პრეზიდენტის ოჯახის წევრებისა და სხვა პირთათვის. მთავრობის სასახლის ეზოში რომ შევიდოდნენ, იქ უკვე მიმდინარეობდა მზადება სასახლის დასატოვებლად.

პრეზიდენტი მიუახლოვდებოდა ამათ მანქანას და მეუღლეს მიმართავდა:

— რუსია ჩარეული ამ თავდასხმაში და ბევრი ხალხი რომ არ დაიღუპოს, გადავწყვიტეთ, დავტოვოთ აქაურობა.

მიუხედავად სროლებისა — უვნებლად გასვლას რომ დაპირდებოდნენ პუტჩისტები და... პირს უშლიდნენ და ზვიად გამსახურდიასა და მისი გარემოცვის ერთიანად გაჟუჟვას შეეცდებოდნენ — ესენი გააღწევდნენ აზერბაიჯანში, ქალაქ განჯისაკენ, საბედისწეროდ, ტრაგიკულად რომ აღბეჭდილიყო ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში ნიკოლოზ ბარათაშვილის აღსასრულის გამოისობითა და ახლა კიდევ ერთხელაც უნდა გაეელვა.

გოჩა კეკენაძისათვის უცნობი დარჩებოდა, რას გამოეწვია მიმართულების შეცვლა, უეცრად სომხეთისაკენ რომ გასწევდნენ და ქალაქ იჯევანში დაყოვნდებოდნენ ორ კვირას. რა დაავიწყებდა იჯევანში გამოჩენას ჯოჰარ დუდაევის დაცვის უფროსის აბუ არსანუკაევისა.

ერევნის აეროპორტიდან, სადაც იდგა ჩვენი თვითმფრინავი „ტუ-134“ ეკიპაჟთან ერთად, რომელსაც მეთაურობდა ზაურ ბედია, დაახლოებით 40 კაცი და პრეზიდენტის ოჯახის წევრები ჩასხდებოდნენ თვითმფრინავში და იმავე ღამეს ჩაფრინდებოდნენ გროზნოში.

ჯოჰარ დუდაევი ზვიად გამსახურდიას დედაქალაქის ცენტრში, ჩეხოვის ქუჩაზე გამოუყოფდა რეზიდენციას.

გოჩა კეკენაძე 1993 წლის აპრილში გადმოვიდოდა ზუგდიდში, სადაც დახვდებოდნენ პრეზიდენტის დაცვის ბიჭები.

რა დავალებას ასრულებდნენ?

— ვიცავდით მოსახლეობას ბანდებისაგან.

პრეზიდენტი წამდაუწუმ შემოთვლიდა:

— ღირს თუ არა ჩამოსვლა საქართველოში?

სული უკაწკაწებდა, უსწრებდა სული, ვეღარ მოეთმინა, თვითეული დღე საუკუნედ ეჩვენებოდა და უკვირდა: საუკუნეებით რატომ ჩავრჩი ამ გადაკარგულშიო.

— ჯერჯერობით არ არის მიზანშეწონილი!..

ეს ერთიდაიგივე პასუხი ესმოდა, თითქოს ფირი გაჭედილიყო მაგნიტოფონში.

— ღირს თუ არა ჩამოსვლა საქართველოში?

დეპუტატები (კანონიერნი!) აგულიანებდნენ, ღირს, როგორ არა, თქვენი გამოჩენაღა აკლია და დაიწყება ტრიუმფალური სვლა თბილისისკენო. და ეს ურთიერთგამომრიცხავი ცნობები რომ აბნევდა და უკიდურესად აფორიაქებდა, დეპუტატები ძალიან ასწრაფდებოდნენ და ივნის-ივლისში ზუგდიდში გამართავდნენ უზენაესი საბჭოს სესიას (კანონიერს!), რომელიც გამოიტანდა დადგენილებას საქართველოში პრეზიდენტის დაბრუნების შესახებ.

უკვე მოითხოვდნენ.

ის ნარზე იჯდა და...

უშუალო გარემოცვას თავისი დაეჟინებინა: სულაც არ არის შესაფერისი ვითარება დასაბრუნებლადო, მაგრამ...

აგერ თუნდაც ის ეპიზოდი:

ელიზბარ ჯაველიძეს ეროვნული მოძრაობის ერთი ჯგუფი ესტუმრებოდა. მათ ვინაობას არ გაამჟღავნებდა მემუარებში „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით“, ზოგადად კი მოიხსენიებდა ისეთ პიროვნებებად, რომელთა ერთგულებასა და პატიოსნებაშიც ეჭვი არ ეპარებოდა. და მათგან უხნესი მიმართავდა: ჩვენი ბრძოლა ისეთ ფაზაში შევიდა, რომ სასურველი და საჭიროც არის პრეზიდენტის აქ ყოფნა და უშუალო ხელმძღვანელობაო.

მისგან რას ითხოვდნენ?

— ჩვენ გვსურს, რომ შენ ჩაფრინდე გროზნოში... პრეზიდენტი შენ გენდობა და დაგიჯერებს, რომ სასწრაფოდ ჩამოვიდეს ზუგდიდში. მისი გამოჩენა ისედაც აზვირთებული ხალხის შემართებას გააათმაგებს.

მხატვარი ინა ჭელიძე

მასპინძელი შეცბუნდებოდა. მართალია, წრფელი იყო იმ ოთხეულის სურვილი, მაგრამ რა შედეგს გამოიღებდა მათი თხოვნის შესრულება?!. და თუ ერთხანს იყუჩებდა, ისევ ამ პიროვნებებისადმი პატივისცემის გამო, ადვილად რომ ვერ განუცხადებდათ უარს, თორემ ამღვრეულ რეალობაში ღრმად ჩახედვა ისედაც კარნახობდა, რომ ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლა არაფრისდიდებით არ იქნებოდა სასიკეთო პირადად პრეზიდენტისათვის. მისი გამოჩენა მოსახლეობის შემართებას მართლაც რომ გააათმაგებდა, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ ეს — თავიდან!.. განა როდემდე გაძლებდნენ მეამბოხენი იმ სამთავრობო ჯარის წინააღმდეგ, რომელთა უკანაც რუსეთის იმპერია აღმართულიყო, დასავლეთს კი ხელები დაებანა და რუსეთისათვის მიენდო საქართველოს დამოუკიდებლობის ამომგების ბედი.

ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო.

განაჩენი გამოტანილიყო.

ეს ის მწარე რეალობა გახლდათ, რომლის დამალვაც არ ეგებოდა და ელიზბარ ჯაველიძე ასეც მოახსენებდა იმ გულანთებულ ადამიანებს, არის ერთი გარემოება, რასაც ვალდებული ვარ ანგარიში გავუწიოო:

— მას რომ რამე დაემართოს, ომია და ყველაფერია მოსალოდნელი, რა პასუხი გავცე ქართველ ხალხს და შთამომავლობას, რა პირით იცხოვროს ჩემმა ნაშიერმა საქართველოში?!.

იგრძნობდნენ, ეს ისეთი მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულება და პოზიციაა, კამათსა და გადარწმუნებას აზრი არა აქვსო. და ნირწამხდრები გამოემშვიდობებოდნენ.

ელიზბარს თან ახარებდა ის განწყობილება, ხალხს სულ ზეცისაკენ რომ ჰქონდა მიპყრობილი მზერა და, რამდენი ლაინერიც გადაიფრენდა ზუგდიდის თავზე, მაშინვე იმედის ნაპერწკალი აუკიაფდებოდათ თვალებში: ეს ნამდვილად ზვიად გამსახურდია მოფრინავს. ახლა კი გვეშველება ჩვენც და მთელს საქართველოსაცო... — მაგრამ თან ძალიან აფიქრებდა მოსალოდნელი საფრთხე.

„საბედისწეროდ არ გაუხდეს ჩამოსვლა!..“

და თავს ინუგეშებდა: ეს, აბა, რანაირად მოხდება, თვითონაც რომ მოინდომოს, ურჩევენ, რომ მომავლისათვის გადადოს სამშობლოში დაბრუნება, უფრო შესაფერისი დროისთვისო.

მაგრამ, აი, მრჩეველნი... იქაც... აქედანაც...

სესიის დადგენილებაზე უფრო მკვეთრი ხელის აქნევაც რაღა უნდა ყოფილიყო ნარზე მჯდომისათვის.

და აი, 24 სექტემბერი უნდა გამხდარიყო მისი სამთვიანი მარტვილობის დასაწყისი, ჯერჯერობით რეალობას დრამატულობისა რომ არაფერი ეტყობოდა.

ქუჩაში უამრავი ადამიანი რომ შეიკრიბებოდა, პრეზიდენტი წარუდგებოდათ და მოკლე სიტყვით მიმართავდათ... ხოლო აღელვებული და აღტაცებული ხალხი თანდათან რომ დაიშლებოდა, პრეზიდენტი და მისი თანმხლებნი, 15-20 კაცი, ერთ მშვენიერ ოჯახს ვახშმად ეწვეოდნენ. თამადად თვითონ ზვიადი დადგებოდა და, რა გასაკვირია, რაღაც წარმოუდგენელი შემართებით რომ გაძღოლოდა სუფრას, ელიზბარ ჯაველიძის ავტობიოგრაფიული რომანი რასაც გვიდასტურებს: ეს იყო თავის ერს დანატრებული, უცხოეთში იძულებით გადახვეწილი და თითქოს ტყვეობიდან თავდახსნილი ადამიანის აღტკინება, ეს იყო მიწის ყივილით „დაავადებული“, მამულზე თავდავიწყებით შეყვარებული ადამიანის სიხარულიო...

შეეცდებოდა იმ ნადიმის აღწერას, მაგრამ... ხელს ჩაიქნევდა, რაც შეუძლებელია, შეუძლებელიაო.

საუკეთესო თამადებს შესწრებოდა, თვითონ ზვიადის თამადობითაც არაერთხელ მოხიბლულიყო, მაგრამ იმ საღამოს ის მართლაც განუმეორებელი იქნებოდა: წყობილი სიტყვით, საოცარი აზრით დატვირთული სადღეგრძელოებით, პატარა და დიდი სასმისებისა თუ ყანწების მონაცვლეობით, ლექსთა დეკლამაციით, სიმღერით, ნატიფი იუმორითა და, რაც მთავარია, უშუალობითა და გულწრფელობით გამორჩეული.

მემუარისტის ხსოვნაში ეს სუფრა დარჩებოდა ლხინადაც და... გოდებადაც ქართველი ერის აწმყოსა და მომავალზე, სულიერებასა და რწმენაზე, ზნეობასა და ტრადიციებზე.

— ეს იყო ეროვნული სულის საგალობელი, რომელიც შეზავებული იყო მწუხრისა და სიხარულის გადმომცემი ჰანგებით.

გამთენიისასღა დაიშლებოდნენ.

მამალი რომ მესამედ იყივლებდა.

თითქოს სასხვათაშორისოდაა ნახსენები მემუარებში მამლის მესამე ყივილი, ვითომდა დროის დაზუსტების მიზნით... მაგრამ ელიზბარ ჯაველიძემ ჩინებულად იცოდა, ამ „დეტალით“ რასაც მიანიშნებდა მკითხველს ისე გამჭვირვალედ, დიდი რამ ჩაკვირვება რომ არც სჭირდებოდა.

ზვიად გამსახურდიას გამოჩენას ზუგდიდში მალევე უნდა მოჰყოლოდა მრავალათასიანი მიტინგიც, ილუზიის ყოვლისმომცველობის ხელშესახები დასტური, წამიერი მოლანდება პრეზიდენტის შეურყეველი ძალაუფლებისაც და იმ საქართველოსიც, ტაო-კლარჯეთისკენაც რომ გაიჭრებოდა და სოჭის მხარისკენაც, თორემ საინგილო რაღა სათქმელი გახლდათ... ცხინვალის ამოგებისთანავე რომ დაიწყებოდა დიპლომატიური ბრძოლა ამ ტერიტორიების დასაბრუნებლადაც...

ამ ილუზიისაგან, მასობრივი ფსიქოზისაგან ხუნტის ბანდები გამოაფხიზლებდნენ, სასტიკ დევნას რომ გამოუცხადებდნენ პრეზიდენტსაც და მის მომხრეთაც, მწარედ რომ აგებინებდნენ პასუხს, ვისაც მიწვდებოდნენ.

* * *

ზაზა ბურჯანაძემ იცოდა, რას გამოეწვია ზვიად გამსახურდიას მარშრუტის შეცვლა 6 იანვრის იმ ტკივილიანი დღის შემდეგ, თბილისიდან განდევნილ-გაქცეულნი აზერბაიჯანის მხარესთან შეთანხმებით მათ ტერიტორიაზე რომ გადავიდოდნენ, მაგრამ ზვიადი ტელეფონით რომ დაელაპარაკებოდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ის ურჩევდა, გაერიდე აქაურობას, თორემ რუსებმა თუ დაგაპატიმრეს, მე ვერას გიშველიო. იჯევანში ამიტომაც გაჩქარდებოდნენ და დაელოდებოდნენ ჯოჰარ დუდაევის ენერგიულ ჩარევას დევნილთა ბედში.

ხოლო ზუგდიდში უზენაესი საბჭო დადგენილებას რომ მიიღებდა, პრეზიდენტი საქართველოში უნდა დაბრუნდესო, არც ზაზა ყოფილა ამ მოსაზრების მომხრე და ამართლებდა ბესარიონ გუგუშვილის შენათვალს გროზნოში:

— ვითარება ჯერ სათანადოდ არ მომწიფებულა!..

ახლა კი ჯონსონ კვარაცხელიას სახლში ერთმანეთის შემყურენი რომ დარჩენილიყვნენ ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე: აქ რა გვინდა, პრეზიდენტს როგორ მოგვწყვიტესო, — ორივ ერთ ნაღველს წაეღო.

უზენაეს საბჭოს ზვიად გამსახურდიას დაბრუნების დადგენილება რომ გამოეტანა, მერე სხვათა მიერ სხვა კრებაც უნდა გამართულიყო და სხვა დადგენილებაც შემუშავებულიყო.

რაღა გურიის სოფელ ბახვის ფარული კრება საუკუნის დამდეგს და რაღა ეს ფარული თავყრილობა საუკუნის მიწურულს სამეგრელოს სოფელ ოჩვინარეში.

ბახვი რა შუაშია?

სადაური რა ხიდი გაიდება ოჩვინარესთან?

ილია ჭავჭავაძის მოკვლის დადგენილებით რომ დაიშლებოდა ის კრება.

და აქ, ამჯერად?..

ზვიად გამსახურდიას მოკვლის დადგენილებით უნდა დაშლილიყო.

ესეც ის ხიდი ამ ორ სოფელს შორის.

ოჩვინარეს კრება 1993 წლის ნოემბერში უნდა გამართულიყო.

და ჰამლეტ გულორდავა მის მონაწილეთაგან ჩვენებაში მხოლოდ იმ პირთა ვინაობას გაამჟღავნებდა, რომელნიც ცოცხლები აღარ იყვნენ: ბადრი ზარანდია, ბესო ხარებავა და ზურაბ შონია (პუშკინა).

თვითონ კრებას არ ესწრებოდა, მაგრამ ყველა დეტალი შეტყობილი ჰქონდა, რადგანაც პუშკინაც მისი ძმაკაცი გახლდათ და იქ მყოფი სხვა ადამიანებიც, და როდესაც დაინტერესდებოდა, ყველა ერთსა და იმავეს ეტყოდა:

— ხელის აწევით დავადასტურეთ თანხმობა პრეზიდენტის ლიკვიდაციაზე.

ორი სცენარი შემუშავდებოდა.

პირველს ვერტმფრენის სცენარს დაარქმევდნენ.

ვერტმფრენი გია გულუას უნდა მოეყვანა, ვითომდა პრეზიდენტის გადასაფრენად ჩეჩნეთში, მაგრამ რეალურად ის უნდა მომხდარიყო, რომ ეს ვერტმფრენი ჰაერში აფეთქებულიყო.

მეორე სცენარის მიხედვით, მუჟავაში, თენგიზ ქარდავასთან მყოფ პრეზიდენტზე უნდა განხორციელებულიყო თავდასხმა, ოღონდ არა მისი შეპყრობის, არამედ მოკვლის მიზნით.

ცოცხალი ზვიად გამსახურდია მე არ მჭირდება, — დაბარებული ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეს.

უფრო პირდაპირ ის არაფერს იტყოდა.

და აღარც გაიმეორებდა.

ეს გამჭვირვალე მინიშნება გახლდათ მისი დავალებაც, მოთხოვნაც, ბრძანებაც — ყველასათვის ადვილი მისახვედრი და გასაგები, ამ ბრძანებას რომ ვერ გადაუხვევდნენ და გაჭიანურებითაც ვერ გააჭიანურებდნენ მის აღსრულებას, რადგანაც ამდენს აღარ მოითმენდა ხელისუფალი და მწარედ აზღვევინებდა მისი ბრძანების შეყოვნებას. ამათზე იყრიდა ჯავრს, ვიდრე დევნილ პრეზიდენტს მიწვდებოდა და... მერე კი კიდეც ამოისუნთქებდა შვებით.

ზვიადის დაპატიმრება სახეირო ვერ იქნებოდა მისი შემცვლელისათვის პრეზიდენტის სავარძელში.

ვაითუ სასამართლო პროცესი პუტჩისტთა და გადატრიალების მთავარ ორგანიზატორთა სამსჯავროდ გადაექცია ბრალდებულს. და თუმც ახალ ხელისუფალს იმედი ჰქონდა, რომ დასავლეთი კვლავაც ხელს დაიბანდა და „ირწმუნებდა“ რუსულ ვერსიას, თითქოსდა საქართველოში დემოკრატიული აჯანყება მომხდარიყოს, ზედმეტი გართულებანი ხელს არ აძლევდა ედუარდ შევარდნაძეს.

ხალხის მღელვარება კიდევ მღელვარებად.

და თუნდ სასამართლოს ციხეში გაეგზავნა დამხობილი პრეზიდენტი, მისი არსებობა — მითუმეტეს, მისი ამბავი რომ იცოდა, იქაც არ გაჩერდებოდა და საპროტესტო წერილს წერილზე დაწერდა და სად აღარ გაგზავნიდა — სიცოცხლეს გაუმწარებდა ახალ ხელისუფალს.

ამიტომაც მხოლოდ ასე უნდა გადაწყვეტილიყო გადასაწყვეტი:

ცოცხალი ზვიად გამსახურდია მე არ მჭირდება.

დადგენილებას არაფრისდიდებით არ გამოიტანდა, განზე და შორს უნდა მდგარიყო ყოველივე ამისაგან. ასეთ დადგენილებებს ამჯერადაც სხვებს აჰკიდებდა და თბილისი კი არა, ოჩვინარე გამოცხადდებოდა ისტორიაში ბახვის სულიერ მემკვიდრედ.

* * *

როდესაც ბადრი ლენინგრადიდან — იქ სწავლობდა — ზუგდიდში ჩამოვიდა 1992 წლის დეკემბერში, „მხედრიონის“ შემოსევის დროს, და დაინახა ის ქაოსი, რაც გარშემო იდგა, გადაწყვიტა ჩამდგარიყო ეროვნული მოძრაობის რიგებშიო, — მისი და გაიხსენებდა, მარინა ზარანდია, 2010 წელს, — მას უზომოდ უყვარდა თავისი კუთხე. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააფასა მისი დამსახურება და ზუგდიდის კომენდანტად დანიშნაო.

იმ წუთებში რას წარმოიდგენდა, რა საფრთხე შეიძლება დამუქრებოდა ამ საიმედოდ მიჩნეული კაცისაგან.

ამისთანა „საიმედო“ იმდენი დახვეოდა გარშემო, თანდათან რომ ეცლებოდნენ და... ზოგი თავის გადარჩენისათვის ზრუნავდა გატრუნულ-გაყუჩებული და ზოგიც მდევნელთა მხარეს გადადიოდა და ამიტომაცაა, სულ უფრო რომ ვიწროვდებოდა რკალი მის გარშემო.

კომენდატურაში ძმის გვერდით შემოკრებილ ადამიანთაგან ქალი გაიხსენებდა ოჩამჩირელ სლავა მინჯიას, ძმებ ბინაძეებს, ბეჟან წურწუმიას, ბესო იზორიას, ძმებს — გია და გოჩა სარიებს, ბესო ხარებავასა და ჰამლეტ გულორდავას.

— ამ ადამიანებთან ერთად ბადრი თავის საქმეს აკეთებდა და ჩვენ მათში ეჭვი არ გვეპარებოდა.

მაგრამ აი, დაემხობოდა ეროვნული ხელისუფლება და...

— ბადრისათვის ცნობილი გახდა, რომ მის რიგებში, კომენდატურაში ბევრი ხალხი შევარდნაძის ხელისუფლების შემოგზავნილი იყო.

იმხანად მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვისაც ამოუცნობი რჩებოდა „შემოგზავნილთა“ ვინაობა, მაგრამ ახლა კი ქალს შეეძლო ხელი დაედო თუნდ ძმები სარიებისათვის, გენერალ გია გულუას ნათესავებისათვის.

ზუგდიდში „მხედრიონი“ რომ გამოჩნდებოდა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა მიმოიფანტებოდა, ბადრი ზარანდია შეეცდებოდა გამოსავლის მოძებნას ამ ქაოსში.

დევნილი პრეზიდენტისაგან არაფერი ისმოდა.

ლოთი ქობალია იმალებოდა.

ბადრი დაელაპარაკებოდა გურამ ლაკიას, შტაბის უფროსს: სად არის პრეზიდენტი და საერთოდ, ამიხსენი, რა ხდებაო.

საუბარი იქამდე გამწვავდებოდა, რომ იგი შტაბის უფროსს... იარაღსაც კი დაუმიზნებდა.

ამის შემდეგ თხუთმეტიოდე ბიჭს შემოიკრებდა, წაიღებდა სურსათს, იარაღს და წავიდოდა მუჟავაში. დასა და მეუღლეს წალენჯიხაში დატოვებდა.

ოთხი დღის შემდეგ ცხენით რომ დაბრუნდებოდა, მათ ამცნობდათ, რომ ვითარება ურთულესი იყო, მთელი სოფელი ჯვარი „მხედრიონს“ გადაეჭედა. ვიღაცას ეთქვა მისთვის: სახლი დაგიწვესო. აშინებდნენ? აგრძნობინებდნენ, თუ მართლა არ დაგვიწვავს, ელოდეო? ის კი შეფიქრიანდებოდა და შინ ამიტომაც გამოეშურებოდა. სოფელ ლიას გამოვლისას კოცონს დაინახავდა დანთებულს და იქ... ბესო ხარებავას — „მხედრიონელებთან“ ერთად. და ეს გარემოება დაანახვებდა ვითარების კიდევ უფრო გამწვავებას, ვიდრე აქამდე წარმოედგინა.

პრეზიდენტის მალულად სტუმრობას მუჟავაში მარინა ზარანდია სხვას ვერაფერს არქმევდა, თუ არა პროვოკაციას: ჯერ ერთი, იქ აყვანას ცოდნა უნდოდა, თუ სად მიჰყავდათ და რა პირობები დახვდებოდათო.

ბადრიც ასე გაიძახოდა თურმე:

— პრეზიდენტი მოტყუებით ჩამოიყვანეს.

და მარინა უფრო ზუსტი დეტალებით რომ დაინტერესდებოდა, ის პასუხობდა: დაწვრილებით ყველაფერი პუშკინამ იცისო.

სარიების ოჯახში იმ სხდომაზე როგორ მოხვდა ბადრი?

მარინა ზარანდია ირწმუნება: ბადრიც და ზურა შონიაც (პუშკინა) იქ მოტყუებით მიიყვანესო.

— ბადრის თავის ცოლ-შვილი დატყვევებული დახვდა. ამ სახლში მოწამლეს ბადრის შვილი სლავა.

სხდომაზე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ პრეზიდენტის ლიკვიდაციაო, — ამასაც რომ მოადევნებდა და იმ აღიარებასაც:

— ბადრი ზარანდიასაც აუწევია ხელი.

დასძენდა:

— მისთვის მიუნიშნებიათ, რომ თუ იგი ხელს არ აწევდა, ბავშვს მოკლავდნენ.

ჩემი ძმა სარიებს ოჯახში ჰყავდათ დატყვევებულიო, — თავისას განაგრძობდა ქალი, — ეს რომ შევიტყვე, მივუვარდი და დავემუქრე ჩემი ნათესავების შეკრებითა და სახლ-კარის გადაწვით, რამაც ისინი შეაშინა და იძულებული გახდნენ ბადრი ჩვენი ნათესავის ოჯახში გადაეყვანათ. ბადრის დასანახავადაც აღარ უნდა ისინიო.

კრებას პრეზიდენტის დაცვის ორი წევრიც ესწრებოდა: ვაჟა ჭინჭარაული და ირაკლი გოგაძე, რომელნიც ამ ოპერაციებში მონაწილეობაზე უარს განაცხადებდნენ. და ესწრებოდა თენგო ქარდავაც, მეტსახელად სმერტნიკა, ვისთანაც პრეზიდენტი იმყოფებოდა მუჟავაში, და იგი გააფრთხილებდა ზვიად გამსახურდიას.

და მაშინაა, პრეზიდენტი ადგილსამყოფელს რომ შეიცვლიდა.

ჭინჭარაული და გოგაძე დარჩებოდნენ ბადრი ზარანდიას ჯგუფთან, რის შემდეგაც მათ მისცემდნენ ცხენებს, რათა მუხურში გადასულიყვნენ და იმერეთის ბატალიონს შეერთებოდნენ.

და... კიდეც გაქრებოდა მათი კვალი.

ჰამლეტ გულორდავა ივარაუდებდა: ორივე მოკლეს, ალბათ მუჟავაში, ანდა მის ახლოს მდებარე გზაზეო.

განზრახვა მხოლოდ მათი ჩამოცილება არა ყოფილა, გაცილებით შორსმიმავალი მიზანი ჩაეთქვათ: პრეზიდენტს რომ მოკლავდნენ, ამ ორს გადააბრალებდნენ.

იმასაც გაამჟღავნებდა, რომ შეკრებაზე გია გულუაც იმყოფებოდა.

და აი, გადაწყვეტილება შესასრულებელია და ბადრი ზარანდიას დაჯგუფება მიდის პრეზიდენტის მოსაკლავად. მოადგებიან სმერტნიკას მეზობელს, უსინათლო, ხანდაზმულ კაცს, ვისაც მოეხსენებოდა ზვიადის ადგილსამყოფელი, მაგრამ ვერაფრისდიდებით ვერ გატეხდნენ, და ისე უღმერთოდ სცემდნენ, ეგონებოდათ, შემოგვაკვდაო.

დაბრუნდებოდნენ ზუგდიდში, ტაქსოპარკთან, სადაც განლაგებული იყო უშიშროების ქვედანაყოფი, და იქ ჩააბარებდნენ იარაღს.

— ეს ხალხი გახლდათ ბადრი ზარანდიასა და გია გულუას თანამებრძოლები.

და ჰამლეტი გაიხსენებდა ბადრის სიტყვებსაც:

— პრეზიდენტის მკვლელობაში მთავაზობენ მილიონ დოლარს და საქართველოდან უსაფრთხოდ გაყვანას.

ეს უშიშროების იმ მაღალჩინოსნებს შეეთავაზებინათ, ტაქსოპარკის ტერიტორიაზე რომ იმყოფებოდნენ.

ჰამლეტი კი პასუხად:

— ძმაო, შენ საქმეს გაგაკეთებინებენ და შემდეგ მოგიშორებენ.

საქართველოში ზვიად გამსახურდიას დაბრუნებამდე რობინზონ მარგველანს თავისი დაჯგუფება რომ ჰყავდა, ძირითადად პრეზიდენტის დაცვის ბიჭებისაგან შემდგარი, ბადრი ზარანდიასთან ერთად ბატალიონს კი არ ჩამოაყალიბებდა, შეფიცავდნენ ერთმანეთს მეგრელ-სვანთა კოლხურ ძმობას, რათა ბოლომდე ერთგულნი ყოფილიყვნენ ქვეყნისა და კანონიერი პრეზიდენტისა.

ბადრი ზარანდია და რობინზონ მარგველანი... ქვეყნისა და პრეზიდენტის... ერთგულნი... ბოლომდე...

ფიცი ადვილად ითქმოდა.

გვერდით არავინ დაგვიდგაო, — ჩიოდა რობინზონი.

ფახულანის მაღლა, ტყეებს შეფარებოდნენ. ამბავს ისე მოიტანდნენ: ზარანდიას სამასი კაცი ჰყავს და დასარტყმელად ემზადებაო. რა მოხდებოდა, როგორ მოხდებოდა, რობინზონს ვერც მაშინ გაეგო ვერაფერი და დროის გადასახედიდანაც ვერას არკვევდა, არადა, ხუთი დღე-ღამით ჩამოაშორებდნენ პრეზიდენტს, რომელსაც გადაიყვანდნენ... ბადრი ზარანდიასთან. რა 300, რომელი 300, 15 კაცი შეეგროვებინა, ეგაა და ეგ... მეგზურობას წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა და მისი მოადგილეები რომ უწევდნენ, როდესაც ჯიხაშკარიდან ხიბულაში გადავიდოდნენ, იქ ჩამოშორდებოდათ. მანამდე გვერდიდან არ მოსცილდებოდათ პრეფექტი.

პრეზიდენტი ბადრი ზარანდიასთან თუ უნდა გადაეყვანათ, მისი დაცვის წევრებმა არ იცოდნენ. ერთ-ერთი ოჯახი შეიფარებსო, ზოგადად ამცნობდნენ, ცალკე იქნება და ვერავინ მიაგნებსო. ერთ ღამეს კიდეც გაათენებდა იმ ოჯახში და... მეორე დღეს აღმოჩნდებოდა ზარანდიასთან — 19 ნოემბრიდან 28-მდე.

რობინზონი პრეზიდენტს გვერდიდან რომ არა სცილდებოდა, იქ განა რა უნდა მომხდარიყო?

ცალკე გაიხმობდნენ ზვიად გამსახურდიას წრუწუნა (ზურა ფიფია) და ვიღაც ბიჭი, და პრეზიდენტი რომ მობრუნდებოდა მათთან საუბრის შემდეგ, რობინზონს ეტყოდა:

— შენ ეს ბიჭები გააცილე რამენაირად, მე გამოგიგზავნი კაცს და მერე გადმოდი ჩემთან. ისე აქედან ფეხი არ მოიცვალო.

სტუდენტები ახლდნენ — ორი ბიჭი და ორი გოგო, და მათ გულისხმობდა.

გავიდოდა ორი დღე.

არავინ გამოჩნდებოდა.

მესამე დღეს ავიდოდა 21-კაციანი ჯგუფი, გვარდიელები, ერთად რომ ებრძოლათ. შოშია (დათო ხაზალია) ხელმძღვანელობდათ. ამცნობდნენ:

— ბაბუ ვნახეთ.

ზვიადს გულისხმობდნენ.

ეს ცოტა დაეჭვდებოდა:

— როგორ, კაცო, სამი დღეა და... ახლა გადის აქედან?

თან ისიც იცის, რომ ფახულანი მთლიანად გადაკეტილი აქვთ „მხედრიონსა“ და გვარდიას.

გაირკვეოდა, რომ ისინი პრეზიდენტის გარემოცვის დასარბევად გამოეგზავნათ: ზაზა ბურჯანაძის, ვაჟა ჭინჭარაულისა და ირაკლი გოგაძის. და რობინზონი ირწმუნება: არ იცოდნენ, რომ მეც იქ ვიყავი და ისინი კი ჩემს წინააღმდეგ არ აღმართავდნენ იარაღსო.

რატომ, რა მიზეზით?

ხობში როდესაც ვიბრძოდით, სამი ბიჭი დაიჭრა და ყველამ მიატოვა, მე კი გამოვიყვანე ისინი, არ დავტოვე, ჩამოვიყვანე საავადმყოფოში და ახსოვდათ ეს სიკეთე. ამიტომაც არ აღმართეს ჩემს წინააღმდეგ ხელი, თორემ უთანასწორო ბრძოლას შევეწირებოდით, 21 ისინი იყვნენ და ჩვენ ოთხადოთხიო.

ყურმოკვრით იცოდა, რომ ლოთი ქობალია ედუარდ შევარდნაძეს შეხვედროდა ანაკლიაში. და თუმც საუბრის შინაარსი არ უწყოდა, რა მოილაპარაკეს, მაგრამ ეჭვით შეხედავდა ამ ყოველივეს და ლოთის მოქმედებას: როდესაც იმ კაცს ხვდები, ეტყობა, რაღაც შეთანხმებას აღწევო.

ეჭვი იმისაა, რომ ლოთი ქობალია ზვიად გამსახურდიას სასარგებლოდ კი არ ირჯება, არამედ მის ზურგს უკან ხლართავს რაღაცას.

ენგურჰესის ყოფილი საწყობები სადაც იყო, ქოხები, იმ მშენებლობის დროინდელი, გვირაბით რომ გადის წყალი აგრეგატთან, ახლა იქ ცხოვრობდა პრეზიდენტი.

და მოინახულებდა თუ არა ზვიადს, ის:

— მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი დაბრუნდი, აქედან უნდა წავიდეთ სასწრაფოდ. ეს ნაძირალა ბადრი ზარანდია გია გულუას ხვდება.

იქ, შესასვლელში თვითონ პრეზიდენტს ებრძანებინა ბარიკადების აგება, რათა მძიმე ტექნიკა ვერ შესულიყო.

მეორე დილითვე გაერიდებოდნენ ბადრი ზარანდიას ბანაკს და გაუდგებოდნენ გზას, დაცვის ორი ბიჭის დატოვება კი პრეზიდენტს ებრძანებინა რობინზონისათვის, რათა გაეგოთ, რა მიზნები ჰქონდა ამ დაჯგუფებას.

— ამ ბიჭებს მერე გადავიყვანთ.

მაგრამ სადღა იქნებოდა ეს „მერე“...

ზვიად გამსახურდია როგორ წარმოიდგენდა, რომ იმ ორს რამე უბედურება შეიძლება მოსწეოდა.

არადა, დაცვის უფროსი ვაჟა ჭინჭარაულსა და ირაკლი გოგაძეზე რომ შეაჩერებდა არჩევანს, თურმე იქ წყდებოდა მათი ბედი, რადგანაც ორი დღის შემდეგ გოჩა კეკენაძეს რომ გაგზავნიდა მათ წამოსაყვანად... ბიჭების ნაცვლად ამბავს დაახვედრებდნენ:

— ცხენებს მოასხდნენ და თბილისისაკენ წავიდნენ.

და კიდეც გაქრებოდა მათი კვალი სამუდამოდ.

ბადრი ზარანდია პრეზიდენტს რომ შეხვდებოდა ბრმის ოჯახში, ზუგდიდის განყოფილების ორ პოლიციელს იახლებდა თან, ერთს თავის ნათლიასა და მეჯვარეს.

— ბიჭო, როგორ გაბედე ამათ მოყვანა? — ეკითხებოდა რობინზონი.

— აუჰ, ჩემი ძმები არიან, ნუ გეშინია.

ხუთნი სხედან ოთახში და შესთავაზებს ბადრი პრეზიდენტს:

— ბატონო ზვიად, ჩვენ გარანტიას გაძლევთ, რომ ან სომხეთის საზღვარზე გაგაცილებთ, ან აზერბაიჯანისა.

გაოგნდებოდა რობინზონი:

— ბადრი, იცი, სად არის ან სომხეთის საზღვარი, ან აზერბაიჯანის?

— როგორ არა.

— თუ „როგორ არა“, იქამდე მთელი თბილისი უნდა გავიაროთ და როგორ?

— ვერტმფრენით.

უარს მიიღებდნენ და წავიდოდნენ.

გარეთ ზურა გუჩუა (პუშკინა) ელოდებოდათ. ამათ იცოდნენ, რომ ვახტანგ ზარანდიას უნდა მოეყვანა მანქანა და გადასულიყვნენ ჯიხაშკარში. პუშკინას ეტყოდნენ: შენ დარჩიო, — დანარჩენებს კი გაუშვებდნენ და პუშკინას მოაყვანინებდნენ „მაზს“, იმ საღამოსვე გაემზადებოდნენ წასასვლელად, რაკიღა ის ადგილი უკვე გაყიდული გახლდათ, და გადმოვიდოდნენ სოფელ ჭალაში, ზურა გუჩუას ბიძაშვილის ოჯახში.

იმ ბრმის სახლს კი იმავე ღამეს, გამთენიისას თავს დაესხმოდნენ და იქ 13 წლის ბიჭსაც დაჭრიდნენ. ტანკებით მიჭრილიყვნენ და ხელში თუ მოიგდებდნენ, ვაითუ ადგილზევეც დაეხვრიტათ ყველა იქ მყოფი — პრეზიდენტით დაწყებული...

ცოცხალი ზვიად გამსახურდია მე არ მჭირდება...

კრებაც ჩატარებული გახლდათ და განაჩენიც გამოტანილი.

სცენარებიც შემუშავებული.

ბრმის ოჯახს რომ აიკლებდნენ, ესენი ამას კი შეიტყობდნენ, მაგრამ სხვა ოჯახებს რა დღე დაადგათ მათი შეფარებისათვის, ვეღარავისგან იგებდნენ და ვარაუდით თუ ივარაუდებდნენ.

ტყე-ტყე უწევდათ უკვე სიარული.

ვითომ მანამდე აკლდათ.

რაც ტყეში გავიდოდნენ, ზვიად გამსახურდია წვერს აღარ გაიპარსავდა და თეთრი წვერი დაედებოდა, კარგა მოზრდილი.

მისი ზეობისას არაერთი მწერალი მოუშვებდა წვერს, მანამდე რომ არასდროს ჰქონდათ, და რომ ეკითხებოდნენ: ასე რატომ გადაწყვიტეთ და ამდენმა ერთად, რა, ახალი მოდაა? — პასუხობდნენ: ვიდრე ეგ მანდ იქნება, არც გავიპარსავთო. — აბა, დიდხანს მოგიწევთ ასე სიარულიო, — უთანაგრძნობდნენ. — არც ისე დიდხანსო, — მხრებს შეათამაშებდნენ, რაკიღა ედუარდ

შევარდნაძისა ეიმედებოდათ. ის კი გაიძახოდა: მე რა შემიძლია, ერთი პენსიონერი კაცი ვარო, — მაგრამ ნეტა ჩვენ ვიყოთ ასეთი პენსიონერები, პროცესების მართვის სადავეები ხელთ რომ გვეპყრას... ოღონდ ეს ამხელა გავლენა და უნარი ქვეყნის სასიკეთოდ გამოგვეყენებინოს და არა პირადი სარგებლობისათვის.

1991 წლის 6 აპრილს ზვიად გამსახურდია ტელეფონით რომ შეეხმიანებოდა და სთხოვდა, ეგებ მიეღწია იმ გადაწყვეტილების გაუქმებისათვის, საქართველოში რუსის ჯარის შეყვანას რომ ითვალისწინებდა, ედუარდ შევარდნაძის მემუარებში ეს წუთები ასე აღიბეჭდებოდა: ზვიადი ყვირილისაგან ლამის გავარვარდა, მე კი ძლივს მოვახერხე სიტყვის ჩართვაო:

— ბატონო ზვიად, მე რატომ მირეკავთ? დაურეკეთ გორბაჩოვს. მე მხოლოდ პენსიონერი ვარ, ამ ქვეყნის არცერთ ხელმძღვანელთან ურთიერთობა აღარ მაქვს და ვერაფერზე ვახდენ გავლენას...

— გააკეთეთ განცხადება მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე!

ამით იძულებულს გახდიდა გაემჟღავნებინა თავი, ჩვენი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ ანუ საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის სირთულეების შესაქმნელად რომ მოქმედებდა:

— რომ როგორმე გავათეთრო თქვენი პოლიტიკა, რომელსაც კატეგორიულად არ ვეთანხმები და ვიკისრო პასუხისმგებლობა თქვენი მოქმედებისთვის?

— თქვენ... თქვენ განაწყეთ ჩემს წინააღმდეგ ბეიკერი და სხვა უცხოელები! 89-ის აპრილში თქვენ ჩამოხვედით თბილისში, რომ გადაგერჩინათ გორბაჩოვი! როცა ლიძავაში ცეცხლს უკიდებდნენ გამსახურდიას სახლს, თქვენ ხელიც არ გაანძრიეთ!

საუბარი ერთხანს კიდევ გაგრძელდებოდა, თუმც ჩვენთვის ამჯერად საგულისხმოა, ედუარდ შევარდნაძე თვითონაც რომ ადასტურებს: მხოლოდ პენსიონერობას რომ იბრალებდა!..

ვიდრე ეგ მანდ იქნებაო...

ტყე-ტყე წოწიალისას მალიმალ წვერის გაპარსვის საშუალება და განწყობილება ისედაც არ ექნებოდა, მაგრამ სრულებით რომ აღარ გაიპარსავდა, ნეტა გუნებაში ხომ არ ჩაეთქვა: ვიდრე კანონიერებას არ აღვადგენ, ასე წვერმოშვებული ვივლიო?!.

თეთრი ნაბადიც რომ ჰქონდა, ხანდახან თუ მოისხამდა, თორემ ჩაცმით პალტო ერჩივნა, მოცისფრო, თავზე კი ნაცრისფერი სვანური ქუდი ეხურა, არ იცილებდა. ამ მხარეში ყოფნისას ეთხოვა რობინზონ მარგველანისათვის: სვანური ქუდი მომიტანეო, — და მას მერე მთელი წელი ამ ქუდით ივლიდა.

დაბანითაც ველარ იბანდა — ორი თვე ტანზე გაუხდელად იქნებოდა ისიც თავისი დაცვის წევრებივით.

აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჭუჭყი მაწუხებსაო, — ხალხური ეპოსის არსენა ოძელაშვილი რომ ითხოვდა აბანოში წასვლას, მახვილგონივრული ფანდი ჩაეფიქრებინა იქიდან გაქცევისა, თორემ ნეტა როდის დაჩვეულიყო ცხელ წყალში ღვრიჭინს?!.

ზვიად გამსახურდიას კი ეს განცდაც ძალუმად დარევდა ხელს და „არსენას ლექსის“ ის სტრიქონებიც ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა ხოლმე: აბანოში ნაჩვევი ვარო...

თან დაატარებდა ხელჩანთასა და „დიპლომატს“, რომელსაც ტყეში წოწიალისას გადააგდებდა. ხელჩანთიდან კი იღებდა ბერძნულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული ბიბლიის ორ წიგნს, ხატებს, ტანსაცმელსა და სხვა პირადი მოხმარების საგნებს. იქ კიდევ ედებოდა თავისი ხელნაწერი ჟურნალი, ხელნაწერები ლექსებისა, რომლებიც წიგნადაც გამოქვეყნებულიყო „მთვარის ნიშნობის“ სახელწოდებით, პრეზიდენტის მრგვალი ბეჭედი; აგრეთვე: „ნაგანის“ ტიპის პატარა ცეცხლსასროლი იარაღი („გეკოს“ ვაზნებით).

ამ იარაღს დაცვის უფროსი პირველად პრეზიდენტის დაღუპვის შემდეგ ნახავდა, მის ხელჩანთას რომ გახსნიდა, თორემ სხვა დროს არამცთუ თვალი არ მოეკრა ზვიად გამსახურდიას ხელში, არც ის იცოდა, როდის, სად და ვისგან შეეძინა ეს იარაღი.

ერთადერთი იარაღი, რომელსაც თან ატარებდა — ქამრის წინა მხარეს იდებდა — „სტეჩკინის“ კონსტრუქციის პისტოლეტი იყო.

აქედან გახლდათ გასროლილი ერთი ტყვია, მეორე კი ლულაში იდო, — ირწმუნებოდა რობინზონ მარგველანი, — დანარჩენი თვრამეტი ტყვია მოთავსებული იყო მჭიდში, სათადარიგოები კი ხელჩანთაში არ ყოფილაო.

2010 წლის 16 სექტემბრის გამოკითხვისას ამასაც დასძენდა:

— ბატონმა ზვიადმა იარაღ „სტეჩკინის“ შესახებ რაღაცები მკითხა. „ადინოჩნიზე“ როგორ დგებაო და რაღაც. მე ყველაფერი ავუხსენი, ჯონსონ კვარაცხელიასთან ყოფნის დროს ავუხსენი, ესე „ადინოჩნია“, ესე — „ოჩერედი“-მეთქი: მერე მე ვუთხარი, ბატონო ზვიად, შემოსასვლელ ოთახში ვარ, ვწევარ-მეთქი და ეს იარაღი მათხოვე-მეთქი, რომ ავტომატი ცოტა მოუხერხებელია-მეთქი, რა. რომ რამე მოხდეს, რობიზონ, მე არავისზე ნაკლები სროლა არ ვიციო და შენთან გამოვიქცე იარაღზეო? ამის მერე მე ვინ ვიყავი, რომ პრეზიდენტი განმეიარაღებინა.

პრეზიდენტი იარაღს ფლობდა?

რობინზონს ეჭვიც არ ეპარება, ეგაა, „სტეჩკინი“ მაშინ ახალი შემოსული იყო და მხოლოდ უშიშროების სამსახურში ჰქონდათ, ამიტომაც დასჭირვებოდა პრეზიდენტს მისი კონსულტაცია.

სროლა რომ ეხერხებოდა და იშვიათი სიზუსტითაც, მაშინ გაცხადდებოდა საქვეყნოდ, სახალხო დღესასწაულისას მშვილდოსნობაში რომ გაიმართებოდა შეჯიბრი და... პირველ ადგილს... ზვიად გამსახურდია მოიპოვებდა.

ოდისევსივით.

და აკი თავისი ოდისეაც გადახდებოდა სამეგრელოს ტყეებში...

სოფელ პალურში ბადრი ზარანდია ორჯერ მიაკითხავდათ და აცნობებდათ:

— ჩამოყვანილი ჰყავთ 80-კაციანი სპეცდანიშნულების ნაწილი — „ალფას“ ჯგუფი და ნადირობენ პრეზიდენტსა და ჩემზე. მე რუსეთში ვაპირებ გაქცევას, ჯიხაშკარში მყავს, ჯაღრაში, ბებია-ბაბუა და თქვენც იქ დაგაბინავებთ. ვერავინ მოგაგნებთ.

მეორე ღამეს ზვიადი დაავალებდა თავისი დაცვის უფროსს:

— წადი, შეხვდი და აუკრძალე ჩვენთან კავშირი.

ესეც შეხვდებოდა და განუცხადებდა: შენ წადი, თავს უშველე და ჩვენც მივხედავთ ჩვენს თავს.

გუჯუჯი ებრალიძეს მთაში დაიბარებდნენ, მერე წალენჯიხის ჯგუფის უფროსსაც, და დაუთქვამდნენ დღეს, რათა შეკრებილიყვნენ და დაეწყოთ მოქმედება... კაციშვილი არ გამოცხადდებოდა... ჯამბულ ბოკუჩავა იქვე, სადღაც ახლოს იმყოფებოდა მუჟავასთან, მაგრამ... მხოლოდდამხოლოდ ვახტანგ ზარანდია გამოცხადდებოდა მათ წასაყვანად.

როდესაც რობინზონს იქ დატოვებდნენ, მაშინ გიორგი გამოვიდოდა რაციაზე და ზვიად გამსახურდია უბრძანებდა:

— არ გაბედოთ გროზნოსთან დაკავშირება და საერთოდ გათიშეთ ხაზი.

ზურა გუჩუა კაცს გაგზავნიდა ჯაღრაში და მოაყვანინებდა ანზორ მებონიას:

— თავშესაფარი სჭირდებათ, — მოკლედ მოუჭრიდა.

ასე გადავიდოდნენ ჯაღრაში, ერთ ღამეს საფიფიოში გაათენებდნენ. იქიდან წალენჯიხის ჩაის მეურნეობას შეეფარებოდნენ. მთელი ღამე იწვიმებდა. მერე ცხენის „ტაჭკას“ გამოუყვანდნენ და იქ დასხდებოდნენ პრეზიდენტი, ბესარიონ გუგუშვილი და გოჩა კეკენაძე.

დაღამებულზე მიაკითხავდათ სანდრო გეგენია და მას გაჰყვებოდნენ ფეხით. მერე ანზორ მებონია შესთავაზებდათ: წინ მე წავალ და პატარა ტრაქტორს მოვიყვან, სადამდეც იქნება გზაო. დასხდებოდნენ იმ ტრაქტორზე და აიყვანდათ სახლში.

დღე და ღამე გაერთიანდებოდა დაცვის უფროსისათვის, აღარც დრო იცოდა, აღარც რიცხვი. რამდენიმე დღეს იქ რომ შერჩებოდნენ, მერე მასპინძელს გაგზავნიდნენ ვახტანგ ზარანდიასთან.

მაშინაა, ის რომ „ვილისით“ მოადგებოდათ და ჯიხაშკარში მიიყვანდათ, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში. და მეორე დღეს საკვების მიტანას რომ დაპირდებოდათ, მის ნაცვლად გუჯუჯი ებრალიძე გამოჩნდებოდა სამწუხარო ცნობით: ზუგდიდში რომ დაინახეს ვახო ზარანდია, აიყვანესო. და მეორე დღეს გუჯუჯისაც რომ დააპატიმრებდნენ, მალევე გამოუშვებდნენ და კვლავ პრეზიდენტთან გაჩქარდებოდა:

— მეც დამიჭირეს, მაგრამ როგორც მოხუცი, გამათავისუფლეს. და მე გთხოვ, შეიძლება წამებას ვერ გავუძლო და გამიშვი, წავიდე ჩემს გზაზე.

ზვიადი მადლობას მოახსენებდა გულახდილობისათვის.

გუჯუჯი როდის გაეცნოთ მას და მის გარემოცვას?

ბადრი ზარანდიასაგან რომ წამოვიდოდნენ და მუჟავაში შეეფარებოდნენ, მაშინ მოინდომებდა პრეზიდენტი, რომ შეკრებილიყო ყველა ჯგუფის ხელმძღვანელი და ისიც მაშინ გამოეცხადებოდათ ტყეში, მწყემსის კარავში.

ძმები ჩუხუები რომ მოადგებოდნენ ჯონსონ კვარაცხელიას: თურმე პრეზიდენტი შენთან იმყოფებაო, — ის მიუგებდათ: წარმოდგენაც არა მაქვს, რაზე მელაპარაკებითო, — და შინაც არ შემოუშვებდა.

რობინზონი საყვედურად არა, მაგრამ მაინც არ მოუწონებდა ამ საქციელს:

— ისინი მერაბ ჩუხუას მამა და ბიძა არიან და ალბათ სანდო პირები, გააგებინე, რომ მოვიდნენ. უკვე ერთი მეგზური დაგვიჭირეს, მეორე მეგზური დაგვიჭირეს. ეს ადგილი გაყიდულია და ხომ უნდა წავიდეთ სადმე? სადმე ხომ უნდა შევეფაროთ? ჩვენ არავის ვიცნობთ და სად წავიდეთ, ვისთან მივიდეთ, როგორ მივიდეთ უმეგზუროდ?..

ერთი საათის დაღამებული იქნებოდა, პრეზიდენტს რომ გადაიყვანდნენ. აგერ მისვლასაც ვერ მოასწრებდნენ, რომ... ორ მებრძოლს დაუჭერდნენ და... ეს ადგილი სასწრაფოდ გამოსაცვლელი ჩანდა, მაგრამ სად წასულიყვნენ?

მასპინძელი ფეხს ითრევდა და დაცვის უფროსი დააძალებდა:

— მათ მეტი ვერავინ დაგვეხმარება გადაადგილებაში. მერაბი დეპუტატია და პრეზიდენტთანაც და ჩვენთანაც დაახლოებული პირი. ამიტომ ამ ადამიანებს სრული ნდობა უნდა გამოვუცხადოთ.

ამ სიტყვების მოსმენას ვაითუ ეჭვი გაეჩინა, რატომ არის ასე ძალიან მონდომებული რობინზონ მარგველანი, მისთვის უცნობ ადამიანებს მიენდოსო, და ამიტომაც თავს დაიზღვევდა:

— ადგილსამყოფელის გამოცვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მე არ მიმიღია. გადაწყვეტილებებს პრეზიდენტი იღებდა. გადაწყვეტილებებს წასვლაზე პრეზიდენტი იღებდა.

როგორ ნერვიულობს — ორჯერ იმეორებს ერთსა და იმავეს მეტი დამაჯერებლობისათვის, უფრო სწორად, ჩაგონებისათვის, რათა პასუხისმგებლობას გაერიდოს, არადა:

— სად მივდიოდით, ჩვენ არ ვიცოდით. მარტო ის ვიცოდით, რომ სანდო ოჯახში მივდიოდით.

მითუმეტეს, რომ...

გზაში 3 საათი დასჭირდებოდათ.

აკი ამხელა მანძილი არა ყოფილა?

20 წუთიც უნდა ეკმარათ.

თუმც ეს, როდესაც შენს ნებაზე მიაქროლებ მანქანას, თორემ დატვირთული და თანაც განსაკუთრებული სიფრთხილის პირობებში გაცილებით მეტ დროს მოანდომებ.

მაინც ბევრია 3 საათის ხსენება?

თავს აღარ გამოიდებდა დაცვის უფროსი: საათისა და დროის შეგრძნება დაკარგული გვქონდა. ის 35 დღე თუ რაღაც, ტყეში რომ ვიყავით, დრო გაჩერებული იყო ჩვენთვის, ასე რომ, ამას დაზუსტებით ვერ ვიტყვიო.

სოფელში შესულებს იქ „ბირჟა“ დახვდებოდათ, თუმც გაჩერებით არავინ გააჩერებდათ.

— ვინ არიან ესენი? — ძალაუნებურად გაუჩნდებოდათ ეს შეკითხვა რობინზონსაც და სხვებსაც.

— ჩვენი ხალხია, ჩვენ დავაყენეთ, — ანატოლი თან საჭეს ატრიალებდა.

კარლო ღურწკაიას სახლში შესულებს გაოცება დაეუფლებოდათ:

— კაცო, აქ ადგილის მეტი რა არის, ბიჭები რატომ დავტოვეთ?

— არა, ახლა ლოგინები არ არის იმდენი, — აუხსნიდნენ ძმები ჩუხუები.

— იატაკზე დავწვებოდით, — ახლაღა შეწუხდებოდა დაცვის უფროსი, ნაცვლად იმისა, წინასწარვე გამოეკითხა და დაეზუსტებინა ეს ვითარება და... ისედაც ოთხკაციანი დაცვა ორამდე არ შეემცირებინა.

— ხვალვე გადმოვიყვანთ, — შეპირდებოდნენ ჩუხუები.

მეორე დღეს გვიან მივიდოდნენ და თანაც... ჯიხაშკარში დატოვებული ბიჭების გარეშე. ეგაა, საჭმელს მიიტანდნენ.

— რატომ არ გადმოიყვანეთ? — გაუკვირდებოდა რობინზონს.

და ისინი კი თავს იმით იმართლებდნენ:

— დღეს იმდენი საქმე გვქონდა, ვერ მოვასწარით, აი, ხვალ უსიკვდილოდ გადმოვიყვანთ.

უკეთესი თავისმართლება აღარც არსებობს: იმდენი საქმე გვქონდა, ვერ მოვასწარითო!..

ნეტა რა საქმეები გაუჩნდათ ასე ბევრი და ასე მნიშვნელოვანი, საფრთხეში ჩავარდნილი პრეზიდენტისათვის რომ ვერ მოიცალეს?!. ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე აბარიათ და, ნაცვლად იმისა, ზედ დაჰკანკალებდნენ... იმდენი საქმე გვქონდაო!..

ჯერ ვინც გინდა ყოფილიყო, რაკიღა დაივალე მისი პატრონობა, ბარემ კიდეც მიხედე.

მერე... პრეზიდენტია და... ისეთი პრეზიდენტი ხომ არა, თანდათან უამრავი რომ ეყოლება საქართველოსაც — მისი სახელი სამუდამოდ გადაჯაჭვია ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და ეროვნული ენერგიის ამოფრქვევას, გასიმბოლოებულა და კიდევ უფრო ამაღლდება და ლეგენდაშიც გადაინაცვლებს.

რა — გეჩქარება, სული გისწრებს, რომ ლეგენდის ბინადრად იხილო?!.

თუმც... ჩვენი მხრივ ნუ ავსწრაფდებით და მზერა მივადევნოთ უკვე დათვლილ საათებს, მესამე დღეს ანატოლი ჩუხუა საერთოდ რომ აღარც გამოჩნდებოდა, ზაური კი კვლავ არავის შემოუძღვებოდა სახლში და ქათმისა და... მარწყვის მირთმევას იკმარებდა.

ეს მარწყვი რაღა იყო!..

ანდაზად დარჩენილიყო იმ დედაბრის სურვილი, იანვარში მარწყვს რომ მოინდომებდა, შეგონებად — რეალობას ცოტაოდნავ მაინც დაუკვირდიო, ირონიულ გადაკვრად, სახუმაროდ და სასეიროდ და... ზვიად გამსახურდია რომ არ მოინატრებდა მარწყვს დეკემბრის მიწურულს, დიდი მიხვედრაც არა სჭირდება, და რატომ გამოიდეს ასე თავი, მარწყვის ძებნას ის ორი ბიჭი მოეყენებინათ კარზე, იქ, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში გონს გადასვლას რომ არაფერი უკლდათ, სად გაქრნენ, სად ჩაიყლაპნენ, ასე როგორ მიგვატოვეს, აკი ხვალეო?!.

— რა ქათამი და მარწყვი, პრეზიდენტი ცუდადაა და შიმშილობს, შენ თვითონ არ მოგაყვანინეთ ექიმი? — ეუბნებოდა დაცვის უფროსი ზაურს, ვის მიერ მოყვანილი ექიმიც, მისივე თანასოფლელი, ზვიადს არ მიეღო.

გოჩა კეკენაძესა და ზაზა ბურჯანაძეს გონს გადასვლას არაფერი უკლდათო...

ესენი წუთებს ითვლიან, როდის აღმოჩნდებიან კვლავ პრეზიდენტის გვერდით და... ნაცვლად ძმები ჩუხუებისა, ანზორ მებონია უნდა სტუმრებოდა ჯონსონ კვარაცხელიას სახლს, თანაც უცნაური შეთავაზებით:

— თქვენ დაგტოვეს, არავინ მოგაკითხავთ და სჯობს სახლებში ნახვიდეთ. იარაღი ჩამაბარეთ და მე თვითონ გაგაცილებთ სენაკში.

ეს მოთხოვნა რაღა იყო — იარაღი ჩამაბარეთო.

დაეჭვდებოდნენ და ძალიანაც დაეჭვდებოდნენ და... უარით გაისტუმრებდნენ.

ამ ეპიზოდის ირგვლივ გამომძიებელი რომ დაინტერესდებოდა: როგორ იყო, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში პრეზიდენტის დაცვის წევრებს რომ შეხვდი და ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარება მოსთხოვე, როდესაც ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლებნი წასულები იყვნენ აქედანო, — ის ჩაფიქრდებოდა და შეეცდებოდა თანდათან აღედგინა გონებაში პრეზიდენტსა და მის დევნილობასთან დაკავშირებული სურათები, თვითონაც რომ დაკავშირებოდა, თუ როგორ მიეღო პალურიდან ზურაბ გუჩუას წერილი: რამდენიმე დღით შეიფარე პრეზიდენტიო.

— ზვიად გამსახურდია ვიდრე ჩემთან იყო, არანაირ ავადმყოფობას არ უჩიოდა. პრეზიდენტმა დაახლოებით 2 კვირა დაჰყო ჩემთან, რის შემდეგაც წარმოიშვა საშიშროება თავს დასხმოდნენ ჩემს სახლს, ამიტომ გადავწყვიტეთ პრეზიდენტი დროებით სხვაგან გადასულიყო.

და მერე პირდაპირ გადადიოდა 31 დეკემბრის გახსენებაზე, თუ როგორ მიაკითხა ჯიხაშკარელმა ბოჯგუამ და შეატყობინა, რომ მოეძებნა ზურა გუჩუა. ესეც მოძებნიდა და ერთად მივიდოდნენ ძველ ხიბულაში, ოღონდ ეს სახლში აღარ შევიდოდა და შეჩერდებოდა დაცვის წევრებსა და ტრაქტორისტთან, რომლის ტრაქტორზედაც...

გოჩა კეკენაძისა და ზაზა ბურჯანაძისათვის კი ან იარაღის ჩაბარება როდის ან რატომ უნდა ეთხოვა, ანდა შეთავაზებითაც როდის ან რატომ შესთავაზებდა სენაკში გაცილებას, როდესაც... როდესაც ჯონსონ კვარაცხელიას სახლში საერთოდ არ გამოჩენილა.

— აბა, კარგად გაიხსენე, — ჩააცივდებოდა გამომძიებელი.

— რაც არ ყოფილა, რანაირად გავიხსენო? — გაჯიქდებოდა მოწმე.

არადა, გოჩასაც და ზაზასაც თვალწინ ედგათ ის სურათი, როგორ სთავაზობდათ ეს პიროვნება იარაღის ჩაბარებასა და აქედან გაცლას, პასუხად ესენი რომ:

— აქ დაგვტოვა პრეზიდენტმა და აქედან არსად წავალთ.

მეორე ღამეს კი, დაახლოებით 3 საათზე, მასპინძელს ვიღაც პიროვნება მიაკითხავდა, ჯონსონი ოთახში შევიდოდა და ბიჭებს განუცხადებდა:

— კაცი გამოგზავნილია და ის გადაგიყვანთ.

გულიკო ტიბუას უნდა ემეგზურა მათთვის.

ეზოდან რომ გადიოდნენ, გულიკო რაღაცას ჩუმად ეტყოდა მასპინძელს, რომელიც ფერს დაკარგავდა, მაგრამ ხმას არ გაიღებდა. და თუმც ბიჭებს ცუდად ენიშნებოდათ მისი გაფითრება, იმ წუთას დიდ ყურადღებას არ მიაქცევდნენ, რაკიღა საუკუნეებს გათანაბრებული იმ დღეების მოლოდინი როგორც იქნა მოთავებულიყო და ჰადაჰა თავიანთ უშუალო მოვალეობას უნდა დაბრუნებოდნენ.

რამდენიმე კილომეტრს გაივლიდნენ, დაახლოებით ნახევარ გზას პრეზიდენტის ადგილსამყოფელამდე, და გულიკო ერთ სახლში შევიდოდა, საიდანაც ის აღარ, მაგრამ რობინზონ მარგველანი გამოვიდოდა და... იმ სახლს რომ გასცდებოდნენ, მაშინღა ამოითქვამდა:

— დავიღუპეთ, ბიჭებო, ზვიადმა თავი მოიკლა!..

ჯერ სულ რამდენიმე კაცმა იცოდა, რომ რაღაც დიდი დასრულდა, ეპოქამ თავისი კომპოზიციური ქარგა ამოათავა და ესტაფეტა სხვა ეპოქას გადაულოცა.

თვითონ ეპოქა გრძნობდა თუ გრძნობდა საკუთარი თავის ამოწურვას და ზვიად გამსახურდიასთან ერთად მიიკრიფებოდა ასპარეზიდან.

რა იყო, ბიჭო, სახლიდან მაგდებ?..

ღიმილი სერავდა ბაგეს, ხუმრობა ანელებდა და ვერ ანელებდა ტკივილს, აქარვებდა და ვერ აქარვებდა სევდას, ერთს — გაუნელებელს, და მეორეს — უძიროს... ჰოი, რა იმედით მოისწრაფოდა აქეთ და ზედიზედ დაბრუნებული ქალაქები ისე აღუნთებდა იმედოვნებას, სატახტოს უკვე თავისადაც დაიგულებდა, რამდენიმე დღეღა რომ აშორებდა...

ნაცვლად ამისა კი:

ტყე-ტყე წოწიალი და მგლების ყმუილის სიმფონია გაჩერებულ დროში, ეს დრო ეპოქას რომ უნდა აეჩქარებინა და გამოეტანა განაჩენი საკუთარი თავისთვისაც და იმ პიროვნებისთვისაც, მას რომ ქმნიდა, თვით ეპოქას ჭედავდა და... იფერფლებოდა მის სიმხურვალეში.

IV.

განცხადება დათარიღებულიყო 1960 წლის 13 ოქტომბრით.

ხელს აწერდა მზეჭაბუკ ირაკლის ძე ამირეჯიბი.

დაწერილი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის სახელზე.

და აცნობებდა, რომ ეს ყოველივე მისგან უკვე შეეტყოთ სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელ პირებს: ქავთარაძეს, შადურსა და სანადირაძეს.

რა იყო მაინც ამისთანა, ჭაბუა ამირეჯიბი ცალკე ჩეკასთან რომ მოინდომებდა დაკავშირებას და ცალკე კიდევ ცეკასთან?

ყოფილი პატიმარი, მისი მტკიცებით — სულაც პოლიტიკური ბრალდებით დატუსაღებული, თუმც ოფიციალურ განაჩენში სულ სხვა დანაშაულებანი ჩაწერილიყო, განა რას ეძიებდა ან უშიშროების კომიტეტში და ან პირველკაცის კარზე?

თავის პოლიტიკურ-დისიდენტურ წარსულს მხოლოდ პირადი საუბრების დროს კი არ ახსენებდა, არამედ განცხადებასაც ამ სიტყვებით დაიწყებდა: 1943 წლიდან 1959 წლის დასასრულამდე ვიხდიდი სასჯელს, როგორც პოლიტიკური დამნაშავე. პოლიტიკური რეაბილიტაცია კი უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების თანახმად მივიღე და გავთავისუფლდიო.

მერე კი ამცნობდა, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ხელი მოეკიდა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. 1960 წელს გამოექვეყნებინა მოთხრობები ჟურნალებში: „მნათობი“, „დროშა“, „საბჭოთა ქალი“... „ლიტერატურულ გაზეთში“, გაზეთში „თბილისი“ (რეცენზია). დადგმულიყო მისი ტელეპიესა „ველოსიპედი“ ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ მოსკოვის ტელესტუდიებში. მუშაობდა აგრეთვე თბილისის ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში ხელშეკრულებით — სცენარისტად და ქრონიკალური ფილმების ტექსტების ავტორად. ჩაებარებინა გამოცდები და ირიცხებოდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტად. და ყოველივე ეს მისგან მოითხოვდა მუყაითობას, გულდასმასა და ინტენსიურ შრომას, მითუმეტეს, რომ სარჩენი და მოსავლელი ჰყავდა დედა, მამიდა, უმცროსი და და ორი შვილი.

უმტკიცებდა: ჩემს ფაქტიურ დანაშაულში ამომწურავად ვიყავი გარკვეული ჯერ დაპატიმრებამდეო, — ხოლო ახლა 16 წლის პატიმრობას, ასაკსა და ასაკისმიერ შეგნებას საბოლოოდ დაენახვებინა ცხოვრების სწორი გზა:

— და მგონი გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ აწმყოსა და მომავალში შესძლოს რაიმემ ჩემი გადაცდენა ამ სწორი

გზიდან. სახელმწიფომ, სოციალისტურმა კანონიერებამ აღმადგინა მოქალაქეობრივ უფლებებში, გამამართლა, მომცა შრომისა და სასარგებლო მოღვაწეობის საშუალება და ცხადია, რომ ამას მე სათანადოდ უნდა ვუპასუხო.

რაღაც „ძლიერ არასასურველ მემკვიდრეობას“ ახსენებდა.

ეს დაეტოვებინა მის წარსულს — 16-წლიან პატიმრობას, გასამართლებებს, გაქცევებს, სხვადასხვაგვარად უარყოფით ადამიანებთან იძულებით ურთიერთობას.

ამ მემკვიდრეობას კი ის მოეტანა, რომ დღემდე იძულებული გახლდათ ყოფილიყო მათი ნაცნობი, ამხანაგი, ზოგ შემთხვევაში „მეგობარიც“ კი და ხანდახან „თანამოაზრის“ როლიც ეთამაშა.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წარსულს ძლიერ მყარი წერტილი დავუსვი განთავისუფლების დროს (ფაქტიურად განთავისუფლებამდე კარგა ხნით ადრე), სამწუხაროდ დღემდე შემომრჩა ეგრეთ წოდებული „ნდობა“ და გადაჭარბებული აზრი ჩემი რაღაც არარსებული ღირსებების შესახებ ჩემთან ნამყოფ თუ არნამყოფ პატიმრებს შორის.

ამ მოკლე ხანში რამდენჯერმე მომხდარიყო, რომ პროფესიონალი ქურდ-რეციდივისტი ისე გულთბილად ესალმებოდა, დასალევად ეპატიჟებოდა და სხვა, თითქოს მასთან ერთად სადმე დანაშაული ჩაედინოს, ანდა მისი ახლო მეგობარი ყოფილიყოს ოდესმე. ხდებოდა ისე, რომ თანამოსაუბრის ლაპარაკი „დიდი ხნით ადრე გამოფიტული და გამომფულოტყავებული იდეოლოგიის პროპაგანდის დონემდე ადიოდა“. ყოველივე ეს მასში პროტესტს იწვევდა, მაგრამ სწორედ იმ არასასურველი მემკვიდრეობის გამო იძულებული ხდებოდა ესმინა და კვერიც კი დაეკრა ხოლმე.

ეფიცება: არც თქვენ და არც სხვას ვინმეს არ შევაწუხებდი ამგვარი წვრილმანებით, მაგრამ მიმდინარე წლის ივლისში მოხდა ერთი ძლიერ საყურადღებო რამე, რის შესახებაც მოვალედ ვთვლი თავს აუცილებლად მოგახსენოთო.

აჰა, კიდევ უნდა გაიხსნას კვანძი და გამოირკვეს განცხადების შთამაგონებელი მიზეზი.

თურმე ყოფილ პატიმარს, „ვინმე“ ალეკო მელაძეს, ამჟამად თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის მუშაკს, ეცნობებინა მისი და მისი ამხანაგების განზრახვა:

მოეხდინათ ტერორისტული აქტი საბჭოთა ხელმძღვანელის, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მიმართ, როცა იგი (ალბათ) ჩამოვიდოდა საქართველოში მომავალი წლის თებერვალში, და ამასაც სთხოვდა აღმოეჩინა გარკვეული დახმარება.

ჭაბუა ამირეჯიბის ამ თხოვნაზე ასე მიეგო:

— დაგეხმარები ან არ დაგეხმარები მაშინ, როდესაც გავცემ ჩემს თავს პოზიტიურ პასუხს: საერთოდ საჭიროა თუ არა ასეთი რამ.

ასეთი გაურკვეველი პასუხის გაცემას იმით ამართლებდა: საჭირო იყო, რათა არც თანხმობა მიმეცა და არც უარი მეთქვაო.

და რას გადაწყვეტდა, როგორ მოიქცეოდა?

— რა თქმა უნდა, მე დაუყოვნებლივ ვაცნობე ამის შესახებ სახ. უშიშროების ხელმძღვანელ პირებს...

განცხადებაში ზედმეტად მიიჩნევდა მსჯელობას იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც გადაედგა ეს ნაბიჯი: ეს მიმიყვანდა პათეტიკურ ფრაზებამდეო.

ამიტომაც მოკლედ ამჯობინებდა:

— მე მოვიხადე ვალი, როგორც მოქალაქემ.

გვერდს აუქცევდა ამ ამბის დაწვრილებით აღწერას: მგონია, რომ ზემოთხსენებული მუშაკები მოგახსენებენ გაცილებით სრულად და ამომწურავად, ვიდრე მე შემიძლიაო, — უმორჩილესად სთხოვდა და დაჟინებით მოითხოვდა:

საქმის მსვლელობაში არსად ყოფილიყო ნახსენები მისი გვარი ან ვინაობა.

— ჩემის აზრით, ჩემი ასეთი სურვილი, იმდენად ჩემი პიროვნების უშიშროებას არ ემსახურება, რამდენადაც ელემენტარული კეთილგონიერებითაა განპირობებული.

ის, რაც საიდუმლო არქივებში გულმოდგინედ უნდა ყოფილიყო გადამალული, ასე მოულოდნელად იხილავდა მზის სინათლეს, თანაც პუბლიკაციას განცხადების ავტორის ხელნაწერიც დაერთვოდა იმის ნათელსაყოფად, რომ მკითხველს შეთხზულ მასალასთან კი არ ჰქონდა საქმე, არამედ ავთენტურ ტექსტთან.

ზვიად გამსახურდიას გახელისუფლების შემდგომ ყოველგვარ საიდუმლო არქივზე მიუწვდებოდა უკვე ხელი და ეს განცხადებაც ამოტივტივდებოდა.

უშუალოდ მოეხსენებოდა ამ მიმართვის არსებობა და ამიტომაც მიჰყოლოდა მის კვალს თუ ვარაუდობდა, მაკომპრომეტირებელი მასალები როგორ არ აღმოჩნდება ჭაბუა ამირეჯიბზეო, და ზოგადად დაავალებდა მოჩხრეკას?

ასეა თუ ისე, სკანდალური პუბლიკაცია შეაძოძგინებდა საზოგადოებას, რომლის თვალშიც აქამდეც ძალიან წაეგო ჭაბუა ამირეჯიბს, ტრანსკავკასიური რკინიგზის გაყვანას ჰუმანიტართაგან ის ერთადერთი რომ დაუჭერდა მხარს და დიდი თავგამოდებითაც, მაგრამ ეს უკვე ვეღარ წარმოედგინათ, ასეთი წერილის არსებობა, დასმენის კლასიკური ტექსტისა.

საერთოდაც, ხრუშჩოვზე იმ შეუმდგარი ტერაქტის ამბავი აღარავინ უწყოდა, ცხადია, აღარც ის, ოდესღაც სასამართლო საქმეც რომ შემდგარიყო და მონაწილენიც დასჯილიყვნენ.

სამ პირს ამ ბრალდებით 1960 წლის 14 დეკემბერს დააკავებდა უშიშროების კომიტეტი, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმას ამზადებდითო: შოთა (ოთარ) მექვაბიშვილს, ალბერტ (ალეკო) მელაძესა და აბრამ (აბრეკ) ბათოშვილს. მოგვიანებით ამავე ჯგუფის კიდევ ერთ წევრსაც მიაგნებდნენ, სტუდენტ აკაკი მდინარაძეს, და მასაც დააპატიმრებდნენ.

დღესდღეობით ეს ყოველივე გამორკვეულია და ინტერნეტითაც ხელმისაწვდომი, თუ როგორ გაუჩნდებოდა ეს განზრახვა ოთარ მექვაბიშვილს, სპეციალობით ფეიქარს, თუმც დროებით უმუშევარს, და 1960 წლის ივლისში დაუკავშირდებოდა ციხეში გაცნობილ ალეკო მელაძეს და ჩანაფიქრს გაუმჟღავნებდა. შემდეგ შეემატებოდათ მელაძის ძველი ნაცნობი, შრომა-გასწორების კოლონიაში გაცნობილი აბრეკ ბათოშვილი.

1961 წელს საქართველოში ზეიმით უნდა აღნიშნულიყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი და ნიკიტა ხრუშჩოვი აპირებდა აქ ჩამოსვლასა და ზეიმში მონაწილეობას.

სამეული გადაწყვეტდა, რომ იგი საქართველოდან ცოცხალი არ უნდა წასულიყო — პასუხი უნდა ეგო 1956 წლის 9 მარტს თბილისში მოწყობილი სისხლიანი კალოსათვის.

ცოცხალი არ უნდა წასულიყო, მაგრამ როგორ?

ყუმბარით უნდა აეფეთქებინათ.

ეს განზრახვა მოაძებნინებდათ აკაკი მდინარაძეს, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, ოთარ მექვაბიშვილის შორეულ ნათესავს, და ისიც შესთავაზებდათ თავის სამსახურს — დაემზადებინა თვითნაკეთი ბომბი. როგორც ჩვენებაში აღიარებდა, ასაფეთქებელი მოწყობილობა ღვინის დოქის ფსკერზე უნდა დაემონტაჟებინა.

ჯგუფის ორი წევრი სტალინური რეპრესიების მსხვერპლი გახლდათ.

ალეკო მელაძესაც და აბრეკ ბათოშვილსაც მამებს დაუხვრეტდნენ, დედებს კი 10-10 წლით გადაუსახლებდნენ, და დევნა თვითონაც არ მოაკლდებოდათ.

ალეკო მელაძე თბილისის უნივერსიტეტში სტუდენტობისას ეროვნულ-გამათავისუფლებელ ჯგუფში გაწევრიანდებოდა, ამ ჯგუფის ცხრავე წევრს რომ დაატუსაღებდნენ 1948 წელს და მასაც, თანამზრახველებთან ერთად, 26-წლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ. სასჯელის მოხდა მას კოლიმაზე, ოქროს საბადოებში მოუწევდა. და მხოლოდ საბჭოთა იმპერატორის აღსასრული და 1956 წლის საყოველთაო ამნისტია დაბრუნებდა სამშობლოში.

ძიება რას გამოარკვევდა?

წინასწარ გათვლილი სცენარის თანახმად, ნიკიტა ხრუშჩოვზე თავდასხმა ქუჩებში მისი გადაადგილებისას უნდა მომხდარიყო. ჯგუფის ერთ-ერთ წევრს ჰაერში ტყვიის გასროლით სამთავრობო დაცვის ყურადღება უნდა მიეპყრო და მეორეს კი იმავე წუთს სხვა მხრიდან საბჭოთა ქვეყნის მეთაურის მანქანისათვის დანაღმული დოქი უნდა ესროლა.

ხრუშჩოვის დაღუპვისთანავე ჯგუფის წევრები რადიოთი უნდა გამოსულიყვნენ და მომხდარი საქვეყნოდ გაეცხადებინათ.

ოთხი კაცი ამ ოპერაციისათვის საკმარისი არ იქნებოდა.

ამიტომაც დაუკავშირდებოდნენ ჭაბუა ამირეჯიბსაც.

ალბათ სხვებსაც.

გამოძიება ამ ოთხეულის გარდა ვერავის აღმოაჩენდა.

სასამართლო ოთარ მექვაბიშვილს, როგორც ტერორისტული დაჯგუფების მეთაურს, სასჯელის უმაღლეს ზომას გამოუტანდა — დახვრეტას, ალეკო მელაძეს 15 წლით გადაუწყვეტდნენ თავისუფლების აღკვეთას, აბრეკ ბათოშვილსა და აკაკი მდინარაძეს კი 10-10 წლით.

თბილისში სტუმრობისას ნიკიტა ხრუშჩოვთან ქუჩაში დახვედრას მოახერხებდა მექვაბიშვილის დედა (მის ავტომანქანას გაუწვებოდა წინ!) და შვილის შეწყალებას სთხოვდა. საბჭოთა იმპერიის მეთაური... შეიწყნარებდა ამ თხოვნას და ტერორისტული ჯგუფის ორგანიზატორს დახვრეტა 15-წლიანი პატიმრობით შეეცვლებოდა, და შესაბამისად, სასჯელი შეუმსუბუქდებოდა დარჩენილ სამეულსაც.

ამ მასალებს ვინც წამოატივტივებდნენ და ძუნწი ქრონიკის სახეს მიანიჭებდნენ, მოვალედ მიიჩნევდნენ თავს საგანგებოდ აღენიშნათ, რომ:

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ალეკო მელაძე არჩეული იქნებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრად და მისი ხელმოწერაც აღიბეჭდებოდა საქართველოს 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

აი, თურმე საიდან შეიძლება სცოდნოდა ანდა საიდან დაეზუსტებინა ჭაბუა ამირეჯიბის როლი იმ ამბებში ზვიად გამსახურდიას.

პუბლიკაციას გაუყუჩდებოდა ადრესატი.

თუმც მოგვიანებით თავის ვერსიას შესთავაზებდა მკითხველს, თუ რა მომხდარიყო სინამდვილეში. და ზოგიერთ შენიშვნასაც დაურთავდა უშუალოდ პუბლიკაციასთან დაკავშირებით.

იმ ეპიზოდის აღწერა, მისი სიტყვით, „გორა მბორგალში“ ჰქონდა განზრახული სხვა თხუთმეტამდე ნაწყვეტთან ერთად, მერე სხვადასხვა მიზეზით რომ გადაუფიქრებია ამ ეპიზოდების ჩართვაც თხრობაში.

ერთ-ერთი პერსონაჟის — ალიკო პელაძის — პროტოტიპად ალბერტ (ალეკო) მელაძეც ეგულისხმა და უკიდურესად შავი ფერებითაც შეემკო (გამოქვეყნებისას, მოგონებისა თუ დოკუმენტური ნოველის სახით, აკი ასეც დაასათაურებდა: „შავი ბუღის ღმუილი“), თავიდანვე რომ ამჟღავნებდა სიძულვილს ამ ადამიანისადმი:

— პელაძე არ გავიხსენოთ?.. შენც კაცი ნახე, რა!.. კაცია თუ არაკაცი, საყურადღებო ამბავია, ჭკუის სასწავლებელი...

და გაიხსენებდა მთავარი გმირი იაგორ კარგარეთელი — ჭაბუა ამირეჯიბის ალტერ ეგო — თუ როგორ მუშაობდა აღმოსავლეთ ციმბირში, „ოზიორლაგის“ მეთექვსმეტეში ეკონომისტად. ნოვოჩუნკაში იხდიდა პატიმრობის ვადას. საშვი ჰქონდა ობიექტებზე გასვლის უფლებით.

კარგად კი მოწყობილიყო ტუსაღის კვალობაზე!..

თუმც... მოვერიდოთ ჩარევებს და მთხრობელს დავუგდოთ ყური, ერთხელაც ბანაკში დაბრუნებისას თითქმის კართან უცნობი ოფიცერი რომ გააჩერებდა, საშვს მოსთხოვდა, დარწმუნდებოდა მის ვინაობაში და... კონვერტს გადასცემდა: მეთერთმეტეში შენთვის ცენზორმა გადმომცაო. ეს გაოგნებული მიაჩერდებოდა გაბრუნებული ოფიცრის ზურგს — წერილის ამ ფორმით გადაცემის სხვა მაგალითს ვერც მოიგონებდა თავისი პატიმრობის განმავლობაში.

პაწია ბარათი ამ შინაარსისა იყო:

— ძმაო გორა! შენი მისამართი შენი ახლო ნათესავისგან გავიგეთ. ჩვენ რეაბილიტაციით დავბრუნდით, აღგვადგინეს უნივერსიტეტში. გვინდა აღმოგიჩინოთ ყოველნაირი დახმარება. მოგვწერე, რა გესაჭიროება, რომ დაბრუნდე! ჩვენ შენთან ჩამოსვლაც შეგვიძლია.

დახმარება, რომ დაბრუნდეო?!

მთხრობელი ამ შეთავაზებას ასე განმარტავს: უდავოა, ეს უცნობი კაცი გაქცევაში ხელის შეწყობას გულისხმობდა. რამდენიმე დღის ჩხიბვის შედეგად თითქმის დავრწმუნდი, ეს შეთავაზება უშიშროებისგან დაყრილი საკენკი იყო. ანკესზე ჩემი წამოგება სურდათო.

კი მაგრამ, „დახმარება“ რატომ უნდა გულისხმობდეს მაინცდამაინც და აუცილებლად გაქცევას?

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება მკვეთრადაა შეცვლილი, ტუსაღთა გამოშვება ჩვეულებრივ მოვლენად ქცეულა, ამნისტია თუ რეაბილიტაცია აღარავის უკვირს, შუამდგომლობებს სასიკეთო ნაყოფი მოსდევს და შესაძლოა ამ მხრივ წამოგშველებოდა ვინმე.

თუმც აკი ჩარევებს უნდა მოვრიდებოდით და მთხრობელისათვის დაგვეგდო ყური.

კონვერტი გაქცევის ცთუნებას იმარხავდა, გასაქცევად სამზადისი — ახალი საქმის შედგენას... და საპასუხოდ მოსწერდა იაგორ კარგარეთელი: მადლობელი ვარ, არაფერი მჭირდება, რეაბილიტაციას ველოდებიო.

რამდენიმე წელიწადში მის ჯგუფსაც ეღირსებოდა ძლიერთა ამა ქვეყნისა ყურადღება. საკავშირო პროკურატურა საქმეს გაასაჩივრებდა, უმაღლესი სასამართლო პროტესტს დააკმაყოფილებდა და... გორაც კარში ამოჰყოფდა თავს!..

თბილისში დაბრუნებულს არჩილ სულაკაური უნდა გაეცნო, გამოჩენილი მწერალი და პატიმრობისას გორასთან ერთად ნაჯდომი ერთი ფრიად ღირსეული კაცის შვილი, და მასთან სტუმრობისას უნდა შემოსწრებოდათ... სწორედ ის ალიკო პელაძე, ვისაც „მნათობის“ რედაქციაში, სადაც არჩილი პროზის განყოფილებას განაგებდა, მოთხრობა მიეტანა, ამას კი დაეწუნებინა.

— დაუბრუნებდა, მაშ, რა იქნებოდა?! მოთხრობა აგებული ყოფილა შვილის სექსუალურ გრძნობებზე საკუთარი დედის მიმართ!..

ამ ნაწყენობის გამო თუ სხვა მიზეზით პელაძე ყვედრებას მიჰყოფდა ხელს: აი, თქვენ აქ ბედნიერად ცხოვრობდით, ხოლო მე და გორა სამშობლოსთვის ციხეებში ვიტანჯებოდითო.

მთხრობელი გვაუწყებს, მუდამ მიუღებლად და უსამართლოდ მიმაჩნდა უპირატესობად მიმეთვალა ჩემი ნაჯდომობა, და ამასთან, რაკიღა უკვე ვიცოდი ვინ იყო და ვისი კაციც იყო ეს ყბამოქცეული სუბიექტი, შევეკამათე: აბა, ეგენი რა სათქმელია! ესენი თუ კარში იყვნენ, ჩვენ მაგიტომ ვისხედით თუ როგორაო! — და ხმას ჩააკმენდინებდა. მასპინძელი კი ამას იტყოდა ალიკო პელაძის წასვლის მერე: ეგ უბედური მუდამ გონებაბრჯგუ და უნიჭო იყოო.

შემდეგ იმის თაობაზე გაიმართებოდა საუბარი, ნიკიტა ხრუშჩოვი ქართველთა დეპორტაციას რომ აპირებდა. ეს ხმები მაშინ დაჟინებით ვრცელდებოდა, მითუმეტეს, რუსეთში „ანტიგრუზინიზმი“ მძვინვარებდა, ხოლო საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ბორჯომსა და ლიკანში მოწვეულ ახალგაზრდა შემოქმედთა თავყრილობაზე თითქმის ახდილად განაცხადებდა: რუსებს თავი დაანებეთ, თორემ სხვებივით შუა აზიაში ამოგვაყოფინებენ თავსაო.

გორას არ უკვირს, ქართველი ინტელიგენცია შეშინებული რომ გამოიყურებოდა: სულ ახლო წარსულში ხომ ხელი დახვიეს და შუა აზიაში უკრეს თავი 50 000 ქართველს, არადა,

რომელს რა დანაშაული ჰქონდა იმის მეტი, რომ უცხოეთში ნათესავი ჰყავდაო?!.

აღარ აზუსტებს, რომ... „ახლო წარსული“ სტალინის ეპოქაა და არა ახალი ხელისუფლისა!..

თუმც... მოვეშვათ რა ამ ჩარევებს...

მერე ისე უნდა მომხდარიყო, რომ მუშტაიდისაკენ მიმავალ გორას ერთსართულიანი ბიბლიოთეკის ფანჯრიდან ვიღაც უნდა მისალმებოდა და... ალიკო პელაძე გამომდგარიყო, შიგნით რომ შეიპატიჟებდა, ჟურნალ „ამერიკის“ ერთ-ერთ ნომერს გადაუშლიდა და აჩვენებდა ბროდვეიზე ავტომანქანების დიდ მწკრივს, ერთ-ერთში ნიკიტა ხრუშჩოვი ფეხზე რომ იდგა და გაშლილი ხელებით ესალმებოდა ქუჩის ორივე მხარეს ბლომად გამოფენილ ამერიკელებს.

თანაც დასძენდა:

— აი, აქედან ვინმემ რომ ბომბი ესროლოს, ხომ შესაძლებელია?.. როცა ხრუშჩოვი თბილისს ჩამოვა და აქ მოხდეს ეს ამბავი?..

ეს ძალიან გაიკვირვებდა და მიუგებდა:

— შენ შუა აზიაში არა მჯდარხარ და ახლა აპირებ? ჩემთან მაგნაირები აღარა თქვა, თორემ რაც სიგრძე გაქვს, იმ სიგანეს გაგიხდი... მე რაც ვიჯექი, მეყო, საკმარისია! შენ თუ კიდევ ჩაჯდომა გინდა, ჰა — ბურთი და ჰა — მოედანი!

ისე კი მოგონებისას ძალიან გემატება სითამამე ადამიანს!..

რაც სიგრძე გაქვს, იმ სიგანეს გაგიხდიო...

„განცხადების“ მიხედვით, აკი გაცილებით უფრო თავშეკავებულად მიუგებდა: დაგეხმარებით ან არ დაგეხმარებით, როდესაც გავცემ ჩემს თავს პოზიტიურ პასუხს — საერთოდ საჭიროა თუ არა ასეთი რამო!..

და დაუყოვნებლივ აცნობებდა უშიშროების ხელმძღვანელ პირებს...

თუმც... ხომ უნდა ვაცალოთ ჩამთავრება.

გზად მომავალი გორა ფიქრობს: ეს კაცი დასრულებული იდიოტია, პროვოკატორი თუ ორივე ერთად?!. მხოლოდ იდიოტი კი არა, მანიაკიცო.

შეჩერდებოდა იმ მოსაზრებაზე, რომ დაინტერესებული ორგანოები იდიოტების სამსახურს არ უკადრისობენ, ოღონდ... რისთვის სჭირდებოდა უშიშროების სამსახურს ხრუშჩოვის მკვლელობის იმიტირება, ამასთან, რა მასშტაბები ჩაეფიქრებინათ — მხოლოდ იაგორ კარგარეთელის პროვოცირება თუ ქართველთა დეპორტაციის განზრახვაც ამოეფარებინათ ამ წამოწყებისათვის?!.

გავიდოდა ხანი და... გორას უწყება უნდა მიეღო უშიშროებიდან, რომელიც ძველს აღარ ჰგავდა, ბევრი რამ გამოცვლილიყო და ხრუშჩოვის ჩეკისტებსაც რქები დაბლაგვებოდათ.

იქ მისულს ჰკითხავდნენ: ამა და ამ საქმისა ხომ არაფერი იციო? და აყვანილთა გვარებსაც ჩამოუთვლიდნენ. ორს იცნობდა, მესამე იცოდა, როგორი კაციც იყო, მეოთხისა არა გაეგებოდა რა... და პელაძის წერილის, მასთან მწერლის ოჯახში შეხვედრისა და ბიბლიოთეკაში „გაბაასების“ ამბავსაც მოყვებოდა, და ეს იმიტომ, რომ:

— ჩავთვალე, რომ ჩეკისტებმა ყოველივე ეს პელაძისგანვე იცოდნენ... ბიჭოს! ეცოდინებოდათ, მაშ, როგორ იქნებოდა, როცა, ჩემი ღრმა რწმენით, პელაძე მათი უწყების დავალებით მოქმედებდა... სწორედ ამიტომ არ შეიძლებოდა დამალვა და, აკი, ისიც მოვახსენე, — იმთავითვე ვიცოდი, რომ თქვენი კაცია-მეთქი!

აბრეკ ბათომშვილს აქებს და გულუხვადაც აქებს მოგონებაში: ქართველი ებრაელი, უჭკვიანესი, უპატიოსნესი, პოლიტპატიმართა სამყაროსა და ციხე-ბანაკებში ფართოდ ცნობილი ადამიანი ამ თვისებების და გულადობის გამოო... და ვერ დაუჯერებია, რომ პელაძისთანა ტუტუცებთან რაიმე და, მითუმეტეს, ასეთ საქმეში გაეყო თავი.

არც ოთარ მექვაბიშვილის მიმართ დაიშურებდა საქებარ ეპითეტებს: თბილისში ცნობილი, რამდენჯერმე ნაჯდომი, ღირსეული და მოქეიფე კაციო.

ჩეკისტები რაღაცას იჩურჩულებდნენ და განუცხადებდნენ: პელაძე პირდაპირ თანამონაწილედ გასახელებსო.

ეს დაპირისპირებას მოითხოვდა.

ერთი კვირის თავზე ინსტიტუტის სპეცნაწილის მეშვეობით დაუნიშნავდნენ „პაემანს“. საგამოძიებო სამმართველოს უფროსის კაბინეტში შეიყვანდნენ, სადაც გარდა უფროსისა, დახვდებოდა კიდევ რამდენიმე ქართველი ჩეკისტი, პროკურორი და ერთიც მოსკოველი ჩინოსანი ბაშმაკოვი, კაბლუკოვი თუ ბოტინკინი — სწორი გვარი არ დაახსომდებოდა.

პელაძეს რომ შემოიყვანდნენ, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილს, მთხრობელი გვამცნობს: თავი ისე ეჭირა, როგორც უნდა სჭეროდა: შინაურივითო!..

იმას რომ ჰკითხავდნენ, რა დამოკიდებულება გაქვს ამ კაცთანო, — და ის რომ მიუგებდათ: გორა კარგარეთელია და ახლო მეგობრები ვიყავითო, — ეს ზეზე წამოიჭრებოდა და ქართულად უყვირებდა:

— შენი მეგობრები თუ პატრონები აგერ სხედან... მიუხედავად ამისა, ყასიდად მაინც მოგისჯიან და ციხეში მისვლა არ გინდა?!. შევუთვლი, კატასავით მიგახრჩონ, შე უბედურო, მათხოვარო და წუპაკო!..

და კაი სამსართულიანებსაც მიაყოლებდა.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ამფსონთა ვიწრო წრეში ატეხილიყოს ეს აყალმაყალი და გაწევა, ღვინისაგან შეხურებულ თანამეინახეთა შორის... არადა, პელაძემ განა რა თქვა ასეთი უკადრისი: ახლო მეგობრები ვიყავითო... და თუ სათაკილოდ მიგაჩნია მის მეგობრად შერაცხვა, უშიშროების სამმართველოს უფროსის კაბინეტი ცოტა არ იყოს შეუფერებელი ადგილია ასეთი რისხვისა და სამსართულიანების გადმოფრქვევისათვის, თანაც, ასე ხელის დადება ჩეკისტებზე: შენი მეგობრები თუ პატრონები აგერ სხედანო... ყასიდად მოგისჯიანო... ეს მუქარა კიდევ: შევუთვლი და კატასავით მიგახრჩობენო.

ნეტა მოგონებებს სჩვევია ამგვარი გაზვიადება თუ კალმის მოდუნების ბრალია?!. ძალიანაა აცდენილი ერთმანეთს გარემო და პერსონაჟები!..

თუმც... მერამდენედ უნდა ჩავეჭრა თხრობაში.

საცოდავ პელაძეს ფერი რომ წაუვიდოდა, გორას არ უკვირს: მაშინდელი ჩემი მუქარა განაჩენის ტოლფასი იყო — ასეთი სახელი მქონდა ციხეშიც და კარშიცო.

და თურმე ისიც მოეხსენებოდა პელაძეს, რომ ორთაჭალის ციხის ორმოცდამესამე საკანში გორას სახელობის საწოლი იყო, და კიდევ ისიც, ციხეებში ცილისმწამებელთათვის განაჩენის აღსრულების „ხელსაწყოს“ რაც წარმოადგენდა... და ხელებით იმ პირსახოცის ყელზე მოჭერის იმიტაციას გააკეთებდა იაგორ კარგარეთელი და მაშინღა დაჯდებოდა.

ჩეკისტები ამის ლანძღვას რომ მორჩებოდნენ, პელაძეს მიუბრუნდებოდნენ: ილაპარაკეთო!

იმას ძალზე შეაშინებდა გორას მუქარა (მოგონებაში რბილად არის ჩამოყალიბებული ეს განწყობილება: „უთუოდ სრულად გაიცნობიერა, რაც მოელოდაო“) და საზეიმოდ განაცხადებდა:

— ჩვენი საქმე ამის გაცემული მეგონა და რაც კარგარეთელის მიმართ ნაჩვენები მაქვს, ყველაფერზე უარს ვამბობ!..

ეს ისევ შეუტევდა:

— რა ვიცოდი, რა უნდა გამეცა?!

ეს შეხლა-შემოხლა ჩეკისტებში დაბნეულობას რომ გამოიწვევდა, მცირე ხნის შემდეგ რუსი ჰკითხავდა პელაძეს:

— ადასტურებთ, რომ ამან თქვენი განზრახვისა არაფერი იცოდა?

— არაფერი იცოდა.

— ან გვითხარი ეს კაცი რატომ გაიმეტე, ან ჩვენება დაადასტურე! — ჩააცივდებოდა რუსი.

არ დაადასტურებდა.

თხრობისას ერთადერთი სიტყვა ჩნდება კინოკადრივით — ცალკე აბზაცად გამოყოფილი:

„პირსახოცი!!!“

ამ მუქარისა და ხელებით იმიტაციის შემდეგ რაღას დაადასტურებდა.

თუმცა... მოვეშვა რა ამ რეპლიკებს.

იქ კი ერთი თვის თავზე სასამართლო რომ შედგებოდა, მოწმედ გორასაც გამოიძახებდნენ. გაიმეორებდა, რაც ნათქვამი ჰქონდა, და დაჯდებოდა. მოისმენდა სხვა მოწმეთა ჩვენებებსაც, მათი, ვისთანაც პელაძეს გაემჟღავნებინა, რასაც აპირებდნენ.

ოთარ მექვაბიშვილს დახვრეტას რომ მიუსჯიდნენ, მოგონებაში ასეა აღნიშნული: პელაძე ადებდა ხელს — ჯგუფი მაგან ჩამოაყალიბა და ბომბიც მას უნდა ესროლაო!..

თვითონ პელაძეს 15 წელს რომ გამოუტანდნენ:

— ორი თუ სამი წელიწადი იჯდა (ვფიქრობ, იმისთვის, რომ პირვანდელ ჩვენებებზე უარი თქვა). მერე „ჰკრეს კუკუ“ და გამოაგდეს.

აბრეკ ბათოშვილს 10 წელს რომ არგუნებდნენ, ეს იმიტომ, რომ როგორც გამოძიებით დასტურდებოდა, მან მხოლოდ იცოდა პელაძისა და მექვაბიშვილის განზრახვა, და აზრი ჰქონდა გამოთქმული, რომ საქართველოში ამ ტერორისტული აქტის განხორციელება ქართველების გადასახლებას გამოიწვევდა, და ამის შემდეგ არც ერთს გაჰკარებოდა და არც მეორეს.

— და მაინც ათი წელიწადი პირწმინდად მოახდევინეს.

სტუდენტი ბომბს არ გააკეთებდა, ან გააკეთებდა და:

— თავად აცნობა სადაც ჯერ არს პელაძის განზრახვა, თორემ მას ოთხი და აბრეკ ბათოშვილს — ათი, რამდენადმე გაუგებარია!..

ოთარ მექვაბიშვილი დახვრეტას რომ გადაურჩებოდა, დედამისს ნიკიტა ხრუშჩოვის ყურადღების მიქცევა და შეწყალების თხოვნა იმით მოუხერხებია, რომ... მის მანქანას დაუწვებოდა წინ.

მექვაბიშვილისა და ბათოშვილის პატიმრობა დასრულდებოდა მაშინ, როდესაც ხრუშჩოვსაც „ჰკრავდნენ კუკუს“. აბრეკ ბათოშვილი შემდგომ ისრაელში გაემგზავრებოდა.

სტუდენტის ასავალ-დასავალისას გორა ვერაფერს შეიტყობდა.

ალიკო პელაძეს მხოლოდ შორიდან მოჰკრავდა თვალს:

— საითღაც მიყიალებდა.

აქ იკვროდა კომპოზიციური ქარგა ამ ნოველისა, რომელიც ჭაბუა ამირეჯიბს, მისი განცხადებით, ამ მოტივით არ შეეტანა „გორა მბორგალში“: ალეკო მელაძე ყოფილი პარლამენტის ყოფილი წევრია („დეპუტატის სავარძელში თავისი საბჭოელი პატრონების მოცადეობით ჩაბრძანდა“) და ლაფში პირქვე ჩამხობილის ჩაწიხლვა არ ვიკადრეო.

ახლა რა შეცვლილიყო, რომანის ამ ფრაგმენტს ცალკე რომ აქვეყნებდა?

— ქალაქში დადის, ნაცნობებთან ტრაბახობს, — „სამრეკლო“ წაიკითხეთ, ნახეთ, ჭაბუა ამირეჯიბზე როგორი მაკომპრომეტირებელი მასალა აღმოვაჩინეო. არ მოისვენა, ლაფიდან ამოიღმუვლა და რახან ასეა — ინებეთ, ბატონებო!

„შეგზავნილი დეპუტატის“ ალბერტ მელაძის საპარლამენტო „მოღვაწეობა“ კი იმით ამოიწურებოდა, რომ ერთადერთხელ მიეცემოდა პარლამენტის ტრიბუნაზე ასვლის შემთხვევა, სათქმელს დაიწყებდა კიდეც, მაგრამ... პრეზიდენტი უმალ შეაწყვეტინებდა: მანდ ვინ აგიშვა, ჩადი, დაჯექი, შენ მაგეებისა არაფერი გაგეგებაო!..

ჰოი, რა ნეტარებით იხსენებდა იმ წუთებს ჭაბუა ამირეჯიბი და დოკუმენტური ნოველის ბოლოთქმაშიც ხელიდან რას გაუშვებდა, ეს წუთები ფურცელზე არ აღებეჭდა და თავისი აღტაცება მკითხველისთვისაც არ გაეზიარებინა.

არაფერი მოსწონდა ზვიად გამსახურდიასი, არცერთი მისი სიტყვა და არცერთი მისი ნაბიჯი, მაგრამ ეს კი, ეს წამიერი გაელვება ისე აღაფრთოვანებდა, ლამის ყველაფერი ეპატიებინა, რაც რამ საწყენი დარჩენოდა მისგან.

ჰოი, რაოდენ შთამბეჭდავი სურათი გახლდათ — მისი გონების თვალთა წინაშე გაუხუნრად მოკიაფე, პრეზიდენტი ტრიბუნიდან რომ ჩამოაგდებდა ალეკო მელაძეს.

ლამის ეპატიებინა, თორემ მართლა კი ვერ მოერეოდა თავს...

და თუნდ ამავე ბოლოთქმაში სამხედრო გადატრიალებასა და კანონიერი ხელისუფლების დამხობას სარკასტული მზერით რომ გახედავდა: პრეზიდენტი „სივლტოლად მიდრკებოდაო“, — გაიხსენებდა, მანამდე თვე-ნახევრით თუ ორი თვით ადრე როგორ ეახლებოდა შინ ენვერ ნიჟარაძე („იმჟამად მთავრობის დერეფნებში „გასული“ პოეტი, ახლა „სამრეკლოს“ რედკოლეგიის წევრი“) და ეტყოდა:

— პრეზიდენტი გიბარებს, უნდა წამომყვე.

ეს მოთხოვნა „აყვანას“ ჰგავდაო, — ამ სტრიქონებს მიადევნებდა იმ წუთების მოგონებას ჭაბუა ამირეჯიბი, — მაგრამ არა უშიშროების, არამედ მგოსნის მეშვეობით. სიცხე მქონდა, ვიწექი, — სიმხდალეში არ ჩამომერთვას-მეთქი, წავყევიო.

— ჩემსა და პრეზიდენტს შორის როგორი დამოკიდებულებაც იყო ჯერ კიდევ მის გაპრეზიდენტებამდე და მერეც, ქვეყანამ იცის. მის „წყობილებას“ ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ვებრძოდი. ასეთ ვითარებაში მასთან შეხვედრას რომ სხვადასხვაგვარი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა, ცხადი იყო, მით უმეტეს, რომ პირად, დაუძინებელ მტრად მთვლიდა, რაც არაერთხელ საჯაროდაც განუცხადებია.

„პირად, დაუძინებელ მტრად მთვლიდაო“, ისე ამბობს, აშკარად გამოსჭვივის გაკვირვება: ნეტა რატომ და რისთვის, სადაური მტერი მე ვიყავიო, — თითქოს იქვე თავმომწონედ არ აცხადებდეს: მის „წყობილებას“ ქართველ ინტელიგენციასთან ერთად ვებრძოდიო.

თუმც, კაცმა რომ თქვას, ეს ხომ ასეა: შენ თუ ებრძვი, ეს მტრობად არ ჩაითვლება, მაგრამ ის თუ გებრძვის... ოოო, ეს უკვე მტრობაა და თანაც გავეშებული, რასაც სხვადასხვაგვარი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს.

— თქვენ ინტელიგენციის ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი ბრძანდებით, მაგრამ სწორედ ინტელიგენციის გარემოში გყავთ ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე. თქვენი აზრით, რა არის წინააღმდეგობათა თავი და თავი? — დაინტერესდებოდა რუსული გაზეთის „არგუმენტი ი ფაქტი“ კორესპონდენტი, პასუხად კი ზვიად გამსახურდია შეაგებებდა: აი, კვლავ დეზინფორმაცია, რომელსაც ცენტრი ავრცელებს ჩვენი ადგილობრივი მოღალატეების მეშვეობითო.

— არავითარი ინტელიგენცია არ მებრძვის! — მტკიცედ განუცხადებდა და დასძენდა:

— არიან ცალკეული ინტელიგენტები, რომლებსაც პოლიტიკაში ხელი მოეცარათ. მათ მთავრობასა და პარლამენტში მოხვედრა ეწადათ, მაგრამ ხალხმა ისინი არ აირჩია. განა ეს ჩემი ბრალია? ახლა ისინი გაბოროტდნენ, დღე და ღამ ცილს სწამებენ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხელისუფლებას, იყენებენ სხვადასხვა „ხმებს“. აი, ის რამდენიმე ინტელიგენტი, რომლებიც შეიძლება დავასახელო: ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ჭაბუა ამირეჯიბი და ა.შ. ხალხი მათ არ ენდობა, ისინი მუშაობდნენ კომუნისტური რეჟიმის დროს, ჰქონდათ პრივილეგიები, თუ რისთვის — ესეც ცნობილია, ამიტომ ისინი ხალხს არ უყვარს. ახლა მთელი თავიანთი ღვარძლი ჩემზე გადმოანთხიეს, თითქოს მე ვიყო მათი ხელმოცარულობის მიზეზი.

მისი „წყობილებაო“...

ასე წინწკლებით იმოსებოდა და მისი შემუსვრაც სავსებით გამართლებულად ცხადდებოდა, რასაც სხვაგვარად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ახალმოგებული სახელმწიფოსათვის ეროვნული საფუძვლების შექმნა ჰქვია.

თუმც... ვისთვის როგორ!..

მაშინ კი, პრეზიდენტის კაბინეტში რომ შეიყვანდნენ, ის არც აციებდა, არც აცხელებდა, თაბახის ფურცელს დაუდებდა და ეტყოდა:

— წაიკითხეთ და იცოდეთ, თავს თუ არ დამანებებთ, ამას გამოვაქვეყნებ!

წავიკითხე და ძალიან გამიკვირდაო, — გვამცნობს „გორა მბორგალის“ ავტორი, — რადგან საქმე ეხებოდა ხრუშჩოვზე განზრახული ტერორისტული აქტის გაცემას და თითქოს ჩემი ხელით იყო დაწერილი!.. კარგად დავაკვირდი, ვიღაცის დედნის ქსეროასლი გახლდათ. რამდენჯერმე ჩავათვალიერე, უდავო, ცუდი ნაყალბევი იყო და მოვახსენე კიდეც, — ყალბისმქნელობა პრეზიდენტს არ უნდა ეკადრებოდეს. გამოაქვეყნეთ. ჩემს წინაპრებს ათასი წლის მანძილზე თავისი მრწამსიდან ფეხი არ მოუცვლიათ და მათ სახელს ვერც მე მოვაყივნებ-მეთქიო!..

უნებურად ნუ წამოგაგონდებათ ის პასაჟი „კვაჭი კვაჭანტირაძედან“, მიხეილ ჯავახიშვილი სამხედრო სამართლის წინაშე წარმდგარი გმირის მიმოწყდომას რომ წარმოგვისახავს, როდესაც ოქმს წაუკითხავენ და ურჩევენ: დანაშაულში გამოტყდითო.

— არასოდეს!.. — მკვახედ უპასუხებდათ კვაჭი.

— აქედან რომ სტოკჰოლმში ჩახვედით, ვინ დაგიხვდათ სადგურზე?

— არავინ.

— ვისგან მიიღეთ მეორე დღეს ჩეკი №137429 ერთი მილიონი კრონის?

— არავისგან.

და ჩეკის ფოტოგრაფიულ სურათს რომ წარუდგენდნენ წარწერით: „მივიღე. თავადი კვაჭანტირაძე“ — ის აილეწებოდა, მაგრამ მაინც თამამად მიახლიდათ:

— ყალბია!

ამჯერად ნუ გამოვედევნებით ამგვარ ასოციაციებს, თორემ ძალიან შორს წაგვიყვანს.

კიდევ მარწმუნა, მუქარებსაც მიმართაო, — გრძელდება თხრობა, უეცრად მთხრობელის პანიკური შიში რომ იჩენს თავს: ჩემი ჩანაფიქრი ის იყო, იქიდან როგორმე ცოცხალი გავსულიყავიო...

ზვიად გამსახურდიასთან თუნდ ცხარე საუბარი რატომ წყვეტდა მის სიკვდილ-სიცოცხლეს?

ისედაც პანიკური შიშის დრამატიზება და ასეთი?!.

არადა, მთხრობელს მიაჩნია, რომ სავსებით დამაჯერებელ არგუმენტს მოიხმობს შიშის საფუძვლიანობის ნათელსაყოფად:

— მაშინ პრეზიდენტი თავის აღსასრულს უკვე გრძნობდა, იქნება მტრებთან ანგარიშის გასწორება ედო გულში, მოქნილობა იყო საჭირო და, „ცოდვა გამხელილი სჯობს“, ლაპარაკი ასეთი ფრაზით დავამთავრე, — აი, ბატონო, შენ შენთვის, მე ჩემთვის-მეთქი.

წამოვიდოდა და... გაზეთ „დრონში“ გამოაქვეყნებდა სტატიას, რომელშიც ნგრევასა და შენებაზე იყო მსჯელობა და:

— არც პრეზიდენტს დავაკელი „მნგრეველის“ ტალანტი, მაგრამ პრეზიდენტიც არ აღმოჩნდა „ნაკლები ბიჭი“, ნაყალბევი თავის რომელიღაცა გაზეთში გამოაქვეყნა. ვინც წაიკითხა, არ დაიჯერა და სიყალბეზე პასუხი არ გამიცია. აი, ეს პუბლიკაცია „აღმოაჩინა“, როგორც თავად ტრაბახობს, ალბერტ მელაძემ და გადასცა „სამრეკლოს“. თავი მოვალედ ჩავთვალე ამ ამოღმუვლებისათვის პასუხი გამეცა. ეს არის და ეს.

იმასაც შეახსენებს მკითხველს, რომელსაც, მისი აზრით, მოეხსენებოდა ან სმენოდა, „დათა თუთაშხიას“ გამოქვეყნებისთანავე:

— როგორი დევნა განვიცადე პრეზიდენტისა და მისი გუნდის მხრიდან.

„მისი გუნდი“ ჰელსინკის ჯგუფს გულისხმობს, მერაბ კოსტავასთან ერთად იმ ვიქტორ რცხილაძესაც, ვინც გადაუდგებოდა თავის ოდინდელ თანამზრახველს და მწვავედ დაუპირისპირდებოდა... მის სახელს — დამხობისა და განდევნის, მოკვლისა და ოფიციალური თრევა-განქიქების ჟამს, ედუარდ შევარდნაძისა და იმავე ჭაბუა ამირეჯიბის გვერდით რომ აღმოჩნდებოდა, და ახალი ხელისუფალი ეროვნულ მოძრაობას „პროვინციული ფაშიზმის“ სახელით რომ მოიხსენიებდა, პირველნათლიობას ეს დაიჩემებდა და საქვეყნოდაც განაცხადებდა: მე მივაგენი ამ განსაზღვრებას ზვიადის პრეზიდენტობის ჟამსვე, მაგრამ შიშით ვერ ვამხელდი, მისი ხუნვეიბინები, ვინ იცის, რას დამმართებდნენო.

„სამრეკლოს“ რატომღა გამოედო თავი?

ჭაბუა ამირეჯიბი ირწმუნება: პრეზიდენტყოფილის „წყობილების ამ ნამუსრევმა“ „გორა მბორგალის“ გამოქვეყნება არ მაპატიაო.

თვითონ არანაკლები მხატვრული ძალის რომანად მიიჩნევდა და სჯეროდა, რომ მისი შექმნით გაგულისებული ადამიანები გამონთობოდნენ, და რომ არა ედუარდ შევარდნაძის თანადგომა, ვაითუ ავტორისათვის ისე გაეტეხათ სახელი, მკითხველი დაეკარგვინებინათ.

თუმც... ედუარდ შევარდნაძის მფარველი კალთა არც „დათა თუთაშხიას“ მოკლებოდა.

თორემ აგერ ბატონი ჭაბუას ის სიტყვები უჩა შერაზადიშვილთან საუბრისას „ადამიანის ცხოვრება ერთი დიდი წიგნია“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2009, 12 ივნისი):

— გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ „დათა თუთაშხია“ ჯანსუღ ჩარკვიანმა და ედუარდ შევარდნაძემ მიუტანეს ქართველ და არაქართველ მკითხველს.

ახლა „გორა მბორგალს“ უნდა გაეკაფა გზა ამ მფარველი კალთის ქვეშ.

„შავი ბუღის ღმუილის“ ბოლოთქმა ამიტომაც მთავრდებოდა ჰეპი-ენდით:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, რაიმე ახალ გამოხდომაზე პასუხს ნუღარავინ ელის, ნასუფრალს არ გეახლებით!

მაშინ კი, ზვიად გამსახურდიას რომ უკიჟინებდნენ: გადადექი, გადადექიო! — ჭაბუა ამირეჯიბიც შეაწევდათ ხმას, ამ მოტივსა და მოთხოვნაზე რომ ააგებდა პუბლიცისტურ სტატიას „საით მიგვაქანებთ, ბატონო პრეზიდენტო?!“ — რათა „ქვეყანა შიმშილის, რეპრესიების, ძალადობისა და სამოქალაქო ომის სისხლში არ დაძირულიყო“, და საამისოდ იშველიებდა ოპოზიციის მოსაზრებებს, უფრო კი ბრალდებებს:

იმის მაგივრად, რომ დემოკრატიული რეფორმები — სახალხო მეურნეობის პრივატიზაცია ჩაატაროს, გადაწყვიტა, შეაბას საქართველო ახალი ეკონომიკური ექსპერიმენტის — „სახელმწიფო კაპიტალიზმის მშენებლობის“ — უღელში და ამით შეინარჩუნოს საკუთარი დიქტატურაო.

მიითვისა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ხალხისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მოპოვებული პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებით სარგებლობის მოქალაქეობრივი უფლებები, რადგან არის შესაძლებლობა, რომ ეს უფლება პრეზიდენტის კრიტიკისათვის იქნება გამოყენებულიო.

ახდილად მოუწოდებს მომხრეებს, ამოჟლიტონ მისი მოწინააღმდეგეებიო.

პრეზიდენტი ღირსეულად ვერ ატარებს პოპულარობისა და ძალაუფლების ტვირთსო.

დიპლომატიური მოსაზრებით ამასაც დასძენდა: ვითვალისწინებთ თქვენს პირად დამსახურებას ჩვენი სამშობლოს წინაშე, შეგნებული გვაქვს იმ ტვირთის სიმძიმე, რაც თქვენ მრავალი წლის მანძილზე ატარეთ ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში და თქვენს გულწრფელ სურვილს, მიიყვანოთ დაწყებული ისტორიული საქმე ბოლომდეო, — მაგრამ... ურჩევდა, რომ ანგარიში გაეწია

„დღევანდელი მძიმე დღეების“ მოთხოვნებისათვის, გამოეჩინა კეთილგონიერება და მამულის ინტერესებისათვის მსხვერპლზე წასვლის უნარი და... ჩამოსცილებოდა სახელმწიფოს მმართველობას.

მათი საჯარო შებმა ერთხელ კიდევ მაშინ მოხდებოდა, ზვიად გამსახურდია ინტელიგენციის წარმომადგენლებს რომ შეხვდებოდა მთავრობის სხდომათა დარბაზში.

— როგორც ხედავთ, მე ხელში არავითარი ჩანაწერი არა მაქვს, არ მოვმზადებულვარ, არ ვაპირებდი გამოსვლასო, — მღელვარედ რომ წამოიჭრებოდა, ამ ფრაზით დაიწყებდა თავის სიტყვას ჭაბუა ამირეჯიბი, — ჩემი აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ არც ჭანტურიაზე, არც წერეთელზე, არც ვინმე სხვაზე იმდენი სადევნელი და განმაქიქებელი მასალა არ გამოქვეყნებულა და არ თქმულა, რამდენიც ჩემზე და დღეს ისევ გამომწვევად ახსენა ჭაბუა ბატონმა პრეზიდენტმაო.

რატომ უნდა დაეწამებინა მისთვის ცილი პრეზიდენტს, თითქოს ვიღაც უცხოელი კორესპონდენტებისა თუ ბეჭდვითი ორგანოებისათვის მიეცეს ჩვენი წყობილების განმაქიქებელი მასალა?

განა რა მოხდა, თუ მერაბ მამარდაშვილის გარდაცვალებას მკვლელობა უწოდა და ამტკიცებდა: მასთან მივიდნენ ვიღაც ნაძირლები, აუშალეს ნერვები, კაცს ჰქონდა სუსტი, ავადმყოფი გული, ვერ გაუძლო და გარდაიცვალაო?

აინტერესებს საზოგადოებას, როდის დაიწყო უთანხმოება ჭაბუა ამირეჯიბსა და ზვიად გამსახურდიას შორის?

— როცა მან დამწამა, რომ მე კაცი მყავს გაცემული. მე ვუთხარი: შენ ამას ან დაამტკიცებ, ან თავს მოგჭრი-მეთქი. მე ვისთვის მომიჭრია თავი, რომ მართლა მაგაზე გამეწია... მაგ საქმეზე. ეს იყო სიტყვის მასალა.

— რა ხნის ამბავი მოიგონეთ? — მიაძახებდა პრეზიდენტი.

— დიახ, იმ ხნის ამბავს ვიხსენებ, როდესაც თქვენ ოცდაერთი საუკეთესო, ბრწყინვალე ინტელიგენტი ქართველი სუკ-ის აგენტად გამოაცხადეთ, — არ შეეპუებოდა ორატორი, — ეს იმ დღეს იყო. კენჭოშვილის სახლში. არ გეკადრებათ, არც მაშინ და არც დღეს გეკადრებათ თქვენ ვიღაც ინტელიგენტების... თუ მე არ მთვლით ინტელიგენტად, ჩემისთანა კაცების დევნა.

„დევნას“ უწოდებდა ირაკლი გოცირიძის მიერ იმ „განცხადების“ გამოქვეყნებას, ვასილ მჟავანაძისადმი წარდგენილის, თვითონ მას კი, „იბერია-სპექტრის“ რედაქტორს, „ხელის გოშიას“ უწოდებდა და კიდევ უფრო ცხარედაც დაატანდა: ნებისმიერ მომენტში შემიძლია დავამტკიცო, რომ ქურდი და ბაცაცაა და ამისთვის გავაგდე სტუდიიდანო.

— ჩვენი გაზეთი არ არის! — ახლა ამას მიაძახებდა პრეზიდენტი.

— თქვენია, თქვენი! თქვენი ორგანოა ის, — კვლავაც თავისაზე დადგებოდა ჭაბუა ამირეჯიბი, — ირაკლი, ირაკლი!.. ის წერს, რომ მე ორჯერ ვიჯექი თურმე არა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისთვის, არამედ ორივეჯერ სისხლის სამართლის დანაშაულისთვის. ვეთანხმები იმდენად, რამდენადაც, რაც ორჯონიკიძემ აქ რუსები მოიყვანა, მას შემდეგ პოლიტიკური დანაშაულობების კოდექსი არ ყოფილა და ყველა, ვინც ვიყავით გასამართლებული, მათ შორის ბატონი პრეზიდენტიც, სისხლის სამართლის კოდექსით ვიყავით გასამართლებული.

სამი კაცი დაეხვრიტათ ამ თანამზრახველთაგან, რომელთა საქმესაც დაერქმეოდა კონტრრევოლუციურ-მეამბოხე ორგანიზაცია.

ორისათვის — ჭაბუასა და პავლე ხარანაულისათვის — 25 წელი მიესაჯათ.

გოგი მაჭავარიანისა და კიდევ სხვებისათვის — სხვა ვადები.

როცა ტრიბუნალის თავმჯდომარემ მკითხა: რომ გაგათავისუფლოთ, რას იზამო, რაც მიქნია, იმას ვიზამ, რაც ჩემს მამა-პაპას უქნია, იმას ვიზამ-მეთქი, ეს იყო ჩემი პასუხიო, — თავს გამოიდებდა ორატორი და დასძენდა: ათი ათასი მანეთი მაქვს გამოცხადებული ოფიციალურად იმისთვის, ვინც აღმოაჩენს ჩემ მიერ საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ ნათქვამ ერთ ფრაზასო...

და კვლავ პრეზიდენტს მიუტრიალდებოდა:

— განა თქვენ არ იყავით, რომ დადიოდით და ეძებდით ჩემზე კომპრომასალებს?!. ის ხალხიც ცოცხალია, არ მინდა ამდენ ხალხში ვთქვა, რა დღე დაგადგათ.

— პირად ანგარიშსწორებას თავი დაანებეთ, — კვლავ ჩაერეოდა ზვიად გამსახურდია, — დღევანდელზე ილაპარაკეთ...

— რომელი ერთი ვილაპარაკო, რომელი ერთი?! — მრისხანებდა ჭაბუა ამირეჯიბი, — თქვენი გამოსვლა მიტინგზე, ყალბი ბარათის ამოღება, რომელშიც წერია: „ბატონო ზვიად, მართალია, რომ „დათა თუთაშხია“ დაწერილია ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ან სხვა ავტორის მიერ?“

— მართალია, იყო, — ამჯერად ეთანხმებოდა პრეზიდენტი.

— პასუხობთ: რა თქმა უნდა, ეს არ არის ბატონი კონსტანტინეს დაწერილი, მაგრამ ეს საქმე შესწავლას მოითხოვს!.. რით ვერ შეისწავლეთ, ჭორიკნებო! სამოცდაათ წელს წიგნი გამოვეცი, ოცი წელიწადია ჭორაობთ. მოდით ჩემთან... მე ხომ არ შემიძლია გამოვიტანო და გამოფენა მოვაწყო... ერთი ტომარა ხელნაწერები ნახეთ და ჩაიწყვიტეთ ეგ ხმა. მაგრამ თქვენ გჭირდებათ ჩემი კომპრომეტაცია. რისთვის? რისთვის გჭირდებათ?..

რაო, რა შეარქვა ზვიად გამსახურდიამ — პოლიტიკური ცხედარი?

არც ამ ეპითეტს დატოვებდა უპასუხოდ:

— მე თქვენზე მეტი პოლიტიკური ცხედარი არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები! მე მუდამ ვიყავი დისიდენტი. მე მზად ვარ ყველაფერი ავიტანო, რასაც ჩემი ჯანი ეყოფა. მე ციხეში წასვლის არ მეშინია, მე იქ ზოგივით კრუხად არ ვმჯდარვარ, ის ჩემი სახლია. ბრალი იმისა, ვინც... ეგრე მჯდარა.

„ორი სექტემბერიო!“ — წასძახებდა იმ თარიღს, ხელზე რომ დაეხვია ოპოზიციას და რუსული გამოცემები თუ ტელევიზია დაუსრულებლად ატრიალებდა, როგორც გადამწყვეტ დღეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გარდუვალი დამხობის პროცესში — დასასრულის დასაწყისს... და ყოველივე იქით რომ მიექანებოდა, ესეც თამამად და ნიშნისმოგებით განუცხადებდა:

— არაფერი გიშველით, ბატონო პრეზიდენტო!..

თავის თავზე კი ეტყოდა: მე ვარ მწერალი და მაქვს უფლება, ვიქონიო ჩემი შეხედულება ყველა საკითხზე, რომელიც ჩემს ერს, ჩემს ლიტერატურას, ჩვენს ხელოვნებას და საერთოდ მთელ კაცობრიობას ეხებაო.

და კიდევ ერთი შეხლა-შემოხლა რომ მოუწევდა პრეზიდენტთან, ვის რეპლიკებსაც თავის ჩანაწერში მოიხსენიებდა „ყვირილად“, „მუქარად“, „ნერვიულ შეძახილებად“, ამ სიტყვას დააგდებდა:

— თუ გგონიათ, რომ თქვენი მეშინია, ძალიან გცდებათ... ძალიან გცდებათ! არ მეშინია თქვენი ისევე, როგორც კომუნისტებისა და ჩეკისტებისა არ მშინებია... არ მეშინია!.. შეგიძლიათ მლანძღოთ რამდენიც გნებავთ და ეგ არ მომეკარება. მე სუფთა კაცი ვარ!..

კარს გამოაღღერთებდა და გამოვარდებოდა სახეალეწილი, სულ უფრო რომ გაიშლებოდა მხრებში დიდად კმაყოფილი თავისი იმ საჯარო გამოსვლით: მივაგე მისაგებელიო...

* * *

ვისაც თვალნი ასხდა ხედვად, ხედავდა, როგორ ინასკვებოდა ზვიად გამსახურდიას ყელზე შავი მარყუჟი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შოთა ბოსტანაშვილი

აქეთქება (ლექსი და ლექსიკონი)

(ანბანად აფეთქებული სიტყვა და ანბანთქება)

თავდაპირველად დიდი აფეთქება ენაში მოხდა და მერე... სიტყვის სიმაგრეთა გ/ასაღებად თუ გ/ასაგებად იმართე— ბოდა დიდი ომები (იდიომებიც მაშინ მოშენდნენ), ასი ასო ასე შეერია თავისი ხანდაზმული წინაპრების“ ყოფიერების სახლს”. რაც გადარჩა ამ ბრძოლებში, ეს ჩვენი ანბანია — დედაენა და მასმედია — მესამედია “იმ” ასეულის. მათ ეძღვნებათ ეს ანბანთქება. ეჰე, აქეთ(კენ)ქება, ეჰე, (შე)აქეთქება — ა(ქ,ფ)ეთქება
P.S. გარდა ამისა, 33-მა ახალმა სიტყვამ (ჰიბრიდმა) განაცხადა ენაში სამსახურის სურვილი (იხ. ლექსიკონი). ეს არის და ეს.

წადი, ენაში
გარდაიცვალე!
ხო, ასე
მელაპარაკა და მითხრა:
— ***აბაბაი,***[1]
წადი წადილით!
იმ დილით, მაშინ...
(მაშინებს ხოლმე ეს გახსენება)
მაშინ იყო რო
ხელი მიქნია.
— ***ადადაი!***[2] —
წამომცდა და
ცდაც არ მიქნია,
თავი ვაქნიე,
პირი იქით ვქენ და
ღრმად ჩაგისუნთქე...

***
შენ დიდი ხნის წინ გარდაიცვალე,
ძალიან ახალგაზრდა...
აფეთქდი და დაიფლითე,
ასო-ასო დანაწევრდი,
დაქუცმაცდი — გახშირდი,
განახშირდი,
დაიფერფლე და მიმოიფანტე...
და იყო..,
როცა გამომიყვანე
შენს უდაბნოში...
და ახლა უკვე...
ჩემს უდაბნოში ცივა და
ცვივა
შენი სხეული მანანასავით...
აი, იჭმევა;
აი, ისმევა;
აი, ის მე ვარ...
მე ვარ ანბანი.
ის შენ ხარ —
ფერფლიდან აღმდგარი.
და ახლა სახლად,
სახელად მახლავს
შენი ეული სხეული.
მე შენ ვარ,
შენ ვარ..,
შენ — მევე...
შენ ხარ ვენახი,



მე მევენახე
 და მერე ვნახე,
 რო მე შენით ვარ — შ /ენით.
ჩვენ დავამარცხეთ ტიტანები,
დავუტატანეთ და გადავრეკეთ...
ანები გავტოტეთ, გავშალეთ,
 ხანები გავტუტეთ,
გავტრუნეთ, დავშალეთ და გავუტიეთ...
მეტნი ვიყავით და ესღა დავრჩით —
ოცდაცამეტნი,
ან უფრო სწორად ოცდაცამეტის..,
 როცა გ/ავედი...
და ახლა ვხვდები:
წერაში გხვდები,
ბედისწერაში და ლაპარაკში.
ის შენ ხარ,
შენ ხარ გრაფიტად ქცეული,
გრაფემებში ჩაღვრილი სხეული,
რო იგრიხები,
რო იკლაკნები,
რო იხლაკნები,
აღდგომა რო გინდა...
რაღას არ ლამობ,
რა არ გიხდება,
რად არ იქეცი...

ხანმეტური ლაპარაკი

ოცდაცამეტი სც/ენა

ხანანი, ხანბანი და ა.შ. — სიმულაკრების ნაკრები
1. ხან *ანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანანს, ხანი* შეუკ(ვ)ეცე,
წ(ყ)ლები დაუსაზღვრე, ჟამკარი[3] გააღე...
გავხარდი, გამოვანათე...
(ჩემი დროვაცია [4] — დრო ვაცია — ო, ვაცია!
ოვაცია, ტაში!..)
2. ხან *ბანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანბანს, ხანი* ჩამობანე;
ბანი მომეცი, — ბინაც, განმბანე, გამაანბანე...
ჟამთავი დავსახე, ***ჟამთავადი*** [5] მიწოდე.

(ოვაცია, ტაში!.)
3.ხან *განად* იქეცი,
იქ ეცი *ხანგანს, ხანი* დაუმოკლე...
განს განი მივეცი — გონი და გენი;
ენად ვიქეცი, ***დროზმა*** [6] დავადგინე.
(ტაში!..)
4. ხან *დონად* იქეცი,
იქ ეცი *ხანდონს, ხანი* დაადუნე, დაადუმე...
დონს უდონორე — ცეცხლი დაათხე, დაოთხე;
ოთხთავი შევკარი, ოთხო ვუთხარი, დავმოთხე;
ჟამთავცეცხლობა [7] მივიღე.
(ტაში!..)
5. ხან *ენად* იქეცი,
იქ ეცი *ხანენს, ხანი* დაუხუთე...
ხუთთავი შევკარი, კარი ჩამოვაბი;
ენით ავივსე, ***ჟამთაბუნი*** [8] ჩავიბარე.
(ტაში!..)
6. ხან *ვინად* იქეცი,
იქ ეცი *ხანვინს, ხანი* დაძალე...
ვინში დავივანე, ვინაკადე, ვინი ვაქე, ვინარუქე;

შესაქმე განვადროვე, ***დროდა***[9] გავმართე.
(ტაში!..).
7. ხან *ზენად* იქეცი — ზეენად,
იქ ეცი *ხანზენს*, *ხანი* შეუზღუდე...
ზენი შევსუარე, შევტკეცე — დავყავი ***ჟამთალიებად***;[10]
ჟამთვლა[11] შემოვიღე — დრო დავა(მ)შვიდე.
(ტაში!..).
ან ასე (*ზენი* იმსახურებს ვარიაციას):
იქ ეცი *ხანზენს*, *ხანი* დაზარე —
ზადი დასდე ზადენს...
ზენი ზენს — მღერის, ზილი ვუთხარი,
ზენი ვაზარიფე, ზენთან დავზავდი,
ზენს ვეზენარე, ზენში გავზავდი —
ქვედა ზენიდან ზედა ზენამდე.
(ტაში!..).
8. ხან *თანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანთანს*, *ხანი* დაუთენთე...
თან გავატანე ***ჟამთავსატეხი***[12],
ჟამთავფურცელი[13] გავიმეორე.
(ტაში!..).
9. ხან *ინად* იქეცი,
იქ ეცი *ხანინს*, *ხანობა* გაუუქმე...
უჰ, მეც ანცი ვარ ***ჟამთამაშებში***[14]— დავაშამათე,
ინის ინსტანცია განვაცხრე — გავაცხრაკარე,
გავაცხრამზევე, გავაცხრათვალე.
(ტაში!..).
10. ხან *კანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანკანს*, *ხანი* დაუკნინე...
დრონკანი[15] დაუყენე და ***ჟამთარეში***[16] მისი ალაგმე...
ალაგ მე ვარ ამის შემსწრე, ალაგ შენით გ/ამიგია.
(ტაში!..).
11. ხან *ლასად* იქეცი,
იქ ეცი *ლასხანს*, *ხანს* ლასო დაასე,
და ასე — გალასე, გაალასლასე...
“ლა...”, “სი...” ავიღე — სხვა ხმით ვხმიანობ,
ჟამ და ***ჟამთავსხმით***[17] — ***დრომახიანად.***[18]
(ტაში!..).
12.ხან *მანად* იქეცი,
იქ ეცი *მანხანს*, *ხანი* გააცალე,
ხან გაუხუნე, ხან გაუციდე...
ციდან მანა მაბნიე.., ციდან მანამ მაბნიე,
მანამ მომისურვილე,
ვიდრე გამამანდაურე, ანდა გამაურვილე.
(ტაში!..).
13. ხან *ნარად* იქეცი,
იქ ეცი *ნარხანს*, *ხანი* უთხარე, ნარი უხარე...
ხანს უთხარი უარი და ნარინის უნარით
ეცი და ფხეცის ნიღაბს ახევდი...
გავხევდი — გარდავისახე ***ჟამხედ...***[19]
შამხეთ!, ვშრიალებ ნარნარად.
(ტაში!..).
14. ხან *ონად* იქეცი,
იქ ეცი *ხანონს*, კანონი დაუდგინე,
ხანი დაუკუტე, დაუკეტე —
დრონინი[20] შეუწყვიტე — ***დრონავარობა...***[21]
დროთხეული[22] მოვიხელთე.
(ტაში!..).
15. ხან *პარად* იქეცი,
იქ ეცი *ხანპარს*, *ხანი* ძილში გააპარე...
გავაპე, გავაპიარე: ვიარე ***დროკრობოკროდ***[23] და
ვიარე ***ჟამდიდობამდე,***[24] სალამ-სალმობით ვიარე...
ენით ვირჩენ და ვიამებ გაანბანებულ იარებს.

(ტაში!...).

16. ხან *ჟანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანჟანს*, *ხანს* ჟამი მიუჩინე...
ხანჟამ უტიე, ხანჟამ ვუტიე,
ჟანრი ავურიე, ჟამნი განვავრცე.
(ტაში!..).
17. ხან *რაედ იქეცი* (ხან რად და ხან რად?!),
იქ ეცი *რაეხანს* (არ ვიცი რამდენ ხანს),
ცეცხლი გამოსტაცე, *ხანი* დაუბნელე...
რაეს გავერიე, ავენთე, გავაასე — გავავსე.
(ტაში!..).
18. ხან *სანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანსანს*, *ხანი* მოთხარე, მოჭერი,
ხან ასანსარე — ენა აურიე...
(აუ, რიე გამახსენდა —
დოქტორი, კამიუს მოთხრობილი "ჭირიდან" — რა შუაშია?).
(ტაში!...)
19. ხან *ტარად* იქეცი,
იქ ეცი *ხანტარს*, *ხანი* მოატეხე.
ხე-ტარი ვატარე.., ***ჟამტარი*** [25] აღვმართე (აქ უნდა შევყოვნდე).
...და იყო ერთხელ., ტარი აყვავდა და ასე დამქონდა, დამყავდა (დაც მყავდა...)
ტარი გამიცოცხლდა, გამიცოცდა, დავანაწილე, დავყავი, აღარ დავყავი —
არ დავაყოვნე, აღარ ვაყივნე, — ვივნე —ავიღე და მუცლად ვიღე, ტარად ვიქეცი —
ტარის იერი მივიღე...*ტარიერი* გავხადე, ვეფხი ჩავაცვი, ტირილი ჩავულაგე...
აგე!, ბაღი გავაღე, დავა(მ)შვიდე და დავემშვიდობე... ვატიალე, ვატრიალე,
დია, ვატირე; ვატარე — ვატარიელე. დიდი ***დრომი***[26] გავატარე, დიდი ***დრომიანობა...***[27]
და იყო მერე: ***ჟამწამებული,***[28] ***ჟამწაღებული,***[29] ***ჟამკვდარი***[30] ***გავაჟამუხვე,***[31] კვლავ
დავა(მ)შვიდე; დავა დავამთავრე და გავამთავრე — ***ჟამიწებული***[32] ავაჟამდიდე,
გავა დრო — ***გავადრომეგებ,***[33] ეგებ იმ ტყავსაც... ოხ, როს ოქროს ტყავს მოვიტან...
მოვგროვდები და მოვოქროვდები...
(ჩემი დროვაცია...ოვაცია, ტაში!).
20. ხან *უნად* იქეცი,
იქ ეცი *ხანუნს* (ან იქნებ ანუს, ანუ იშთარსაც),
ხანი გაჰყარე... და ნარი შევრთე — უ/ნარი ვანიჭე.
უ ცვლის სა/ხეებს, ***უ*** ცლის და უვსებს;
უნი უნდობარია, უნი მთა და ბარია.
(ტაში!..).
21. ხან *ფარად* იქეცი,
იქ ეცი *ხანფარს*, *ხანის* ფარფაში გააფარილე...
ფარა მოვფინე ფარსაგ ფარისზე,
მოვფერე და მოვეფარე,
მოვეფერ-მოვეფარეზე,
ჩავფარე ფარი — წყალი ვაგუბე,
ფარა დავარწყულე;
ფარა მაძლიეს — არ გავყიდე;
ფარამ გადაგვიფრინა,
ფარა შემოგვესია
გავუხტი, გავუხდი ფარას მესია...
მე სია მაბარია ოცდაცამეტის.
(ჩემი დროვაცია... ოვაცია, ტაში!..).
22. ხან *ქანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანქანს*, ქანცი გააცალე, *ხანი* დააქანე...
ქანი ვაქე, ვაქანდაქე.
(ტაში!..).
23. ხან *ღანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანღანს*, *ხანი* გააღანღალე...
ღანჭა გავჭერ, ავღანუხდი, *ღანი* ავაღაღანე.
(ტაში!..).
24. ხან *ყარად* იქეცი,
იქ ეცი *ხანყარს*, *ხანი* გა(ჰ)ყარე, გააყარიბე...
ყარ გავამყარე, *ღანს* შევრთე, გავბუჩქე — *გავაყარღანე*.
(ტაში!...).

25. ხან *შინად* იქეცი,
იქ ეცი *ხანშინს*, *შინიდან* გამოაგდე...
ხან შინ შევედი (ხანშიც შევედი) — შევედიდგულე.
(ტაში!...).
26. ხან *ჩინად* იქეცი,
იქ ეცი *ხანჩინს*, *ხანს* ჩინი ჩაუქრე...
ესე არაკი მართალი *ჩინს* ქვასა ზედა სწერია...
(ტაში!..)
27. ხან *ცანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანცანს*, *ხანი* განცალე, გააცანცალე...
ცანი ვცანი, ცანკვილი ვარ, ავ(ტ)კივილდი, ავცანგალდი.
(ტაში!..).
28. ხან *ძილად* იქეცი,
იქ ეცი *ხანძილს*, *ხანი* დაძალე...
ხან ძელს მივეცი თავი, ხან ძილს მივეცი — ხანგრძლივს,
ვიდრე მეო(თ)ხე დღემდე... მცი(ვ)ა.
(ჩემი დროვაცია... ცია, ცია, ცია...)
29. ხან *წილად* იქეცი,
იქ ეცი *ხანწილს*, *ხანი* განწვალე — გააწილადე...
წილი ვყარე და გავყარე — ჩავაღე, ჩავიწიაღე.
(ოვაცია, ტაში!..).
30. ხან *ჭარად* იქეცი,
იქ ეცი *ხანჭარს*, *ხანი* გაჭარე...
ჭარი ვაჭარბე, ავაჭარობე.
ჭირი ვმალე, ვერ დავმალე... მცი(ვ)ა.
(ჩემი დროვაცია... ცია, ცია, ცია...)
31. ხან *ხანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანხანს*, *ხანი* მოთხარე, გაახანძარე...
ხანი გავახანგრძლივე, ხანი გავათარხანე.
(ოვაცია, ტაში!..).
32. ხან *ჯანად* იქეცი,
იქ ეცი *ხანჯანს*, *ხანს ჯანი* გააგდებინე...
ხანჯალი მოვიმარჯვე, ვიმარჯვე და.., რა ღამე დაღამდა,..
რაღა მე და..,
რაღა ვთ/ქვა?!..ე
33. ხანჯალს ეცი, ქვაზე *ჰაე* ამომკაწრე,
ჰაერი გააჩინე და ჩაისუნთქე...
ჰჰჰჰ... — ამომისუნთქე.

2011 წ.

P.S. დროზე და სივრცეზე ბევრია დაწერილი, სხვა წერილობაც შეიძლება, სხვა პოეზია, სხ/ვისი პოეზია სხვა პოე/ზიარება. სხვა პოეზ იარები უკვე იარება, უფრო დაფრინავს, ანუ ირაოა. ესეც აბსურდები. აბსურდობა სურდოსავით არის. თუ შეგეყარა, — მორჩა, ან მორჩები, ან გადაგიყოლებს. ვნახოთ?!

იყო დრო, როცა ხანი არა მარტო მესამე პირის თავსართი ნიშანი იყო, არამედ თითოეულ ასო-ბგერას, ერის ხმას დრო — ხანი უძღვებოდა. მერე ხანები რო მოვიდნენ, სახანოებად რო დაგვყვეს, ხანური დაგვიყივნეს და დაგვყვინთეს, ხანები მოვიძულეთ, მოვიძიეთ ძალები და გავაძევეთ, ომი გადავიხადეთ, გადავხადეთ ხანები ასო-ბგერებს და შევებრძოლეთ, როგორც ღმერთები — ტიტანებს, დავუტატანეთ, გავტუტეთ, გავტრუნეთ, გავატიალეთ, გავატრიალეთ. მერე იყო რო ვიალეთ, გავცეცხლეთ, გავანაცარეთ, გავცოცხეთ; გავცეცხლდით და გავცოცხლდით. აი, ასე.

ლექსიკონი (შ. ბოსტანაშვილი, *გავთენდი.* ჟურნალი “სჯანი” 8)

1.აბაბაი— 1.მტკიცებითი შორისდებული. 2.გაკვირვების შორისდებული. 3.ნიშნავს: ძალიან, მაგრად. 4.იგივეა, რაც აბა (ალ. ჭინჭარაული, “ხევსურული ლექსიკონი”).
2.ადადაი — შორისდ., გამოხატავს უსიამოვნებას, შეშფოთებას (“ხევსურული ლექსიკონი”).
3.ჟამკარი— 1.დროის კარი, “დაბადება”; 2.თადარიგი, წესრიგი (“ხევსურული ლექსიკონი”).
4.დროვაცია— 1.დროის ვაცობა — წინამძღოლობა; გამანაყოფიერებელი დრო;
2.ოვაციების მომწყობი, კარნავალური, აჟიტირებული დრო.
5.ჟამთავადი— დროის მეთაური, მმართველი.
6.დროზმა— 1.დროის მონაკვეთი, ან/და ეპოქა მოაზრებული, როგორც საწერი ქაღალდის შეკვრა იმ ტექსტისათვის, რომელსაც ისტორია ქმნის, ან/და რომელიც ისტორიას ქმნის (ერთი ოზმა — ოცი დასტაა; ერთი დასტა 24 ფურცელია).
2. დროის ქმნა — მისტიკური დისკურსი.
7.ჟამთავცეცხლობა — დიდ და მცირე მნათობთა გაჩენა.

8.ჟამთაბუნი— დროთა შეყრა, ერთ გუნდად გაერთიანება; წარსულის, აწმყოსდა მომავლის ერთ ასპექტში მოაზრება, რაღაც მარადიულობისანალოგია, ან პოსტმოდერნისტული მუდმივი აწმყოს პარადიგმა (მგონი ზუსტია!).
9.დროდა — 1.დროის სახლი, ოდა — მიწიდან აშორებული, ბოძებზე შემდგარი — "ფეხებიანი", თითქოს დროსავით უნდა გაიარ-გამოიაროს (ხო მაგარია?).
2.დროთა ქება; დროისადმი მიძღვნილი ლექსი; დროის აპოლოგია, პანეგირიკი (ესეც კარგია!).
10.ჟამთალია— 1. შდრ. — ზამთარია. დროის ერთი ციკლური მონაკვეთი — დღე და ღამე, თვე, სეზონი, ეპოქა. 2. დროთა ლია — ღამე, საფლობი, ტალახი. შდრ. — დროის მორევში ჩასათრევი ადგილი (ლოკუსი).
11.ჟამთვლა— 1. დროთა სვლა, მოთხვა. 2. დროის დათვლა, აღრიცხვა — საათი, კალენდარი.
12. ჟამთავსატეხი— 1. დროისმიერი პრობლემები.
13. ჟამთავფურცელი— "თავდაპირველი", დასაწყისი.
14. ჟამთამაშები— 1. დროით თამაში — დროების აღრევა, თავმოყრა — სამყაროს პოსტმოდერნისტული განცდის გამოხატულება. 2. დრო, როგორც ინსტრუმენტი (მაშა, მაშები) სამყაროს აქტიური (დინამიური, ცეცხლოვანი) და უკვე გამოფიტული (დაცარიელებული) კერების (ლოკუსების) დასაბალანსებლად.
15. დრონკანი— 1. დროის რეგულირების მექანიზმი; დროსთან (ან/და დროით) თამაში. დროით მანიპულაციების ვარიანტია დაკეტილი — გაჩერებული დრო —მკვდარი დრო — ქრონოციდი — სივრცული ტვიფრი (ნახე ***ჟამიწება***).
16. ჟამთარეში — 1. დარბევის, აკლების, აოხრების დრო რომელიმე ტერიტორიაზე, ან/და კოსმიური კატაკლიზმები.
17. ჟამთავსხმა— მკაცრი დრო, სეტყვასავით.
18. დრომახიანი— 1.ძლიერი, რიხიანი დრო (შეიძლება პათეტიკურიც).
2. მახის, ხაფანგის დამგები, სახიფათო დრო (ნახე ***დროობა***).
19. ჟამხე — დროის ხე, მსოფლიო ხე.
20. დრონინი— დროის სვლა, ხეტიალი.
21. დრონავარი— მოთარეშე დრო, "ხანი ულმობელი" — სასტიკი. იგივე ***დრონაობა*** (ნახე ***დრონბაზობა***).
22. დროთხეული— 1. წელიწადის ოთხი დრო — "... ოთხი აფთარი — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი".
2. დანთხეული — დაღვრილი, გაფანტული დრო (ნახე ***დრობოლი*** 2).
23. დროკრობოკრო— ცვალებადი დრო არიტმული სიხშირით, რაღაც ეკლექტური; შდრ.: ნონსელექცია, პასტიში, ფრაგმენტულობა, ხასიათის კრახი, ან ხასიათის გაბნევა — დისემინაცია, დეფოკალიზაცია, ავტორიტეტების კრიზისი.
24. ჟამდიდობა— 1. დროის კატასტროფული მოზღვავება, წარღვნა. შდრ. — წყალდიდობა.
2. განცდა ტყვეობაში, საპატიმრო საკანში — (ნახე ***ჟამუხვობა***).
25. ჟამტარი— შდრ. გამტარი; დროის ღერძი, დურანქის ველის პარადიგმა.
26. დრომი— დრო, როგორც ომი.
27. დრომიანობა— 1.ომის, ბრძოლის, დაპირისპირების დრო.
2. რომის ექსპანსიის, თარეშის დრო. შდრ. — ლეკიანობა.
28. ჟამწამებული — ავი დროის მსხვერპლი, წამებული.
29. ჟამწაღებული— შდრ. წყალწაღებული. დროთა ცვლილებების, ან ამა თუ იმდროისთვის დამახასიათებელი პრობლემების მსხვერ-პლი (ესეც ზუტია!).
30. ჟამკვდარი — შდრ. ჩამკვდარი. მკვდარი დრო, ქრონოციდი (ნახე ***ჟამიწება***).
31. ჟამუხვობა — ბევრი დრო, თავისუფალი დრო, ტვირთი (თავისუფლება ტვირთია — ა. კამიუ). (ნახე ***ჟამდიდობა***).
32. ჟამიწება— შდრ. დამიწება. დროის დამარხვა, შენახვა (იქნებ დროის ნარჩენობაც). (ნახე ***ჟამკვდარი***).
33. დრომეგა— 1.დიდი დრო (ბერძ. $\mu\varepsilon\gamma\alpha$ — მეგა — დიდი). დიდი დროის და მცირე დროის დისკურსი.
2. ბოლო დრო (ω — $\omega\varepsilon\mu\gamma\alpha$ — ომეგა — ბერძნული ალფავიტის ბოლო ასონიშანი; α და ω — დასაწყისი და დასასრული) ნარჩენი დროის დისკურსი.

უნა ო'ნილი

ძალიან დამაინტერესე თემურ გაბუნიას წიგნით

როსტომ ბატონო! პირად წერილებს აღარ ვწერ (სიჭაბუკეში გოგონებს ვწერდი), მაგრამ ამ ერთხელ გადა-ვწყვიტე მცირედი შეხმიანება, როგორც თქვენ შეეხმიანეთ თემურ გაბუნიას ესეით „კორნიშელი განდეგილი და გაყინული ტბის საიდუმლო" („ჩვენი მწერლობა", 2015, №6).

თუკი არ წერ, ვინ დაგაძალა, რა წერამ აგიტანაო!.. გაიფიქრებს მკითხველი და ცნობის-მოყვარეობასაც აქვე დავუკმაყოფილებ: ჯერომ სელინჯერი ჩემი უსაყვარლესი მწერა-ლია, თავისი ჭვავის ყანით, ბანანა თევზით, დურგლებით (მწვანე თვალებზე კი ლექსიც მაქვს დაწერილი ოდესღაც) თუ თავისი განდეგილობით, ჰოდა, ამიტანა წერამ...

ჩარლი ჩაპლინის ავტობიოგრაფიული წიგნი ხომ ბავშვობაში მაქვს წაკითხული; უნა ო'ნილიც იქედან ვიცი და მათი დიდი სიყვარულიც (ასაკობრივი სხვაობაც...), მაგ-რამ ის მშვენიერი უნა თუ ჯერომ სელინჯერისთვის „ტრფობა წამებული" და მოუ-ნელებელი ტკივილი გახლდათ, ახლა შევიტყვე.

თემურ გაბუნიას „ჯერომ სელინჯერი - ნამდვილი ბრძოლა" ჯერ თვალითაც არ მინა-ხავს (მოვიძევ უსათუოდ), მაგრამ, შენი შეხმიანებით, ჩემო როსტომ (შენს დიდტანიან რომანებთან ერთად, რედაქტორის გვერდს და სხვა წერილებსაც ვკითხულობ) ძალიან დამაინტერესე, ის სავარაუდო გარემოებებიც დამანახე, რის გამოც გახდა სელინჯერი განდეგილი და კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა იგი.

დაბოლოს (მეც თქვენსავით ველოდები განდეგილობაში შექმნილი ნაწარმოებების გა-მოქვეყნებას), მართლაც: „სად მიდიან, სად მიფრინავენ იხვები, როდესაც ტბა იყინება?..."

გიზო თავაძე
ქუთაისი

ლალი ხვედელიანი

ჭიქა ღვინო

როცა კვდები, მაშინ ხვდები, რომ ცხოვრება ამაოა,
ჭიქა ღვინო სიკვდილის წინ მეტისმეტად საამოა,
ღვინის ბანგი დაგამშვიდებს, აღარ დაგადარდიანებს,
შემოგასევს უცხო ჩიტებს ლამაზებს და აზრიანებს,
ის ჩიტები გაგაფრენენ, სადაც რძე და ალმასია,
იქ კი თურმე ყველაფერი უსაშველოდ ლამაზია.

შემოდგომის სურნელი

მე შემოდგომის სურნელი მიყვარს, სევდისმომგვრელი
ოქროსფერები,
მე შენ მიყვარხარ ჰო, შემოდგომავ, და წამითაც არ გეპირფერები,
მე მიყვარს შენი ვერცხლის ცვარ-ნამი, წვიმის წვეთები
ფანჯრის მინაზე,
აცახცახებულ ფოთოლთა ცვენა, გადაცრეცილი ფერთა სინაზე.
ზაფხულის სიო გაცელქებული — გადაქცეული ბრაზიან ქარად,
ალერსიანი მზე შემოდგომის — მიტოვებული ბედის ამარად,
ჰო, შემოდგომავ! მე შენი მიყვარს მომტრედისფერო ღრუბლები ცაზე,
აფერადებულ ფოთოლთა ცვენა და წვიმის წვეთი ფანჯრის მინაზე.

მენდელსონის მარში

ქარმა დაგლიჯა ლეგა ღრუბელი, დააქუცმაცა, დაანამცეცა
და მერე როგორც დედინაცვალმა — გაავებულმა — ისე გამწეწა.
იყო შრიალი და ფოთოლცვენა, მოაბოტებდა ზამთარი ქარში,
ქარს კი გაჰქონდა და გამოჰქონდა დროდადრო ჰანგი
ნაცნობი მარშის.
ქორწილი იყო — სადღაც შორიდან იღვენთებოდა ჰანგი — ნაცნობი,
როკავდა ქარი ნაცნობ ჰანგებზე — არ იღლებოდა ქარი ანცობით.
ეცნო მთვარესაც ნაცნობი ჰანგი და შეისწორა კეკლუცად წინდა,
ის გაახსენდა — შეყვარებული, თავის ვარსკვლავზე რომ
დაქორწინდა...
ასევე ქროდა მაშინაც ქარი და ეს ფოთლებიც როკავდნენ ქარში
და მენდელსონიც ასევე ჟღერდა — ის საქორწინო უკვდავი მარში,
და მაყრიონის ნარნარ ფერხულში ცეკვავდა თავის
ვარსკვლავთან მთვარე,
იმ ღამის შემდეგ ასე ნათელი არა ყოფილა არცერთი ღამე.

ძველი ფოტო

თვალი შენი არავისას არ ჰგავს,
ირეკლება მასში ვარსკვლავთცვენა,
შენს თმას უცხო სურნელება დაჰკრავს,
ეფინება თითქოს ოქროს ფენა,
ტანი შენი — ლერწამივით თლილი,
სუნთქვა შენი — მსგავსი კოკობ-ვარდის,
კანი შენი — ნატიფი და რბილი —
მიზეზია ჩემი წვის და დაგვის.
როგორ მოვკვდე არ შევიგრძნო თუნდაც
წამიერი ნეტარება ტკბილი,
მენატრება საროს ტანი შენი და თითები —
სანთელივით თლილი.
მოდი კარგო შემიყვარო იქნებ,
სანამ გული საგულეში ღელავს,
თორემ გავა დრო და შენი ხიბლი ალბათ —
გადაავიწყდება ყველას.
მოდი კარგო, შემიყვარო იქნებ,
სანამ ვარდის სურნელება გახლავს,
გავა წლები, რჩება მხოლოდ ფოტო —
იმ ფოტოს კი სხვა სურნელი დაჰკრავს.

რა ძალიან მიყვარხარ

რა ძალიან მიყვარხარ, რა ძალიან გნატრობ,
ხან ქარიშხალს მიჰგავხარ, ხან მზესავით მათბობ,
ხან ზეცაში მიმაფრენ, სადღაც — მეცხრე ცაზე,
ან მიწაზე მანარცხებ — სალ, გაყინულ ქვაზე,
ნეტავ ის მაცოდინა, გულში რატომ მყავხარ,
ალბათ, ალბათ იმიტომ,გაზაფხულს რომ ჰგავხარ,
რა ძალიან მიყვარხარ, რა ძალიან გნატრობ,
გაზაფხულის სურნელით უთავბოლოდ მათრობ.

ბუმბერაზთა ლანდები

რა ძველია ეს ხის საფეხურები,
ზედ ატყვია ყველას ნაფეხურები,
თითქოს ხმებიც ბუმბერაზთა ჩამესმის,
თითქოს ლანდიც პაოლოსი აქ კვნესის.
გრანელის ხმას მუდამ ცრემლი ასველებს.
სულ არ ესმით მისი ცისფერყანწელებს,
კონსტანტინე-ბატონს ჩოხა ჩაუცვამს,
ჯავახიშვილს მისთვის მხარი აუბამს.
მირზას მუზას ქერა თმები ამშვენებს,
ლადოს, საწყალს, ხველება არ ასვენებს.
გრიშაშვილი გოგლას უხმობს გულღიად,
ტიციანს კი ხელში ყანნი უპყრია,
მურმანს მუხრანთან გაუბამს ბაასი,
ლექსი მესმის მეტად ლაღი, ხალასი.
ნონეშვილს და აბაშიძეს რა უჭირს,
ნადირობას დალი მათ არ დაუშლის.
ფოცხიშვილის ლანდიც აქვე დამყვება,
ჩვენ ანას კი თუთა კოცნის — თავნება.
იმ პატარა ბაღშიც შემცდა ნაბიჯი,
მეუფლება გრძნობა მეტად ფაქიზი.
გალაკტიონიც იქვე ზის ეული,
მერის უხმობს ხმაში ბზარგარეული.
ქედს იხრიან მის წინაშე ლანდები,
გალაკტიონს მეც ხომ ვეთაყვანები.

თან უზომო ემოცია დამყვება,
მათი ხსოვნა საუკუნეს გაყვება.
ამ დიდებულ ლაბირინთებს მივყვები,
და ცოტათი, სულ ცოტათი ვიბნევი,
ფეხაკრეფით, ჩუმად დავიარები,
არ დავაფრთხო ბუმბერაზთა ლანდები.

ამაოება

სიკვდილის სულაც არ მეშინია, არც მოსხლეტილი
კლდიდან ლოდების,
არც ჯუნგლებიდან გამოვარდნილი, ფაფარაშლილი
მშიერ ლომების,
არც ოკეანის — როცა ღელავს და ტალღით წალეკვას
როცა მიპირებს,
არც სატანის, როცა ხელს მიქნევს და თავის მხარეს
როცა მიბირებს,
და არც ჯოჯოხეთის არ მეშინია და არც სიმძიმის
ჩემი ცოდვების,
არც სიმარტოვის მინდვრის თაგვივით, არც
კოშმარული ღამის ბოდვების,
იცით რა მაკრთობს ყველაზე მეტად? — ფუჭი ბაზარი
ამაოების.

ილუზია

ნუ შეიქმნი ილუზიას — ნუ დაგწყდება გული,
რომ ცხოვრების გზა ყოფილა მეტისმეტად რთული,
ვინ და რა გზას დაადგება, მხოლოდ ღმერთმა უწყის,
ბედიც თავის მეპატრონეს მოსახვევში უცდის.
ნუ შეიქმნი ილუზიას, რომ იქნები მუდამ,
ზოგისათვის ცა ცისფერი უკვე გადახუნდა,
ზოგმა უცებ გამოისხა ანგელოზის ფრთები,
ზოგიერთი სად ვეძებო დღემდე ვერა ვხვდები.
ილუზია ეღობება ადამიანს გზაზე,
ილუზია სულ მიგაფრენს სადღაც — მეცხრე ცაზე,
მაგრამ როცა ღვთისმშობელმა ქრისტე მუცლადიღო
ილუზია არსად ჩანდა — სადღაც გამქრალიყო.

აპრილი

გარეთ იდგა აპრილი, სიო თვალებს ნაბავდა, სიყვარულით აჭრილი ფუტკარი ვარდს აბამდა,
ჭრელი ნაზი პეპელა დაეძებდა საყვარელს, ახალგაზრდა მხატვარი აზავებდა აკვარელს,
ასკდებოდა ნაპირებს სიხარულით ყვირილა, ლამაზ გოგოს გულდასმით მკითხაობდა გვირილა,
კეკლუცობდა იასთან ცისფერთვალა ღიღილო — შენ კი, ჩემო მამალო, იქნებ ჩუმად იყივლო.

მუდმივი

არაფერია ამქვეყნად მუდმივი, მარადიული,
ყვავილი ჭკნება, ხე ხმება და ყველაფერი ხილული
უჩინარდება, ქრება, ან სხვა სახედ გარდაიქმნება
და ეს ხომ ღმერთის ნებაა — ეს თავად ღმერთმა ინება...
სად ქრება ეს ყველაფერი, ან სადღა უჩინარდება?
დილით კი — ისევ თენდება, ღამით კი — ისევ ღამდება,
ლოდები კენჭად იქცევა, დროდადრო მთვარეც ილევა,
მაგრამ ის ვიცი, ზღვა კოვზით არასდროს არ დაილევა.

ზამთარი

არ მიყვარს თბილი ზამთარი, ზამთარი მიყვარს ცივი,
მშიერი აფთრის თვალს რომ ჰგავს მზეს მოსხლეტილი სხივი,
ქარი ღრიალით რომ აფრთხობს აცახცახებულ ხეებს,
შიშველი ხელით რომ ებმის საუკუნოვან კლდეებს.
როცა ბზრიალით ცეკვავენ თეთრი ფიფქები ღამით,
თოვლის ფანტელის მუსიკა რომ არ დუმდება წამით,
როცა წყვილ-წყვილად ფრინავენ ფიქრები საოცნებო,
აკაპიწებულ ხელებით კვერებს რომ აცხობს ბებო,
აგიზგიზებულ ბუხარში რომ იკლაკნება ცეცხლი,
თოვლის დედოფლის მანდილი რომ იქარგება ვერცხლით,
თოვლის ფანტელით გულდაგულ რომ იხატება მდელო
და იმედებით მოელის გაზაფხულს საქართველო.
არ მიყვარს თბილი ზამთარი, ზამთარი მიყვარს ცივი,
მშიერი აფთრის თვალს რომ ჰგავს მზეს მოსხლეტილი სხივი.

დაუნდობელი სიკვდილი

გამიგონია, სიკვდილო, ყოფილხარ სოფლის აშიკი,
თუ ვინმე კარგი გინახავს, გაგიბამს მასთან არშიყი,
ვეცადე გამიჯნურებას, მინდოდა შენთან ზავიო,
რა მიუვალი ყოფილხარ — ვერ მოგაწონე თავიო.
რა ვერაგი ხარ, სიკვდილო — თვალხარბი, დაუნდობელი,
შვილს როგორ უნდა მარხავდეს თავისზე ადრე მშობელი.
ნეტავ ვინა გშვა, სიკვდილო, საიდანა ხარ მოსული!
რადა ხარ მუდამ ასეთი იდუმალებით მოცული!

მთვარე მიყვარს...

მთვარე მიყვარს, მთვარეს ველი, რომ დუმდება
მინდორ-ველი,
მთვარე მიყვარს და არც ვმალავ, ყოველ ღამე
გზას ვიკვალავ.
მთვარისაკენ, მთვარის შუქზე, მთვარის სხივების ფერხულში,
ის ღამე კი ეჭვიანი — სულ არ არის ბაიბურში.
როცა ღამით ყველაფერი, ყველაფერი იყურსება,
იდუმალი სავსე მთვარე მხოლოდ მე მეალერსება,
როცა მასთან შესახვედრად ოქროებით ვიმოსები.
თურმე შურით ივსებიან გულყვითელა მიმოზები.
მალე მთვარეც გამოჩნდება — დამიკოცნის თმას და ხელებს,
ისიც იმის ლოდინშია, როდის დამიმარტოხელებს,
ის ღამე კი — ეჭვიანი, ან არ იდებს წყენას გულში,
ან არადა — სულ არ არის ამ ამბების ბაიბურში.

პოემა

შორი გზიდან პაწაწინა ლექსი მომიფანცალდა,
ამ ლექსიდან მინდა შევქმნა პოემა — თუ დამცალდა...
პირველ რიგში ღმერთს ვადიდებ და პურს ჩვენი არსობის,
შემდეგ ხოტბას მშობელს ვასხამ და არსს კაი კაცობის,
შემდეგ ლოცვას გავუგზავნი მეგობრებს და ახლობლებს,
განვადიდებ ჩემს სამშობლოს, ვანუგეშებ ქვრივ-ობლებს,
შემდეგ, როცა შენელდება ცხოვრების ეს მარულა
და მივხვდები დრო, ცბიერი, სადღაც რომ გაპარულა,
გადავწმინდავ გადაცრეცილ ხანას ახალგაზრდობის,
გულუბრყვილო ოცნებების, ხალისის და გართობის,
მინდა კიდევ ერთხელ შევსვა სიყვარულის სამსალა
და პოემაც დასრულდება — თუკი ღმერთმა მაცალა.

დავით ხიზამბარელი

რა დარჩენიათ აქ მოხუცებს?!

თანამედროვე ამერიკელი მწერლის, ცოცხალ კლასიკოსად შერაცხული კორმაკ მაკარტის შემოქმედება დიდი ხნის მანძილზე იყო უცნობი ქართველი მკითხველისთვის და ბევრი დრო არაა მას შემდეგ გასული, რაც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ „კინო ბიბლიოთეკის“ სერიის ფარგლებში მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „მოხუცების ადგილი აქ არ არის“ გამოსცა. წიგნის პოპულარიზაციას ხელი ძმები კოენების მიერ 2007 წელს გადაღებულმა ამავე სახელწოდების ოსკაროსანმა ფილმმაც შეუწყო, თუმცა ძმები კოენები არ იყვნენ პირველები (და არც უკანასკნელნი), ვინც კორმაკ მაკარტის რომანის მიხედვით ფილმი გადაიღო და ამას საკუთარი ახსნა აქვს — მისი პროზა ძალზე კინემატოგრაფიულია, რაც აიძულებს კინორეჟისორებსა და კინოპროდიუსერებს მისი ყოველი მომდევნო წიგნის გამოსვლისთანავე საავტორო უფლებათა ხელში ჩაგდებისთვის იბრძოლონ. ასე იყო ადრე, გასული საუკუნის ბოლოს, და ასეა დღესაც.

მაკარტი რჩება კინემატოგრაფის ერთ-ერთ ფავორიტ მწერლად, მსგავსად სხვა ამერიკელი მწერლებისა, როგორებიც იყვნენ: დეშილ ჰემეთი, რეიმონდ ჩენდლერი, ჯეიმს მ. კეინი და ბევრი სხვა, ვის ნაწარმოებებზეც იყო აგებული 1940-იანი წლების ამერიკული „ფილმ ნუარი“ (კრიმინალური ფილმები). მიუხედავად ამისა, კორმაკ მაკარტის პროზას უფრო მეტი ამბიცია აქვს, ვიდრე ზემოთჩამოთვილ ავტორებს (მათი ლიტერატურა, პირდაპირ იყო მიბმული კინოინდუსტრიასთან), რადგან ის არაა კლასიკური ტრილერების ავტორი. მას უფრო მეტი შეუძლია და ის, რომ მისი პოპულარობა ბოლო წლებში სწორედ კოენების კრიმინალურ დრამასთანაა დაკავშირებული, არ ნიშნავს, რომ იგი, როგორც კლასიკოსი ავტორი, აღარ არსებობს. არა, ასე მარტივადაც არაა საქმე, თუნდაც იმ ბოლო წლების რომანებში, რომელთა გამოც არაერთი კრიტიკული აზრი გაჟღერდა, მაკარტი ახერხებს გარკვეულ დონეზე საკუთარი სიმაღლე შეინარჩუნოს და სისხლის გუბეების, ხოცვა-ჟლეტის, სხვადასხვა კალიბრის იარაღის ბათქა-ბუთქის დეტალური აღწერის პარალელურად, რომელსაც წიგნში „მოხუცების ადგილი აქ არ არის“ დიდი ადგილი უკავია, იქვე აღმოვაჩენთ ტრადიციული, თვითმყოფადი ამერიკული ლიტერატურის მაღალ სტანდარტებსაც, რომელსაც ფოლკნერი და ჰემინგუეი ამკვიდრებდნენ XX საუკუნეში. მაკარტი მათი მემკვიდრეა, რასაც კრიტიკოსებიც ხშირად აღნიშნავენ. თუნდაც ზემოთაღნიშნულ ნაწარმოებშიც წაიწყდებით ფოლკნერის აკადემიურ, მძიმე და რთულ ქვეწყობილი წინადადებებით დატვირთულ პროზას, მაგრამ უფრო გაფილტრულსა და გამარტივებულს (უფრო იმ ფოლკნერს, რომელიც კონრადის გავლენას განიცდიდა), რომლითაც შერიფი ბელი მეტყველებს თავის გრძელ-გრძელ მონოლოგებში. ასევე ჰემინგუეისთვის დამახასიათებელ მსუბუქ, ბელეტრისტულ სტილს, მაგრამ მაკარტი მხოლოდ მის სტრუქტურას ინარჩუნებს და ამ ე.წ. „მსუბუქი სტილის“ მეშვეობით ძალადობას და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობებს **(მაგ.: ჩიგურმა სახეში ესროლა. ყველაფერი რაც ოდესმე უელსმა იცოდა ან უფიქრია ან უყვარდა ნელნელა ჩამოიღვენთა კედელზე მის უკან. დედის სახე, პირველი ზიარება, ქალები რომლებიც უყვარდა. იმ მამაკაცების სახეები რომლებიც მის წინ დაჩოქილები კვდებოდნენ. სხვა ქვეყანაში გზისპირა თხრილში მკვდარი ბავშვის სხეული. საწოლზე ხელებგაშლილი იწვა. თავის ნახევარი წაცლილი ჰქონდა. მარჯვენა ხელის მტევნის დიდი ნაწილიც აკლდა. ჩიგური წამოდგა. იატაკიდან მასრა აიღო. სული შეუბერა და ჯიბეში ჩაიდო. მერე საათს დახედა. ახალი დღის დადგომამდე ერთი წუთი რჩებოდა. — *თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა)*** კიდევ უფრო მეტ კონტრასტს ანიჭებს, რითაც მკითხველზე განსაკუთრებულ, შემაძრწუნებელ ეფექტს ახდენს.

კიდევ ერთი დიდი ლიტერატურული სახელი, რომელსაც მაკარტი უნდა უმადლოდეს, ჯოზეფ კონრადია, რომლის სამწერლო სტილი და პრობლემატიკაც მაკარტისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდა მის დიდ წინაპართა მსგავსად. ისევ და ისევ შერიფ ბელთანაა დაკავშირებული კონრადის სტილიც და „ლორდი ჯიმისეული“ დილემა და შინაგანი ბრძოლა ჩადენილი დანაშაულის გამო. თუ ლორდი ჯიმი ჩასაძირად განწირულ გემს და მის მგზავრებს მიატოვებს, შერიფი ბელი თავის ერთ-ერთ ბოლო და ყველაზე გრძელ მონოლოგში ყვება, თუ როგორ გამოიქცა მეორე მსოფლიო ომის დროს ბრძოლის ველიდან და თავისი თანამებრძოლები მტრის პირისპირ დატოვა. თავისთავად ეს ამბავი განსაკუთრებულ ადგილს არ იკავებს წიგნში, მაგრამ მაკარტის პროზის კონრადისეულ გავლენებზე შთაბეჭდილების შესაქმნელად ნამდვილად გამოდგება. თუმცა ყველაზე მეტად მაინც ფოლკნერია ის ავტორი, რომლის ადგილსაც მაკარტი დაიკავებდა სიამოვნებით, მაგრამ არ გაუმართლა ამ მხრივ, „ბებერი ბილი“ ისე მყარად დგას თავის ადგილზე.

მაკარტიც ფოლკნერის მსგავსად სამხრეთელი ავტორია, თავისი ტეხასური ისტორიებით და სასაზღვრო პრობლემატიკით. საზღვართანაა დაკავშირებული მისი ყველაზე წარმატებული ტრილოგია (The Border Trilogy — სასაზღვრო ტრილოგია) რომელშიც მაკარტის სამი ადრეული ნაწარმოებია პირობითად გაერთიანებული — „სისხლიანი მერიდიანი“ (ყველაზე მნიშვნელოვანი მის შემოქმედებაში); „მშვენიერი ცხენები“ და „გადაკვეთა“, თუმცა თითოეული ამ ნაწარმოების ნაკლი ისაა, რომ ყველა ერთმანეთის მსგავსია, შესაძლოა მნიშვნელოვანი განსხვავებები იყოს მათ შორის, მაგრამ ძირითადი ფაბულა და სტრუქტურა იგივეა, როგორც წესი, ხოლო მისი ენა ხშირად უფრო არქაულად, ჟღერს ვიდრე ფოლკნერის და კონრადის სალიტერატურო ენა.

ჯიმ ჰარისონის მსგავსად, რომელიც უფრო ამერიკის ჩრდილოეთ საზღვრის მწერალია, მაკარტიც ძალიანაა გატაცებული ადგილობრივი მითებითა და მათი დამუშავებით, იმ განსხვავებით, რომ მაკარტისთან ეს მითები და მითოლოგიური პერსონაჟები რაღაც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ინტერპრეტაციის საგანი ვერ ხდება, განსხვავებით მისი ჩრდილოამერიკელი კოლეგისა. მაგრამ ის, რაც ყველაზე უკეთ გამოსდის (გამოსდიოდა), ისევ და ისევ მისი კინემატოგრაფიული სტილია, ხედვაა (რომლის ფუძემდებლადაც კინემატოგრაფისტები დიკენსს მიიჩნევენ) და, როგორც უკანასკნელი გამოშვების კინოკამერა, ისე აღბეჭდავს ყველაზე უმნიშვნელო დეტალებსაც, რაც საბოლოოდ ძალიან მნიშვნელოვანი ხდება კინოსა და ლიტერატურისათვის.

გარდა ამისა, ფოლკნერის მსგავსად, ადამიანი მაკარტისთვისაც მისი წარსულისა და აწმყოს ჯამია, თუმცა ეს მიმართება კიდევ უფრო დამძიმებულია, როცა საქმე ძალადობას ეხება, მაკარტის აზრით აუცილებელ ძალადობას (ტრადიციულ ამერიკულ ვესტერნებში აბორიგენთა მიმართ ძალადობა გამართლებული იყო ნატურალიზებული ამერიკელთათვის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად) და როდესაც „სისხლიან მერიდიანში“ დაქირავებული ჯარისკაცები ტეხას-მექსიკის საზღვარზე ათას სისაძაგლეს სჩადიან, თავს ესხმიან ადგილობრივ ინდიელებს და შემდეგ მათ სკალპებს ბაზარში ყიდიან, მთელი ეს სისასტიკე გარკვეულწილად მათი წარსულისთვისაა გადაბრალებული, რადგან აკეთებენ იმას, რაც მათ წინაპრებს უკეთებიათ. შეიძლება ითქვას, წარსული მაკარტისთვის ერთდროულად კარგსაც შობს და ცუდსაც, მაშინ როდესაც ფოლკნერი უფრო მეტად იმ წარსულზე წერს, რომელიც უმეტესად კარგის მაუწყებელია, მაგრამ, დიდი ალბათობით, მაკარტიზე უკეთ იცის მისი ბნელი ჯურღმულებიც.

საბოლოოდ მაკარტი იდეალისტი კონსერვატორი ხდება, განსაკუთრებით კი რომანში „მოხუცების ადგილი აქ არ არის“, სადაც მობერებული შერიფი, რომელსაც ზეგავლენა ხელიდან ეცლება,

წარსულ დროს მისტირის, მაშინ როდესაც ყველაფერი უკეთესად იყო **(„მასწავლებლებს უნდა დაეწერათ იმ პრობლემების შესახებ რომლებსაც გაკვეთილებზე აწყდებოდნენ. მათაც ყველაზე დიდ პრობლემებს შორის დაასახელეს გაკვეთილებზე მოსწავლეების ერთმანეთში საუბარი და დასვენებებზე მათი დერეფნებში სირბილი. საღეჭი რეზინის ღეჭვა. დავალებების ერთმანეთისგან გადაწერა. და სხვა ამგვარი. იგივე კითხვარები თავიდან დაბეჭდეს და იმავე სკოლებში გაგზავნეს შესავსებად ორმოცი წლის შემდეგ. და მიიღეს პასუხები. გაუპატიურება. ცეცხლის წაკიდება, მკვლელობა. ნარკოტიკები. თვითმკვლელობა. ასე რომ, დავფიქრდი. უკვე დიდი ხანია ადამიანებს ვეუბნები, სამყარო ჯოჯოხეთისკენ მიექანება-მეთქი. ისინი კი პასუხად იღიმიან და მეუბნებიან, ბერდებიო. თითქოს ეს სიბერის ერთ-ერთი სიმპტომი იყოს“)**, იმ დონემდეც კი მიდის, რომ ტექნოლოგიურ პროგრესსაც რეაქციონერის თვალით უყურებს, მაგრამ ეს არაა დემაგოგიური მტკიცება მომავლის წინააღმდეგ, არამედ კლასიკური ამერიკული კონსერვატიზმის ტრადიციებზე დაყრდნობილი მიდგომა, რომელსაც ან გაიზიარებ ან არა **(„არ ვარ დარწმუნებული, რომ ახალი ტექნოლოგია საპატრულო პოლიციას დიდ დახმარებას უწევს. ის აღჭურვილობა, რაც ჩვენ ხელთაა, მოწინააღმდეგემდეც აღწევს“; ან „ჩემი საპატრულო მანქანა შვიდი წლისაა. მისი ძრავა 454-ე მოდელია. ახლა ასეთს ვერსად შეხვდებით. ერთხელ ახალი ძრავა ჩავაყენე და იმით სიარული ვცადე. ლოკოკინასაც ვერ გაასწრებ. ვთქვი, რომ იმ ძრავით ვივლიდი, რომელიც მომწონს. სიახლე ყოველთვის კარგი არ არის. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ ყოველი სიახლე უარესობისკენ გადადგმული ნაბიჯია“).**

რაც შეეხება უშუალოდ წიგნის სიუჟეტს, ერთი შეხედვით, კლასიკური „ნუარია“, მამაკაცური საკითხავი. ვიეტნამის ომის ვეტერანი და ამჟამად რკინის შემდუღებლად მომუშავე ლუელინ მოსი ანტილოპებზე ნადირობისას შემთხვევით წააწყდება ნარკომოვაჭრეთა გვამებს და ორი მილიონი დოლარით სავსე ჩანთას, რაც „აცდუნებს“ მოსს, წამოიღებს უპატრონოდ დარჩენილ ფულს, რასაც არნახული ხოცვა-ჟლეტა მოჰყვება. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საქმეში დაქირავებული მკვლელი, ანტონ ჩიგური, ერთვება და იწყებს ფულსა და მის „გამტაცებელზე“ ნადირობას, ნამდვილი მეორედ მოსვლა იწყება ტეხასის შტატში. ჩიგური კლავს ყველას, ვინც საჭიროა და არაა საჭირო, და საერთოდაც მისი განსჯა არანაირ მსოფლმხედველობით დადგენილი ნორმების ფარგლებში არ თავსდება, რადგან ის თვითონ ადგენს საკუთარ სტანდარტებს და ერთგულად მისდევს მათ. ჩიგური ასეთ გამოსავალს სთავაზობს მოსს, რომლის მიხედვითაც მოსს მიაქვს ფული ჩიგურთან, შემდეგ ჩიგური მოკლავს მოსს და ამის შემდეგ ჩიგური აღარ მოკლავს მოსის ცოლს — კარლა ჯინს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსი ფულსაც დაკარგავს, ცოლსაც და საკუთარ სიცოცხლესაც. მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი ჩიგურის ამ „უსამართლო“ შემოთავაზებას არ თანხმდება, საბოლოოდ ყველაფერი ისე მთავრდება როგორც „დემონურ კილერს“ სურს — ფულსაც იბრუნებს და კარლა ჯინსაც კლავს, აბა როგორ? ჩიგური ის კაცი არაა, ვინც სიტყვას უღალატებს, ხოლო ის, თუ რამდენი დამნაშავე თუ უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება ამ ახირებული კაცის „სამართლიანობას“, დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. რაც შეეხება მოსს, მას სხვები კლავენ, მნიშვნელობა არ აქვს — ვინ, მნიშვნელობა აქვს — როგორ და რატომ, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ერთ მხარეს დგას მოსის და ჩიგურის დაპირისპირება, თანამდევი ათეულობით მსხვერპლით, ხოლო მეორე მხარეს ზემოთნახსენები მოხუცი, საპენსიო ასაკს მიღწეული შერიფი ბელი, რომელსაც მხოლოდ ის უნდა, რომ სიმშვიდე იყოს მის მხარეში და იმ თავზეხელაღებულ კრიმინალთა სადევნელად აღარც მუხლი მისდევს და აღარც მონდომება, თავის თავს ელაპარაკება და ამხნევებს, ძველ დროს იხსენებს და წუხს, რომ „ქვეყანა ჯოჯოხეთისკენ მიექანება“. სულ ესაა, რაც შეუძლია, კრიმინალთან ბრძოლის თავი არ აქვს და იმასღა ცდილობს, სავარაუდო მსხვერპლი მაინც



კორმაკ მაკარტი

გადაარჩინოს, მაგრამ არც აქ გამოსდის არაფერი და საერთოდაც, მოხუცების ადგილი ასეთ სამყაროში აღარაა. ახალი დრო ახალ სისხლსა და ენერგიას ითხოვს, შესაძლოა ახალ აზროვნებასაც, რადგან შერიფის იდეალისტური აზროვნება რას უნდა გახდეს ჩიგურის ულტრარადიკალურ მსოფლმხედველობასთან?

თავისთავად მაკარტი არ აკონკრეტებს რატომ ჰქვია წიგნს ასე და არა სხვაგვარად, თუმცა რომანის სახელწოდება უილიამ ბატლერ იეიტსის აპოკალიპტური ლექსიდან „გაცურვა ბაზანტიიდან“ არის აღებული და სწორედ ეს ნაწარმოები (ორი სტროფი) აქვს გადევნებული რომანს პერიფრაზად:

რა დარჩენიათ აქ მოხუცებს, ამ უცხო მხარეს
სადაც ქალ—ვაჟნი ერთმანეთის მკლავებში წვანან.
(თარგმნა მედეა ზაალიშვილმა)

რატომ აღარაა მოხუცების ადგილი ამ მხარეში, იმიტომ ხომ არა, რომ მაშინ როდესაც ქვეყანა „ჯოჯოხეთში მიექანება“, უფრო მეტია საჭირო, ვიდრე პენსიონერი შერიფის მცდელობები; ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, ფაქტი კი ისაა, მომდევნო რომანში „გზა“ (რომლის მიხედვითაც ასევე გადაღებულია ფილმი) კორმაკ მაკარტიმ უკვე პოსტაპოკალიპტური გარემო აღწერა, სადაც აღარ არსებობს ცივილიზაციის ნიშანწყალი და აქა-იქ შემორჩენილი ადამიანები „არაადამიანებისგან“ ცდილობენ თავის დაცვას და უსაფრთხო გარემოს პოვნას.

ნიშანდობლივია ეს ორი ნაწარმოები, პირველი თითქოს ამზადებს გარემოს მეორისათვის. საინტერესოა რა იქნება მომდევნო რომანში, რომელიც უკვე დაანონსებულია, მაგრამ წიგნის მაღაზიის თაროები ჯერ არ დაუკავებია.

მაკარტი თავის პერსონაჟებს არ აღწერს, არ ახდენს მათ დახასიათებას, ცდილობს, შორიდან წარმოსახოს მათი ემოციები, ისიც სულ რამდენიმე ეპიზოდში — მაშინ, როცა მოსს მოსაკლავად მისდევენ უდაბნოში, ინანებს, რომ შინ არ დარჩა ცოლთან, და ასევე გაიხსენებს, რომ მეორედ ეწვია ასეთი გრძნობა, ვიეტნამის შემდეგ. ერთი პატარა წინადადებით მაკარტი მოსის მთელ ისტორიას ყვება. ისევე როგორც სხვა უამრავი ახალგაზრდა ამერიკელი, ისიც ახალგაზრდული იდეალებით აღსავსე წავიდა ომში; ისევე როგორც შერიფი ბელი, ცოტა უფრო ადრე, მეორე მსოფლიო ომში. რაღაცით გვანან ეს ორნი ერთანეთს, მიუხედავად საომარი და საპოლიციო გამოცდილებებისა, ორივე ინარჩუნებს ადამიანობის იმ ხარისხს, რაც ჩიგურის და მისი დამკვეთებისათვის უცხო და მიუღებელია. მოსს სწორედ ეს ღუპავს, ხოლო ჩიგურს — პირიქით, ამ „ადამიანური თვისებებისგან“ გათავისუფლება ეხმარება ყოველთვის მშრალად გამოძვრეს რთული სიტუაციებიდან.

მას შემდეგ, რაც მოსი უდაბნოში ფულსა და გვამებს წააწყდება, შემთხვევით აღმოაჩენს, რომ ერთ-ერთი ჯერაც

ცოცხალია და წყალს სთხოვს, რაც რა თქმა უნდა მოსს არ აქვს. ამის შემდეგ იგი თავის ფარდულში ბრუნდება და ღამით მაინც გადაწყვეტს მომაკვდავისთვის წყლის წაღებას, მაშინ როცა იცის, რომ დიდი ალბათობით ცოცხალი აღარ დახვდება და დიდ შარშიც გაეხვევა, რადგან არაა გამორიცხული, უკვე ეძებდნენ ფულის გამტაცებელს, რომელსაც ვერასდროს მიაგნებდნენ, რომ არა მოსის ხელახალი, სრულიად „გაუაზრებელი“ მისვლა შემთხვევის ადგილზე. მაგრამ სწორედ რომ ესაა მაკარტისთვის ის ხელმოსაჭიდი, რითაც უპირისპირდება ჩიგურის დემონურ ძალას, და მაშინ, როცა მოსმა ჭკუა უნდა ისწავლოს და სიცოცხლე საფრთხეში აღარ ჩაიგდოს.

მეორე შემთხვევაშიც სწორედ ხასიათი ღუპავს, ამჯერად უკვე პირდაპირი გაგებით. როცა მის მოსაკლავად მისული ნარკოდილერებიდან ერთ-ერთი მოსის მეგობარ გოგონას იარაღს მიადებს შუბლზე, მოსი თავის იარაღს მიწაზე დააგდებს და შემდეგ რაც მოხდება, არც ისე რთული გამოსაცნობია. მაგრამ აქ კიდევ ერთი უსამართლობაა, ვერავის დაცვას ვერ ახერხებს ამ თავისი რაინდული თვისებებით, ვერც ცოლი დაიცვა და ვერც ის გოგონა, რომლის გამოც თავი გაწირა, ასე რომ, მოხუცებში მარტო შერიფი ბელი არ იგულისხმება, მოსიც მოხუცია, ძველი დროის კაცი, რომელთა დროც გავიდა, რაც უნდა ძნელად დასაჯერებელი იყოს. მაკარტმა კარგად იცის, რასაც წერს, ყოველთვის კარგად იცის, იცის, როგორ დაიწყებს და როგორ დაამთავრებს წიგნს და ატმოსფეროსაც ქმნის ისეთს, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს, და თუ არსებობს, ისიც მხოლოდ შემხვევითობაზეა დამოკიდებული, და ამ შემთხვევითობას, პროფანული, საკრალური თუ ეზოთერული კუთხით მივუდგებით, უკვე კონკრეტული ინდივიდის მსოფლმხედველობის საკითხია. ფაქტი ერთია, რაც უნდა „მაგარი“ იყო, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ, ვერ გამოთვლი.

მაკარტი კარგი მწერალია, კარგი იყო მაშინ, როცა „სისხლიან მერიდიანს“ წერდა, როცა პრიმიტიული ვესტერნის ჟანრი სერიოზულ ლიტერატურად აქცია, და კარგია ახლაც, როცა არ შეწყვიტა წერა წარმატების ზენიტში მყოფმა და არ ისურვა „ცოცხალ კლასიკოსად“ დარჩენა, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა სულ უფრო და უფრო ცუდად ხვდება მის ყოველ ახალ ნაწარმოებს. იმისათვის, რომ დავაფასოთ „მოხუცების ადგილი აქ არ არის“, საჭიროა მისი მომდევნო რომანიც „გზა“ წავიკითხოთ, ან ფილმად მაინც ვნახოთ (როგორც წესი, მაკარტის წიგნებს აბზაც-აბზაც მისდევენ რეჟისორები ფილმში), რათა უკეთესად შევიგრძნოთ ის პესიმისტური განწყობა, რომელსაც მაკარტი სისხლის გუბეების, მკვლელობებისა და სხვადასხვა იარაღის დეტალური აღწერის მიღმა ქმნის.

თუმცა ამდენი კითხვაც არაა საჭირო, ჩიგურის პერსონაჟიც საკმარისია. იშვიათია ასეთი პერსონაჟი, რომელიც ერთდროულად შიშის ზარს სცემს წიგნის ყველა სხვა პერსონაჟს და, ამასთან, აიძულებს მკითხველს, გარკვეული სიმპათიაც გაუჩნდეს მის მიმართ, მაშინ როდესაც უფრო სიმპათიურებიც მოიძებნებიან. მაგრამ არა, ჩიგური სრულყოფილია, უნაკლო ადამიანი, მაგრამ უნაკლო იმ სამყაროსთვის, სადაც ასე კომფორტულად გრძნობს თავს, სამყაროში, სადაც ლუელინ მოსი სულ არაფრისთვის სწირავს თავს, ხოლო შერიფ ბელს, ყმაწვილკაცობისდროინდელი ფსევდოდანაშაული ვერ უპატიებია თავისი თავისთვის და ფაქტობრივად, მისი პასიურობის ერთგვარი გასაღებიც სწორედ აქ დევს.

ჩიგურს არსებითად არ გააჩნია არანაირი კულტურული წარსული, თითქოს ის ერთი ცალკე არსებობს და მხოლოდ ტკივილისას, ოფლით დასველებული შუბლით ცნობ, რომ ისიც ადამიანია და აქვს თავისი შეზღუდული ფილოსოფიური შეხედულებანი, რომელიც არასოდეს ავნებს მის ავტორს, ყოველთვის ფატალური შედეგი მოაქვს სხვა ყველასათვის.

თუმცა ჩიგურსაც ჰყავს რაღაც ზემდგომი ინსტანცია, შემთხვევითობა, რომლის მიხედვითაც საშუალებას აძლევს თავის თავს, ითამაშოს სხვების სიცოცხლით და, ამასთან, გარკვეული სამართალიც დაადგინოს, ისეც იმ შემთხვევაში, თუ ეს კონკრეტული ადამიანი მისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. თუ მისგან საფრთხე მოდის, სულ უმცირესიც კი, მაშინ არავითარი ზემდგომი ინსტანცია აღარ არსებობს. ეს ინსტანცია კი სხვა არაფერია, თუ არა მონეტა, „ავერსი-რევერსი“. გერბი ამოვა და გადარჩები, თუ არადა ნახვამდის, არ გაგიმართლა **(„ყველაფერი შეიძლება ბედის გადასაწყვეტად გამოდგეს, თქვა ჩიგურმა. ყოველგვარი უმნიშვნელო რამ. ისეთებიც როგორებსაც ყურადღებას არც კი აქცევ. ისეთი რამ რაც ჩვეულებრივ ხელიდან ხელში გადადის. ადამიანები მათ ყურადღებას არ აქცევენ. ერთ დღესაც კი ეს გადამწყვეტი ხდება. და ამის შემდეგ ძველებურად ვეღარაფერი იქნება. სისულელეაო, ამბობ. ეს ხომ უბრალო მონეტაა. ამ წუთას. მასში განსაკუთრებული არაფერია. როგორ შეიძლება მან რამე გადაწყვიტოს? მაგრამ პრობლემა უნდა დაინახო. მოქმედება ფაქტისგან გამიჯნო. თითქოს ისტორიის გარკვეულმა მომენტმა სხვა მომენტს გაუცვალა ადგილი. ეს როგორ შეიძლება მოხდეს? მონეტის წყალობით. ჰო. ესაა სიმართლე. ასეა?“)** ჩიგურს არ აქვს წარსული, და საერთოდაც არ არსებობს, რადგან ყველა, ვინც კი იცნობს ცოცხლად, ცოცხალი აღარაა. არადა მის მიერ ჩადენილი თითქმის ყველა მკვლელობა ღია ცის ქვეშ, ტეხასის ფართო ქუჩებში ხდება, თან როგორ? უზარმაზარი ჟანგბადის ბალონით (აქაც კრიტიკოსები კონრადის გავლენას ხედავენ და რომანის „საიდუმლო აგენტი“ მთავარ გმირთან ავლებენ პარალელს, რომელიც ხელყუმბარებით შეიარაღებული დადის XX საუკუნის დასაწყისში), მასზე მიმაგრებული პნევმატური ჩაქუჩით, რომელიც კვალს არ ტოვებს (ბალისტიკური ექსპერტიზისათვის) და რომლითაც საქონელს ხოცავენ მუნიციპალურ სასაკლაოებზე.

ჩიგურისთვის ერთი ფასი აქვს ადამიანსაც და საქონელსაც, და ამასთან, ჟანგბადის ბალონის ტარება და მკვლელობები სხვა არაფერია, თუ არა ძველი, „მოხუცების“ მიერ დადგენილი ნორმების აბუჩად აგდება. ის კი ახალ რეალობას ქმნის, რომელიც რომანში „გზა“ გამოჩნდება ფართო მასშტაბით, მაგრამ ვიდრე აპოკალიფსი დაატყდებოდეს თავს დედამიწას, მანამდე ჩიგური ერთ-ერთ ბოლო და ყველაზე უდანაშაულო მსხვერპლს მიადგება მოსაკლავად, მოსის ცოლს, კარლა ჯინს, და მიუხედავად უდანაშაულობის მტკიცებისა, და კარლა ჯინი მართლაც უდანაშაულოა, ჩიგური ვერ ღალატობს თავის ფილოსოფიას და პირობას, რომელიც მის უკვე მკვდარ ქმარს მისცა **(„მთხოვ სისუსტე გამოვიჩინო ამას კი არასდროს დავუშვებ. მთელი ცხოვრება ერთ წესს მივდევ. მისთვის გამონაკლისები არ არსებობს. ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო, მონეტის აგდებაა. შენ შემთხვევაში ამან ვერ გიშველა. როგორ უნდა დაძლიო ის, რის არსებობისაც არ გჯერა? გესმის, რას ვამბობ? როგორც კი შენს ცხოვრებაში გამოვჩნდი, იმ წამს დასრულდა შენი ცხოვრება. მას ჰქონდა დასაწყისი, შუა ნაწილი და აქვს დასასრული. ახლა დასასრულის რიგია. ეგებ მითხრა, რომ ყველაფერი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. სხვა გზით წასულიყო. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? სხვა გზა არც არსებობს. ის ერთი და უცვლელია. შენ მთხოვ ეს გზა შევცვალო. გესმის?**

ჰო, ამოიქვითინა ქალმა. მესმის. გასაგებია.

კარგია, თქვა ჩიგურმა. ეს კარგია

მერე ესროლა“)

და რადგანაც ჩიგურისთვის რეალური მოწინააღმდეგე არ არსებობს, მასზე უკვე სხვა მოწინააღმდეგე ზემოქმედებს და ზუსტად მაშინ, როდესაც ყველაფერი მოაგვარა, ყველა მოკლა, ვინც მოსაკლავი იყო და ვინც არა, ჩიგური ავტოკატასტროფის მსხვერპლი ხდება. არ კვდება. ასეთები იოლად არ კვდებიან, მაგრამ ერთი რამ ცხადი ხდება, იქ, სადაც არსებობენ შენზე სუსტები, აუცილებლად გამოჩნდებიან შენზე ძლიერებიც, ამიტომ ჩიგურიც ქრება და ბავშვები, რომლებმაც მოტეხილი ხელის გადასახვევად პერანგი მიჰყიდეს, ფულის გაყოფას იწყებენ, აღარც სისხლი უკვირთ, აღარც კატასტროფა და აღარც ჩიგურის მოტეხილი მკლავიდან ამოჩრილი ძვალი.

სხვა მხრივ თვითონ რომანი ჰემინგუეის „მოხუცისა და ზღვის“ ერთგვარი მოდერნიზებული ვარიანტია, მაგრამ ოპტიმიზმისგან დაცლილი, სადაც ერთი შეხედვით, მთავარი მოქმედი პირია არა მოხუცი, არამედ ზვიგენები, რომლებიც ჩანასახშივე განსაზღვრულნი არიან გამარჯვებისთვის, ხოლო მაკარტი საბოლოოდ ვერ ახერხებს გმირების დამუშავებას, ან პირიქით, ცდილობს მისცეს გმირებს სრული თავისუფლება და მკითხველსაც ფართო ინტერპრეტაციის საშუალება დაუტოვოს, მაგრამ ეს უკვე ნაკლებ სარწმუნოა, ან ვინ იცის, ლიტერატურაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, აკი მწერალია აქ შერიფიც და კაცისმკვლელიც, ქურდბაცაცაც და მსხვერპლიც, ის სამართალიც კი, რომელსაც ჩიგურის არსაიდან ამოზრდილი პერსონაჟი უწესებს მოხუცებს, რომელთა ადგილიც აქ აღარაა.

ლელა ჯიყაშვილი

ბედნიერი ყოფნა

ყველაზე მეტი სწორედ იმაზე ვიფიქრე, როგორ დამეწერა წერილი ადამიანზე, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდნენ თავისი თანამედროვე თავისუფლებისთვის მებრძოლი, დაუმორჩილებელი პიროვნებები, ისინი, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ყელში ძვალივით ჰყავდა გაჩხერილი, ვერც გადაყლაპვას უხერხებდა და ვერც — მოშორებას... აქ შეიძლება გაეღიმოს ვინმეს: მოშორება და სიცოცხლის მოსპობა „მამალ საბჭოელებს“ ლამის პროფესიად ჰქონდათ ქცეული და ერთი, ან თუნდაც ასი კაცის გაქრობას რაღა უნდოდაო... გაქრობით კი გააქრობდნენ ფიზიკურად, მაგრამ ამ ადამიანებს ჰქონდათ სულიერი ძალა, რომ ის მრწამსი, რაც თავად უტარებიათ, გადაეცათ და ჩაენერგათ ადამიანებისთვის, ლექციებად კი არ წაეკითხათ, საკუთარი ცხოვრების წესად ექციათ და სხვათათვის საკრალური გაეხადათ. არცერთ ეპოქაში არ მომხდარა, რომ ტოტალიტარიზმს ერთნაირად გადაესწორებინა ყველა. ყოველთვის რჩებოდნენ ადამიანები, რომელთა შინაგან პატიოსნებას, სიმართლის სიყვარულს და ქვეყნის ერთგულებას ვერასგზით ხელყოფდნენ. ასეთ ადამიანებზე ხშირად მამა შვილს უამბობდა, ის კიდევ თავის შვილს... ბოლოს საქმე ლეგენდებამდეც მიდიოდა...

გოგი ჭიაბრიშვილზე ლეგენდები არავის შეუთხზავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელი და გვარი ჩვენი ერისთვის მნიშვნელოვანი და ღვაწლმოსილი ადამიანებისთვის სათაყვანებელი გახლდათ, მან მოახერხა განზე გამდგარიყო და ჩრდილში დარჩენილიყო. ვერასდროს დაუშვებდა მადლობა მიეღო იმისთვის, რომ უბრალოდ კაცი იყო: ღალატი და სიძულვილი, სიმუხთლე და ქვემძრომელობა, მაამებლობა და სიცრუე კაცის სახელთან რა სახსენებელია?! და თუ ამ ტალახთან ნაზიარებ ეპითეტებს სამუდამოდ და ურყევად გამიჯვნოდა, თავს გმირობად არ უთვლიდა. სხვასაც ვერ მისცემდა უფლებას, ამ საბაბით გმირად ექციათ...

გმირად არა, მაგრამ მავანთათვის „მტრად“ კი იქცა. ცხადია, მათთვის, ვისაც უკვე ყველაფერი დაეკარგა, გარდა ძალაუფლებისა, და ამ ძალაუფლებას ემსახურებოდა და იმსახურებდა.

გოგი ჭიაბრიშვილი 1946 წლის 17 აგვისტოს გაასამართლეს 58/10 58/11 მუხლებით — აგიტაცია-პროპაგანდისთვის, რომელიც შეიცავს საბჭოთა წყობილების დამხობის მოწოდებას აჯანყების მოწყობის მცდელობისთვის. ეს, ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი იყო. თუმცა გოგი ჭიაბრიშვილს მიესაჯა 8 წელი.

ბრალდებაში წერია, რომ განსასჯელი გახლდათ შეთქმულთა არალეგალური კომიტეტის წევრი, რომლის მიზანიც იყო ანტისაბჭოთა მოქმედების გაღვივება საქართველოს ტერიტორიაზე, წევრების გადაბირებით — საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბრალდებას ხელს აწერს უფროსი გამომძიებელი მაიორი ედიგაროვი. თანახმაა პოდპოლკოვნიკი ვოლფენზონი. ეს ბრალდება მხოლოდ 57 წლის შემდეგ ნახა გოგი ჭიაბრიშვილის შვილმა, ნოდარ ჭიაბრიშვილმა. როცა მიამბობდა, როგორ იჯდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, როგორ კითხულობდა ელექტრონულად იმ ტომებს, სადაც მამამისის საქმე იყო გადმოცემული, ჩვეულებრივ, თავშეკავებული ჩანდა.

დაკითხვის ოქმში წერია, ვინ იყვნენ გოგი ჭიაბრიშვილის უახლოესი ადამიანები, სულ 13 კაცი. მათ შორის ორი — ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი. ოქმში წაკითხული ფრაზა: „სვიმონ ჭიაბრიშვილი — მამა. ჩოლოყაევის ბანდის ყოფილი წევრი, დაპატიმრებული და დახვრეტილი იყო 1923 წელს. სხვა მონაცემები არ მაქვს“, — ვითომდა გოგი ჭიაბრიშვილი ყვებოდა ამას. იცის ბატონმა ნოდარმა, მამა “ბანდას” არ ახსენებდა, რომც ეწამებინათ, რომც მოეკლათ, მაინც არ იტყოდა ასე. ისიც იცის, როგორ იწერებოდა მსგავსი ოქმები. გამოძიების ოქმში მაიორ ედიგაროვის მიერ შემოთავაზებული გამოთქმა “Банда Чолокаева“ არახალია... როცა რუსეთის იმპერია მეზობელი სახელმწიფოებისა თუ მთელი რეგიონების დაპყრობითა და ანექსიით იყო დაკავებული, ნებისმიერი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, რომელიც იარაღით იცავდა სამშობლოს თავისუფლებას, „ბანდად“ მიიჩნევდა, შეიარაღებულ პირებს კი — „ბანდიტებად“...

თუმცა მამა, ბიძა და მამიდა იმდროინდელ ამბებზე სიტყვაძუნწობდნენ. სათქმელი კი ჰქონდათ, ცხადია!

თუნდაც იმის მოყოლა შეეძლოთ, რომ 1922 წელს აჯანყებამ იფეთქა ხევსურეთსა და კახეთში (ხევსურეთის აჯანყება, 1922). გამოსვლები მოეწყო გურიაში. 1923 წელს დამოუკიდებლობის კომიტეტი აჯანყებისათვის სამზადისს განაგრძობდა. მის განკარგულებაში გადავიდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი. 1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კალე მისაბიშვილმა გასცა სამხედრო ცენტრი, რომლის წევრებიც დააპატიმრეს (თუმცა არსებობს სხვა ვერსიაც, რომელიც ამ პიროვნებას ჩამოხსნის გამცემის იარლიყს). მარტში „საქართველოს სსრ“-ის ე.წ. „საგანგებო კომისია“-მ (“ჩეკა“) დამკომის საიდუმლო სტამბა აღმოაჩინა. 1923 წლის 20 მაისს სამხედრო ცენტრის მეთაური, გენერალი კონსტანტინე აფხაზი (ილიას დისწული), გენერლები: ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულიკიძე და როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკები: გიორგი ხიმშიაშვილი, ელიზბარ გულისაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, ოფიცრები: სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, ფარნაოზ ყარალაშვილი, ლევან კლიმიაშვილი, სამოქალაქო მოხელეები: ნიკოლოზ ზანდუკელი, ივანე ქუთათელაძე, იასონ კერესელიძე და მათი მამა სვიმონ ჭიაბრიშვილი ადმინისტრაციული წესით დახვრიტეს (დახვრეტილთა სია მოყვანილია 1923 წლის 19 მაისის გაფართოებული სხდომის №19 ოქმში).

ყელთან მობჯენილი ბურთივით ექნებოდათ ეს ამბავი სვიმონ ჭიაბრიშვილის შთამომავლებს, მაგრამ ისიც იცოდნენ, გონიერება იყო საჭირო, შიშველი ემოციით საქმე არც გაკეთებულა ოდესმე და არც მომავალში გაკეთდებოდა.

* * *

თხუთმეტი მამულიშვილი დახვრეტის ადგილას დაფლეს წითელმა მონსტრებმა. შემდეგ კი, რომ მათი ხსოვნა საერთოდ აღეგავათ ერის მეხსიერებიდან, ყველა ღონეს მიმართეს: დევნიდნენ და აპატიმრებდნენ მათ შთამომავლებს, ნათესავებს, ანადგურებდნენ მათ არქივებს, წიგნებს, რომლებითაც ისინი საზრდოობდნენ, ფოტოებს...

დახვრეტის ადგილი ცნობილი იყო. შემდეგ იქ ვაკის დასვენებისა და გართობის პარკი გაშენდა. ცინიკოსმა იდეოლოგებმა იქ, სადაც ეროვნული გმირების სამარხები ეგულებოდათ, საზოგადოებრივი ტუალეტი ააშენეს. სწორედ ასევე დააბინძურეს მრავალთა ცნობიერებაც. ჭორებისა და, დღევანდელი ტერმინოლოგიით, შავი პიარის დიდოსტატებმა — კომუნისტებმა — მოახერხეს და მასას შიშთან ერთად ხალხის მტრის სიძულვილი ჩაუნერგეს. ამიტომ 7-8 ათეული წელი დასჭირდა, რომ რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას დახვრეტის ადგილზე ტრანსპარანტები მიეტანა და ხმამაღლა ეთქვა: აქ ჩვენი ეროვნული გმირები განისვენებენ, აქ არამცთუ უღირსი ნაგებობა არ უნდა იყოს, საერთოდ ფეხის დადგმაც კი საკრძალველი და საფრთხილოა. აქ ჩვენს ისტორიას უნდა მოვუყაროთ მუხლი!

* * *

რასაც პოლიტიკურად ებრძოდნენ და ისტორიის წიგნიდან თავგამოდებით აქრობდნენ — ოჯახებში ინახავდნენ. ამიტომაც დღევანდელ დღემდე ბევრი რამ სწორედ მათი მემკვიდრეობით მიღებული მეხსიერების წყალობით მოვიდა. ვუსმენდი დიდი ინტერესით ყველა ნიუანსს, რომელსაც ბატონი ნოდარ ჭიაბრიშვილი — დახვრეტილი სვიმონ ჭიაბრიშვილის შვილიშვილი მიამბობდა. ის, რომ სვიმონ ჭიაბრიშვილი შვილთან — კოლიასთან ერთად ფასანაურის მოსახვევში ჩაუსაფრდა რუსებს და კარგა ხანს ავლებდა მუსრს, უფროსებისაგან მოგვიანებით გაიგო. ვიდრე პატარა იყო, ამას არავინ მოუყვებოდა, მაინც საფრთხილო იყო, არსად წამოცდენოდა ბავშვს... სამაგიეროდ, კარგად იცოდა, რომ პაპა ვაჟკაცი იყო, სამართლიანი და უშიშარი, კარგი ცხენოსანი და თავდადებული ქართველი... ორგრიფიან გიტარაზეც უკრავდა (მარტო ამას არ აპატიებდნენ კომუნისტები, ისეთი დრო იყო თურმე). რატომ ამოჭრა ბებიამ — სილამაზით განთქმულმა ქალბატონმა — სხვა ცხენოსნებს შორის ქმრის — სვიმონის — ფოტო და რატომ გადამალა, ამას მოგვიანებით გაიგებდა შთამომავლობა. ქაქუცას რაზმელების ფოტოსაც კი მაშინ სასიკვდილო განაჩენი შეიძლებოდა გამოეტანა ჭიაბრიშვილის შვილებისა და შვილიშვილთათვის. არადა მთავარი გადარჩენა იყო... როგორმე უნდა გაეტანათ თავი, ეცოცხლათ, ესწავლათ, გაეძლოთ დევნისა და გადასახლებისათვის, ბევრი რამ ენახათ და გამოეცადათ, რომ ისეთივე ქართველებად დარჩენილიყვნენ, როგორი მამა-პაპაც ჰყავდათ.

სვიმონ ჭიაბრიშვილი ძალიან მდიდარი კაცი გახლდათ. მას ბევრი მაღაზია და წისქვილი ჰქონდა დუშეთის მაზრაში. ჰყავდა ცხვრის ფარები, როგორც თვითონ ამბობდა, ჩემი ქონება შვილთაშვილებსაც ეყოფაო, მაგრამ ძაფი რომ ძაფია, ისიც კი არ შეარჩინეს. დუშეთში ახლაც დგას მისეული ევროპული სტილის მაღალბელეტაჟიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც ჯერ დუშეთის საბჭო იყო, მერე კიდევ სხვა რაღაც... სვიმონ ჭიაბრიშვილი ფინანსურად ეხმარებოდა ქაქუცას რაზმს და ჰყავდა საკუთარი რაზმიც... თანასოფლელები უდიდეს პატივს სცემდნენ, გარდა იმისა, რომ ანგარიშგასაწევი კაცი იყო თავისი აზროვნებით, ხევისბერიც გახლდათ...

* * *

სვიმონ ჭიაბრიშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო. მას ხუთი შვილი ჰყავდა: ეკატერინე, ნიკოლოზი (კოლია), გიორგი (გოგი), შალვა, ქეთევანი.

სვიმონისა და მისი მეუღლის — ერმონია გელიაიძის — ოჯახში გაზრდილ შვილებს კეთილ დამღად ეტყობოდათ მამულისა და მამულიშვილებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და კეთილსინდისიერების უზადო განცდა.

სვიმონ ჭიაბრიშვილის მეუღლე ხევში განთქმული იყო სილამაზით. უფროსი ქალიშვილი ეკატერინე ორჯონიკიძეში იყო გათხოვილი, კოლია ქაქუცასთან იყო გასული... 20-იან წლებში დაიწყეს ამ დიდი ოჯახის დევნა, ოჯახისა, რომელიც იმდენად ძლიერი იყო ქართული სულითა და ტრადიციებით, რომ მათთან სტუმრობდნენ ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა... წითლებსაც სწორედ ასეთი ოჯახები უშლიდნენ ხელს მშვიდად ცხოვრებაში. ერმონიას ძმა ფიდო გელიაიძე გადაასახლეს ციმბირში და იქ დაიკარგა (მას გერონტი ქიქოძეც ახსენებს ერთ-ერთ ესეიში ძალიან თბილად).

1937 წელს ორჯონიკიძეში დახვრიტეს ეკატერინე ჭიაბრიშვილის მეუღლე — ნიკოლოზ უთურგაშვილი. ჭიაბრიშვილები კი ფაქტობრივად გამოყარეს დუშეთიდან და ისინიც კახეთში დასახლდნენ. გოგი ჭიაბრიშვილის ვაჟი ნოდარი უკვე თელავში დაიბადა. გოგი ჭიაბრიშვილს ჰყავდა ნოდარზე ოთხი წლით უფროსი ვაჟიც — ოთარი.

* * *

სვიმონ ჭიაბრიშვილის შვილები ყველანი გამოირჩეოდნენ გარეგნობით. უფროსი ვაჟი — კოლია, როგორც ამბობენ, გარეგნობითაც და შინაგანი სამყაროთიც ულამაზესი კაცი ყოფილა. რომ გაივლიდა რუსთაველზე, ქალები აჩერებდნენ კიდეც, მისი გაცნობა უნდოდათ. სვიმონი რომ დახვრიტეს, ცხადია, მასაც გაუჩნდა დაჭერის მოლოდინი. მაშინდელი მთავრობა აპირებდა კიდეც ამას, მაგრამ კოლია უზადო ვაჟკაცმა — ვაჟა-ფშაველას შვილმა, ლევანმა — გადაარჩინა. მან საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად შეუთვალა, ფრთხილად იყავი, თორემ დაგიჭერენო. კოლია ამ დროს ქაქუცას რაზმში იმყოფებოდა. წითელ უბედურებასთან ბრძოლაში რომ დამარცხდნენ შეფიცულები და ემიგრაციაში წასვლა გადაწყდა, სხვებთან ერთად კოლიაც თურქეთში მიდიოდა, სამხრეთ საქართველოს — წალკის გავლით. ერთ-ერთი შეხლა-შემოხლის დროს კოლია ჭიაბრიშვილი მძიმედ დაიჭრა. გადაიყვანეს დაღესტანში. იქ ალბათ უსასრულოდ გრძელდებოდა საქართველოს გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების მტანჯველი მოლოდინი. სხვისი გვარით დაამთავრა სატყეო ინსტიტუტი. 1937 წელს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა დერბენდში. გაჩნდა ეჭვი, რომ მოუწყვეს... საქართველოში ეს ამბავი რომ ჩამოვიდა, სასწრაფოდ გაემგზავრა მისი ძმა — გოგი, ბატონი ნოდარის მამა, მაგრამ ძმა მუსულმანურად დაკრძალული დაუხვდა. ძალიან განიცადა, ხელახლა დაასაფლავა მართლმადიდებლური წესით... იმ დროს ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, თურმე თავის მოკვლა უნდოდაო, — უამბნია შვილისთვის დედას წლების შემდეგ.

* * *

შალვა და გოგი ჭიაბრიშვილებმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრეს.

შალვას თბილისში ცხოვრების უფლებას არ აძლევდნენ და კოჯორში წავიდა მასწავლებლად სამუშაოდ. დაბა კოჯორში მარტო ის არ ყოფილა „არაკეთილსაიმედო“, ბევრი სხვაც იყო შეფარებული. თვეში ერთხელ იბარებდნენ და კაგებეში და ჰკითხავდნენ. სხვათა შორის, შალვა ჭიაბრიშვილი ვერ გატეხა ხელისუფლების სისასტიკემ.

ის დიმიტრი ჭიაბრიშვილის ვაჟის სანახავად იყო წასული საფრანგეთში. რომელიც დე გოლის არმიაში მსახურობდა, გენერალ-ლეიტენანტი იყო. მამა-შვილი, რომლებიც ჭიაბროვებად ეწერებოდნენ, საბჭოთა მთავრობას მტრად ჰყავდა შერაცხული.

ომი რომ დამთავრდა, შალვა ჩავიდა ბიძაშვილის სანახავად პარიზში, მოინახულა, დაბრუნდა გერმანიაში. და წამოვიდა. მთელი ცხოვრება ელოდა დაჭერას ამის გამო. შალვა ჭიაბრიშვილის ვაჟს, თენგიზ ჭიაბრიშვილს, კარგად ახსოვს 1956 წლის შემოდგომაზე მამამისის მიერ ოცამდე ვორკუტელი პოლიტპატიმრის მიპატიჟება კოჯორში. სუფრასთან გოგი ჭიაბრიშვილს უთამადია.

გოგი ჭიაბრიშვილის დაკითხვის ოქმში ისიც ეწერა: დიმიტრი გიორგის ძე ჭიაბრიშვილი მენშევიკური მთავრობის

დამფუძნებელი კრების წევრი გახლდათ. 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა. მას მერე არაფერი ვიციო.

დიმიტრი ჭიაბრიშვილი კაკი წერეთლის მეგობარი ყოფილა. მისი გარდაცვალების შემდეგ ისეთი სიტყვა თქვა, ტიროდნენ თურმე.

* * *

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გოგი ჭიაბრიშვილი სკოლის დირექტორი იყო თელავში, ზემო ალვანში, ახმეტაში, ალბათ იმ ავადსახსენებელ წლებში ერთადერთი დირექტორი, რომელიც არ გახლდათ პარტიული... სამაგიეროდ, საიდუმლო საზოგადოებაში იყო გაერთიანებული... კახეთში ომის დროს გაიშალა მოძრაობა „სამანელები". ძირითადად თუშები იყვნენ გაერთიანებულები. რაკი გოგი ჭიაბრიშვილი ახმეტაში მუშაობდა, „სამანელებთანაც" ჰქონდა კავშირი. მათი ყველაზე დიდი დანაშაული ის გახლდათ, რომ საკითხს ასე სვამდნენ: დავუშვათ გერმანიამ აიღო საქართველო, ჩვენ რა ვქნათ, როგორ მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ თავისუფლებაო.

მეორე მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა... ბრიანსკთან ორგან დაჭრილი ტყვედ ჩავარდა...

* * *

ერთადერთი, რასაც გოგი ჭიაბრიშვილი ჰყვებოდა დახაუში ტყვეობის პერიოდთან დაკავშირებით, ეს ამბავი იყო: ერთ დღეს, როცა ჩვეულებრივ საშინელ დღეში იყვნენ ტყვეები, ბარაკში მაღალჩინოსანი ოფიცერი შევიდა. ხუთი ტყვე შეარჩია, სწორედ ისე, როგორც ფილმში ხდება ხოლმე. შერჩეულებს შორის იყო გოგი ჭიაბრიშვილიც. ოფიცერი უბრძანებს: გათხარეთ ორმოო, — და ესენიც თხრიან. მერე ეუბნება: ახლა თქვენგან ერთ-ერთი მეთამაშება ჭადრაკს. თუ მოვუგე, დაგხვრეტთ ერთ-ერთს, თუ მოიგო, ერთ ტომარა კარტოფილს მოგცემთო. დუმილს გოგი ჭიაბრიშვილი არღვევს — გეთამაშებითო. ჭადრაკის პარტია ტყვედ მყოფი გოგი ჭიაბრიშვილის გამარჯვებით დასრულდა. ოფიცერი ასრულებს თავის დანაპირებს და ერთ ტომარა კარტოფილს აძლევს ტყვეებს. ხუთივე მიათრევს ძვირფას მონაპოვარს, რომელსაც ოქროზე მეტი ფასი აქვს ტყვეთა ბანაკში. ბარაკში კარტოფილს ყველას უნაწილებენ. თითო ტყვეს თითო ხვდება და უმს ჭამენ... თან ძალიან ბედნიერები არიან! ეს ამბავი მართლაც კარგი მოთხრობის სიუჟეტია...

როგორც ყველა სხვას, მასაც საბჭოთა მთავრობამ ერთი ტყვეობა მეორეთი შეუცვალა. რუსეთის გამარჯვების შემდეგ თითქმის ყველა ტყვედყოფილი დააპატიმრეს და გადაასახლეს. ისიც ფაქტია, რომ თავიდან აცილება შეეძლო. გოგი ჭიაბრიშვილს სთავაზობდნენ ფალიაშვილზე სამოთახიან ბინას, თუ მათ აგენტად იმუშავებდა. ამაოდ დაშვრნენ. მაშინ მის მეუღლეს შესთავაზეს, უარი ეთქვა მის ცოლობაზე... ისევ ამაოდ...

გოგი ჭიაბრიშვილი გასამართლების მერე ორთაჭალის ციხის იმ საკანში მოხვდა, სადაც ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ბიძა გრიგოლ (გრიშა) კოსტავა იჯდა. ის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. გოგი და გრიშა დაპატიმრებამდე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ერთხელ, გადასახლებაში მყოფს უთქვამს კიდეც ნოდარისთვის, გრიშა კოსტავა ძალიან ნიჭიერი, განათლებული და ღირსებამოჭარბებული ქართველიაო. გრიშა კოსტავა კარგად ძერწავდა დ ხატავდა. ერთხელ გოგი ჭიაბრიშვილი დაუხატავს. გოგის პორტრეტის მეორე მხარეს წაუწერია:

აჰა, წაიღე ჩემი აჩრდილი
და როცა სევდა გულს სარქველს ახდის,
დააშტერდი და მწარედ შესძახე,
ჩემს სატანჯველად ნეტავ რად გაჩნდი.

სურათი მეუღლისთვის გადაუცია. სამწუხაროდ, ეს რელიკვია დაიკარგა.

გოგი და კოლია ჭიაბრიშვილები

გოგი ჭიაბრიშვილისთვის მეუღლე — ლოლა — ერთადერთი იყო, ვისთანაც თავს დამნაშავედ გრძნობდა იმის გამო, რომ თვითონ პატიმრობაში ყოფნა უხდებოდა და მეუღლეს შვილების აღზრდის პასუხისმგებლობა მარტოს აწვა მხრებზე ტვირთად. ის მასწავლებელი და ღირსეული ქართველი მანდილოსანი გახლდათ...

1947 წლის 23 მაისს ორთაჭალის ციხიდან გოგი ჭიაბრიშვილმა მეუღლეს წერილი გამოუგზავნა:

„ჩემო ლოლია, შვილები დამიკოცნე. ჩემი სიცოცხლის უმძიმესი დღეები კვლავ მონოტონურად მიიზლაზნებიან, რკინის მარწუხებში გამომწყვდეული, ავტომატივით მექანიკურად ვმოძრაობ, ხანდახან ტრაგიკული განწყობილება ჩემზე გამარჯვებას ზეიმობს ხოლმე. ცხადია, იგი მართებულია, როგორც ყველა ის, ვინც მეტ-ნაკლებად მსაყვედურობს ან თავს მესხმის. მართლაცდა, როდის იყო, რომ დამარცხებულს, დაჩოქებულს თანამგრძნობი ჰყავდა. უფრო მეტიც, მძლეთამძლე რაინდიც კი დამარცხების შემდეგ, ყველას თვალში ღირსებააყრილია ხოლმე. ხოდა ჩემთვის საკვირველი კი არაა, ყოველივე ეს მტანჯველია იმიტომ, რომ ჩემი სიცოცხლის ხერხემალი ბუნების სტიქიის შუბზე რომ გადამტვრეულიყო, მკვდარსაც კი ღიმილს ვერავითარი ძალა ვერ წამართმევდა. მე არ ვწუწუნებ, ვიღრინები. კი არ ვტირი, არა... ვბობოქრობ. ასეთ სიცოცხლეს ვკიცხავ, გაიგე? ვკიცხავ-მეთქი. ჩემს ბოდვას ყური არ ათხოვო, თუ დაუმატებ, „ახიაო", მე მადლობას გიძღვნი. როცა გული დარდს ვეღარ დაიტევს ხოლმე, ისევ თქვენ მოგძებნით ხოლმე, თითქოს ვალდებული იყოთ, ჩემი სულის ტკივილებით თქვენც შეტორტმანდეთ, შეშფოთდეთ. ვდუმდები! ვეცდები აღარ, ან იშვიათად გავიმეორო ასეთი ამოძახილები. თქვენც ხომ საკმაოდ დასჯილები ხართ, მომიტევეთ.

ოთარის გამოცდების საქმე როგორ არის? საქმის გაგებამდე მოთმინება არ მყოფნის. ჩემო ოთო! ეცადე, შვილო ნელი არ დაკარგო. ტრაბახა ნოდოს იმედი მაქვს, რომ „ხუთოსანი" იქნება. ჩემო ლოლია! რა მეთქმის მამას შესახებ? თუ წამოსვლას აპირებ, პალტო და ხალათი გამოაყოლე. გეამბორები, შენი გოგი."

ორთაჭალის ციხეში გოგი ჭიაბრიშვილს ციხის უფროსად დაუხვდა ვანო ჯაოშვილი, რომელთანაც ახალგაზრდობაში დუშეთში ცხოვრებისას მეგობრობდა. ახლა ის საქართველოს სსრ სუკ-ის თავმჯდომარის კარანაძის ცოლიძმა გახლდათ. ერთ მშვენიერ დღეს გოგი და თედო ჭიაბრიშვილები (თედო გოგის ბიძაშვილი იყო და ისიც დაპატიმრებული გახლდათ) ვანო ჯაოშვილმა კაბინეტში ააყვანინა. ვანო შეწუხებული იყო და თანაგრძნობით უთხრა პატიმრებს: სამწუხაროდ, არაფერი შემიძლია, გადასასახლებელი პატიმრების სია მოსკოვიდან მივი-

ფოტოზე დგანან მარცხნიდან: რეზო ტყავაძე, ვალიკო ხუჭუა, დავით გაჩავა, ზურაბ მიქელაძე, ილიკო ბოჭორიშვილი, რომან ბლიაძე, დავით კვიტაიშვილი და გოგი ჭიაბრიშვილი. სხედან მარცხნიდან: ლილი ბლიაძე (რომან ბლიაძის ქალიშვილი), ლოლა ზარდიაშვილი (გოგი ჭიაბრიშვილის მეუღლე), ოლია ჭეიშვილი (ზურაბ მიქელაძის დედა), ნინო ტყავაძე (რეზო ტყავაძის დედა), ნუნუ თევზაძე (სოლომონ თევზაძის და) და იამზე ტყავაძე (რეზო ტყავაძის და).

გადაღებულია ქალაქ ვორკუტაში, 25 ივლისი, 1954 წელი

ღეთ. გოგი, შენ გაგზავნიან კომის ასსრ-ის ქ. ვორკუტის მეექვსე ბანაკში. იქამდე ჩაღწევას ერთი თვე მაინც დასჭირდება...

მერე თამბაქო და ფული ამოუღია და გოგისთვის მიუცია, სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც მოახერხა... დამშვიდობებისას „ჯოჯოხეთიდან ცოცხლად დაბრუნება“ უსურვა ყმაწვილობისდროინდელ მეგობარს. მოგვიანებით თედო ჭიაბრიშვილი აღმოსავლეთ ციმბირში, ქ. მაგადანში გადაასახლეს.

ჩვენს ვაზისა და მზის ქვეყანაში გეოგრაფიული დასახელება „ვორკუტა“ ტრაგიზმისა და შიშის სიმბოლო იყო. ამ ცივ, თითქოს მზისა და ღვთისაგან დავიწყებულ ადგილას პოლიტიკურად არასაიმედო ხალხისათვის ბანაკები სოკოებივით მრავლდებოდა. ქარბუქსა და მუდმივ თოვლში, ვინ იცის, რამდენი ქართველის მზერა ჩამქრალა, რამდენი მარჯვენა გაციებულა... ვორკუტა — ჯოჯოხეთი, აქ გაჭიმულ თოკებს უნდა მოსჭიდებოდი, ქარს რომ არ წაეღე... სადაც არ იყო არც რადიო, არც გაზეთი... წერილებიც კანტი-კუნტად თუ მიაღწევდა, ცხადია, გახსნილი და „დამუშავებული“. ვორკუტაში სიკვდილთან შესახვედრად ყოველ წამს მზად უნდა ყოფილიყავი. მზიური და ვაზის მტევნებით დახუნძლული საქართველოს მონატრება ისედაც ყოველ ცისმარე განატრებინებდა სიკვდილს თეთრი ტრამალების შემხედვარეს.

გოგი ჭიაბრიშვილთან ერთად ვორკუტაში გადასახლებული იყო რამდენიმე სტუდენტიც — 20-22 წლის ბიჭები, მათ შორის რეზო ტყავაძეც. მამამისი შალვა ცნობილი იურისტი გახლდათ. მას შემდეგ, რაც გადასახლებულთა ოჯახებმა ერთმანეთი გაიცნეს და დაახლოვდნენ, ბატონი შალვა დაუკავშირდა იმ სახალხო მსაჯულს, რომელიც 1946 წელს ესწრებოდა ჭიაბრიშვილის გასამართლებას თბილისში.

მას ყველაფერი კარგად ახსოვდა და უამბო: გოგი ჭიაბრიშვილმა არ ისურვა აეყვანა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დამცველი. თავს თვითონვე იცავდა. გაასამართლეს 58-10 და 58- 11 მუხლებით. ეს ნიშნავდა, რომ კონტრევოლუციონერი და ხალხის მტერი იყო და ითვალისწინებდა სასჯელს 8 დან 15 წლამდე. სამი ადამიანი გავედით განაჩენის გამოსატანად. პროკურორმა მოითხოვა 15 წელი. მოსამართლემ უთხრა: ბიჭო, ხომ ვართ მე და შენ ძმები, არ ინატრებდი, ამისთანა ვაჟკაცი ხუთი მაინც ჰყავდეს საქართველოსო. ნუ გავაკეთებთ ამას, მივუსაჯოთ 8 წელიო. ცხადია, რომ მოსამართლე ი. ეფრემიძის, სახალხო მსაჯულ კაციტაძის და პროკურორ ბონერაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ დროს უდავოდ გმირობის ტოლფასი იყო. 8 წელი მიუსაჯეს...

* * *

გოგი ჭიაბრიშვილი მაღაროში არ ჩასულა. ამის გამო ყველას სჯიდნენ, მასაც არაერთხელ დაატეხეს რისხვა თავს. ზედამხედველი აგდებდა საყინულეში — 10-12 კვ/მ ორმოში, სადაც წყალს ასხამდნენ კედლებზე და იყინებოდა. ორმოდან ამოყვანილ გოგის ბანაკის უფროსი იბარებდა და დედას აგინებდა. ერთხელ გაგულისებულ გოგი ჭიაბრიშვილს მიუძახებია: ნუ მაგინებ, შენი დედაც და შენი ღმერთებიცო. ღმერთებში იგულისხმა და მიანიშნა კედელზე დაკიდებულ ბელადების სურათებზე. ბანაკის უფროსს ისე შეეშინდა, ხუთი წუთი ხმას ვერ იღებდა. მეორე დღეს შესთავაზა, ბანაკში მეურნეობის უფროსის ადგილი თავისუფალია და იმუშავეო. ამ ადგილზე, როგორც წესი, პატიმრებს ნიშნავდნენ. გოგი ჭიაბრიშვილს უთქვამს, მოვიფიქრებ და ორი დღის შემდეგ გაგცემ პასუხსო. ბარაკში რომ მისულა, ბიჭებისთვის მოუყოლია, ამას მთავაზობენ და რა ვქნაო. შეშფოთებულან ვორკუტელი ქართველები: უარი ხომ არ უთხარიო. სწორედ ეს მინდა გკითხოთო... იმ შემთხვევაში დავთანხმდები, თუ თქვენ იქნებით ჩემ გვერდითო...

უდიდეს პატივს სცემდნენ ვორკუტელი ქართველებიცა და სხვა პატიმრებიც. საკმარისი იყო გოგი ჭიაბრიშვილი გამოჩენილიყო, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით.

* * *

1954 წლის ივნისის თვის მეორე ნახევარში ვორკუტაში ერთად წავიდა 6 ქართველი ქალბატონი. დეკაბრისტების ცოლებივით ჩამოვიდნენო, — ხუმრობდნენ მაშინ გადასახლებულები. გოგი ჭიაბრიშვილის ვაჟი, ნოდარი იხსენებს: ვორკუტიდან დაბრუნების შემდეგ, დედა გვიამბობდა, რა გახარებული იყვნენ არა მხოლოდ ქართველი ქალების უშუალო მასპინძლები, არამედ ყველა ვორკუტელი ქართველი მათი ჩასვლით... ქართველ ქალბატონებსა და რუს დეკაბრისტთა ცოლებს შორის ერთი არსებითი განსხვავება იყო, დეკაბრისტთა მეუღლეები შეძლებული ოჯახების პატრონები იყვნენ, ქართველი ქალბატონები კი ძლივს არჩენდნენ შვილებს და, ცხადია, მათ გასამგზავრებლად მთელმა ნათესაობამ გამოიღო ხელი. ვორკუტიდან დაბრუნებული დედა კმაყოფილი იყო. ამბობდა, ყველა ქართველი სამშობლოში დაბრუნების იმედით ცოცხლობსო. ჩვენი ჩასვლა რესტორანში აღნიშნეს. რამდენიმე საათის განმავლობაში ისმოდა ქართული სიმღერები კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლთა ხელით აშენებულ ქალაქ-დილეგში, რომელიც 1970 წელს წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს... ასეთი იყო კომუნისტური ცინიზმი.

გოგი ჭიაბრიშვილის მეუღლე ქალბატონი ლოლა დეიდა ლოლა გახლდათ გადასახლებული სტუდენტებისათვის. ამ დროს მისი ძმაც გადასახლებული იყო ვორკუტიდან 200 კმ-ით დაშორებულ პატიმრების ქალაქ ინტაში. სირცხვილია, ძმა არ ვაჩვენოთ დეიდა ლოლასო, უთქვამთ ბიჭებს. მაგრამ მათ ყვე-

ლას, როგორც პოლიტიკურ პატიმრებს, აკრძალული ჰქონდათ ადგილის დატოვება.

— ყველაზე ინტელექტუალური სახე მიქელაძეს აქვს, დამნაშავეს არ ჰგავს, იმან წაიყვანოსო, — გადაუწყვეტიათ. წაიყვანა კიდეც ინტაში. სამი დღე დარჩნენ იქ. მერე იქიდან მოვიდა სტუმარი ვორკუტაში... ასე რომ, გადასახლებული ქართველები თავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, იქ იყო ძალიან მკაცრი, მაგრამ მაინც თავისებური გრდემლი, სადაც ვაჟკაცები იწრთობოდნენ და იკვეთებოდნენ. ცხადია, ისეთებიც იყვნენ, ვინც იფერფლებოდა...

ვორკუტაში ჩასული ნოდარ ჭიაბრიშვილი, ვალიკო ხუჭუა, კოლია კალაძის მეუღლე, გოგი ჭიაბრიშვილი

1954 წლის პირველ ნახევარში, მას შემდეგ რაც გოგი ჭიაბრიშვილი ბანაკიდან გაათავისუფლეს და ე.წ. „თავისუფალ გადასახლებაში“ დატოვეს, მას ვორკუტის საქალაქო საავადმყოფოში კუჭის ოპერაცია გაუკეთა მასავით ტუსაღმა და მრავალი წლის განმავლობაში მისადმი კეთილად განწყობილმა უკრაინელმა ქირურგმა იგორ ოვჩარენკომ.

ოპერაციისას პაციენტს თავს ადგა მეგობარი, ვორკუტაში ყველა ქართველის — და არა მხოლოდ ქართველის — უანგაროდ თანამდგომი, სულიერი სიმდიდრითა და ღირსებით დაჯილდოებული ექიმი პედიატრი დავით კვიტაიშვილი. სწორედ მან დაამშვიდა ქალბატონი ლოლა ვორკუტაში, ყველაფერი ისე კარგად გაკეთდა, საშიში არაფერიაო...

1954 წლის 30 მარტის შემდეგ გოგი ჭიაბრიშვილი ბანაკში რომ დარჩენილიყო, ოპერაციას ვერ გაუკეთებდნენ, რამდენიმე ათეულ ბანაკ-დილეგში პაციენტის ოპერირება შეუძლებელი იყო.

* * *

1955 წელს გოგი ჭიაბრიშვილის ვაჟმა — ნოდარმა — სკოლა დაამთავრა. მისი უფროსი ძმა ამ დროს ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. სწორედ ამ დროს მოვიდა მამის წერილიც ვორკუტადან. მეუღლეს სთხოვდა, ვორკუტაში გამოუშვი ნოდარი, უმაღლესში მომავალ წელს ჩააბაროსო.

„წასვლამდე დედამ გამაფრთხილა, მამა რამდენიმე მეგობართან ერთად დაგიხვდება და, იცოდე, ყველაზე მაღალი მამაშენი იქნებაო...

ჩავედი. ის დროა, დაწყებულია პოლარული ღამეები. საშინელი ბურუსია. გავიხედე ფანჯარაში, ვერავის ვხედავ... ერთ წუთში ამოვიდა მამა. გაჩერდა კარში, გაიღიმა. არც უკოცნია. მხოლოდ ის მკითხა, როგორ იმგზავრეო. მამასთან ერთად დამხვდნენ: ვალიკო ხუჭუა, არსენ წამალაიძე და გივი კუხალეიშვილი.

ვორკუტაში წიგნი არ იყო პრობლემა, ითხოვდნენ და ვუგზავნიდით. იქ წავიკითხე გოგოლის „მკვდარი სულები“.

გადაღებული მაქვს ფოტო, სადაც მე, ვალიკო ხუჭუა, კოლია კალაძის მეუღლე — ქალბატონი თამარი და მამაჩემი ვართ ვორკუტაში.

ცემენტის დასახლებაში ცხოვრობდა მამა, იქ ოთხი ქართველიც ცხოვრობდა, დანარჩენები მიბნეულ-მობნეულები იყვნენ. ეს უკავშირდებოდა მათ სამსახურს და იმას, ვინ სად იშოვა ბინა. ცემენტის დასახლებაში ყველაზე კარგი ბინა — ოროთახიანი — ვალიკო ხუჭუას ჰქონდა. ცოლ-შვილი ჰყავდა და იმიტომ...

სხვათა შორის ძალიან საინტერესო ამბავია: ვალიკომ თურმე შეყვარებული დატოვა თბილისში. მოუწერია: თუ ისევ გიყვარვარ, გახსოვარ, ჩამოდიო. ჩააკითხა თამარ წერეთელმა, დასთან ერთად წასულა ვორკუტაში. ხელიც აქ მოაწერეს. რომ ჩავედი, პირველი სამი დღე მოვილხინეთ ქართულად ვალიკოსთან. მღეროდნენ, გიტარაც ჰქონდათ. თამარმა ქართული კერძები მოგვიმზადა, მე ხომ ბევრი სანოვაგე, ღვინო, არაყი და სანელებლები გამატანეს ოჯახიდან.

ვორკუტაში ახალ ამბებს ვერ იგებდნენ. არ ჰქონდათ რადიო... შიგადაშიგ გამოჩნდებოდა გაზეთი „პრავდა“. მამა ქარხანაში მუშაობდა. ზურაბ მიქელაძე გახლდათ ცვლის უფროსი. ქარხნის დირექტორი იყო მოსკოვიდან მოვლინებული რუსი. მხოლოდ მას ჰქონდა გამოწერილი გაზეთები.

მამა ცხოვრობდა ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკში. ერთი ოთახი გადატიხრული ჰქონდა და იქით ესტონელი პოლიტპატიმარი ცხოვრობდა. ერთი ღუმელით თბებოდნენ. მამა ყიდულობდა თურმე ქვანახშირს, სამაგიეროდ ესტონელი ათბობდა ღუმელს.

ყველაფერს აკეთებდნენ, რომ თავი გადაერჩინათ, მხოლოდ პატიოსანი შრომის ხარჯზე. მე რომ ჩავედი, უკვე იცოდნენ, რომ დაბრუნდებოდნენ. თავის შესახებ არაფერს მიამბობდა მამა. სხვებისაგან ვიცი მისი ამბები.

გოგი ჭიაბრიშვილთან ერთად ვორკუტაში გადასახლებული იყო ისტორიკოსი შოთა შავგულიძე. წიგნში „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“ მას ერთი რწმენით აქვს გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები. „ვორკუტაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩემთან ერთად ტუსაღის ხვედრი უზიდია გოგი ჭიაბრიშვილს, დუშეთის არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციის თავკაცს, ნიჭიერ და განათლებულ პედაგოგს. მისი საუბრის თემა მუდამ საქართველოს თავისუფლების გზების ძიება იყო. მის საუბარს ოპტიმიზმის ჯადოსნური დამაჯერებლობა ჰქონდა. მას სწამდა რუსეთის კომუნისტური იმპერიის დანგრევის და ნატრობდა, ჩვენც მოვსწრებოდით იმ დროს. სამწუხაროდ, მისმა ნატანჯ-ნანამებმა სხეულმა ეს ნატვრა ვერ შეუსრულა“, — წერს შოთა შავგულიძე თავის წიგნში.

გოგი ჭიაბრიშვილი ტყვეობიდან რომ დაბრუნდა, უამრავი ლექსი ჩამოიტანა. დაწვა ყველაფერი. იმდენად მაღალ მოთხოვნებს უყენებდა ლიტერატურას, თავისი ლექსები არ მიიჩნია სიცოცხლის უფლების მქონედ...

ვორკუტაში პოეტი შალვა მჭედლიშვილიც იყო გადასახლებული, სწორედ ის, მომავალში ლიტერატურის კლასიკოსის ანა კალანდაძის ქმარი რომ გახდა, თუმცა მათი ქორწინება ძალიან ხანმოკლე და უიღბლო გამოდგა.

შალვა მჭედლიშვილი ამბობდა, გოგი ჭიაბრიშვილს საკმაოდ კარგი ლექსები ჰქონდა, მაგრამ მარტო სხვას კი არ სთხოვდა ბევრს, პირველ რიგში საკუთარ თავსო.

ნოდარ ჭიაბრიშვილი იხსენებს: ბატონმა შალვამ მიამბო, ავად გახდა და ექიმებმა დააგდეს მორგში. მამამ იეჭვა, რომ შეცდომა მოუვიდათ, მორგში შევარდა და ყვიროდა: მაჩვე-

ნეთ. ქართველი სად დააწვინეთო! გამოაყვანინა, პულსი გაუსინჯა და ცოცხალი იყო. ასე გადაარჩინა.

ახლა საშინელებათა ჟანრის ფილმში გეგონება თავი, იმას რომ მოუსმენ, როგორ ხდებოდა ვორკუტაში გარდაცვლილი პატიმრების დასაფლავება. ამას ნოდარ ჭიაბრიშვილი იხსენებს: ბანაკის მორგიდან მიცვალებულის ნეშტი ორ ავტომატით შეიარაღებულ ზედამხედველს გამოჰქონდა და სატვირთო მანქანის ძარაზე ასვენებდნენ. ბანაკის ტერიტორიიდან ქალაქში გასასვლელ ერთადერთ კართან მანქანა რამდენიმე წუთით შეჩერდებოდა, ხიშტიანი შაშხანით შეიარაღებული „ზედამხედველი-სანიტარი“ ავარდებოდა მანქანის ძარაზე და მიცვალებულებს გულ-მკერდის არეში მთელი ძალით სამჯერ-ოთხჯერ ჩაარტყამდა შაშხანაზე დამაგრებულ ხიშტს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა იმის დადასტურება სამედიცინო დასკვნით, რომ ტუსაღი ნამდვილად გარდაცვლილი იყო და მის ნეშტს ვორკუტის უპატრონო მიცვალებულთა სასაფლაოზე მიაბარებდნენ „მადლიან რუსულ მიწას“.

* * *

ნოდარ ჭიაბრიშვილი ვორკუტიდან თბილისში 1956 წლის მაისის პირველ ნახევარში უნდა დაბრუნებულიყო. ცხადია, მამა ემზადებოდა ამისთვის... წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ნოდარს ვალიკო ხუჭუამ ბარაკში მიუტანა მატარებლის ბილეთი ვორკუტა-თბილისი. ამავე დღეებში მამა-შვილს ესტუმრა ვორკუტელ ქართველთა შორის ერთ-ერთი კუნთმაგარი არსენ წამალაიძე (გადასახლებამდე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო). გოგისთვის უთქვამს: ძმაო, ერთი თვის წინათ მაღაროში ჩავედი სამუშაოდ, გამოვიმუშავე 500 მანეთი და ამ თანხიდან ნოდარს ჯიბის ფულად 300 მანეთს ვჩუქნიო. ნოდარს არ გაკვირვებია, უკვე კარგად იცოდა ვორკუტელი ქართველების უანგარო თანადგომის ამბები.

ნოდარ ჭიაბრიშვილი მაისის შუა რიცხვებში უკვე თბილისში იყო. ივლისის თვეში მისაღები გამოცდები ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1956 წლის აგვისტოს ბოლოს გოგი ჭიაბრიშვილმა მეუღლეს წერილი გამოუგზავნა, ატყობინებდა, ვბრუნდებიო. წერილი მთავრდებოდა სიტყვებით: „მარნის კარი გააღე, ქვევრს მოხადე სარქველი, გოგი დაგიბრუნდება, ქორწილი გვაქვს სახდელი“...

6 სექტემბერს თბილისში დაბრუნდნენ: ვალიკო ხუჭუა, დავით გაჩავა, არსენ წამალაიძე და გოგი ჭიაბრიშვილი.

ბაქანზე უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი მათ დასახვედრად. იქვე იყვნენ ოთარ და ნოდარ ჭიაბრიშვილებიც. გოგი ჭიაბრიშვილს და მის ვორკუტელ მეგობრებს კახეთში სამზადისით ელოდნენ. სამზადისს, ცხადია, ქალბატონი ლოლა ხელმძღვანელობდა...

ვორკუტიდან საქართველოში დაბრუნებულმა გოგი ჭიაბრიშვილმა მძლავრად მოჰკიდა ხელი ოჯახის ფეხზე დაყენებას: ააშენა საცხოვრებელი სახლი ველისციხეში, მშენებლობისას მხარში ედგნენ მეგობრები: დიმიტრი ჩოხელი, ალექსანდრე გვენცაძე, დავით გეგელიძე, შოთა როსტომაშვილი, გიორგი ჩოლოყაშვილი, მიშა დავითაშვილი და დავით კვიტაიშვილი...

ველისციხეში გოგი ჭიაბრიშვილს ყურადღებას არ აკლებდნენ დიმიტრი მამისაშვილი, სოლიკო სეხნიაშვილი, ალექსი გორგიშელი, ალექსი ლომთაძე, არჩილ მღებრიშვილი და ვარლამ ავალიშვილი.

ვორკუტიდან დაბრუნებულმა ქართველმა მოახერხა და 2500 კვადრატულ მეტრ ფართობზე გააშენა ვენახი... მიუხედავად იმისა, რომ დიდი ტანჯვა ჰქონდა გადატანილი და ჯანმრთელობაც შერყეული, არ შემდრკალა...

1960 წლის 28 თებერვალს 53 წლისა გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე შვილისთვის უთქვამს, თუ გინდა, რომ კაცის სახელი გქონდეს, როგორც უნდა გაგიჭირდეს, არავის არაფერი სთხოვოო. გარკვეული პაუზის შემდეგ კი დასძინა თურმე: იცოდე, ზურაბ მიქელაძე ის კაცია, ვინც ადამიანს თუ სიკეთე გაუკეთა, გამორიცხულია, დაამადლოსო...

ლევან გოთუა ველისციხეში უახლოესი მეგობრის — გოგი ჭიაბრიშვილის დაკრძალვაზე ჩავიდა. უამრავ ადამიანს მოეყარა თავი. ყველას უნდოდა, პატივი მიეგო დიდებული ადამიანის ხსოვნისათვის. მდუმარედ მიჰყვებოდა პროცესიას ლევან გოთუა, ფიქრით ალბათ იმ ახალგაზრდულ წლებში იყო, როცა ის და გოგი ჭიაბრიშვილი ერთად ოცნებობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მერე ერთად იხდიდნენ სასჯელს ვორკუტაში. კარგი ვაჟკაცი ყველგან დასაყრდენია.

ვინც იმ წლებს გადაურჩა და სულიც გადაირჩინა, იმიტომ, რომ უფლის ნებით, ყოველ ბანაკში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ადამიანები, რომლებიც ბურჯებივით ედგნენ კაცობასა და სამართლიანობას.

დაკრძალვას სახალხო ხასიათი მიუღია. დაახლოებით 600 კაცი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. სასაფლაოზე გამოსამშვიდობებელი სიტყვები უთქვამთ ლევან გოთუასა და ალექსანდრე გვენცაძეს.

...პროცესია დამთავრდა. ტრადიციისამებრ, ქელეხი დაიწყო — ლუკმა გატყდა. ლევან გოთუა ფეხზე წამოდგა. ყველას გასაგონად წარმოთქვა ღირსეული კაცის შესანდობარი და დასძინა: რომ არა გოგი ჭიაბრიშვილი, „გმირთა ვარამი“ არ დაიწერებოდაო.

ექოსავით გადაუარა გაშლილ ჭირის სუფრას ლიტერატურის კლასიკოსის სიტყვებმა. მაგრამ რა უნდა ეთქვა ლევან გოთუას და როგორ უნდა ეთქვა, რომ ბოლომდე გადმოეცა ის, რისი გადატანა უხდებოდათ. და თანაც რისთვის უხდებოდათ — სიყვარულისთვის!

გოგი ჭიაბრიშვილი ლევან გოთუას გადასახლებამდეც იცნობდა, მეგობრობდნენ და ერთი დიდი ინტერესიც ამოძრავებდათ...

ვორკუტაში აღმოჩნდა, რომ გვერდი-გვერდ ბანაკებში იყვნენ. თვითონ გოგი ჭიაბრიშვილი ამას არ ჰყვებოდა, მაგრამ გადასახლებული ქართველები ამბობდნენ, რომ არაერთხელ შეუგზავნია კლასიკოსისთვის გოგი ჭიაბრიშვილს თავისი შრომით ნაშოვნი ლუკმა, რომ მას ოდნავ მაინც შემსუბუქებოდა პირობები და ეწერა. კარგად იცოდა მრავლისმნახველმა, ინტელექტით გამორჩეულმა გოგი ჭიაბრიშვილმა, რა საგანძური იქმნებოდა მეზობელ ბანაკში...

„გმირთა ვარამი“ ვორკუტაში იწერებოდა — სიმწრით ნაშოვნ ფურცლებსა და მუყაოს ნაგლეჯებზე, ხის დაფებსა და გაზეთის აშიებზე...

შოთა შავგულიძის წიგნში წერია:

„ლევან გოთუამ სიცოცხლის სამი მეოთხედი ციხეებში გაატარა. ჯერ იყო სოლოვკაში მოიხადა სასჯელი. დაბრუნდა. სული არ მოათქმევინეს და უფრო მძიმე და მკაცრ ნარიმში გადაასახლეს. დაბრუნებული მესამედ დააპატიმრეს და ვორკუტის კატორღელთა ბანაკში მიუჩინეს ბინა.

არ მეგულება ვორკუტაში გადანასახლები ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რომლისთვისაც ლევანს არ ეთქვას, — ერთმანეთი დაგვეჯაბნოს საქართველოს სიყვარულშიო“.

მას რომ არ ეგრძნო, გვერდით ჰყავდა ადამიანები, რომლებიც საქართველოს სიყვარულში ერთმანეთის დაჯაბნას ეპირებოდნენ, მას რომ არ სცოდნოდა, რომ ის, რასაც წიგნებად სწერდა, ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა და ქართველთა თავგანწირული სიცოცხლეებით საზრდოობდა, ვერ დაწერდა... ამიტომაც გამოაცხადა გოგი ჭიაბრიშვილის ხსოვნის სუფრაზე გულწრფელად: რომ არა გოგი ჭიაბრიშვილი, „გმირთა ვარამი“ არ დაიწერებოდაო...

ამიტომაც, მიუხედავად უამრავი ტრაგიკული ფურცლისა, გოგი ჭიაბრიშვილის ცხოვრება გახლდათ ბედნიერი ყოფნა ააქაოში — ყოფნა, რომელიც ქართველად ყოფნის და საქართველოს მარადიულად ყოფნის საძირკველშია ჩადებული დვრიტად...

ეკა ბუჯიაშვილი

ძალიან ქართული სევდა

თვითონ ოთარ ჩხეიძეს განზრახული არ ჰქონია ამ წიგნის გამოცემა.

— ეს მე უფრო მინდოდაო, — გაგვიმხელს როსტომ ჩხეიძე, — რამდენჯერმე ვუთხარი კიდეც, მაგრამ... ჯერ რომანები და „ჩემი სოფლის ეტიუდების“ მესამე ტომი იყო გამოსაცემი და ამისთვის ვერ მოიცალაო.

გაივლის წლები და თამარ ყალიჩავა დამოუკიდებლად რომ გამოხატავს ამ აზრს, ბატონ როსტომს ძველი სურვილი განუახლდება და კიდეც მოაბამს თავს ამ წიგნის გამოცემას — მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის ნოველების თავმოყრას ცალკე. სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ეს ციკლი, რადგან თითოეულ ნოველას თავისი რეალური პერსონაჟები ჰყავს, ჩვენთვის ცნობილი ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა კუთხით წარმოდგებიან, თუმცა არის ბევრი ახალი ნიუანსი, რომლებიც სრულიად ახლებურადაც წარმოაჩენს ამ პიროვნებებს. ეს ნიმუშებიც სწორედ ასე დაწერა — მიძღვნასავით, თავიდან ამ სახელწოდებით რომ აქვეყნებდა — „ხსოვნას“, შემდეგ კი „შესანდობარი“ დაარქვა, — ასე გახსნა როსტომ ჩხეიძემ ჟურნალ „ჩვენი მწერლობისა“ და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ძალისხმევით ლიტერატურის ინსტიტუტში გამართული შეხვედრა, რომელზეც ეს წიგნი მსახიობმა მიხეილ რაზმაძემ ორი ნოველის წაკითხვით წარადგინა.

ოთარ ჩხეიძე იხსენებდა:

ჩვენთვის, უმცროსთათვის, ლეგენდასავით გაისმოდა მისი სახელიო.

როცა ეს თაობა გამოვიდა ასპარეზზე, გიორგი შატბერაშვილს, უკვე გადასახლებიდან დაბრუნებულს, 10 წლის განმავლობაში აკრძალული ჰქონდა თბილისთან გაკარებაც კი, კასპის რაიონის სოფლებში უნდა ეცხოვრა ახლა ამ სახის პატიმრობამისჯილს.

ყოველ კვირა ჩადიოდა მასთან თურმე გრიგოლ აბაშიძე.

ახალი გაზეთები და გამოცემები ჩაჰქონდა, ახალი სამწერლო ამბები, მოწყვეტილი რომ არ ყოფილიყო სალიტერატურო პროცესებს.

არც წერა შეუწყვეტია — სწორედ მაშინ შეექმნა „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“, ბრწყინვალე ლექსიკონი, რომელსაც ლინგვისტური მნიშვნელობაც აქვს, ეთნოგრაფიულიც და პირწმინდად ლიტერატურულიც.

იმათ კი, უმცროსებმა, ლამის ლეგენდის გმირთან რომ გაეიგივებინათ ამ მწერლის სახელი, კარგად იცოდნენ, რომ თავის დროზე ეფექტურადაც შემოსულიყო ლიტერატურულ ასპარეზზე. ლექსების გამოქვეყნების შემდეგ მისი პიესა დაუდგამს სანდრო ახმეტელს, თვით მიხეილ ჯავახიშვილს რომ მოუწონებია ეს სპექტაკლი.

და აი, სწორედ მაშინ შეუთავაზებია სანდრო ახმეტელს:

— იქნებ ალექსანდრე ბატონიშვილზე დამიწერო პიესაო.

„მერანისებური“ პიესაო, რადგან პავლე ინგოროყვასგან სმენოდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით შთაგონებულიყო ამ ლექსის წერისას, მფრინავი რაშის ლეგენდით, მთელ კავკასიაში რომ ტრიალებდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნა დაეშიფრა პოეტს — თ.ჩ.-ს ანუ: თავად ჩოლოყაშვილსო, თვითონ ლექსი კი გამსჭვალულიყო იდეით, თუ როგორ ელოდა ხალხი მის დაბრუნებას.

რა თქმა უნდა, არ აპატიებდნენ.

დაიჭირეს.

კი ბევრი ეძახა, თამარ ჩოლოყაშვილს ეძღვნებაო, სატრფიალო ლექსიაო, პირადი განცდებიო, მაგრამ... გადატრიალება რაღა შუაში იყო, ეს კი ვეღარ აეხსნა.

გიორგი შატბერაშვილს კი არ დასცალდებოდა მერანისებური პიესის შექმნა. ამას რომ დასცლოდა, სანდრო ახმეტელს არ დააცლიდნენ დადგმას. ერთს გადაასახლებდნენ, მეორეს დაიჭერდნენ და დახვრეტდნენ.

აი, ეს ამბები სმენოდა უმცროს თაობას და ლეგენდამდეც აეზიდათ გიორგი შატბერაშვილის სახელი.

გაივლის წლები და მათი სახელებიც ამ სიმაღლეებზე დატრიალდება ქართულ ლიტერატურულ პროცესებში, ოღონდ ჯერ ადრეა.

ჯერ გაგანია კომუნისტების დროა და იმპერიული რეჟიმი ყველას და ყველაფერს სწვდება თავისი საცეცებით.

ყველას და ყველაფერს... და ამათ რატომ ვერ მიწვდებოდა ვითომ.

გაცნობით შემდეგ გაიცნობდნენ ერთმანეთს და ეს ოთხეულიც — გიორგი შატბერაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ვახტანგ ჭელიძე და ოთარ ჩხეიძე — ცალკე იდგება, როგორც ნიმუში მეგობრობისა, და ერთად გადაიტანდნენ ბევრ რამეს, მათ შორის იმ დრამატულ ამბავსაც, გიორგი შატბერაშვილს რომ შეემთხვეოდა და მოგვიანებით ეს ნოველაც მიეძღვნა ოთარ ჩხეიძეს.

* * *

1946 წელი იდგა.

ომის დროს სტალინს ცოტა მიეშვა მარწუხები.

შეეწყვიტა სასულიერო პირთა დევნა, ის კი არა, რამდენიმე დახურული ეკლესიაც გაეხსნა და ნებაც დაერთო ღვთისმსახურებისა.

სჭირდებოდა ხალხის შემომტკიცება, მათ შორის მწერლებისაც, და ლიტერატურული პროცესებიც მიეშვა.

ისტორიული თხზულებებიც სჭირდებოდა და... დაე წერონო.

გაივლის რამდენიმე წელი, მოიგებს ომს და ისევ მოუჭერს მარწუხებსაც და აი... ახალომგადახდილი იმპერიის ტრიბუნაზე ჟდანოვი გამოდის სიტყვით.

გამოდის და... აცხადებს:

— ასე არ შეიძლებაო, ძალიან აჰკრეს მწერლებმა, ჯერ ის დანაშაულებრივი მიდრეკილება — ისტორიისკენ გახედვა — რა არის და ახლა თანამედროვეობა, კოლმეურნეობის თემა და რევოლუციური რომანტიკაც გააქრესო...

და თითსაც დაუქნევს მაშინდელი ლენინგრადის გაზეთებს — ერთი შეხედვით ლენინგრადისას, თორემ ყველა გამოცემა კი იგულისხმება სსრკ-ში — და სამაგალითოდ დასასჯელად მიხეილ ზოშჩენკოსა და ანა ახმატოვას დაასახელებს, როგორც ორ დამნაშავეს, რომლებიც არყევდნენ საბჭოთა ადამიანის ცნობიერებას.

ფორმულასავით მოარგებენ ამ ფაქტს საბჭოთა იდეოლოგები თავ-თავიანთ სინამდვილეს და იმპერიის სხვადასხვა ტრიბუნიდან იმავეს გაიმეორებენ.

საქართველოს მწერალთა კავშირშიც ჩატარდება კრება.

გამოდის სიტყვით პეტრე შარია — მაშინაც და მერეც საზარელ მოვლენად რომ იხსენებდნენ მისი თანამედროვენიც და მომავალი თაობებიც — ნიმუში იმისა, რა შეიძლება დატრიალდეს, როცა ძალაუფლება მსგავს პიროვნებას უვარდება ხელში.

ეს ის დრო იყო, მასზე საშიში არავინ რომ ეგულებოდა იმდროინდელ საზოგადოებას.

ქვეყანასაც რომ აზანზარებდა და ადამიანებსაც ამ ქვეყანაში, თუმცა მოვიდოდა ის დროც, როცა მასზე დაბეჩავებულს ძნელად თუ ნახავდით ვინმეს, მაგრამ ეს მერე იქნება და მეც მოგვიანებით მოგითხრობთ, ჯერ კი...

მისი დროა.

მისი რეჟიმი.

ცხოვრებაც მისია, ამ ცხოვრების სადავეებიც და იმ ადამიანთა ბედიც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იმ ეპოქაში მოღვაწეობა რომ ხვდომოდათ წილად.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდო, — სწორედ ამის გამო იტყვის **თემურ ნადარეიშვილი** და ასე განმარტავს:

— პარადოქსული ფაქტია, რომ იმ ეპოქაში ასეთი დიდი მწერლები გვყავდა. აღარ არის წნეხი და აღარც დიდი სახელებიაო.

ეპოქაში, სადაც „მოერგებოდა ხოლმე ტრიბუნას ნიმუში მომავალი ბიუსტისა“, დამსახურებულისა თუ დაუმსახურებელისა, და ასეთ „მოსიარულე ბიუსტებად“ ქცეულ სამყაროში იყო, კათედრასთან რომ შემართულიყო პეტრე შარია, გადმოეხედა დარბაზისათვის, თავისი ძალაუფლების სიმაღლიდან გადმოეხედა და:

— აქაც შეიმჩნევა ანტისაბჭოთა გამოხდომებიო.

ყველას არ დავასახელებო...

ანა ახმატოვა ახსოვდა და... მაგალითად, ანა კალანდაძეო.

არადა, ის დროა, ტრიუმფით რომ შემოსულიყო ანა ლიტერატურულ ასპარეზზე, ლიტერატურული საღამოც გადაეხედათ, გაზეთებშიც დაეტრიალებინათ მისი სახელი, გერონტი ქიქოძეს კი თვით გალაკტიონი შემოემწყრალებინა და ეთქვა:

— ვაჟას მერე ამხელა პოეტი აღარ გვყოლიაო.

ანაო, — და ისეთი ძალით, ისეთი ტალღით გადმოევლო პეტრე შარიას სიტყვებს, გამოსაცემად გამზადებული კრებულიც ჩაშლილიყო და შვიდი წელი, სტალინის გარდაცვალებამდე, ანა კალანდაძის ამ წიგნს აღარც ეღირსებოდა გამოსვლა.

ეს პირველი გადახედვისა იყო.

აი, მეორედ რომ გადახედავდა დარბაზს — ძალაუფლების სიმაღლიდან რომ გადახედავდა და ამ ძალაუფლებასაც საზარელი სიმაღლეები რომ ჰქონოდა — გიორგი შატბერაშვილს დაადგამდა თვალს.

აკი ბიოგრაფიაც უწყობდა ხელს, ერთხელ უკვე გადაესახლებინათ და დაედოთ მსახვრალი ხელი და ახლა ციხეში უნდოდათ შებრუნება, მოგვიანებით ლევან გოთუას რასაც დამართებდნენ, და აი, ამაზე დაეწერა ნოველა ოთარ ჩხეიძეს, ახლა მიხეილ რაზმაძე რომ კითხულობდა იშვიათი ოსტატობით, არტისტულობით, მწერლისეული აქცენტების საგულისხმო მიგნებითა და შთამბეჭდავად გამოტანით... და კიდეც შეაფასებს შეხვედრაზე **ნოდარ მგალობლიშვილი,** ვისაც თავის დროზე ოთარ ჩხეიძის ნოველა „ყურშა“ წაეკითხა და კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ამ მწერლის თხზულებათა დეკლამაცია, მისი სამყაროს გახსნა მსმენელთათვის:

— რაც უფრო ლაღია კითხვა, მით შთამბეჭდავია...

საერთოდ, ნაწარმოების კითხვის დროს თამაში არ შეიძლება, მხოლოდ ძირითადი აქცენტები უნდა იყოს გამოტანილი, მაგრამ ამ ნოველას კი თამაშის ელემენტი ძალიან მოუხდაო, — თუმცა მანამდე ამასაც იტყვის, — კრიტიკულად ამ კითხვას ვერ შევხედავ, რადგან მკითხველის მიმართ ყველას თავისი დამოკიდებულება და პოზიცია აქვს, საკუთარი ნარმოდგენა აქვს ამ ნაწერზეც, იმდროინდელ მოვლენებზეც და საერთოდ, ისტორიაზეც.

ჩემთვის კი ეს ნაწარმოები იმის გამოხატულებაა, როგორ უჭირდა ადამიანს ყოველთვის.

და კიდევ: ნაწარმოების კითხვა კარგია, თუმცა არის თხზულებანი, რომელთაც საგანგებოდ შემზადებული მკითხველი სჭირდება და აუცილებელია მათ შესახებ წინასწარ იცოდე, მოსმენამდე, რადგან იმ ადამიანთა ბედზეა, რომლებიც სიცოცხლეს სწირავდნენ პეტრე შარიასა და მისთანათა დროში.

სწირავდნენ იმისათვის, რომ საზოგადოებას მომავლის იმედი მისცემოდა.

* * *

ეს მომავალი კი მაინც დადგებოდა.

მიუხედავად იმისა, უნდოდა ვინმეს მისი დადგომა თუ არა.

არც პეტრე შარიას სურვილებით დაინტერესებულა არსთაგამრიგე, ძალაუფლება ხომ გამოეცლია ხელიდან და...

სხვათა შორის, დევი სტურუასაც — ვინც შემდგომში დაენიშნათ მის თანამდებობაზე — იგივე დღე სწეოდა.

ასეთი წერილი დაეწერა ოდესღაც ქვეყნის პირველ იდეოლოგს: „ლედი მაკბეტი სამარშრუტო ტაქსში“ — ნინო კასრაძე, ლედი მაკბეტის როლის შემსრულებელი დაენახა საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ამაზე აეგო თავისი წერილი.

და ძალაუფლებაგამოცლილ, მორჩილ და გატეხილ დევი სტურუას რომ შეხვდება ლევან ბრეგაძე ქუჩაში, ასეთ რამეს გაუზიარებს როსტომ ჩხეიძეს:

— წერილი მინდა დავწერო — „დევი სტურუა სამარშრუტო ტაქსიშიო“.

პეტრე შარიასთვის კი უფრო მძიმე სასჯელი მიეგო ცხოვრებას.

შვილი გარდაცვლოდა და ტრაგედიადამტყდარს მისტიკური პოემა მიეძღვნა მისთვის.

უბედურებას მთლიანად შეეცვალა მისი ცნობიერება — შვილის აჩრდილთან საუბარი მოსდომებია და მისტიკური ხილვებით გაუმსჭვალავს თავისი პოეტურად გადმოცემული განცდები.

თემურ ქორიძე გაიხსენებს:

— გამოქვეყნებამდე ორი ეგზემპლარი ჰქონდა ამ პოემისა, ერთს მოსკოვში ინახავდა, საკავშირო კაგებეს განსაკუთრებული სამმართველოს უფროსად გადაეყვანათ და გასაიდუმლოებულ სეიფში დაეგმანა, მეორე კი შინ, პირად სეიფში გამოეკეტა, თუმცა... ერთ დღეს თვალების მოჭუტვითა და ირონიული ღიმილით უკითხავს სტალინს:

— პეტრე, როდის იყო, რელიგიით იყავი დაინტერესებული?

პატარა იყო ტირაჟი თუ დიდი, პატიებით ვინ აპატიებდა იმქვეყნიურ სამყაროსთან ხიდის გადებას, იმ ხიდს ჩაუტეხდნენ, რომელზეც იდგა, და ახლა თვითონ აღმოჩნდებოდა თავისივე ამღვრეულ მორევში.

და ბატონი როსტომის თქმით, მოხსნას არ აკმარებდნენ და... დაიჭერდნენ კიდეც ბერიას დახვრეტის შემდეგ.

— გადასახლებიდან რომ დაბრუნდებოდა პეტრე შარია, ეგეთი გაუბედურებული, ეგეთი მლიქვნელი და მაამებელი ეგებ მეორე არავინ დადიოდა იმქვეყანად.

დაჩანჩალებდა ლიტერატურის ინსტიტუტის კედლებში და:

— კორექტურა ხომ არ წავიკითხო თქვენ მაგივრადო; ან, თუ გინდათ, გითარგმნით რამესო, — იხვეწებოდა პროფესორი კაცი.

არ უყვარდათ ახალგაზრდებს, მისი წარსული რომ იცოდნენ.

ერთხელ სწორედ ამ დარბაზში დასხმიან თავს, როგორც საზარელი საქმეების ჩამდენს.

ინსტიტუტის დირექტორთან, ალექსანდრე ბარამიძესთან უჩივლებდა და ისიც შეპირდებოდა, შენიშვნას მივცემ, რომ აღარ განმეორდესო.

მაგრამ შენიშვნა არ დააკმაყოფილებდა თავის დროზე საბედისწერო განაჩენთა შემოქმედს.

მკაცრ სასჯელს ითხოვდა, თუმცა:

— აბა, უკან გაიხედე, ის პეტრე შარია კი აღარ ხარო, — მიიღებდა პასუხს და ბოდიშებითაც გამოიხურავდა დირექტორის ოთახის კარს.

მერე აკაკი ბაქრაძეც გაიხსენებს თავის წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“:

— არაერთხელ მინახავს ქუჩაში ერთი გაუბედურებული, გასაცოდავებული კაცი, სავსე თუ ცარიელი, სუფთა თუ ჭუჭყიანი მაწვნის ქილებით ხელშიო.

80-ს გადაცილებულიყო პეტრე შარია.

სადღა იყო ძალაუფლების სიმაღლეები.

და ახლა ქვემოდან შესცქნაოდა ადამიანებს.

ქვემოდან შეჰყურებდა რამაზ კობიძესაც, ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელს, ინტელექტუალს, კატორღაგამოვლილ კაცს, ვისთვისაც ახოვანებაც მიეცა უფალს.

11 წელი გაეტარებინა კატორღაში და... ათიო, რომ დაუწერეს, გაეპროტესტებინა: ის ერთი წელი რა გგონიათ, დღეებსა და საათებს ვითვლიდით იქო.

— და აი, ეს რამაზ კობიძე რომ შემოიხედავდა ლიტერატურის ინსტიტუტის იმ ოთახში, სადაც მე და პეტრე შარია ვისხე-

დით, მოიკუნტებოდა ხოლმე პეტრე, ჩაიმალებოდა მაგიდის ქვეშ და როცა გავიდოდა ოთახიდან, ყმაწვილოო, — მიხმობდა ასაკისა და შიშისაგან დაბეჩავებული და მეტყოდა: აბა, გაიხედე დერეფანში, წავიდა თუ ისევ აქ ტრიალებს? — **თემურ ქორიძე** გაიხსენებს ამ ამბავს შეხვედრაზე, გაიხსენებს საღამოს მიწურულს, მაგრამ მანამდე მისთვის ჩვეული შთამბეჭდავი სიტყვითაც დაიპყრობს შეკრებილ საზოგადოებას, თუმცა ეს უკვე შემდეგ ნოველას ეხება და მეც მოგვიანებით გიამბობთ, ნოველას, თავისი არანაკლებ საინტერესო გმირებით — ადამიანებით, რომელთაც თავიანთი კვალი დააჩნიეს ლიტერატურულ პროცესებსაც და იმ ეპოქასაც საერთოდ, და ბევრწილად განსაზღვრეს ჩვენი არა მხოლოდ ლიტერატურული ცხოვრება, ჩვეულებრივი ყოფაც, რომელსაც ისეთი შემობრუნებანი სჩვეოდა, დევი სტურუა შეიძლებოდა გენახათ სამარშრუტო ტაქსიში, პეტრე შარია კი, აი, ის ძალაუფლების სიმაღლიდან მომზირალი პეტრე შარია, მაწვნის ქილებით მოჩანჩალე დაგენახათ ქუჩაში.

* * *

როგორც ფუტურისტი, ისე შემოსულიყო ლიტერატურაში, მეამბოხე ახალგაზრდა, რომელსაც ისე გაემწარებინა ცისფერყანწელები — თავი რომ ლიტერატურულ ხულიგნებად მოჰქონდათ — მასზე და მის მსგავს ბუნტარებზე ამბობდნენ: დედის საშოშივე გახრწნილი ახალგაზრდები არიანო.

მსახიობი მიხეილ რაზმაძე კითხულობს ოთარ ჩხეიძის ნოველებს

თუმცა მერე... წლების მერე, თუ ვინმე უპატრონებს ცისფერყანწელთა შემოქმედებას, სწორედ სიმონ ჩიქოვანი, ადამიანი, რომელმაც დიდი კვალი დააჩნია ქართულ ლიტერატურულ პროცესებს.

— როგორც პოეტი, გალაკტიონი არ გახლდათ, მაგრამ მის გარეშე წარმოუდგენელია ქართული პოეზია და არავინ თქვას, რომ ვინმეზე ნაკლები იყო. სწორედ მან განაახლა რეფლექსიისა და მედიტაციის ხაზი, ნიკოლოზ ბარათაშვილმა რომ დაიწყო და ილია ჭავჭავაძემ გააგრძელა, — ამასაც დასძენს ბატონი როსტომი, ვისი თქმითაც, სიმონ ჩიქოვანმა არა მხოლოდ ლიტერატურულ პროცესებს, მწერლებსაც დიდი ამაგი დასდო, როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ და ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორმა.

აკი ასეც ამბობდა ოთარ ჩხეიძე:

— სადაც სიმონ ჩიქოვანი იყო, იქ იყო მწერლობაო.

და ამას უმძიმეს ვითარებაში ახერხებდა.

როცა კანდიდ ჩარკვიანი ვაჟას წინააღმდეგ გამოვიდა და ამტკიცებდა, იმ ცნობილი პოლემიკისას აკაკი იყო მართალი და სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ამ ყველაფერსო, მწერლები კი იძულებულნი იყვნენ, საჯაროდ დაეგმოთ ვაჟა, სიმონ ჩიქოვანი — მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ვისაც უპირველესად ევალებოდა კანდიდ ჩარკვიანის გვერდით დადგომა — გამოდის მწერალთა ყრილობაზე და... იცავს ვაჟა-ფშაველას.

დაჭერას გადარჩება, მაგრამ... მეორე დღესვე მოხსნიან.

მერეა, „მნათობის“ რედაქტორი რომ ხდება და განახლებული ძალებით იწყებს მწერლობის თანადგომას, შემდგომ „ცისკარიც“ რომ ამოუდგება გვერდით და, როცა „ცისკარზე“ თავდასხმების ტალღაც აგორდება, უმწვავეს ვითარებაში დაუდგება მხარში მის რედაქტორს ვახტანგ ჭელიძეს.

რომ არა სიმონ ჩიქოვანი, არც ოთარ ჩხეიძის „ბურუსი“ და „მეჩეჩი“ დაიბეჭდებოდა, რაც შეეხება „ცთომილნს“, სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობიდან მოხსნის შემდეგ ამ რომანის ანაწყობსაც ჩაშლიან.

მაშინდელ ცეკაში გაიმართება შეხვედრა და სწორედ იქ მიიტანს ალექსი ინაური, უშიშროების მაშინდელი შეფი ანაწყობებს და:

— „ექიმი ჟივაგო“ რა არის, ეს უარესიაო, — გამოაცხადებს.

გამოაცხადებს ბორის პასტერნაკის სახელის სასტიკი დევნის ფონზე.

აქაც სიმონ ჩიქოვანი შეებმება და შეეკამათება.

სწორედ მაშინ მოხსნიან რედაქტორობიდან.

და ოთარ ჩხეიძეს სულ გული სწყდებოდა, მის რომანს რომ შესწირვოდა სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობა.

ნოველის პერსონაჟი კი ამ წიგნში თვითონ ოთარ ჩხეიძეც არის:

— ახლა აღარავის ახსოვს, მაგრამ იყო დრო, 60-იან წლებში, ერთ-ერთი პოპულარული მწერალი ვანო ურჯუმელაშვილიც გახლდათ. სწორედ მისი ნოველა დაერთვის ამ კრებულს, ნოველა, რომელსაც თავისი ისტორია აქვს:

გიორგი ლეონიძე სტუმრებია ოთარ ჩხეიძეს ყელქცეულში. ვიდრე მასპინძელი სუფრის გასაშლელად ტრიალებდა, გამოსულა სოფელში გასასეირნებლად და გადაწყდომია ადამიანს, რომელიც ოდესღაც შუამავალი ყოფილა მასა და მის სატრფოს შორის.

ოთარ ჩხეიძე ეუბნებოდა: ეტყობა, საგანგებოდ ჩამოხვედი დეიდა მაშოს სანახავადო, მაგრამ გიორგი ლეონიძე იფიცებოდა და უარყოფდა, არა და არაო.

ამ ამბავზეა აგებული ნოველა, რომლის დაწერის უფლებაც ვანო ურჯუმელაშვილს უთხოვია ოთარ ჩხეიძისათვის შენ ისედაც ბევრი გაქვს და ეს მე დამითმეო.

კარგი კი გამოვიდა.

და გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხესაც“ რომ დაერთვებოდეს, ისიც ძალიან კარგი იქნებოდა.

ბატონი როსტომი კი „შესანდობარისათვის“ დართულ **მაია ჯალიაშვილის** წერილსაც საგანგებოდ აღნიშნავს, შესანიშნავი კრიტიკოსისა და ლიტერატორის, რომელსაც გახსნილი აქვს ამ წიგნის რაობა და ერთგვარი გზამკვლევია არა მხოლოდ ამ კრებულში, საერთოდ, ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაშიც.

* * *

— სხვათა შორის, გიორგი შატბერაშვილიც მახსოვს და სიმონ ჩიქოვანიცო, — ამასაც იტყვის შეხვედრაზე ბატონი როსტომი და თავის ბავშვობისდროინდელ დაბადების დღეს გაიხსენებს, როცა სუფრას გიორგი შატბერაშვილი უძღვებოდა და ბოლო სადღეგრძელო ეს დაელია: მინდა, ის ადამიანი ვადღეგრძელო, ვინც პირველი წავა ჩვენგანო.

— დალევით დალევდნენ, მაგრამ... შეძოძგინდებოდნენ სუფრის წევრები, რამ მოაფიქრა ესო.

ორ კვირაში გარდაიცვალა.

გული თუ უგრძნობდა რაღაცას.

სიმონ ჩიქოვანი კი ასეთად ჩამრჩა მეხსიერებაში:

სტუმრად მივდიოდით და დედამ მითხრა: ახლა ისეთ კაცის ოჯახში მივდივართ, რასაც იტყვის, ყველაფერი უნდა დაიმახსოვროო.

რა თქვა, იმისი რა გითხრათ, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, კარში მდგომი სიმონ ჩიქოვანი შეუძლოდ მყოფ მეუღლეს რომ შესძახებს ოთახში:

— მარიკა, რომ იცოდე, ვინ გვესტუმრნენ.

გაივლის წლები და სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას სიყვარულიც ლეგენდად დატრიალდება ჩვენს რეალობაში.

თითქოს ძველი მითოსი გაცოცხლებულიყო...

ან სულაც თანამედროვე მითოსი შექმნილიყო პოეტისა და მისი მუზის შესახებ, სიკვდილის წინ რომ დაებარებინა: ჩემი სხეული დაფერფლეთ და ფერფლი სიმონის საფლავს მოაყარეთო.

შარლოტა კვანტალიანი გამოეხმაურება შეხვედრაზე ამ ამბავს.

— ზამთარი იყო.

მოსკოვში წაასვენეს, რაკი აქ მაშინ შეუძლებელი გახლდათ მარიკა ელიავას ანდერძის შესრულება.

იქ დაფერფლეს მისი სხეული.

კრძალვით დახვედრია რუსეთის ლიტერატურული საზოგადოება, პანაშვიდიც გადაუხდიათ პოეტის სიყვარულისათვის.

მერე... ფერფლის ნანილი სიმონის საფლავზე მოუბნევიათ, დანაბარების მიხედვით, ნაწილი კი პატარა ურნით საფლავის ძირში მოუთავსებიათ. იქვე იდო ფილაც, ოღონდ წარწერის გარეშე, რაკი კომუნისტების დროს არ შეიძლებოდა, მთაწმინდაზე ვინმე სხვაც დაკრძალულიყო.

არაერთი სიმღერა მიეძღვნა ამ ამბავს.

არაერთი ლექსიც.

თავის დროზე არაერთხელაც უთხოვია ლიტერატურულ საზოგადოებას „ძლიერთა ამა ქვეყნისათვის“, რომ უფლება მიეცათ, მარიკა ელიავას საფლავსაც მეუღლის გვერდით დაევანებინა, მაგრამ ამაოდ...

და აი, რამდენიმე ხნის წინათ მე დავიწყე ხელმოწერების შეგროვება. 100-ზე მეტი ხელმოწერა შევიტანე კულტურისა და განათლების მინისტრთან გურამ ოდიშარიასთან, ვინც ასე გვიპასუხა:

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, მერიის უფლებამოსილებაა.

მერე ხელმოწერებიც სადღაც გაქრა, თუმცა მერიაში მაინც შევედით და... წარმოიდგინეთ, დაგვრთეს ნება.

დღეს იქ წარწერაც არის ქვაზე და ნაკურთხიცაა საფლავი.

* * *

თავის დროზე, ოთარ ჩხეიძეს თავისი წიგნებისთვის მხატვარს რომ ეძებდა, ჯერ თენგიზ მირზაშვილისთვის უთხოვია, ვისაც პირადად არ იცნობდა, თუმცა, როგორც მხატვარი, მოსწონდა და კიდეც წარმოედგინა თავისი თხზულებების გასაფორმებლად.

გასულა ხანი და... უკან მიუბრუნებია ბატონ თენგიზს:

— რა ვქნა, აზრი ვერ გამოვიტანე და არ ვიცი, რა დავხატოო.

მერე დიმიტრი ერისთავთან მიუტანია თავისი ხელნაწერები ოთარ ჩხეიძეს და რაღაც ხნის შემდეგ მასაც მხრებისჩეჩით უთქვამს მწერლისთვის:

— ვერაფერი გავიგე და რა ვქნაო.

მაგრამ... გადის დრო და ერთიც ხატავს ოთარ ჩხეიძის თხზულებებს და მეორეც, და იმასაც ამბობენ:

— ჩვენი უსაყვარლესი მწერალია და ახლა გავიგეთ მისი შემოქმედების გემოო.

სწორედ თენგიზ მირზაშვილის ამ ნათქვამს გაიხსენებს **იოსებ ჭუმბურიძე** ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული დიალოგიდან მხატვარსა და მიხეილ ანთაძეს შორის და იტყვის:

— მიხეილ რაზმაძემაც ისე წაიკითხა ეს ნოველები, რომ ეტყობა, გემო გაუგო ამ მწერალს.

ვფიქრობ, პირველი ნოველა უფრო შთამბეჭდავი იყო, უფრო მეტიც იყო, ვიდრე „შესანდობარი“ და ოთარ ჩხეიძეც, როგორც ნამდვილი მხატვარი მოვლენებისა თუ პერსონაჟთა ხასიათებისა, იქ უფრო მეტად ჩანს.

მართლაც მონოსპექტაკლივით იყო პირველი ნოველის კითხვა და ძალიან მოუხდა თამაშიო.

თვითონ **მიხეილ რაზმაძე** ამ სახეცვლილების შესახებ იმას იტყვის, რომ კითხვისას უწინარესად კამერტონის დაჭერა სურდა და მთავარი მუხტის გამოხატვა ამ ნოველებისა:

— პირველი რომ წავიკითხე, თითქოს წარმოვიდგინე ყველაფერი, თითქოს თვალნათლივ დავინახე სცენები და თამაშის ელემენტიც თავისთავად გაჩნდა, მეორე კი ისე აღვიქვი, როგორც პირწმინდად ტექსტი და განსხვავებულიც ამიტომ გამოვიდა. თვითონ მწერლის სამყაროა ასეთი მრავალფეროვანი და მეც ამით მინდა თავი ვიმართლო.

მწერლის მრავალფეროვანი სამყაროც და მისი ეს ნოველაც სულ სხვა რაკურსით დაგვანახა **თემურ ქორიძემ** და აი, ის შეპირებული ემოციური და შთამბეჭდავი გამოსვლაც, რომელმაც ახალი კარი გახსნა ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში და თავისებურად შეკრა ეს შეხვედრაც.

— ეს უაღრესად სევდიანი წიგნია.

ჩვენ დავივიწყეთ სევდა.

მახსოვს, ჩემს სიყმაწვილეში ხელთ ჩამივარდა ფრანსუაზა საგანის „სალამი, სევდავ“, რომელიც ის-ის იყო, ითარგმნა ქართულად და დაიბეჭდა „საუნჯეში“.

ისეთი მიმზიდველი იყო ის სევდა, სიბერემდე გამომყვა მისი საიდუმლოება და ხიბლი.

„შესანდობარი“ კი სულ სხვა სევდაა.

ქართული სევდა — სხვაგვარად განცდილი და სხვაგვარად აღქმული.

მამაკაცური სევდა თხემით ტერფამდე მასში ჩაფლული, მამაკაცურივე ღირსებით მდგომი მწერლისა.

მარტო ფინალური გაელვება რად ღირს ამ ნოველისა — მდინარის პირას რომ პოულობს სიმონ ჩიქოვანს ოთარ ჩხეიძე და ის:

— მომხსნესო! — ეუბნება სევდიანად.

თითქოს განსაკუთრებული არაფერი, მაგრამ... ჩვენ ვართ ამის მკითხველები.

ჩვენ, ვინც უნდა გავიგონოთ და მოვისმინოთ ის სევდა.

ერთი ფრანგი მწერალი წერდა:

ის ცნობილი სიტყვები იულიუს კეისრისა: „შენც, ბრუტუს!“ კი არ უნდა წაიკითხო, უნდა მოისმინო, თუ გინდა, რომ შეიგრძნო მათი ტრაგიზმი და დრამატიზმი, წარმოუდგენლად ღრმა განცდა ადამიანისა, რომელიც ხედავს, როგორ მიემართება მისკენ მახვილით თავისი გაზრდილი.

ოთარ ჩხეიძემაც გაიგონა ეს „მე მომხსნეს!“

ტრაგიზმი ამ ფრაზისა, ის ღრმა განცდა სამყაროსეული უმადურებისა.

ჩვენ გვაფრთხილებდნენ განმანათლებელნი ამა ქვეყნისანი:

— ნუ გაგიკვირდებათ, უმადურობა რომ ახასიათებთ ადამიანებს. ნუ შედრკებით ამის გამო, ისინი მაინც უნდა გიყვარდეთო.

მაგრამ ოთარ ჩხეიძე უმადურობის ტრაგიზმით გაჯერებულ იმ ერთ ფრაზაში არც ერთ სიმს არ ჩამოკრავს ისე, როგორც ჩვენს ყურთასმენას.

ეს წიგნი შედევრებად მიმოფანტული სამყაროა, იმ ბევრი სევდით სავსე, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანური ყოფა — ადამიანად ყოფნისა და ადამიანად არყოფნის სევდით ერთად.

გაივლის წლები და ამგვარ სევდასაც დაარქმევენ ალბათ თავის სახელს, თვითონ ოთარ ჩხეიძემ კი ძალიან ქართულ და ღრმა მწუხარების მომგვრელ სიტყვაში მოაქცია იგი:

„შესანდობარი“.

როზა დევდარიანი

ქურხული ნონსენსი

ღმრთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ! მიმადლებულო მარიამ, უფალი შენ თანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა!

კონდაკი

მონყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ გარვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტეანეთასა.

კონდაკი

ბექა ქურხული იმ ავტორთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა ყოველი გამოჩენაც წინასწარ მუხტავს მკითხველს სიმპათიითა და კეთილგანწყობით. ახალგაზრდა ავტორის დიდი ნიჭის შესატყვისი წარმატების დადასტურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ახალი სატირული ზღაპარი „ცოცხზე გადამჯდარი მეფე“ („ჩვენი მწერლობა“, 23/I, 2015 წ.) მას გიორგი შენგელაიას მონაწილეობით (ცოტა არ იყოს, ტერმინი ბუნდოვანია....) შეუქმნია. აშკარად გამოკვეთილი ტენდენციები, ძალზე ხელშესახები სიმბოლიკა, ადვილად ამოსაცნობი პროტოტიპები, შეუნიღბავი, სრულიად არაორაზროვანი ჩანაფიქრი და მკაფიო, გამჭვირვალე მიზანდასახულობა ის უმთავრესი ღირსებებია, რომელთა წყალობითაც ავტორი კიდევ ერთხელ განამტკიცებს იმ აზრს, რომ მისი სახით ქართულ მწერლობას ჰყავს საიმედო ძალა, რომელსაც მკითხველი რწმენით შეჰყურებს.

მკითხველის იმედის გაცრუება ნებისმიერი ავტორისათვის ორმაგად მტკივნეულია.

როცა ავტორს, შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე მოპოვებული პოპულარობით განებივრებულს, თვითკმაყოფილება და თავდაჯერებულობა დაეუფლება, ანუ შინაგან ცენზორს თვლემა-მოდუნება მოეძალება, კეთილმოსურნე მკითხველის სახით უეჭველად უნდა ამოქმედდეს გარეშე ცენზორი, რომელიც გამოაფხიზლებს, დააფიქრებს, შეცდომების გამოსწორებისაკენ უბიძგებს.

ეს ორივე მხარისათვის სასიკეთოა. მწერლისათვის — საგაკვეთილოდ, თანაც — მოპოვებული დიდი ნდობის შესანარჩუნებლად და გასამართლებლად, მკითხველისათვის — ესოდენ აუცილებელი თანაავტორობის, თანაგანმცდელობის გამოსავლინებლად, რათა საყვარელი ავტორი განბილებული არ იხილოს.

ბექა ქურხულს ნამდვილად უქმნის ამის საშიშროებას პიესის აკორდული მონაკვეთი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ავტორის სერიოზული წაფორხილება-წაბორძიკების ფრიად სამწუხარო ილუსტრაციად უნდა ჩაითვალოს.

ზოგადად, ნაწარმოების ფინალი ის ლურსმანია, რომელიც „ყველაზე ღრმად უნდა იქნეს ჩარჭობილი“. ავტორი ხომ „ყველაზე ულმობელი და ჟინიანი მკითხველია და ამიტომ ის ყველაზე უფრო უნდა იყოს დასასრულით კმაყოფილი“ (მიხეილ ჯავახიშვილი, „როგორ ვმუშაობ“).

არ ვიცი, რამდენად კმაყოფილია პიესის დასასრულით ბექა ქურხული, მაგრამ პირადად მე, როგორც მკითხველი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მას უდავოდ დააკლდა ის „ულმობლობა და ჟინიანობა“, რის წყალობითაც ბოლო ლურსმანი ღრმად და საიმედოდ უნდა ჩაჭედებულიყო.

ის, რაც, ზოგადად, ფინალს მოეთხოვება, ათასწილ (სწორედ ათასწილ!) მოეკითხება დასასრულს, რომელიც აპოთეოზად არის ჩაფიქრებული და რომლის ცენტრშიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დგას. ვფიქრობთ, ნებისმიერი მკითხველის აზრს გამოვხატავთ, თუ ვიტყვით, რომ დედა ღვთისა, მზე მარიამი, სცენაზე ასეთი სახით არ უნდა შემოდიოდეს. მისი სიტყვები, ხალხისადმი მიმართული, მომნუსხველი კატეგორიულობით, მკაცრი ტონით, ცივი ინტონაციით, უკიდურესი სიმყიფე-სიხისტით რომ ჭრის სმენას, წესრიგის დამრღვევი (ვთქვათ, „შატალოს“ მომწყობი) ონავრების წინაშე მდგომ საშუალო დონის კლასის ხელმძღვანელსაც კი არ შეეფერება, არამცთუ „დედას, ქალწულს, შუენიერ შროშანს“, რომელსაც „ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი: „შენგან იშუებს მეფე გვრვნოსანი, და მას ჰმონებდენ მეფე მრავალ-ყმოსანი“ (დემეტრე მეფე).

ოდნავ გადავუხვევთ და მკითხველს მოვაგონებთ, როგორ შემოჰყავს შალვა დადიანს „უბედურ რუსში“ „შვიდმნათობიერი“ თამარი:

„ოქროს სამეფო კარები გაიღო.

თითქო გაიელვაო მთელს დარბაზში, მოძრაობისაგან კრთომა მოიღეს ძვირფასმა ქვებმა და კეთილშობილმა ლითონმა.

თეთრსა და ლურჯ ფერებში მოსილნი უცხო ასულნი გამოვიდნენ ამ კარებიდან.

და ამ სისპეტაკემ სრულიად დაჰფარა ბრჭყვიალა ოქრო.

დარბაზის შუაგულ გაისმა ქალთა უზენაესი საგალობელი.

მსმენელნი იხიბლებოდნენ ამ ნარნარ ხმათა ბგერით.

მაგრამ აგერ ეს საგალობელიც მისწყდა და წინწილათა და ებანთა შექმნეს უცხო წკრიალი.

იმავე დროს სამეფო ტახტის ახლო, მარმარილოს ორ კვარცხლბეკზე შემდგარ ოქროს ლარნაკებს მოლურჯო, ძლივდასანახი ბოლი ავარდა და მთელს დარბაზს მოეფინა მუშკისა და ამბრის სურნელება.

დარბაზში თამარ პირიმზე შემოდიოდა.

— მადლობა უფალს, ყველას გხედავთ კვალად მშვიდობით!

ეს იყო თამარის ხმა!

მაგრამ რა ხმა იყო იგი! მტკიცე და ნაზი, ძალდაუტანებელი და ყველასათვის გასაგონი, თან ბგერა ხმისა ნამდვილ მკერდიდან აღმომხდარი — მკვრივი და კრიალა, უხიწვო და შინაარსიანი.

ტახტზე იდგა მეფე-ქალი.

თეთრი სამოსი ეცვა, ლურჯი ფარჩის ოლარითა და სამხრეებით, რომლებიც თეთრის მარგალიტებით იყო მოოჭვილი. თეთრივე გვირგვინი ადგა, ლაჟვარდოვანი თვლებით მორთული, წვრილი ფირუზების არშია-მოვლებული.

მაღალი ტანისა იყო, ჰაეროვანი, თითქმის სრულიად ახალგაზრდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ მაღალ ფიქრსა და ზრუნვას სიდარბაისლის იერი უცხოდ შეექსოვა მის ნატიფ სახე-პირისათვის.

თვალები ჰქონდა უსაზღვრო ლმობიერებით აღსავსე, შემწყალე და მიმტევებელი, მაგრამ იმავე წამს იგრძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებით, ვერ გაუტოლებთ თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველდღიურ წვრილმან სურვილებში“...

როგორც ვხედავთ, ციტირებულ მონაკვეთში ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა უდიდესი პასუხისმგებლობით არის შერჩეული, ყოველი ნიუანსი — შორს გამიზნული და ღრმად გააზრებული. ავტორმა იცის, ვისზე წერს და როგორ უნდა წეროს, ეპიზოდში გამოვლენილი მოწიწება, პატივისცემა, სიყვარული თამარის მიმართ ზუსტად შეესატყვისება მკითხველის განწყობას იმ მეფე წმინდანისადმი, რომელიც, მემატიანის სიტყვით, გახლდათ „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა“, რომელიც აკურთხა ღმერთმა უკუნისამდე და დაადგრა თავსა მისსა გვირგვინი პატიოსნებისა... და წარემართა სუფევად უკუნისამდე ჭეშმარიტებისათვის, სიმშვიდისა და სიმართლისა“ („ქართლის ცხოვრება“).

რაოდენ აღმატებული სიფრთხილე, კრძალვა, თაყვანისცემა უნდა გამოამჟღავნოს ნებისმიერმა კალმოსანმა „დედათა შორის კურთხეულის“, „მიმადლებულის“ მიმართ, რომელსაც მართლმადიდებელი სამყარო აღიარებს, ვითარცა „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზეშთაესსა სერაბიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა“ („ღირს არსის“ საგალობლიდან), და ასე განადიდებს: „გიხაროდენ, სიმაღლეო ძლით აღსავალო კაცობრივთა გულის სიტყვათაო! გიხაროდნენ, სიღრმეო ძლით სახილველო ანგელოზთაცა თვალებისაო! გიხაროდნენ, ვარსკულავო მომფენელო მზისაო! გიხაროდნენ, წიაღო ღმრთის განხორციელებისაო! გიხაროდნენ, კიბეო ზეცისაო, რომლისა მიერ გარდამოხდა ღმერთი! გიხაროდენ, ხიდო წიაღ-მყვანებელო ქუეყანისათა ცად მიმართ! გიხაროდენ, ანგელოზთა მრავალგანთქმულო საკვირველებაო! გიხაროდენ, ნათლისა გამოუთქუმელო მშობელო! გიხაროდენ, ვაზო მორჩისა დაუჭნობელისაო! გიხაროდენ, ქუეყანაო უკუდავისა ნაყოფისაო“ (დაუჯდომელი საგალობელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა)!

ბექა ქურხულის მიერ წარმოდგენილი ღვთისმშობლის მონოლოგი შეურაცხმყოფელია არამარტო ავტორისა და მკითხველისათვის, არამედ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მისი წილხვედრი ქვეყნისა და ამ მიწის მკვიდრი მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის, რომლებიც მას ასე მოწიწებით განადიდებენ აჰა, უკვე მეათასე წელიწადია: „შენ ხარ ვენაბი, ახლად აღყუავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული, ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული, და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული!“.

დავიწყოთ იმით, რომ დედა ღვთისა მოქმედებაში შავით შემოსილი შემოდის. არც რომელიმე კანონიკურ ხატზე გამოსახული, არც ჯვარცმასთან მდგომი, არც გარდამოხსნაზე დამხობილი და არც გამოცხადებით ხილული ღვთისმშობელი შავებში არ არის გახვეული. ყველან, ყოველთვის იგი ნათლით არის შემოსილი და დიდ ტკივილთან ერთად დიდ რწმენას, სასოებას, აღდგომის საიდუმლოსთან დაკავშირებულ იმედს გამოხატავს.

ვერანაირად ვერ აღიქმება ღვთისმშობლად ის „შავებში ჩაცმული ქალი“, რომელიც მის წინაშე მუხლმოყრილ ხალხს მკაცრი ტონით მიმართავს: „ადექით! არ მიყვარს **მუხლებზე დაჩოქილი** ხალხი“ (სტილის გაუმართაობის აღმნიშვნელი ხაზი ჩვენია, რ.დ)!

ამ შემთხვევაში ავტორმა სიტყვის თამაშზე აგებულ მხატვრულ ეფექტზე თუ დაამყარა იმედი, აქაოდა, დაჩოქებული, წამოჩოქილი, ანუ მონური სულის, ხალხი არ მიყვარსო, განა შეიძლება მონურად ქედმოხრილი ხალხისა და ღვთისმშობლის წინაშე მოწიწებით მუხლმოყრილ მორწმუნეთა გაიგივება? როგორც წესი, მართლმორწმუნენი კდემით იჩოქებენ ხატის წინაშე და ამით გამოხატავენ თაყვანისცემას ცხოველმყოფელი ნათლითა და ზეციური გუნდის გალობით გარემოსილი „დედუფლისას“, რომელიც ასკეცი მშვენიერებით ბრწყინავს მაშინ, როცა ადამის ძე მუხლმოყრილი ლოცულობს მის წინაშე, როცა მლოცველი მთელი არსებით განიცდის იმის სიახლოვეს, ვინც ხატზეა გამოსახული, და მისი სული მარადიული ნათლის სამკვიდროდან გამომავალ მადლს ამ ხატის ძალით შეიგრძნობს, რამეთუ სწამს, რომ „პატივი, რომელსაც მიაგებს ხატს, გადადის პირველსახეზე და ხატის თაყვანისმცემელი თაყვანს სცემს მასზე გამოსახულ არსებას“ (დოგმატი VII მსოფლიო საეკლესიო კრებისა).

რაკი ეს ასეა (პირველწყაროს სარწმუნოობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია!), გამოდის, რომ ორი ათასი წელია, მორწმუნენი, რომლებიც ხატის წინაშე იჩოქებენ, არქეტიპს განარისხებენ? მაშინ რატომ იყრიან მუხლს ხატის წინ ქრისტიანული მსოფლიოს „კათალიკოს-პატრიარქნი, ყოვლად სამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღვდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი ზიარნი ეკლესიისანი“ (ყოველდღიური ლოცვებიდან), რატომ ვამბობთ ღვთისმშობლის ნებისმიერი დაუჯდომლის დასასრულს დართულ ლოცვას მუხლმოყრით, რატომ ვიჩოქებთ წირვასა თუ პარაკლისზე „ღირს არსის“ წარმოთქმისას?

ახლა ფეხზე წამომდგარი ხალხისადმი მიმართული სიტყვებიც მოვისმინოთ! „გამარჯობათ, ქართველებო! ბოლო დროს უმწეოდ რომ გაიძახოდით, გვეშველება რამე? ღვთისმშობელი გადაგვარჩენს? საქართველო ხომ მისი წილხვედრი ქვეყანაა! ტყუილად ირჯებოდით“ (სტილი და პუნქტუაცია დაცულია, რ.დ)!

აქ იმდენად უპასუხისმგებლოდ, იმდენად შეუსაბამოდაა მოხმობილი ყოველი ფრაზა, შავით თეთრზე რომ არ ეწეროს, ამ სიტყვების წარმომთქმელი ღვთისმშობელიაო, ვიფიქრებდით, რომელიმე იაფფასიანი ტელეშოუს ან ყბადაღებული იუმორინას წამყვანი მიმართავს მაყურებელს. პიესას არ ახლავს ხალხის რეაქციის გამომხატველი რემარკა, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ის საზოგადოება, რომლის რწმენა-სასოებასაც ცივი წყლის ესოდენ დიდი ნაკადი გადაესხა.

(მკითხველს ვთხოვთ, კიდევ ერთხელ მიაქციოს ყურადღება წმ. თამარის ჩაცმულობას, საზოგადოებასთან შეხვედრასა და მისადმი მიმართულ სიტყვებს „უბედური რუსის“ ზემოთ ციტირებულ ამონარიდში).

ამას მოსდევს ყოვლად გამაოგნებელი, სრულიად გაუმართლებელი, ძნელად გასაცნობიერებელი სალანძღავი სიტყვები, რომელთა კორიანტელსაც დედა ღვთისა შეკრებილთა მისამართით აფრქვევს: „თქვე ბრიყვებო!“ „თქვე უწიგნურებო!“ „თქვე უქნარებო!“ და შიგადაშიგ: „ყოჩაღ, ქართველებო!“

სხვისი არ ვიცი და ამ მაგარ-მაგარმა გამოთქმებმა მართლა დაგვაბნია. ღამის დავიჯეროთ, რომ კორექტორს რაღაც შეეშალა და ღვთისმშობელს სხვისთვის განკუთვნილი სიტყვები მიაწერა. თავს ნებას ვერ ვაძლევთ, დავწეროთ, ვისთან შეიძლება ასოცირდებოდეს ამგვარად მოსაუბრე მზე-მარიამი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აქ გავიხსენოთ ფრაგმენტი გურამ დოჩანაშვილის მოთხრობიდან „ორნი აქა, იქა“, რომელშიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შეხვედრა 9 აპრილის უმწეო მსხვერპლსა და პირსისხლიან ჯალათთან ასეა აღწერილი:

„ — ვერა ცნობ, შვილო?

— ვერა! — თქვა გოგონამ, მაგრამ გული ძალიან უცემდა.

— შენი მკვლელია, შვილო!

— მე ამან მომკლა... იქა? — იკითხა გოგონამ.

— ბარი მიეცით! — თქვა მარიამმა.

— მე ბარი არ მინდა! — ასავსავდა ხნიერი სტასიკ, — მე ბარი რად მინდა, თადარიგში გასული ვარ!

— ის საწამლავი, — თქვა მარიამმა, — როგორ გაბედეთ, როგორ იხმარეთ?

— მე პირადად არ ვიცოდი, საწამლავი თუ იყო!..

—და ბარი? ბარიც არ იცოდი?

შეძრწუნებული სტასიკი სხაპასხუპით ალაპარაკდა:

— მე პატარა კაცი ვარ! მე პრიკაზებს ვასრულებდი!

— ყური დამიგდე. მე აქ არავის ვასამართლებ. არასოდეს. მაგრამ შენი თავი მე გამომიგზავნეს, ალბათ, იმიტომ, რომ ეს გოგონა ჩემი გამორჩეული შვილობილია. მე არაფრის მისჯა არ შემიძლია, — ღვთისმშობელმა გოგონასაკენ გაიშვირა ხელი, — დაე, ამან გაგასამართლოს...“.

ღვთისმშობლის დოჩანაშვილისეული ხატება სულგრძელობის, გაწონასწორებულობის, სამართლიანობის, დიდსულოვნების, მიმტევებლობის დიდებული ნიმუშია. ყოვლად გადაგვარებულ, ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელ მარიონეტსაც კი იგი სალანძღავი სიტყვებით როდი მიმართავს. განაჩენის გამოტანასაც უმანკო გოგონას მიანდობს.

ამ ხალხმა კი, რომელმაც საძულველი ტირანი და მისი სისხლიანი რეჟიმი დაამხო, რა დააშავა, რატომ მოიხსენიებს დედა ღვთისა ასე უშვერად? თუნდაც მართლა დაემსახურებინათ ლანძღვა-გინება, „ყველაზე დიდ ქალბატონს, წმინდა მარიამ ღვთისმშობელს, დიდ მარიამს, მზეს“ (გურამ დოჩანაშვილი) ეს როგორ ეკადრება? აშარი დედაკაცის ამპლუაში როგორ აღვიქვათ?

ცალკე მსჯელობის საგანია ღვთისმშობლის მიერ მოთხრობილი ქართველ-ებრაელთა ურთიერთობის, მაცხოვრის კვართის საქართველოში დამკვიდრებისა თუ საქართველოს წილხვდომილობის ბექა ქურხულისეული ინტერპრეტაცია. ქრისტემდე 6 საუკუნით ადრე საქართველოში **თურმე** ყოვლადწმიდა მარიამის **მუხლის ხალხი** ჩამოსულა; საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა რომ გამხდარა, ამაში არავითარი მისტიკა არ ყოფილა გარეული, ეს სავსებით **პრაგმატული გადაწყვეტილება** ყოფილა; დედა ღვთისას საქართველო იმიტომ შეხვედრია საქადაგებლად, რომ მცხეთაში მისი **ნათესავები** ცხოვრობდნენ (ნათესავებად 6 საუკუნის წინათ აქ დასახლებული ებრაელები იგულისხმებიან!..); ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი **მღვდელმთავრებად** მოიხსენიებიან; **მარიამ მაგდალინელი ღვთისმშობლის და** ყოფილა; **ჯვარზე გართხმულ** ქრისტეს იოანესათვის უთქვამს, „შენ უპატრონებ დედაჩემს“; **ერთ-ერთ ჯარისკაცს კვართი უფლისა წილში შეხვედრია, მაგრამ არ მიუთვისებია** და ღვთისმშობლისათვის მიუცია, მას კი ლონგინოზისა და ელიოზისათვის **მიუბარებია,** რათა საქართველოში **შეენახათ** (თურმე იგი მათ **ენდობოდა, როგორც ნათესავებს);** თურმე ეს კვართი **სიდონიას საფლავში ყოფილა დაფლული** (ავტორისეულ სტილსა და ფაქტობრივ უზუსტობებზე მიმანიშნებელი ხაზგასმა ყველგან ჩვენია, რ.დ)... არსად ჩანს ლოგიკური დასაბუთება იმისა, თუ რატომ გამოკვეთა ეს საკითხები ავტორმა.

იქნებ ეს მდაბიური მეტყველება, ტიპური ნონსენსი (ჩვენ მას „მგზავრის წერილების“ იმ ეპიზოდს შევადარებდით, რუსი ოფიცერი მთხრობელს (ილიას!) „მდაბიურის ენით“ რომ განუმარტავს, თუ რა არის განათლება), იმიტომ გახდა აუცილებელი (ვისგან, ღვთისმშობლისაგან?), რომ ამ სიტყვების მთქმელი (დედა ღვთისა!) **ბრიყვებს, უვიცებსა** და **უქნარებს** მიმართავს და მიაჩნია, რომ მათ **მხოლოდ ასეთი, მდაბიური ენით** გააგებინებს სათქმელს?

რას მოვესწარით! ღვთისმშობელი ვულგარული მეტყველების ნიმუშებს აფრქვევს და ალაგ-ალაგ ჩაურთავს: „მაპატიეთ უხამსობისათვის!“ „კიდევ ერთხელ მაპატიეთ უხეშობისათვის“ (სტილი დაცულია!)!

ჩვენ მაინც ასე გვგონია, შეკრებილთ ის დედაბერი მიმართავს, ხისტარიანი ცოცხით რომ ჰგვის ქუჩას (სცენას) და მთლად დალაგებულად ვერ ლაპარაკობს. რა ვქნა, ასეთი საუბარი მხოლოდ მას თუ ეკადრება (ოჰ, ეს კორექტურა!)... სხვაგვარად როგორ ავხსნათ „დედათა შორის კურთხეულის, მიმადლებული მარიამის“ ესოდენ ბანალური, ამავე დროს ძველბიჭური მეტყველება: „თქვე უქნარებო, იმუშავეთ, იკითხეთ წიგნები, ნაკლებად ჭამეთ და სვით, გადმოჯექით თქვენი ჯიპებიდან, ნაკლებად უყურეთ გადაცემას „ცეკვავენ და მღერიან ვარსკვლავები“?

კომენტარებისაგან თავი თუ არ შევიკავეთ, სიტყვა კიდევ დიდხანს გამიგრძელდება...

სცენის აკორდული მომენტი მაინც უნდა გავაჟღეროთ: ღვთისმშობელი, რომელიც ხალხს დაემშვიდობა („ნახვამდის!“), კიდევ ერთხელ შემობრუნდება სცენაზე მყოფი ხალხისაკენ: „არ დაივიწყოთ თქვენი წინაპრები: შოთა, დავითი, თამარი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, კლდიაშვილი, ფიროსმანი, გალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი, პაოლო, ტიციანი, გურამ რჩეულიშვილი და სხვები...“

ვერაფრით გავიგეთ, რა პრინციპი უდევს საფუძვლად ამ ჩამონათვალს...

საერთოდაც, ნუთუ შეიძლება ციტირებულ სიტყვებში სხვა რამ დავინახოთ, თუ არა შემზარავი სიყალბე და კიდევ უფრო ამაზრზენი უვიცობა?

აკორდის აკორდიც ვნახოთ: „აბა, თქვენ იცით! არ მომატყუოთ! იცოდეთ, ტყუილებს ვერ ვიტან!“.

რა ვუყოთ, თუ ამის წამკითხველთ, უფროსი პიონერხელმძღვანელის, გინდაც კომკავშირის კომიტეტის მდივნის, ხმა ჩაგვესმის!

არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია წავუყრუოთ ერთ უკიდურესად მკრეხელურ, ქრისტიანული დოგმატის უარმყოფელ ფრაზას, რომელიც აგრეთვე შავით თეთრზე წერია: „მე ისრაელში დავიბადე და **ჩემი პირველი შვილი**, იესო, იქ ვშვი („იესოსთან“ მეორე მძიმე ჩვენი დასმულია, რ.დ). ....მერე, როცა იესომ თავისი თავი ღმერთის შვილად შერაცხა“...

(უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო! საჩოთირო ადგილების ციტირებისათვის შემიწყალე, შემიწყალე, შემიწყალე მე ცოდვილი!..)

ნუთუ განმარტება სჭირდება იმას, რომ პირველ შვილზე მაშინ საუბრობენ, როცა, სულ მცირე, მეორე შვილიც არსებობს? ნუთუ ფარსმანს დავემსგავსეთ, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვით, „ღვთისმშობლის უხრწნელობის ლეგენდას რომ აპამპულავებდა“? ნუთუ ეჭვქვეშ დადგა წინასწარმეტყველება იერემიასი, ძველ აღთქმაშივე მოსწავებული: „აჰა, ქალწულმან მუცლად იღოს და შვას ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“ („ჩუენ თანა ღმერთი“)? ნუთუ დადგა ჟამი საყოველთაოდ აღიარებული იმ დოგმატის რევიზიისა, რომლის თანახმადაც, ღვთისმშობელი ქალწული, რომელმაც ძე ღვთისა, იესო ქრისტე, შვა, მარადის ქალწულად დარჩა (იხ. დეკანოზი ოლეგ დავიდენკო, დოგმატური ღვთისმეტყველება, გვ. 391-396; რუსულ ენაზე)?

ნუთუ არც ის გვაშინებს, რომ, „ვინც უარყოფს რომ მარიამმა ღმერთი შვა ვერ იხილავს მისი ღმრთეების დიდებას (წმ. ეფრემ ასური) და არც ის რომ, „თუ ვინმე ღვთისმშობლად არ აღიარებს მარიამს, იგი განდევნილია ღმრთეებისაგან“ (წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი)?

ან როგორ **შერაცხა იესომ თავისი თავი ღმერთის შვილად?**

სიტყვა გაგვიგრძელდა. დასასრულ, მაინც ვიტყვი, რომ ბექა ქურხულის „ცოცხზე გადამჯდარი მეფე“ კარგი პიესაა. ავტორი ღრმად სწვდება მასში ასახულ მოვლენებს, მხატვრული ჩანაფიქრიც მშვენიერია!.. საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი მომენტები, მხატვრულად გარდასახულ-ტრანსფორმირებული, მასში საკმაოდ მაღალოსტატურადაა წარმოჩენილი...

რაც შეეხება აპოთეოზს, მისი სახით ის ფონია შექმნილი, რომელიც უდავოდ ყოველ წერტილში ახრჩობს... იგი მთელ ღირსებას უკარგავს პიესას, ამიტომ ან საერთოდ უნდა მოსცილდეს მას, ან ძირფესვიანად გადამუშავდეს.

ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობს უაღრესად სათუთი, უკიდურესად საკრალური საკითხები, რომელთაც საფუძვლად პარადიგმული აზროვნება უდევს და ამიტომაც საკუთარ ფანტაზიაზე შექმნილი ვერსიებით ვერ შევალამაზებთ?! გადამუშავების გარეშე ამ მონაკვეთის მთქმელად არამცთუ ღვთისმშობელი, ის შარახვეტია დედაკაციც კი არ გამოდგება! მაყურებელი სტვენით გააცილებს მას!...

P.S.

ვისურვებდით, „მარსელ პრუსტის ანკეტაში“ კითხვაზე: „თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?“ — ბექა ქურხულს ასეთი პასუხი გაეცა: „სულიერი მოძღვარი შეარჩიე, შენდობა სთხოვე, ძნელად გადასაჭრელ საკითხებზე მას ჰკითხე რჩევა, მას მიენდე, რათა შენი მომავალი წარმართოს... მისი სახით მე მომენდობი, შვილო!“

გურამ ბენაშვილი

ლიტერატურული ვიტრაჟები

გურამ ასათიანი

გურამ ასათიანის ანალიტიკური აზროვნების უნივერსალურ სივრცეებში, სინანულის ამგვარი ფრაგმენტი იპოვება: „საოცარია, — წერდა იგი, — ყველაზე მეტად ქართველი თითქოს ქართველს მტრობს, მაგრამ უქართველოდ გაძლება არ შეუძლია, ვინაიდან მაინცდამაინც მასთან სურს მეტოქეობა, დატოლება, ძალის მოსინჯვა... ეს მხოლოდ წარსულ საუკუნეთა მემკვიდრეობა არ არის...“

ქართული სულის სუბსტანციისა და მენტალობის უნიკალურმა მკვლევარმა, მან ზუსტი აქცენტებით აღბეჭდა ჩვენი ისტორიული სინამდვილიდან არეკლილი და მხატვრულ ცნობიერებაში სუბლიმირებული ეროვნული ფსიქოტიპის ურთიერთგამომრიცხავი თვისებები, რომელთა ერთობლიობამაც „წარმატებით“ შესძლო გამკლავებოდა საუკუნეებს...

მას ყველასაგან განსხვავებული სააზროვნო მასშტაბები და სტილი გამოარჩევდა... სიტყვის ფერმწერი და უწარმტაცეს ხილვათა შთაგონებული ანალიტიკოსი, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა მისთვის ესოდენ ორგანული ესთეტიკური პრინციპებისა...

მისი აზროვნების დიაპაზონი სცილდება წმინდა ლიტერატურული კვლევის საზღვრებს და ეროვნული ყოფიერების იმ კონცეპტუალური პარადიგმების რეფლექსირებას ახდენს, რომელთაც არსებითად ეფუძნება მისი იდენტობისა და ფუნდამენტურ ღირებულებათა სპექტრი...

ქართული მწერლობისა და ხალხური სიბრძნის პარალელურმა კვლევამ, მისთვის ნათელი გახადა, ადამიანის ეროვნული იდეალის საუკუნეებით ნაძერწი ხატი, რომელიც უნიკალურია არა გაქვავებული იერსახით, არამედ დრო-ჟამთან ჰარმონიული შესისხლხორცების ბუნებრივი უნარით...

გურამ ასათიანის ვრცელი ფენომენოლოგიური ოპუსი „სათავეებთან“, თუ ლირიკულ მედიტაციათა ტექსტი „როგორ უყვარდათ საქართველოში“, ნიმუშია ლიტერატურული აზროვნების განსაკუთრებული „მულტიპერსპექტივისტული“ პოტენციისა...

შთამბეჭდავია ისტორიული წარსულისა თუ კლასიკური მწერლობის სივრცეებში მისი, როგორც ინტერპრეტატორის როლი და ფუნქცია... თითქოს არაფერია ეპისტემოლოგიურ „ლაბირინთებში“ მოარული მისი თვალთახედვისათვის უცხო და შორეული, ფერმიხდილი და კვდომაშეპარული... და მოედინება მკითხველის ცნობიერებისაკენ შორეული წარსულის სათავეებიდან მომდინარე სულიერ გამოცდილებათა ნაკადი...

ძნელია წარმოვიდგინოთ, ჰქონდა თუ არა მას, ნათელმხილველის ტალანტით აღბეჭდილ ინტელექტუალს, ეროვნული სულიერების მოსალოდნელი „ჩამოლამების“ ავი წინათგრძნობა... გრძნობდა თუ არა, მისი მძაფრი კრეატიულობით გამორჩეული ალღო იმას, რომ მისი მოწინეებისა და რომანტიკული გატაცების უპირველეს „ხვთაებას“ — ერის სულიერ კულტურას, პერიფერიული სტატუსი განესაზღვრებოდა... რომ ჩვრად იქცეოდა პიროვნება და მისი ინდივიდუალობა... ადამიანებში მოხდებოდა რაღაც გაუთვალისწინებელი მუტაცია და იშვებოდა შემზარავად სასტიკ და ჩლუნგ არსებათა კასტა, არსებითად სრულიად ახალი ჯიში, ბუნებრივია უკვე არა homo sapiens, არამედ წაშლილ და პირწმინდად გადარეცხილ სულთა ერთობა...

გურამ ასათიანი, ქართული სულის ამ შემზარავ მეტამორფოზებს, ცხადია, ვერც კი წარმოიდგენდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველში მძლავრად ფესვგადგმულ ქრისტიანულ სათნოებათა სუბსტანციურ ბუნებას, ასე გატაცებით ვეღარ უკმევდა გუნდრუკს...

დაუვიწყარია გურამ ასათიანი, როგორც XIX საუკუნის გენიალურ შემოქმედთა მკვლევარი... რომანტიკოსების, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა ლიტერატურული პორტრეტები მისთვის ჩვეული ლირიკული გალანტურობით „იქსოვება“...

შემოქმედის ეკზისტენცია და მისი სულიერი პარადიგმები ერთ მთლიან, ჰარმონიულ სუბსტანციად წარმოსდგება კრიტიკოსის რეფლექსიებში... მის წინაშე თითქოს განიფანტებიან დროის ნისლოვანებანი და საოცარი სიცხადით ჩნდებიან დიდ ქართველთა კეთილშობილი სილუეტები...

ღრმაადამიანური ტკივილებითა და რაინდული ჭირთათმენით აღბეჭდილთა შთამაგონებელი სახეები, კიდევ უფრო ამაღლებენ და ახალი სემანტიკით „მოსავენ“ მათ ბრწყინვალე მხატვრულ ტექსტებს...

ლიტერატორის უნიკალური ტალანტით აღბეჭდილი ეს პორტრეტები ჰუმანიტარული კვლევისა და აზროვნების ახლებურ სტილისტიკას ამკვიდრებდა, თავისუფლდებოდა რა დოგმატიზმისაგან, კატეგორიულობისა და კონსერვატული მეთოდოლოგიისაგან... ძიების ესთეტიკური პათოსი, ალუზიათა თუ რემინისცენციათა აქტუალიზაცია და ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციები, მწერლის პიროვნული და შემოქმედებითი ხატის სრულყოფილი წარმოდგენის შესაძლებლობებს ზრდიდნენ...

ამით იგი ეხმარებოდა მკითხველს საკუთარი კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში, სულიერებასთან ინდივიდუალური მიმართების დადგენაში...

მისი ლიტერატურული ინტერესების არეალი, თვით ამ კონკრეტულ ოპუსებშიც კი მასშტაბურია... ცალკეული მწერლის ესთეტიკური, სოციოლოგიური თუ ეკზისტენციური კონტექსტები კულტურულ სამყაროსთან მიმართების სპექტრში განიხილება, სწორედ ეს ე.წ. კომპარატივისტული დისკურსი ანიჭებს მათ მაღალ შემეცნებით ღირებულებას...

გურამ ასათიანის სახელი ჩვენი კულტურული საზოგადოებისათვის, უპირველეს ყოვლისა, თხემითტერფამდე ესთეტის წარმოდგენასთან ასოცირდებოდა... და სრულიად სამართლიანადაც, რადგან მისთვის, როგორც ადამიანისა და მოაზროვნისათვის, უპირველესი, ხელოვანის სულის ესთეტიკური ბუნება და პიროვნული არტისტიზმი იყო... სწორედ აქედან, აღქმის ამ თვალსაწიერიდან მოინიშნებოდა მისთვის სინამდვილესთან დამოკიდებულების ემოციური პათოსი... ეს, რა თქმა უნდა, არ იყო ჰერმეტიზმი და არც ონტოლოგიური სკეფსისი...

ის ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟას, გალაკტიონისა და ანას პოეზიის სურნელით იყო ატანილი და იქნებ ამიტომაც, მისი ესთეტიკური იდეალი პროზაული „ბუნებრიობის“ ტლანქ და მოუხეშავ ნაკვთებს ვერ ეგუებოდა... და, მიუხედავად ამისა, მისთვის ყოფიერებაზე ფიქრი მხოლოდ „არტისტული ყვავილების“ ტკბობით განცდილ მარადიულ ნეტარებად ვერ იქცა... რადგან კარგად იცოდა, რომ ნიადაგ შეწუხებული პატარა ერის შვილისათვის, ეს ყოველივე, გაუმართლებელი „ფუფუნება“ იქნებოდა... ამიტომაც „დაემორჩილა“ ბედს და დიდსულოვნად უკუაგდო მისი გალანტური ბუნებისათვის ორგანული რომანტიკული „ცდუნებები“...

მისი „პოეტური ანალიტიკა“ კულტურული ტექსტისა, მომავლის სივრცეებისაკენ მიმავალი სააზროვნო ბილიკებია, რომელსაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, ერთ დროს მოკრძალებით გაუყვება გონიერი ჰუმანიტარი... ხოლო მისი ლიტერატურული აზროვნების კულტურა დარჩება როგორც ქართული ანალიტიკური გონის ეტალონი...

იყო მომავალზე ორიენტირებული შემოქმედი და მოქალაქე... პროზაული ინერციით აღბეჭდილი რეალობის ანტაგონისტი და ერთი კრეატიული ოაზისი... პიკანტურ მისწრაფებათა დაუღალავი ენთუზიასტი, თვალსაჩინო ილუსტრატორი

* **დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №6,7**


გურამ ასათიანი


გივი გეგეჭკორი

რევაზ თვარაძე


ჯანსუღ ჩარკვიანი

უნივერსალიზმისა... ამიტომაც ანდობდა ხოლმე საკუთარ ბედისწერას ბოჰემურ ჟამთა „ხავერდოვან ფრთებს“... ესაც მისი უნიკალური მენტალობის თანდაყოლილი „სტიგმა“ იყო, იქნებ გამართლებულიცა და აუცილებელიც...

გვაქვს კი ჩვენ უფლება, საზოგადოებრივი გაცვეთილი კეთილდღეობის სახელით, ეჭვი შევიტანოთ მისი ამგვარი არჩევანის სისწორეში?! იმ არჩევანისა, რომელიც მისსავე ცხოვრებას უნიკალურ „სამკაულად“ აღებეჭდა... სამწუხაროდ ერთობ მძიმე დასასრულით...

გურამ ასათიანის ფენომენი კიდევ ერთი დამაფიქრებელი კულტურული მოვლენაა, პროტაგონისტის ნებით „გათამაშებული“ მისტერიაა, გონებით ზეაღმატებული შემოქმედის ოდისეაა სულიერი კულტურის ფარულ მშვენიერებათა ლაბირინთებისაკენ...

„ყოველგვარი თავისთვადობა პირველადი და ორიგინალურია, ორიგინალობა კი — მორალური... დიდებულია ორიგინალობა ადამიანისა, მის გარეშე არ არის არც გონების ენერგია და არც სულის სილამაზე“ (ფრ. შლეგელი)...

დასანანია, რომ დროის დინება აფერმკრთალებს და დავიწყების ნისლს ერევა თვით ასეთ უნიკალურ პერსონათა მიწიერი „ცხოვრებანი“, ანუ მათი ამქვეყნიური მყოფობის უჩვეულო „ფერადოვნება“...

თუმც სანუგეშო ისაა, რომ მათივე ღირსეული სულიერი მემკვიდრეობაა გარანტი ერთ დროს მღელვარე და მაძიებელ სულთა გამოსხივებისა...

P.S.

როცა **XX** საუკუნის ლიტერატურულ მოღვაწეებზე ვსაუბრობთ, ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ... კერძოდ ის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ უკიდურესად დრამატული და პარადოქსული ტეხილებით გადატვირთული საუკუნე და მის სივრცეში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების სრულიად ახალი სუბიექტი — საბჭოთა ლიტერატურის სახით...

ლიტერატურული საქმიანობის თანმიმდევრული დეპროფესიონალიზაციიდან დაწყებული, ლიტერატურული კასტისა თუ ეტიკეტის უმკაცრესი ინსტიტუციონალიზმით დამთავრებული — აი, დიაპაზონი იმ ბერკეტებისა, რომელთა გაცნობიერების გარეშე შეუძლებელია საბჭოთა ლიტერატურული პოლიტიკის წარმოდგენა...

მხოლოდ ამგვარად გახდება ჩვენთვის საცნაური საბჭოეთის სივრცეში განხორციელებული გლობალური კულტურული ექსპერიმენტის არსი...

ლიტერატურული პროცესების სოციოლოგიური ანალიზი მომავალში კიდევ უფრო ღრმად წარმოაჩენს ამ უნიკალური საუკუნის კულტურის „ნეოკლასიცისტური“ არქიტექტურის მიღმა არსებულ „ტრაგიკომიკურ“ მისტერიებს...

გივი გეგეჭკორი

გივი გეგეჭკორი იმ იშვიათ პოეტთაგანია, რომელთა მიმართ ყოველთვის ჩნდება სურვილი ხელახალი, აწ უკვე ანალიტიკური მიბრუნებისა, როცა პოეზიით ტკბობას უნდა შეენაცვლოს ფიქრის, განსჯა-ანალიზისა თუ მასში „ფარფატის“ მისწრაფებანი...

რეალური ყოფიერების „იდუმალებანი“ და მათთან გრძნობადი კავშირების გულწრფელი მაძიებელი — აი ის „ავანსცენა“, რომლისთვისაც გაცვეთილი ჰუმანიზმით „მოჩითულ“ რეფლექსიებს — ასე პოპულარულსა და პრესტიჟულს დღეს, ოდენ მხოლოდ ღირსებააყრილი „ბანოვანის“ ფასი თუ გააჩნია...

საგულისხმოა, რომ მის პოეტურ წარმოსახვებში ერთიანდებიან ანალიზისა და სინთეზის კონოტაციები... სწორედ ამ მრავალგანზომილებიანი წარმოსახვის წყალობით ცნობიერდება მის ლექსებში ფერთა, კონტურთა და ბგერათა უნიკალური „სურნელის“ სულიერი არსი...

„სასწაულმოქმედის“ მაღალი ხელოვნებით შლის და აქუცმაცებს ერთ მთლიან მონოლითად წარმოდგენილ „ვიზუალს“, თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავ, უკვე თავისავე სულის კარნახით შექმნას თუნდაც ახლის ილუზია, რათა მის თაღებქვეშ მდგარმა მოკრძალებით წარმოსთქვას გულწრფელი მონოლოგი — „მე რა მომყვა დღევანდლამდე? მხოლოდ სტროფის ნაფლეთები, სანუგეშოდ ცხელი ჩაი მხოლოდ ერთი ფინჯანი და ჩემსავით დაძველებულ, დანგრეულ და დაფერდებულ ტაძარს როცა დავინახავ, გადვიწერო პირჯვარი“...

ლირიკული ინტუიცია მსოფლგანცდის იმ „ნაპირებისაკენ“ მიუძღვის პროტაგონისტის სულისკვეთებას, სადაც სევდის იდილიური „შენაპირი“ ვერ გუობს სისასტიკის, გააფთრებული ბრძოლებისა თუ „სვებედნიერი“ პროვინციალიზმის უაზრო ქარიშხლებს... სადაც უფრო ქრისტიანული სიქველის სუფევაა, რომელშიაც მეტია მოწყალება, ლმობიერება და არცთუ იშვიათად ზეციური სულთმოფენა...

რიგი მისი ლირიკული ქმნილებებისა სინანული და თანალმობაა ცდომილებათა ნისლოვანებაში უსასოოდ მოარული ადამიანების, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი თავის მიმართ — „მომიტევე აქამდე თუ ვუძლებ და ვუძლებდი თავსმოხვეულ ცხოვრებას და თუ ისევ მიზიდავს, თუ ვერ დავთმე ქვეყანა გულხარბი და უძღები, თითქოს გადმოხატული პართენონის ფრიზიდან“...

იგი მშვენივრად გრძნობს საკუთარ ძალმოსილებას იქაც, სადაც ხელოვანი არჩევანის წინაშეა — აქციოს თუ არა საკუთარი მუზის „ღირსად“ პროზაიზმებით „გადაპენტილი“ სინამდვილე...

არაფერია გივი გეგეჭკორის ესთეტიკური გრძნობებისათვის ცხოვრებაში ისეთი რამ, რაც ხელოვნების წვდომის ღირსად არ წარმოიდგინებოდეს... რაც არსებობს რეალობაში, უნდა იარსებოს ხელოვნებაშიც — ასეთია მისი კონცეფცია...

პოეტის რეალიზმი, მისთვის ძვირფას ადამიანთა სახეებითაცაა მოდელირებული და ამიტომაც იძენს მისი ცნობიერების ნაკადი პლასტიკური კონცეფციის ფუნქციას...

მშვიდი, აპოლოგეტური, ირონიული თუ გროტესკული რაკურსით წარმოსახული პერსონალიები იმ უკვდავთა „ელიზიუმს“ ქმნიან, რომლის მკვიდრნიც პოეტისათვის საკრალურ სახელებად ქცეულან...

მისი ისტორიული სახელებით „თრობის“ ილუსტრაციაა თუნდაც ეს ლირიკული ტექსტი: „არ ვიცი, ამას რა ეწოდება, რად მათრობს ასე სახელი „ზევახ“, რა ჰქვია სულის გრიფზე გაჭიმულ უხილავ სიმის იდუმალ რხევას?.. ან მოკრძალებით რად მითქვამს-მეთქი, ბევრჯერ სახელი „კურაპალატი“? მაინც რა არის სახელი „ვარსქენ“, სახელი „ფარსმან“ ანდა „მითრიდატ“, რატომ ვთვრებოდი, მემატიანე ამ სახელებს რომ ჩამომითვლიდა“...

ამ პოეტური ქმნილების კომპოზიცია პროეცირებულია ისტორიული წარსულის აქტუალიზაციასა და სტრუქტურულად მოტივირებულ ემოციაზე...

სახელთა იდუმალი „მაგია“ ლექსის ყოველი ნაკვთის „პროტაგონისტია“ და იგი ვითარცა ეროვნული სულის სიმბოლო მაპროვოცირებელია განცდის ზეაღმატებული სიმძაფრისა — „სულს დამძიმებულს ამ საუკუნის ყველა ცდუნებით, რატომ ჰგონია, რომ დაუბრუნებს კვლავ სასოებას სახელი „მართა“ და „სიდონია“? ან ქართლის ჭირით გაოგნებული რომ გაიგონებს სახელს „ქეთევან“, გამხნევებული რად წამოიწევს წაჩოქებული სულისკვეთება? რად არ ნელდება ამ სახელებით თრობა ასაკით ანდა სიბერით, ვით ორლესული ცეცხლისმფრქვეველი, რატომ გიზგიზებს სიტყვა „იბერი“?..

ლირიკული ტექსტის ორიენტაცია წარსულის კულტურულსა თუ ისტორიულ ალუზიებზე ითვალისწინებს იმ პლურალისტურ კონტექსტებსაც, რომლებზედაც „აპელირებს“ ავტორი... ასე რომ ქმნილების სემანტიკური აურა არამარკირებული ასოციაციებითაა „გარემოცული“ და მკითხველის არა მხოლოდ ემოციურ კულტურაზეა პროეცირებული... დრო-ჟამის აღქმის ფორმალური, რიტორიკული სპეციფიკის უარმყოფელი ეს ლირიკული მონოლოგი იმ ლიტერატურული პრაქტიკის ერთგულია, რომლისთვისაც წარსული ისევე კორექტირდება აწმყოთი, როგორც აწმყო წარსულით...

წარსულისა და აწმყოს ლირო-ეპიკურ „კადრებს“ შემოქმედის ინტროსპექტული პასაჟები სცვლის... ამ ტიპის მხატვრული ტექსტები, ერთდროულად მთელი თაობის გულწრფელი მანიფესტაციაცაა და ერთი პერსონის მონოლოგიც...

თვით სახელწოდებანი ამ ლექსებისა, მიანიშნებენ კონკრეტულ მოტივაციათა აქცენტებზე, მათი შთაგონების იმპულსებზე... მათში პოეტის მხატვრული წარმოსახვები გონისა და ემოციის, სიმშვიდისა და მღელვარების ჰარმონიული ერთიანობაა... ისინი არ წარმოადგენენ ვიღაცისა თუ რაღაცის აპოლოგიას და თითქოს იმისათვის არიან მოწოდებულნი, რომ კვლავ კიდევ ერთხელ გაუცოცხლონ მკითხველს ერის სულიერ გამოცდილებათა განსაცვიფრებელი პლასტები...

დროის შთამბეჭდავი „ჩანახატები“, აღბეჭდილნი დეკორატიული ინტერპრეტაციებითა და თხრობის ელემენტთა ესთეტიზაციით, სრული გამჭვირვალებით გადმოსცემენ სემანტიკურ ნიუანსებს, ანუ პრინციპულად მნიშვნელოვან იმ „გზავნილს“, რომელსაც პოეზიიდან ელოდება მკითხველი...

ძალზედ მნიშვნელოვანი სულიერი „ყვავილოვნების“ შედეგია ლექსების ეს ვრცელი ციკლი... იგი თითქოს პასუხია ყოველივე იმაზე, რამაც გულწრფელად შეძრა პოეტის მგრძნობიარე არსება... და მითუფრო უკომპრომისოა იგი, რამდენადაც განრიდებულია ხმაურიან მრისხანებასა და ცრემლიან საყვედურებს... იქნებ ამგვარი „პურიტანიზმიც“ განაპირობებს მისი ფილოსოფიური ლირიკის ტონალობას და რაც არსებითია, მის პოეტურ ენას, რომელშიც არ იპოვება უსაგნო და უმისამართო მეტაფორები, ავანგარდისტული „თამაში“ სიმულაკრებითა თუ ნეოლოგიზმებით...

გივი გეგეჭკორის პოეტური სამყარო „მოულოდნელად“ ტრადიციულია... მასში უხვადაა ელეგანტურ ფიქრთა „ფეიერვერკები“, სააზროვნო ბილიკების გალანტური „ხლართები“, ნატიფი ხელრთვით შესრულებული იმპრესიები, რომელნიც სეისმოგრაფიული სიზუსტით ავლენენ შემოქმედის სულის ვიბრაციებს — „ვსვამ ხავერდოვან დღეების ღვინოს და ისე მათრობს, როგორც კიანტი, ეს გაუმარჯოს ადრიატიკას, სულ რომ შრიალებს, ვით ფოლიანტი, ეს გაუმარჯოს რომის პინიებს და რომში ჩემზე გაცემულ ვიზას, მთვარიან ღამეს და პულჩინელას მოსაფერებლად გადმოხრილ პიზას, გარიბალდიან ლირებს და სოფლის ტრატორიაში გაკრულ ბოტიჩელს და ლატინურის კაბალისტიკას, ჩემს განითლებას და ჩემს ბოდიშებს... ფორთოხალს წყალში ატივტივებულს და სან-მარკოსთან მისულ გონდოლას და კიდევ მრავალს, რაც არ მინახავს ან მინახავს და არ მაგონდება“...

პოეტის ფერწერულ წარმოსახვათა ამ „კალეიდოსკოპში“, მოგონებათა ნარნარი პლასტიკაა არსებითი... ემოციური კულტურის სინატიფე გამომსახველობის იმ სიმაღლეს აღწევს, საიდანაც მშვენიერის ხიბლით „იმოსება“ ყოველი ნაკვთი ამ ისედაც შთამბეჭდავი პანორამისა... ეს იტალიური არაბესკები ნოსტალგიის სევდიანი მელოდიითაა მოტივირებული და ამიტომაც იძენენ იმ კლასიკური ლირიკული მონოლოგის რეპუტაციას, რომლის მიმართ ვერასოდეს იქნება გულგრილი ნამდვილი მკითხველი...

ლირიკული აქცენტებით აღბეჭდილ მთელ რიგ ქმნილებებში, პოეტის ცნობიერება დრამატიზმის იმ რეგისტრებს აღწევს, რომელიც არღვევს მოვლენათა პასიური აღქმის ჩვეულ ინერციას და უბიძგებს მკითხველს — შეიმეცნოს და განიხიბლოს ნიღაბაფარებული რეალობისაგან...

ანალიტიკური განსჯის მძაფრი პათოსი ფილოსოფიური ჭვრეტის მძლავრ იმპულსად სუბლიმირდება, რომლის სამსჯავროს წინაშეც, თეატრალური მოძრავი სცენის პრინციპით, ჩნდებიან და უჩინარდებიან ბოროტებანი ამაქვეყნისა...

ეს არის ინვექტივები ჭეშმარიტი შემოქმედისა, რომელმაც შეიცნო ყოფიერების ბრძნული „იგავი“, მაგრამ უძლურია იცხოვროს მისი კარნახით... მხოლოდ პოეზიაა ის ერთადერთი „ამბიონი“, რომლიდანაც მიწიერებიდან თავდახსნილი სული უფლებამოსილია შეასრულოს უფლისგან მონიჭებული როლი, რომლისთვისაც ყოველი ლექსი უკანასკნელი წუთის წმინდა აღსარებად, იმედად და სასოებად წარმოიდგინება: „...მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ სინანულია გარდასულის გამო... არა სხვა გზით იარე, ჩემზე ქედმოუხრელად, ჩემზე თავისუფლად!.. მზერის დასაპურებლად მდიდარი და გულუხვი გაშლილია სუფრა... არა იქ ვერ წაგიყვან, ის გზა ოღროჩოღროა, მოფენილი ეკლით და იქ სამათხოვროა უკვდავების მიმქრალი სხივის ანარეკლი... მე არა ვარ რჩეული, მაგრამ მივეც საჯიჯგნად თავი სულთა მხუთავს, შენ გინახავს თუ არა, აბრეშუმის ჭიისთვის გასხეპილი თუთა? ის თუთა ვარ, ფოთლებით უნდა გაუმაძღარი თუთის ჭია ვაძღო... შენ ეგ არ გევალება, გულის გასახარებლად იშრიალე ცაცხვო!..“

პოეტის სულის მოძრაობის ტრაექტორია უიმედობიდან ბედთან შერიგებით იფარგლება. თუმც აზროვნების რეალისტური კონტურები — ცხადისა და დაფარულის, მატერიალურისა და სულიერის, მიწიერისა და ზეციერის კატეგორიებით „აზროვნებს“, ანუ შეიცავს „ადამიანურისა“ და „ღვთაებრივის“ საკრალურ სინთეზს, რომლის წვდომაა პოეტის მსოფლგანცდის იდეალი...

რწმენის ამ კონცეპტუალური საზრისიდან გამომდინარე, მისთვის არაორგანულია მიწიერი ამაოებისა და უსასოო ნიჰილიზმის აპოლოგეტიკა... ზოგადად ქართული პოეზიისათვის ნაკლებად დამახასიათებელი მისტიციზმი და ადამიანურ განზომილებათა დესტრუქციული დისკურსი... წამიერი სიცოცხლით ბავშვური აღფრთოვანება და მადლიერების რევერანსი უნივერსუმისადმი, კიდევ ერთი მშვენიერი პასაჟია მისი ლირიკისა — „ჩემო თვალის ამხელო, როგორ მადლობელი ვარ, რომ შენს მიწას მამთხვიე და შუქს დაუცხრომელს, რომ უწმინდეს ნაღველში სიხარულიც ერია და რომ გთხოვე იმაზე უფრო მეტი მომეც! ვნებით აკანკალებულ გაზაფხულებს დამასწარ, ზამთრებსა და ზაფხუ-

ლებს და შენს შემოდგომებს, ბეჩავს როგორ მექნება სამდურავი მამასთან, მე რომ გთხოვე, იმაზე უფრო მეტი მომეც!..“

„რეალობა ფორმათა მირიადებშია განსახოვნებული და თუ სული მზადაა ფანტაზიისათვის (მითუმეტეს, როცა ლაპარაკია ჭეშმარიტ შემოქმედზე) იგი თვითონვე თავისში შეისრუტავს ცხოვრების თვით ყველაზე სუსტ მინიშნებებს და ამ „ჰაერის რხევებს“ ზეშთაგონებად აქცევს“... ეს ჰენრი ჯეიმსის რეფლექსიაა და იგი რეალობის ლინგვისტურ ეკვივალენტად გარდასახვის გრადაციას განასახიერებს...

პოეტური აქტის ეს რომანტიკული კონცეფციაა გივი გეგეჭკორის ერთი ბრწყინვალე ლირიკული მონოლოგის ესთეტიკური იმპულსი, მისი პათეტიკური ვექტორების დასაბამი და სტრუქტურული „სქემა“...

ამ ქმნილების პროტაგონისტი რეალური ქალბატონია, გენიალური ქართველი პოეტის აწ უკვე მარტოდშთენილი და დაუძლურებული ქალიშვილი, საამაყო მამის აჩრდილისღა მოდარაჯე და მასზე ტკბილ-მწარე მოგონებებით გამმასპინძლებელი... ამ უმანკო „ჟამის“ ფერწერული რეტროსპექტივაა ლექსის ფაბულა — „მე შენთან ერთხელ შემოვედ, ლუკა რაზიკაშვილის ასულო გულქან, და დავინახე, შენ მამაშენი თუ როგორ გადგა უხილავ შუქად, საწოლზე იჯექ და დაეძებდი ძირს ჩამოშვებულ ფეხით იატაკს, შემოგვცქეროდი, მაგრამ ასაკმა თვალში სინათლე გაგიცრიატა. სახეზე გედო ფერი მიწიდან ამოღებული ძველი ამფორის და მე ვერაფრით ვერ გაგიბედე გაძვალტყავებულ ხელზე ამბორი... საწოლზე იჯექ და ყრმობის სიზმრებს, თითქოს სიფრთხილით და მორიდებით, უხილავ თოკზე, ვით ბევრჯერ რეცხვით გაცრეცილ ქსოვილს, ისე ჰკიდებდი“...

იცვლება აღქმის რაკურსი და ლირიკული მონოლოგი უინტიმეს, ქვეცნობიერთან მიახლოებული მედიტაციებით მოდელირდება... ეს არის დისკურსი, უფლებამოსილი, წარმოაჩინოს ყველაზე ღირსსახსოვარი ჟამი პერსონაჟის ცხოვრებისა, მისი ნეტარი წარსულის სილუეტური მშვენიერებანი — „მე მივხვდი, როცა გავიდა ხანი, რაზიკაშვილის ასულო გულქან, რომ თურმე მაინც არა ყოფილა მამაშენისთვის საწუთრო გულქვა, რადგან შენ ჰყავდი, შენ ღაღანებდი, როგორც ახუნის გორზე კესანე, მისი სიბერის მანუგეშებლად და მის სულის მონათესავედ. ის ბედნიერი იყო, მის გვერდით როცა მინდორში იქნევდი სამთითს, ან როცა დინჯად ცომს აბრტყელებდი და ჯვარს ასტამით შუაში სვამდი. ის ბედნიერი იყო, პაწია, ქალბატონს როცა კაბას გჩუქნიდა და ქალამნები თალათინისა, როცა მოჰქონდა შენთვის დუქნიდან... და შენ გესმოდა ხნულში ჩამჯდარი მისი ჩურჩული და საუბარი, ქვას რომ აწვდიან კალატოზს ისე, როცა აწვდიდა სიტყვას უფალი“...

დაბოლოს, ეს უწარმტაცესი და ღრმადშთამბეჭდავი მონოლოგი თვით ნარატორის სუბიექტური აღსარება-საყვედურით მთავრდება... მწუხარე ფინალის ეს ცნობიერი თუ არაცნობიერი ფერმენტი სრულ ჰარმონიაშია პოეტური ტექსტის სემანტიკურ განზომილებებთან და ავტორის ინდივიდუალური ცნობიერების რეპრეზენტაციად იაზრება... — „როცა მოვკვდები და თვალს დავხუჭავ, ეტყობა იმის ღირსი არა ვარ, შავს ჩაიცვამდეს, თმას გაიშლიდეს, წინ დაიდებდეს ამ ჩემს ტალავარს და ცრემლით ისე დაასველებდეს, რაზიკაშვილის ასულო გულქან, ვით შენ ამკობდი უმანკო ცრემლით... ჩემთვის საწუთრო ყოფილა გულქვა“...

ასეთია ამ ჭეშმარიტი პოეტური ქმნილების სემანტიკური კოორდინატები და ის მენტალური პარადიგმები, რომელნიც დროის კულტურული უნივერსუმის კონტექსტში მოიაზრებიან და აბსოლუტური რეალიზმით სახიერდებიან მკითხველის წინაშე.

* * *

„შუქი ფერმიხდილი თოვლის“ — ასეთია სათაური გივი გეგეჭკორის უკანასკნელი ლექსების წიგნისა... იგი რაღაც ძალზედ არსებითი სულიერი აღმაფრენის, თუმც საბედისწეროდ სევდიანი შთაგონების ნაყოფია... თითქოს მოკრძალებული რევერანსია ყოველივე იმის მიმართ, რამაც სამუდამოდ შეარხია მისი მგრძნობიარე სული...

აქ, ამ წიგნში, ყოველი „კუთხე-კუნჭული“ განსაცვიფრებლად ტრადიციულია, ახლობელია, საამოდ სურნელოვანია... უხვადაა ფიქრთა ხავერდოვანი შუქ-ჩრდილები, დიდი ოსტატის ხელრთვით შესრულებული სულის ფერწერული პეიზაჟები...

მასში თითქოს საბოლოოდ ნაზდება „მზე შემოდგომის“, იწმინდება განცდათა გამმა... ჭეშმარიტი ფილოსოფიური ლირიკის ამ ფრაგმენტებში პოეტური სიბრძნის აქცენტები ქმნიან ესთეტიკური განცდის ემბლემატურ ფიგურებს...

გავიმეორებ, რომ მისი პოეტური სუბსტანციისათვის, აქაც, სრულიად უცხო და არაორგანულია პროსტრაციით გაჯერებული ნიჰილიზმი და გრძლად გაბმული ოხვრა-ვაება... ნევრასთენიული იმპულსებით მანიპულირება და უხამსი ინსტინქტებით ლაზღანდარობა, გონებაჭვრეტითი „სიახლეებით“ მარიაჟობა და მაღალფარდოვანი რიტორიკით მკითხველისათვის „თვალებში ნაცრის შეყრა“...

ეს არის პოეზია სულთა გასაკეთილშობილებლად მოვლენილი, ჩვენი ამღვრეული ფიქრებისა და გრძნობების წმინდა სათავეებისაკენ მიმაბრუნებელი, მაღალ სულიერ კულტურასთან მაზიარებელი...

იგი თვით იყო სათნოება, სიკეთისა და მშვენიერების აპოლოგეტი, რაღაც დიდ იდუმალებასთან „დამეგობრებული“, სიბილწისა და უკეთურების, უნიჭობისა და ქედმაღლობის შეურიგებელი ოპოზიციონერი...

ასეთი იყო იგი — ქართული პატიოსნებით სავსე, ჭეშმარიტი პოეზიის დიდი ხელოვანი – გივი გეგეჭკორი...

რევაზ თვარაძე

პოსტმოდერნისტული აზროვნების სიმპტომად წარმოიდგინება ჩემთვის, მეხსიერებას შემორჩენილი ერთი, ფრიად საგულისხმო რემინისცენცია...

რამოდენიმე წლის წინ, ვაიმარის გოეთეს საერთაშორისო საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი და მასში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ინტელექტუალი მიიწვია...

„გავათავისუფლოთ მომავალი წარსულისაგან? გავათავისუფლოთ წარსული მომავლისაგან?“ — ასეთი იყო ორგანიზატორთა მიერ შემოთავაზებული სლოგანი... კითხვითი ნიშნები დელიკატურად მიანიშნებდნენ იმას, რომ ეს ოდიოზური მოწოდებანი კატეგორიულობის უფლებით არ იყვნენ აღბეჭდილნი და მათში უფრო ვარაუდი სჭარბობდა, ვარაუდი იმისა, იქნებ სჯობდესო განვთავისუფლდეთ ისტორიის ტყვეობიდან, არად ჩავთვალოთ წარსულის ცოდვები და სრულიად უმანკოებმა, ჩვენივე მხრებიდან შორს მოვისროლოთ ძველი დიდების „ტვირთიც“...

ამგვარად „გასპეტაკებულთათვის“ იქნებ უფრო ადვილად ჩამოდგესო ნეტარი ყოფიერება, ჟამი როცა წარსული სრული აბსტრაქციაა, სამუდამოდ დადუმებული და სახედაკარგული... როცა ყოველი ახალი თაობა უწარსულო სიახლის შემოქმედია და „ცარიელი ფურცლიდან“ იწყებს ღწვასა და აზროვნებას...

ამ ოდენ მწუხარედ დამაფიქრებელმა, კვაზიინტელექტუალურმა დისკურსმა შეუძლებელია ილიას ძალზედ ცნობილი შეგონება არ გაგვახსენოს: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს, იგია, საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას... ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თვის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლის, დარღვევის და მთლიანად წარწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა“...

შეუძლებელია, ამაზე შთამბეჭდავად გაეცეს პასუხი იმ საერთაშორისო საზოგადოების მესვეურთა გონებაში „ამოზრდილ“ კითხვებს, რომელიც სამყაროს ინტელექტუალური გიგანტის სახელს ატარებს და გენიალური ლაიბნიცის სამშობლოდანაა...

შორეული თუ ახლოწარსულის ალუზიები, ასე აქტუალურნი დღესაც, ოდენ ერთგვარი „პრელუდიაა“ იმ ლიტერატორის სილუეტური პორტრეტისა, რომელმაც ერის სულიერების ისტორიის უწყვეტელობა ანუ დროთა პერმანენტული კავშირი აქცია თავისი ხანგრძლივი და ძალზედ ნაყოფიერი ინტელექტუალური მოღვაწეობის ლაიტმოტივად...

იმპრესიები, კონცეფციები, განმარტებანი, ფაქტები, ალუზიები, ქვეყნები და სოციუმი, წარსული, აწმყო და მომავალი — რევაზ თვარაძის, ამ ბრწყინვალე მოაზროვნისა და მოქალაქის ანალიტიკური დიაპაზონის პარამეტრებია...

რაც უფრო ღრმად შეიმეცნებ მის მეცნიერულ განსჯა-ანალიზებს, მით უფრო გავსებს განცდა იმისა, რომ შენს წინაშეა ურთულეს პრობლემათა წვდომის უნივერსალიზმი, რომელიც თავისში შეიცავს აზრისა და ემოციის, რაციოსა და ინტუიციის ჰარმონიულ „თანაცხოვრებას“...

მისი ანალიტიკური ტექსტებისათვის სრულიად უცხოა ესოდენ პოპულარული „პათეთიკური ცდომილებანი“, ანუ „არაღირებულებრივით“ აღფრთოვანება... იგნორირებულია მისი ანტინომიაც „აპათეთიკური ცდომილების“ სახით — მაღალ სულიერ ფასეულობათა აკვიატებულ „რევიზიას“ რომ გულისხმობს.

მრავალი უღრმავდებოდა და ეძიებდა ქართველი ერის სულიერი ისტორიის ეპოქალურ გრადაციებს, მის ბრუტალურსა თუ კრეატიულ, დემონიურსა თუ ანგელოსურ კონფიგურაციებს, მის ბიბლიურ, მითოლოგიურსა თუ ლიტერატურულ ანალოგიებს.

ამ ინტენციებით აღბეჭდილი ანალიტიკური ტექსტები უფრო ხშირად იმ ფსევდოკონცეპტუალური სქემების დუბლირებას წარმოადგენდნენ, რომელნიც ახალსა და ღირებულს არაფერს აუწყებდნენ საზოგადოებას და ბოლოსა და ბოლოს, ოდენ დოგმატიზებული სულიერი „ისტორიის“ ილუსტრაციას განასახიერებდნენ.

რევაზ თვარაძე სულიერი სუბსტანციითა თუ აზროვნების მთლიანი სისტემით, რაფინირებული ინტელექტუალი და ანალიტიკოსი იყო...

სიმპტომურია, რომ ლიტერატურისათვის ორგანული კრეატიულობა, მის მიერ აღქმული იქნა, როგორც იმპულსი ანალიზის ფენომენოლოგიური მეთოდოლოგიისა, ანუ მხატვრული ქმნილების წიაღში იმ კონტექსტების გათვალისწინებისა, რომლიდანაც იღებენ დასაბამს ავტორის ფიქრები და ზოგადად მისი აზროვნების მთლიანი სისტემა... ასე „მოიძიება“ მის მიერ ლიტერატურული ტექსტის ჭეშმარიტი საზრისი... დროისა და მთელი ეპოქის კულტურული გამოცდილების ორიენტირები...

აქედანვეა იმპულსირებული ტენდენცია, სინთეზის პრევალირებისა მშრალი ანალიზის მეთოდზე, სწრაფვა უნივერსალიზმისაკენ, კულტუროლოგიური კონტექსტებისაკენ, სულიერი ტრადიციის ობიექტივაციისაკენ...

რევაზ თვარაძის აზროვნების სფერო ერთი მხრივ მოიცავს კლასიკური სულიერი მემკვიდრეობის უძველეს შრეებს, ხოლო მეორეს მხრივ თანამედროვეობის გნოსეოლოგიურ ასპექტებს...

დროთა კავშირი ანუ სულიერების ისტორიის უწყვეტელობა მის ნაფიქრ-ნააზრევთა ლაიტმოტივია და ამითაც არის უნიკალური...

მათში, ერის სულიერი აქტივობის ყოველი მომენტი აღქმულია როგორც გლობალური დროის გამოწვევათა მიმართ გაღებული „საზღაური“ და ბიძგი მომავლისა...

ნიშანდობლივია, რომ მის ანალიტიკას მიმზიდველობას სძენს ჭეშმარიტი ლიტერატორისათვის დამახასიათებელი ემოციური ხიბლი, საანალიზო ტექსტიდან მომდინარე კრეატიული ენერგეტიკა... და კიდევ, მასში „უარყოფილია“ ანალიტიკოსის უკიდურესი სუბიექტივიზმისა თუ განყენებული აზროვნებით მანიპულირების მეთოდოლოგია ლიტერატურის მათემატიზაციისა თუ სტრუქტურულიზაციის ტენდენცია და მიღწეულია ინტერპრეტაციის ხელოვნების ის დონე, საიდანაც ლიტერატურული ქმნილება შეიმეცნება როგორც ნარატივიცა და როგორც ნატიფი ხელოვნების ნიმუშიც, რომლის ესთეტიკური აღქმის გარეშე, ნონსენსია მისი სპეციფიკისა და არსის სრულყოფილი გაცნობიერება...

სიმპტომურია ისიც, რომ მკვლევარი არ იზღუდება კონკრეტიკის ჩარჩოებით და მის მიღმა სჭვრეტს კულტურული ტრადიციების უფართოეს სპექტრს, ანუ ინტერტექსტუალურ მასშტაბებს, რომელნიც უფრო მყარ და არსობრივ წარმოდგენას ქმნიან საანალიზო მასალის მიმართ...

ქართული სულიერების ისტორია, ესოდენ „იდუმალიცა“ და მრავალწახნაგოვანიც, თითქოს შეუძლებელიც კია ერთხელ და სამუდამოდ „მოიხელთო“ და განსაზღვრო მისი ზუსტი და უცდომელი ეპისტემოლოგიური ჰორიზონტები თუ ესთეტიკური „სტიქია“...

არსებითი კი ის არის, რომ XX საუკუნის ბრწყინვალე ლიტერატორთა შორის იგი ირჩეოდა თავისი დახვეწილი პროფესიონალიზმითა და ფუნდამენტურ პრობლემებზე კონცენტრირების უნარით, პრინციპულობითა და სულიერი არისტოკრატიზმით... ხანგრძლივი ფიქრით აღბეჭდილ მის ანალიტიკურ ფორმულებში სჭვიოდა „გონიერი ექსტაზის“ პათოსიც, ანუ ის, რომელზეც თვით ძველი პლატონიკოსები აპელირებდნენ და რომელიც ჭეშმარიტ ღირსებად აღებეჭდებოდა რჩეულ ლიტერატორთა ქმნილებებს...

ჩვენი ერის ინტელექტუალური განვითარების ყოველი ახალი ეტაპი, კვლავ და კვლავ, ღრმა ინტერესით მიუბრუნდება ალბათ XX საუკუნის სულიერი ევოლუციის განმსაზღვრელ ფაქტორებს, ქართული კულტურული რენესანსის იმ შემოქმედთა მრავალმნიშვნელოვან ღვაწლს, რომელთა აქტიური ცნობიერების ძალთახმევითაც ჩამოყალიბდა მოაზროვნე, შემოქმედი, მორალურად და ინტელექტუალურად მატერიალიზებული საქართველო...

ამ დიალექტიკური რეალობის ავტორია რევაზ თვარაძეც — ბრწყინვალე ჰუმანიტარი და ანალიტიკოსი...

უსაჩინოესი ლიტერატურული თაობის ერთი ლიდერთაგანი და საყოველთაოდ აღიარებული ინტელექტუალური მეტრი... ამგვარი ახსოვთ იგი, მისი აქტიური ახალგაზრდობისა და ბრძნული სიჭარმაგის მომსწრე თაყვანისმცემლებს...

იცოდა და განიცდიდა თანამედროვეობის — ამ სიბერწით გაღიზიანებული „მონსტრის“ ისტერიულ ბუნებას... იცოდა, როგორ „იმუქრებოდა“ იგი კვაზიგონიერებითა და მულტიკულტურული ნოვაციებით, რომელნიც მხოლოდ მოკლევადიანი არსებობისათვის თუ იყვნენ განწირულნი...

მან, კიდევ უფრო უკეთ იცოდა, რომ როგორც მოაზროვნე, ის მხოლოდ ნაწილი იყო ათასხუთასწლოვანი ტრადიციებისა და რომ მის უპირობო მოვალეობას წარმოადგენდა „მსახურება“ იმ კოლოსალური სულიერი განძეულობისა, რომელსაც არსებითად ეფუძნებოდა ერის იდენტობა და მენტალიტეტი...

და, მაინც, ყოველივე ზემოთთქმული მხოლოდ ერთი შესაძლებელი რაკურსია რევაზ თვარაძის პიროვნულ-შემოქმედებითი აბრისისა...

ჯანსულ ჩარკვიანი

ლიტერატურულ ქმნილებათა იდეური თუ ესთეტიკური კონტექსტები, ზოგადად კი ლიტერატურული პროცესების ტრადიციული სპეციფიკა, სამწუხაროდ, დღეს ვეღარ იზიდავს ადამიანთა სულიერ მოთხოვნილებებს...

ჩვენ, შესაძლოა გამოვედით რომანტიკული მსოფლგანცდის იმ ნეტარი „ტრანსიდან“, რომლისთვისაც სრულიად ბუნებრივი იყო მაღალი სულიერი ღირებულებებით აღფრთოვანებაცა და განცვიფრებაც... სრულმა ინტელექტუალურმა ინდიფერენტიზმმა კულტურული ცნობიერების იმ კრიტიკულ ფაზას მიაღწია, როდესაც ამორფული კრიტერიუმებითა და არგუმენტაციებით

რეფლექსირდება, ანუ პოსტმოდერნისტული განზომილებებით აღიქმება ყოფიერების ფუნდამენტური მოტივაციებიც კი...

გაუფერულდა და დაჩლუნგდა სულიერი წვდომის ის კრეატიული იმპულსები, ხელოვნების ქმნილებას სიცოცხლესა და მშვენიერებას რომ ანიჭებდა...

ამ ოდენ ელეგიური განსჯის ფონზე წარმოვიდგენ ჯანსუღ ჩარკვიანის უაღრესად კრეატიულსა და მკვეთრი ინდივიდუალობით აღბეჭდილ პოეზიას...

უპირველეს ყოვლისა ის, რომ მოტივაციათა უფართოესი დიაპაზონი წარსულისადმი უსაზღვრო პიეტეტითაა „მოსილი“ — „სხვა გზა არ არის, ერთი გზაა პაპაშენისა — შენც იმ გზით წახვალ“ — ამ საკრალური რწმენით აკვალიანებს იგი საკუთარ თავსაც და ორიენტაციადაკარგულ თანამედროვეთაც...

აქედან, ამ მაღალი მორალური მსოფლგანცდიდან თვალსაჩინოვდება მისი შემოქმედებითი რეპერტუარის კონცეპტუალური პარადიგმები — მრისხანების, ტკივილისა და აღფრთოვანების სახით...

მათი გრადაციები იმ ღრმად განცდილ რეალობას ირეკლავს, რომლის სივრცე ანტინომიურ მოვლენათა ასპარეზადაა ქცეული, სადაც შემაძრწუნებელ ნეგაციათა „გვერდით“, არის სუფევა სათნოებათა და სიქველეთა — „და თუ ვერაფრით ვერ დაგიხსნიათ ეშმაკებისგან თავი სნეული, მიირთვით ღვინო, ჩემი სისხლია, მიირთვით პური, ჩემი სხეული“...

ამ ბიბლიური ალუზიის „ადრესატი“ პოეტის თანამედროვეობაა და იგი აღიქმება მისი გაადამიანურების საკრალურ მეტაფორად... მოძმეთა სიყვარულის იმ მაღალ „ინსტანციად“, სულიერების ჯერგანუცდელი სიღრმეებისაკენ რომ მიმართავს ადამიანთა ცნობიერებას...

მისთვის ზოგჯერ „არაფერია“ თვით პუბლიცისტური დისკურსის „ცდომილებანი“, რადგან, ღრმადა სწამს, რომ შეუძლებელია რაფინირებული ემოციებით „მოვარაყებულ ჩარჩოში“ დაატიო ქვეყნის კოლოსალური საფიქრალი, მისხალ-მისხალ აწონგაზომო ზვავად მოვარდნილი და ყოვლის წამლეკავი სატკივარი...

და როგორც ლოგიკური შედეგი ზეაღმატებული ვნებათაღელვისა, სახეზეა პოეზიის ირაციონალური სტიქიის, ყოფიერების ღია და უსასრულო შეგრძნების დინამიური ფრაგმენტები — „მოუჩრდილებელ სინათლეს ვეძებ, სამოსი მგლისა ჩაუცვამთ ვერძებს, მუზა უკუღმა შემჯდარა ვირზე, დედათა შორის კურთხეულს ვეძებ, მე ვეძებ ჩემი შეცდომის მიზეზს, სიცოცხლის ცეცხლი რომ გავურითმო, იმ სიტყვას ვეძებ ნეტარ სტრიქონით, ყოვლად ძლიერო, ვიპოვი ვითომ?! — დიახ, ვიპოვი“...

პოეტის ლირიკულ მონოლოგებში მონუმენტურ შეგრძნებათა განცდის მაძიებელი სული „მიმოდის“ და ამიტომაც არაჩვეულებრივად გადამდებია მისი რომანტიკული პათოსიცა და მძაფრი მოქალაქეობრივი იმპულსებიც...

დღეს, რატომღაც დამკვიდრდა და ერთობ გამრავლდა ლირიკულ, „მედიტაციათა“ ულტრაგაფაქიზებული „სახეობანი“... ილაჯგაწყვეტილი ლუღლუღის „პოეტიკა“ ის საიმედო „თავშესაფარი“ გახდა, რომლისკენაც ისწრაფიან პოეზიასთან „მწყრალად მყოფი“ გუნდი და გუნდი „ვარსკვლავთა“ ანუ სიმრავლე ლექსის მწერალთა... იქნებ სწორედ ამგვარმა უსაგნო და უმისამართო „ლირიკამ“ და მასზე ორიენტირებულმა გემოვნებამ დააჩლუნგა და ძალოვანება დააკარგვინა ქართული ლექსის სიცოცხლითა და მაღალი, რეზონანსული მწუხარებით აღბეჭდილ ბუნებას...

საკუთარ მომენტალურ განწყობილებებთან ლაციცის ნაცვლად, ჭეშმარიტი პოეტის ლირიკა, როგორ იქცევა რეალობის კონცეპტუალური კონტექსტების გრაციოზულ მანიფესტაციად, ამის ილუსტრაციაა თუნდაც ეს მონოლოგი: „მე უნდა მეთქვა ყველა უკლებლად — გზა დახლართული ეკალბარდებად, ქვეყანას შვილი როგორ უკვდება, ქვეყანას შვილი ვით ებადება, ზოგჯერ მგლოვარე, ზოგჯერ მნუხარე, ჩემი მამულის ცოდვით ვიწვოდი, მაინც შემტევი, მაინც მქუხარე, მაინც ამაყი სიტყვით ვიბრძოდი“...

მეტ-ნაკლებად გასაგებია, რომ მოქალაქეობრივი ლირიკის დინამიური პათოსი ნაკლებად მოსაწონია სენსიტიურ მოდულაციებზე ორიენტირებული პერსონისათვის, სულის მხოლოდ შინაგან ვიზიონებზე პროეცირებული შემოქმედისათვის, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ჩვენს ამღვრეულ სულიერსა და ფიზიკურ ყოფას ჰაერივით სჭირდება მოქალაქეობრივი სულისკვეთების გამომხატველი ქმნილებები, მათში განხატებული მრისხანებაცა და კაეშანიც...

რადგან სწორედ ამ ტიპის ლიტერატურამ ურწია „აკვანი“ თაობათა ოცნებებსა და მისწრაფებებს, მომავლის „სიზმრებსა“ და რწმენის გაკვეთილებს...

პოეზიას წიაღიდან ამოზიდული დიდი სიმართლისა და იდუმალი მრისხანების ინტონაციები, აკრძალული თავისუფლების მოლოდინით „ამწყურვალებდა“ მორალური და ინტელექტუალური „კაზუისტიკით“ შეპყრობილ საზოგადოებას. ამიტომაც ასრულებდა იგი დიდი უმრავლესობისათვის „კათარზისის“, ხოლო „პრივილეგირებულთათვის“ — მამხილებელი „დოკუმენტის“ ფუნქციას...

პოეზიის ამ პოზიტიური ინერციის გამოძახილია კიდევ ერთი ლირიკული ფრაგმენტი — „გონება რომ არ დაჩლუნგდეს, რაც გტკივა, ის რომ გაცხადდეს, ალბათ, არ უნდა გაჩუმდე, ალბათ არ უნდა დაწყნარდე, ალბათ არ უნდა დადუმდე, პირიქით, უნდა გაცხარდე, პირიქით, უნდა ადუღდე, სისხლივით უნდა ადუღდე, მუხლში ჩაუდგე ბიჭუნებს, ვინ გადაიხდის გადუხდელს, ვინ გაპატიებს სიჩუმეს!..“

მოქალაქეობრივი პოეზიისათვის ორგანული საზოგადოებრივი ცხოვრების მღელვარე აქცენტები ძიების პათოსით განაწყობდნენ პოეტის ცნობიერებას და მკითხველსაც „აიძულებდნენ“ განრიდებოდა რეალობის მშვიდი მეთვალყურის როლს, რათა ყოფილიყო მეტ-ნაკლებად აქტიური მოქალაქე თავისი ქვეყნისა...

და კიდევ: ამ მეგამოტივაციის ორგანული კონცეფცია შეგონება იმისა, რომ თანამედროვეობას, ვითარცა წარსულს, გაფრთხილება და სიყვარული სჭირდება... რომ იგი ჩვენთვის, ასე თავმოსაწონებელი წარსულის ორგანული ნაწილი, მისი სისხლი — სისხლთაგანი და ხორცი — ხორცთაგანია, და რაც მთავარია, იგი საფეხურია მომავლისა... რომ სწორედ ჩვენი არსებობისათვის „გათამაშდა“ ის სისხლიანი ტრაგედიები, რომელთა შთამაგონებელი ექო, არც, დღეს უნდა აძლევდეს მოსვენების უფლებას მათ შთამომავალთ... ამიტომაც სრულიად ბუნებრივი და აქტუალურია პოეტის სინანული: „ვაი თუ კარგად ვერ ენთე, ვაი თუ დავაყოვნეთა? დგას რისხვად ოცდამეერთე, მკაცრი და მკაცრი ყოველთა“...

* * *

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური რეპერტუარი მშვენიერი პასტორალურ-ფერწერული „პაუზებითაცაა“ აღბეჭდილი... შემოქმედის ლირიკული განცდების გამმა აქ უფრო ელასტიური, ხავერდოვანი და დაწმენდილია... მაღლა მხედსა და მოვლენათა ამაყად მჭვრეტელს აქ ადამიანური ბუნების „მორჩილი“ და მიმდევარი ენაცვლება, თუმც ამ რომანტიკულ მედიტაციებშიც პრევალირებს შემოდგომის ფერთა „მელანქოლია“ და სწორედ იგი განაპირობებს განწყობილებათა სულიერი აქცენტების განუმეორებელ ესთეტიკას...

ყოფიერების გაავებულ ტალღებს „განრიდებული“ იგი აქ ჰპოვებს და ეთაყვანება სიყვარულის ხატს და მოწიწებით იხრის ქედს იმ ერთადერთის წინაშე, რომელმაც სათნოებათა წიაღს აზიარა მისი რომანტიკული სული...

პოეტის თრთოლვით აღბეჭდილ ხილვებში ამ ღვთაებრივი განცდის უნივერსალური, მორჭმული და ჰარმონიული განფენილობაა აქცენტირებული... სიყვარულის სრული სუფევა, უმაღლესი სულიერი ნეტარების წინაპირობად და ცთომილებათაგან განთავისუფლების ერთად-ერთ არგუმენტად სახიერდება... იგი მისთვის სიცოცხლის ისეთივე სათუთი განძია, როგორც ბავშვობა...

ღრმა სიმძიმილისა და „მეტყველი“ დუმილის ჟამი ჩამომდგარა იმათი ხსოვნის წინაშე, ვინც მიწიერ სამყოფელს სამუდამოდ

დამშვიდობებია და ზეცად შეხიზნულ სულად გარდასახულა... ტკბილ-მწარეა გახსენება მათი, წვეთ-წვეთად დასდის გულს ცრემლად მოწოლილი სათქმელი: „ის ჭირთამთმენი იყო ყოველთვის, ნატყვიარივით სტკიოდა მტრობა, მაგრამ რჩეული სული პოეტის, ამჯობინებდა სიმღერით თრობას... იდგა ლაშქარში, იდგა ძმობაში, ბაწრით, წრიაპით და წერაყინით, მთრთოლვარე გულის ღრმა ჭრილობაში, პურის მარცვლები ჰქონდა ჩაყრილი“...

მტკივნეული განცდებით გარემოსილს, ვითარცა პოეტურ განცდათა დიდ ხელოვანს, ხელეწიფება პოლარიზებული ტონალობებით წარმოსახოს სიცოცხლის ონტოლოგიური კონტექსტები და თვით მისით ტკბობის თავაწყვეტილი ლტოლვა...

* * *

უნიკალურია ლირიკული ხილვებით „ნაძერწი“ პოემა „მეექვსე დღე“... იგი მეგობრებთან გატარებული ერთი დაუვიწყარი ღამის „ქრონიკაა“...

მთავარი მასში სულის საამოდ „მომთენთავი“ გულწრფელი ატმოსფეროა, ნივთიერი გარსის, ნივთიერი სიბილწისაგან განრიდებული მორალური ატმოსფერო... თამამი და მიუკიბ-მოუკიბავი სიმართლის მინიატურული „სამყარო“.

ის რაც პოემაში ხდება არც ექსტრავაგანტურია და არც თუნდაც უჩვეულო...

და მაინც, ღამისთევის რომანტიკა და მის „ბოჰემურ“ სივრცეში ტკბილად „მოგალობე“ ქართული სიტყვა, განწყობილებათა იმ მოდულაციებს ახმოვანებს, რომლისთვისაც სრულიად ორგანულია სერიოზულობაცა და „შაყირიც“, სიხარულიცა და სევდაც... ამ ანტინომიური მჭევრმეტყველებითაა აღბეჭდილი სამთა ღამეული „ნადიმი“... რიტორიკული „ფეიერვერკებით“ გაბრწყინებული ჟამი ადამიანური ურთიერთობებისა და დაუვიწყარ მოგონებადღა ქცეული ბედნიერი ხვედრისა...

* * *

დროის „მორჩილი“ სულის დამაკნინებელი მარწუხებიდან ოცნებით თავდახსნილი, იგი სიცოცხლის ბუნებრივი კანონზომიერების, ანუ თავისუფალი ყოფიერების წყურვილითაა ატანილი...

საგულისხმოა ისიც, რომ თვით მის მაჟორულ, ამაღლებული ობერტონებით აღბეჭდილ მონოლოგებში, ტრაგედიებით „დანაღმული“ ცხოვრების გულისცემა იგრძნობა...

მე მასში ვხედავ ქვეყნის ჭირისუფლად მოვლენილი სულის განსახიერებას, რომლის მიმართ შეუძლებელია იყო გულგრილი...

მისი ლირიკული ტირადები, საოცრად სუგესტიურნი, შთაგაგონებენ შუქ-ჩრდილებით „მოხატული“ ცხოვრების „ტექსტის“ საკრალურ აზრსა და მნიშვნელობას, მისი ირაციონალური თუ ლოგიკური გამოვლინებების ღვთაებრივ ხიბლსა და განუმეორებელ რომანტიკას...

და, როგორც გამოძახილი ყოველივე ამისა, სრულიად ბუნებრივია აღფრთოვანება მისით... მოწინება მისი ტალანტის მიმართ...

ადამიანები იცვლიან წარმოდგენას პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე, მათ საზოგადოებრივ როლსა და ადგილზე, თვით პოეტური ხელოვნების რაობასა და სპეციფიკაზე...

რთულზე-რთულია დეფინიცია მისი უნივერსალური არსისა, თუმც სრულიად ლეგიტიმურია წარმოდგენა იმისა, რომ პოეზია აბსტრაქცია, ანუ არარსებულით გატაცება არ არის, იგი სინამდვილის „ფერმწერია“, მის წიაღში მიმდინარე პროცესთა კონტექსტებით „მანიპულირების“ დიდოსტატია, ადამიანის სუბსტანციის პერმანენტული ძიების მანიით შეპყრობილი „მკვლევარია“ და ბოლოს, მშობლიური ქვეყნის მაღმერთებელი „ქადაგია“...

მისი ამაყი და კეთილშობილი „უდიდებულესობა“ — პოეზია, დროის „კაპრიზების“ მორჩილი „თითქმის“ არასოდეს ყოფილა... იგი ერის სულიერების ინგრედიენტს წარმოადგენდა და მარადიულის პრეტენზიით იკვლევდა გზას ისტორიის თვით ყველაზე უფრო შემაძრწუნებელ და უმეცარ „ჯურღმულებშიაც“ კი...

ნონა აბაშმაძე

ყუმუხური პოეზიის დიდოსტატი

ანვარ აჯიევი დაღესტნის სახალხო პოეტი და ყუმუხური ლიტერატურის კლასიკოსია. დაიბადა 1914 წელს დაღესტანში, გარდაიცვალა 1991 წელს. სამშობლოში უმეტესწილად მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, როგორც ჩვენთან ჩვენს დიდ პოეტებს, საქართველოს და ქართველი ხალხის სიმბოლოებად რომ ქცეულან. იქ ყველამ იცის, ვინ არის ანვარი. მის ლექსებზე დაწერილი ბევრი სიმღერა შესულია ყუმუხთა სასიმღერო საგანძურში. ისინი იმდენად პოპულარულია, რომ ბევრს ხალხური ჰგონია.

ყუმუხები დაღესტნის ხალხთა შორის რიცხოვნობით მესამე ადგილზე არიან. მათი ენა განეკუთვნება თურქულ ენათა ჯგუფს. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში დახასიათებული არიან როგორც ყველაზე კულტურულები ჩრდილოკავკასიურ ტომთა შორის. ყუმუხური ენა საუკუნეთა მანძილზე ჩრდილოეთ კავკასიაში ლინგვა ფრანკა იყო. 1917 წლამდე აქ გამოცემულ წიგნთა ნახევარი ყუმუხურ ენაზეა დაწერილი, რაც მოწმობს ამ ენის განვითარების მაღალ დონეს. გასაბჭოებამდე ყველა განათლებული ჩრდილოკავკასიელი თავს ვალდებულად თვლიდა არაბულთან ერთად ეს ენაც ესწავლა. დაღესტნის ეთნოსთა შორის ისინი გამოირჩევიან ტოლერანტობით, ურბანიზებულობით, სტუმართმოყვარეობითა და გულთბილობით. ამ ხალხმა ადგილობრივი კულტურის თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და დიდი კულტურული გავლენა მოახდინა სხვა ეთნოსებზე.

ანვარ აჯიევმა შესანიშნავად იცოდა თავისი ხალხის ისტორია. მის შემოქმედებაში აისახა წარსულის არაერთი ამაღელვებელი ამბავი როგორც ლეგენდა, რომელშიც ოსტატურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული წარსულისა და თანამედროვეობის ღირებულებანი და რეალიები, პატიოსნად და გულწრფელად არის მორგებული მორალური აქცენტები.

ანვარი, როგორც საბჭოთა პოეტი, ბევრს წერდა საბჭოთა თემატიკაზეც, მაგრამ მისი პოეზია არასოდეს გამხდარა მლიქვნელური და უსახური. მისი ლექსები დაწერილია გულწრფელად, კარგი გემოვნებით, ზომიერების გრძნობით და რეალობის შეგრძნებით. მათი უმრავლესობა ღრმად ლირიკულიცაა და ამავე დროს თითქოს შეუმჩნევლად იჭრება სულის ხვეულებში და იწვევს არა მხოლოდ ემოციას, არამედ ფიქრსა და განსჯას.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი პატრიოტული ლირიკა. საბჭოთა პერიოდის ბევრი დაღესტნელი პოეტის შემოქმედებაში ისმოდა პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად ნაკარნახევი დიდი და პატარა სამშობლოს თემა. ანვარ აჯიევს არ დაუნაწევრებია სამშობლოს ცნება. „მისთვის არ არსებობს დიდი და პატარა სამშობლო, მიყრუებული, მივარდნილი, სადღაც გადაკარგული პროვინცია. მის პოეზიაში ჩვენ, — ადამიანები ვცხოვრობთ ერთ მთლიან სისტემაში, ერთი ცის ქვეშ“ — წერდა მისი პატრიოტული ლირიკის შესახებ თვალსაჩინო დაღესტნელი მწერალი ქამალ აბუკოვი. ანვარის პოეტური პიროვნების ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა ყუმუხთა ხალხურმა პოეზიამ, აღმოსავლურმა, ყუმუხურმა და რუსულმა ლიტერატურამ. მის პოეზიაში, როგორც იშვიათი მარგალიტები, ისე კიაფობდნენ აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი მეტაფორები და პოეტური სახეები.

ანვარ აჯიევმა ყუმუხ ხალხს დაუტოვა არა მარტო შესანიშნავი პოეზია, არამედ ევროპელ და რუს კლასიკოსთა თარგმანებიც. მას ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებიც უთარგმნია. მისი ძალისხმევით შეიქმნა ტელესტუდია და დაღესტნის ტელერადიოკომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობდა მრავალ წელიწადს. იყო რედაქტორი და სულისჩამდგმელი ალმანახისა „დრუჟბა“.

თანამედროვეები ახასიათებენ როგორც უაღრესად თავმდაბალ, გულუხვ და მოკრძალებულ ადამიანს, რომელიც ისე ცხოვ-

ანვარ აჯიევი

რობდა, როგორც ყველა რიგითი მოქალაქე. მახაჩყალაში დგას მისი სახელობის ლიტერატურული მუზეუმის თანამედროვე შენობა. ეს შენობა მადლიერმა შთამომავლებმა მას გარდაცვალების შემდეგ აუგეს. თვითონ ანვარი ცხოვრობდა მოკრძალებულ პატარა სახლში, ბელეტაჟზე, სადაც იკრიბებოდნენ იმდროინდელი ლიტერატორები, ჟურნალისტები და ყველა ის, ვისაც გული შესტკიოდა დაღესტნის ლიტერატურის განვითარებაზე.

პირადად ჩემთვის ანვარ აჯიევის პოეზია სასიამოვნო მოულოდნელობა იყო დაღესტანში. როდესაც მიმიწვიეს მისი პოეზიის საღამოზე, არც ველოდი თუ ჩემზე ასეთ გავლენას მოახდენდა მისი ლექსები. ამ შთაბეჭდილების გაღრმავებას ხელი შეუწყო დამსწრეთა გულწრფელობამ და კეთილგანწყობამ, რასაც ისინი დაუფარავად გამოხატავდნენ ჩემს — როგორც ქართველის — მიმართ.

2014 წლის სექტემბერში მახაჩყალაში გაიმართა ანვარ აჯიევის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელზე დასასწრებად მიმიწვია დაღესტნის კულტურის სამინისტრომ ყუმუხთა ა.-პ. სალავათოვის სახელობის მუსიკალურ-დრამატული თეატრის მესვეურთა ძალისხმევით.

რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე თავაზიანად შემხვდნენ. გააფორმეს ჩემი პასპორტი, დაათვალიერეს ჩემი ბარგი და ბედნიერი მგზავრობა მისურვეს მახაჩყალამდე. ქალაქში შესულს ბევრი ახალი, თანამედროვე შენობა მომხვდა თვალში. ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე კი დიდი ტრანსპარანტი ეკიდა: მახაჩყალელებს „ველური დივიზიის“ 100 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ეპატიჟებოდნენ. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე კი თავმომწონედ აღემართათ უზარმაზარი ბანერი, რომელზეც მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა პუტინი.

საიუბილეო საღამო დიდი ზარ-ზეიმით გაიმართა რუსულ დრამატულ თეატრში, რადგან იგი ზომით ყველაზე მასშტაბურია. საღამოზე სიტყვით გამოსვლა მთხოვა ანვარ აჯიევის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ხელმძღვანელობამ. შევეცადე გამოსვლაში გამომეხატა ანვარის პოეზიის ჩემეული აღქმა და შეფასება. საღამოს მუსიკალურ ნაწილში ჩემს საპატივცემულოდ შეასრულეს სულხან ცინცაძის ნაწარმოები. საიუბილეო საღამომ კარგად ჩაიარა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი ყველაზე დიდი მოვლენა იყო დაღესტნის პრეზიდენტის ბატონ რამაზან აბდულატიპოვის დასწრება, რომელიც მთელი თავისი ამალით და შეიარაღებული დაცვით მობრძანდა და სიტყვითაც გამოვიდა. იგი კარგი ორატორია. მისი სიტყვა გამოირჩეოდა ხალხის ფსიქოლოგიის ცოდნით, ბოლო ხანს საკმაოდ დაძაბული ატმოსფეროს განმუხტვის სურვილით, ლიტერატურის ცოდნით. დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა მისი მოსვლით, რადგან არასოდეს ერთ მის წინამორბედსაც კი თავი არ შეუწუხებია მწერალთა იუბილეზე დასასწრებად. მართალია, ანვარი არ არის რიგითი მწერალი. ამ მწერალთან ყუმუხები ძალიან ბევრი მგრძნობიარე სიმით არიან დაკავშირებული. ეს იცის ბატონმა აბდულატიპოვმა. მას კარგად ესმის დაღესტანში არსებული საზოგადოებრივი აზრის შემართებაც და ხალხის განწყობაც. ცდილობს დაიცვას მმართველობის უფრო თანამედროვე სტილი. ზრუნავს წარმოების განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე.

დაღესტნის ინტელექტუალური საზოგადოება კეთილად არის საქართველოს და ქართველების მიმართ განწყობილი. მათთან საუბარში ნათლად ჩანს ინტერესი ჩვენდამი, თუმცა კონკრეტულად არაფრის თქმა არ შეიძლება. ჩვენ პრაქტიკულად არ ვიცნობთ ერთმანეთს. არ ითარგმნება ჩვენი ლიტერატურა იქ და არც მათი — ჩვენთან. არ ეწყობა შეხვედრები, გამოფენები, კონფერენციები. მახაჩყალაში ყოფნის დროს დამებადა აზრი, გამართულიყო შეხვედრა ტელეგადაცემის სახით იმ დაღესტნელებთან, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს საქართველოში. ასეთები კი იქ მრავლად არიან. მათ ნამდვილად განიცადეს საქართველოს, ქართული კულტურისა და გარემოს გავლენა. ისინი სხვადასხვა დარგის სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ აქ — საქართველოში. ამის შესახებ ლაპარაკი მქონდა იქაურ ტელეჟურნალისტთან. მას იდეა მოეწონა, მაგრამ ან მე წამოვედი ძალიან ადრე, ან სხვა რამ ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, სამწუხაროდ, ეს გადაცემა არ მომზადდა. მე მაინც იმედი მაქვს, რომ გადაცემა გავა ეთერში და იგი იქნება მეტად საინტერესო, დატვირთული ემოციებით და კეთილი მოგონებებით, რაც ასე გვჭირდება ყველას.

ქართველ მკითხველს კი მინდა შევთავაზო რამდენიმე ჩემეული თარგმანი ანვარის პოეზიიდან:

***

შენ მეკითხები — რა გქვია?
მე გიპასუხებ — ყველას გულისკენ
გზის გამკვლევი ვარ.
სად მეჩქარება? — მე იქაც და აქაც,
ყველა კართან მელოდებიან.

***

ეს გზა ხან აქეთ მიდის, ხან იქეთ,
ბედის ღიმილი კრთება და ქრება...
გზა ძლივსღა მიდის ქვით დაკბილული;
ძნელად სავალი, საჭოჭმანო, საჭირვარამო,
აღმართ-დაღმართი ყანობრებზე, კბოდეებზე,
ხრამებზე წვალობს.
შენსკენ ვესწრაფვი სულმომდინარი, ვერ მოგისწარი,
ვერსად დაგლანდე...
დაე, ყოველი ჩემი ოხვრა წვიმის ღრუბლად წამოგეჩრდილოს
მოგესალბუნოს შუადღის ხვატში შვების მომგვრელად.

უმთებოდ მზე არ მზეობს

ყველას არწმუნებ — თუ მზის ნახვა გსურთ
წადით მთებში, ველზე მოიწყენთ.
გაიარეთ და თავად მიხვდებით — მთა
ველზე დაჩოქილი აქლემივით აყუდებულა.
მზე უღელტეხილს თავს დაადგება,
ველს დაადნება, დაიღვრება,
კლდის ქიმებს იქით ცხვრებს გადალალავს,
და ველისკენ ჩქარობს დაისად.
— შენ ამბობ, რომ მდინარეები
მთებში უნდა იბადებოდნენ...
ეს ასეა, მაგრამ...
არვინ კითხულობს, რატომ ჩქარობენ აგრერიგად
დაბლობისკენ ჩამოჩქეფებას მთაში შობილნი,
რად ავიწყდებათ გულმავიწყებს მშობელი მთები...

***

შენ მხიარული ხარ, რატომ?
— ერთსა და იმავე დროს ათი მეგობარი მეწვია სტუმრად.
— შენ მოწყენილი ხარ, რატომ?
— დღეს ერთი და იგივე სტუმარი მეათედ მოვიდა!

***

მართალია, ხორბლის ბეღელს დარაჯობენ კატები,
მაგრამ მაინც მარცვლეული მარცვალ-მარცვალ ილევა.
ხმა გავარდა მზისქვეშეთში: კატები და თაგვები
ძმობას ეფიცებიანო სათაგვეთში ერთმანეთს.

გიგი ხორნაული

უკვალოდ არ ჩაივლის



შთაბეჭდილება იკა ქადაგიძის პუბლიცისტურ კრებულზე „ძირს ომერტა!"

იკა ქადაგიძის ახალი პუბლიცისტური კრებული „ძირს ომერტა!" ეროვნული გმირების — ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას — ხსოვნას ეძღვნება. ამ ფაქტმა ძალიან გამახარა. მინდა ყოველგვარი ზედმეტი მორიდებულობის გარეშე ის ძალზე სასიამოვნო შთაბეჭდილება გაგიზიაროთ, რომელიც ამ წიგნმა აღმიძრა. ყველამ იცის, რომ იკა ეროვნული მწერალია. იგი ქართულ მწერლობაში ფეხმოკიდებულ მანკიერებებს უშიშრად აკრიტიკებს. „ძირს ომერტა!" ისეთივე მნიშვნელოვანი წიგნია, როგორც „ქართული კორიდა", მისი რედაქტორი მე გახლდით. ამ კრებულმა დიდი მღელვარება და გამოხმაურება გამოიწვია, რადგან იკამ არ დამალა სიმართლე. ახალი წიგნიც ამ სულისკვეთების გაგრძელებაა. ეს რა თქმა უნდა მისასალმებელია.

პირადად მე ქართული მწერლობის უპირველეს მოვალეობად მიმაჩნია ქვეყნის სატკივრის გათავისება, აღწერა და მკითხველისთვის ისე მიწოდება, რომ მას ტკივილი შეუმსუბუქოს, თან გამოაფხიზლოს და ბრძოლისათვის შეამზადოს. ქართველ მწერალს არასოდეს ეცალა საკეკლუცოდ და მითუმეტეს არ სცალია დღეს. ევროპელ და ამერიკელ მწერლებს ჩვენი გასაჭირი არ ადგათ, ამიტომ ხელოვნურად ეძებენ რაღაც მასალას, ფანტაზიას, როგორმე მკითხველი რომ დააინტერესონ.

ჩვენ მძაფრი სიუჟეტები თავზესაყრელადა გვაქვს, ისეთები, რომლებიც ქართველ მკითხველს პირდაპირ გულისგულში გაუვლის. ამ წიგნში ეს სიუჟეტები უხვადაა და ეს მისადმი ინტერესს ზრდის.

პირადად მე გულში ყველაზე მეტად მომხვდა წერილი, რომელშიც გადმოცემულია ზვიად გამსახურდიასა და მისი მთავრობის დამხობის ამბები, ხშირად — მცდარად — ხან რევოლუციად ასაღებენ და ხანაც სამოქალაქო ომად. სინამდვილეში კი ეს იყო რუსეთის სპეცსამსახურებისა და ქართველ შინაგამცემთა მიერ კარგად შემუშავებული გეგმა, რაც ნათლად მოწმობს რუსეთის აგრესიას საქართველოსადმი. ეს დღემდე გრძელდება. ამიტომ ამ სატკივართა მიუკერძოებლად წარმოჩენას დიდი დატვირთვა ეძლევა.

იმ ე.წ. სამოქალაქო ომმა თავიდან ბოლომდე ჩვენს თავზე გადაიარა. ის უბედურებები 90-იან წლებში უშუალოდ მე და ჩემს ოჯახს გადაგვხვდა, რადგან მთავრობის სასახლესთან ახლოს, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდით. აქ თხუთმეტი-თექვსმეტი დღის განმავლობაში კანტიკუნტად დარჩენილი ოჯახები გარეთ ვერ გამოვდიოდით, სახლის სახურავებზე ჩასაფრებული სნაიპერები გამბედავებს დაუნდობლად ხოცავდნენ. „სავონაროლა უნივერსიტეტში" სწორედ ამ შემზარავ სინამდვილეზე მოგვითხრობს.

როდესაც მთავრობის სახლთან პუტჩისტებმა ეროვნულ ხელისუფლებას ცეცხლი გაუხსნეს, მათი სამხედრო შენაერთი „მხედრიონი" ამბოხებულ გვარდიელებთან ერთად ქუჩებში დათარეშობდა და, ვისაც მოიხელთებდა ხოცავდა და მათ სახლკარს ძარცვავდა და წვავდა. ქალაქის ამ რაიონში ჩაკვდა სიცოცხლე. ღამღამობით შვიდი ბეტეერი ლესელიძის ქუჩას ამოივლიდა, ზედ საქართველოს დროშები ჰქონდათ დამაგრებული, მთავრობის სახლს მიადგებოდნენ და ბათქა-ბუთქს ატეხდნენ. სამი-ოთხი საათის შემდეგ ბატებივით მწკრივად უკან ჩამოივლიდნენ. დღისითაც განუწყვეტელი სროლისგან გამაყრუებელი ხმაური იდგა. სიკვდილს თვალებში ვუყურებდით. ნანას (ჩემს მეუღლეს) ამის გამო ნევროზი გაუჩნდა და, ხელში რომ არ ჩამკვდომოდა, როგორმე აქედან უნდა გამეყვანა. ჩემი ძველი „მოსკვიჩი" დავქოქე, ეზოდან გავვარდი და გიჟური სისწრაფით ზედა ქუჩებისკენ გავუტიე. როგორც კი რუსთაველის მეტროს გავცდი, დავრწმუნდი, რომ ქალაქი ჩვეულებრივად ცხოვრობდა და ვითომდა ეს სამოქალაქო ომი საერთოდ არ ეხებოდა. ამან აღმაშფოთა და პროტესტის გრძნობა გამიღვიძა.

იკას წიგნში წარმოჩენილმა ფაქტებმა ეს მძიმე თითქოსდა მივიწყებული განცდები განმიახლა. მწერალმა ეს ტკივილი თავის პოემაშიც ასახა, სადაც 90-იანი წლების გაუსაძლისი ვითარება გააცოცხლა. ამის დავიწყება არ შეიძლება, მაგრამ დღეს ბევრი ამ თემაზე ზერელედაც არ ლაპარაკობს. მე კი სიცოცხლის ფასად დავბრუნდი შინ. იქაურობა ცეცხლის ალში იყო გახვეული. ოცდაათი წლის უნიკალურ მასალას ვდარდობდი. გამოსაცემად მომზადებული ფშაური ლექსიკონი, საერთოდ მთის ლექსიკა, დისერტაცია, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეების ტოპონიმიკა გასაქრობად მენანებოდა, იმიტომ, რომ ვისგანაც ეს ძვირფასი მასალა ჩავიწერე, ის ხალხი ცოცხალი აღარ იყო.

ზოგადად, ტოპონიმიკის მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში განუზომლად დიდია, ეს კარგად ესმოდა იმ დონის მეცნიერსა და მამულიშვილს, როგორიც იყო ზვიად გამსახურდია. პირადად კარგად მიცნობდა, ჯერ კიდევ ბ-ნი კონსტანტინეს შედევრის „დიდოსტატის მარჯვენას" რედაქტირების დროიდან (1963), მაშინ „ნაკადულის" რედაქტორი გახლდით და კოლხურ კოშკს ხშირად ვსტუმრობდი. ზვიადს სწორედ მაშინ დავუახლოვდი. მან გაპრეზიდენტებისთანავე თავისთან საგანგებოდ დამიბარა და დამავალა ქართული ონომასტიკური ცენტრისთვის მეხელმძღვანელა და გამოსაცემად მომემზადებინა საქართველოს ტოპონიმიკა, რომელსაც ტერიტორიებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა დაეკისრებოდა. ამიტომ ამ უნიკალური მასალის განადგურება აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა. ჩემს ბინაში დაბრუნებას თუნდაც სიკვდილის ფასად ვფიქრობდი, ოღონდ ეს მასალა გადამერჩინა. ცეცხლმოკიდებული სახლები იწვოდა, არ ვიცი, რა სასწაულით ამცდა ტყვიები!

აი, ასეთი საშინელი ვითარება იყო და ახლაც მიკვირს, ამდენს როგორ გავუძელით.

წერილის წაკითხვის დროს აღმოვაჩინე, თურმე იკა მაშინ იქვე, ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და, ჩემს ბედქვეშ მყოფს, ომის მთელი სიმძიმე ოჯახთან ერთად გადაუტანია, რაც ძალზე დამაჯერებლად და გულშიჩამწვდომადაა გადმოცემული.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ვაიინტელიგენციის შავბნელ საქმიანობას, რომელმაც ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ ხელი მოითბო კანონიერ ქურდებთან მეგობრობით და ქვეყანას დაატეხა ის ჯოჯოხეთი, რომელსაც საქართველო ჯერ კიდევ ვერ მოერია! ამ გაზულუქებულმა მედროვე ინტელიგენტებმა, შევარდნაძეს რომ ტაშისკვრით შეეგებნენ, ეროვნული მწერლობა და მწერლები ჩრდილში მოაქციეს და წინა პლანზე თავიანთი უნიჭო მეხოტბეები წამოსწიეს, რომლებიც პირადი კეთილდღეობის გამო ყველაფერს წარბშეუხრელად ჰყიდდნენ და ყიდიან. იკა სწორედ ამ სატკივარზე ამახვილებს ყურადღებას. ხშირად იგივე ხალხი, თანამდებობითა და პრივილეგიებით განებივრებული „მოწინავე ინტელიგენცია", ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლას დღესაც აგრძელებს, რადგან მათ დანაშაული შერჩათ, სათანადოდ არ დასჯილან, დღემდე არ აღდგა ნამდვილი სამართლიანობა, რაც მწერლობაში (სამწუხაროდ, ყველა სფეროში) უკუღმა აისახა, როგორც მრუდე სარკეში, და ძალიან მძიმე შედეგი გამოიწვია. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, ეს დამღუპველი პოლიტიკა სადამდე გასტანს!

აი, ამიტომ პირადად ჩემთვის და ბევრი სხვისთვისაც ძვირფასია წიგნი „ძირს ომერტა!" ისეთი თხზულებანი, რომელნიც ამ ჭირს მედგრად ებრძვიან და არა პირიქით.

„ძირს ომერტა!" თითოოროლა მწერლის წიგნებთან ერთად, რასაც მე თვალყურს ვადევნებ, არის წიგნი, რომელიც ამბობს სიმართლეს — პირუთვნელად და გაბედულად. ნამდვილ ინტელიგენტსა და ნამდვილ მწერალს სილაჩრე არ ეპატიება!

უნდა გვახსოვდეს და თვალწინ გვედგას იმ ტირანული ეპოქის მაგალითები, ხმას რომ იმაღლებდნენ და სამშობლოს თვალის დაუხამხამებლად ეწირებოდნენ ერის საუკეთესო შვილები! სწორედ ასეთი რჩეული მამულიშვილი, მწერალი პოლიტიკოსი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. გამიხარდა, რომ თვალსაჩინო პოეტმა და პროზაიკოსმა ზვიად გამსახურდიას და მისი თანამებრძოლის მერაბ კოსტავას ღვაწლი წარმოაჩინა კიდევ ერთხელ, ისეთ დროს, როცა ბევრ მედროვეს ჯერაც არ ეხატება გულზე.

დარწმუნებული ვარ, ჩემი უმცროსი კოლეგისა და უახლოესი მეგობრის წიგნი უკვალოდ არ ჩაივლის, რადგან იკა ძუ ლომივით იბრძვის ეროვნულ ღირებულებათა გასარჩენად. მტკიცედ დგას ქართული მწერლობის სადარაჯოზე, რაც ქვეყნის მომავლისათვის სიკეთეს და სამართლიანობას გაამრავლებს და ნამდვილ მკითხველს თეთრისა და შავის მიუკერძოებლად გარჩევას ასწავლის!

როზეტა გუჯეჯიანი

ძველი ქართული ყოფის სურათები



გივი ჩიღვინაძის წიგნი „მზე შინა და მზე გარეთა — ქართული ხალხური დღეობა-დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები აღწერილი ბავშვებისათვის" (რედაქტორი ლევან ფრუიძე, მხატვარი მარიკა გონგლაძე, რეცენზენტები: როზეტა გუჯეჯიანი და ნანა ხოჭოლავა, „საუნჯე", 2014) უკვე მეორედ გამოიცა, ამჯერად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. იგი მრავალმხრივ საყურადღებო გამოცემაა. აღსანიშნავია წიგნის მაღალი პოლიგრაფიული დონე და ფერადი ილუსტრაციები.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ყოველი კულტურული ერი ცდილობს ეთნიკური ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას. ცნობილია იაპონიის, სკანდინავიის ქვეყნების, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის და სხვა სახელმწიფოთა ზრუნვა ეთნიკური კულტურის მობილობის მიმართულებით. ამ ქვეყნებში უდიდესი ყურადღება ეთმობა მოზარდთა დაინტერესებას მშობლიური კულტურით და ეთნოპედაგოგიკის დანერგვას სკოლებში. ამ მხრივ ქართული ლიტერატურა, სამწუხაროდ, შედარებით მწირია და პოპულარული, მოზარდთათვის განკუთვნილი შემეცნებითი ლიტერატურის დიდი დეფიციტია. გივი ჩიღვინაძის წიგნი ამ მხრივაც არის მნიშვნელოვანი.

ბუნებრივია, მშობლიურ კულტურასთან ზიარება და მისი გათავისება მიმდინარეობს ადრეული სოციალიზაციის განმავლობაში. შესაბამისად, უკიდურესად აქტუალურია ეთნიკური კულტურის მნიშვნელოვან ელემენტთა შემეცნება ადრეულ ასაკშივე. ამ მხრივ განსაკუთრებულია ფოლკლორის როლი, სწორედ ბავშვობაში მოსმენილი ფოლკლორული ნიმუშები ან საკუთარი თვალით ნანახი რიტუალი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მოზარდზე და ეთნიკური კულტურის ეს ელემენტები მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება.

ავტორმა მოიძია ყოველივე საუკეთესო ქართულ ტრადიციულ სულიერ კულტურაში და მოზარდისათვის გასაგები ენით მოუთხრო მკითხველს.

წიგნი წარმოადგენს საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მასალას. აღსანიშნავია, რომ აღწერილია ამჟამად საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქცეულ, ისტორიულად და ეთნიკურად ქართულ მხარეთა საწესჩვეულებო ტრადიციებიც და ეს მეტად მნიშვნელოვანია.

ავტორი თავს უყრის ქართულ ხალხურ დღესასწაულთა და საწესო სარიტუალო პრაქტიკის ძირითად ნაწილს, რომელიც სანახაობრივი ელემენტებითაც არის გამორჩეული და მათში აქტუალიზებულია ბავშვის როლი სოციუმის ტრადიციულ ყოფაში. წიგნში აღწერილია საახალწლო ჩვეულებანი, საშობაო და სააღდგომო დიდი დღესასწაულების თანმხლები ხალხური რიტუალები (ალილო, ჭონა); ლამპრობის, ჭიაკოკონობის, გონჯაობა-ლაზარობის, შუამთობის ტრადიციები; ძეობის სიხარულისა და სახადთა მშვიდობიანად მოხდისაკენ მიმართული რიტუალები („ბატონებთან" დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი); თეატრალიზებული საკარნავალო დღესასწაულები: ბერიკაობა, მურყვამობა, ყეენობა; ნაჩვენებია უაღრესად საინტერესო და სანახაობრივადაც საყურადღებო ჩიტიფაფობა, ყვავილთა დღესასწაული, რთველი და მასთან დაკავშირებული საწესო ტრადიციები; აღწერილია შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები: ნადი, ოჩხარი და გამოვლენილია მათი რაციონალური როლი საწესჩვეულებო ყოფაში.

ბუნებრივია, საკმაოდ რთულია ქართული ეთნიკური სარიტუალო პრაქტიკის ლაბირინთებში გზის გაკვლევა, რადგან ტრადიციული სულიერი კულტურის შესწავლას საქართველოში მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს და თითქმის ყოველ დღეობასა ან რიტუალთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში მრავალი და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებია გამოთქმული. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი გივი ჩიღვინაძის ნაშრომის გაცნობით. ავტორი ღრმად იცნობს ქართულ ხალხურ სარიტუალო პრაქტიკას და მასალას გვაწვდის მეცნიერულად გაანალიზებული, გააზრებული და მოზარდისათვის გასაგები ენით. სასიამოვნოა ისიც, რომ მეცნიერებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული ევოლუციონისტური, მარქსისტული მოძღვრებიდან მომდინარე დოგმები გივი ჩიღვინაძის წიგნში სრულიად არ გვხვდება.

ავტორი ფაქიზი გემოვნებითა და საკითხის ცოდნით გამოარჩევს განსაკუთრებით ფასეულს ქართულ საწესჩვეულებო პრაქტიკაში და მათი აღწერით ცდილობს, მოზარდებს გაუღვივოს საკუთარ ფესვებთან სიახლოვის და ქართულ კულტურასთან თანაზიარობის განცდა.

მნიშვნელოვან მასალას აწვდის მკითხველს წიგნს დართული ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია გამოყენებული ეთნოგრაფიული ტერმინოლოგია. აქვეა დამოწმებული ლიტერატურის ვრცელი ბიბლიოგრაფია, ანუ წიგნი წარმოადგენს მაღალ აკადემიურ და პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ გამოცემას, განკუთვნილს მოზარდი თაობისათვის. ამ ღირსებების გამო მან უკვე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ნინო ჩხიკვიშვილი

თბილი სიჩუმე...

(ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2015 წლის 20 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული თამარ შაიშმელაშვილის ლექსების გამო)

არ ვიცი, მეჩვენება თუ არა, მაგრამ ასე მგონია, რომ ახლა განსხვისებული, უსაგნო პოეზიაა „მოდაში“. ხშირად, როცა ჩემი თაობისა და, უფრო მეტად კი, ახალგაზრდა პოეტთა ლექსებს ვკითხულობ, ისეთი განცდა მრჩება, რომ... თითქოს აღარ სცალიათ ნამდვილი პოეზიისთვის, მათი სტრიქონები იმიტომ იწერება, რომ ვიღაცასთან თავი მოიწონონ, მერე კი, სახელდახელოდ, წიგნად გამოსცენ და პრემიის მოსაპოვებლად გამართულ მარათონში დაწინაურდნენ... არ ვიცი, ასეთი „მონდომება“ იქნებ კარგიცაა და ეს პროცესი (ზოგჯერ) პოეზიის „განვითარებასაც“ კი ხელს უწყობს, მაგრამ ამ ფაციფუცში სადღაც იკარგება მთავარი — გულწრფელი ტკივილი, სიყვარული, სამშობლოს განცდა...

თუმცა მე, როგორც ძველმოდური მკითხველი, მხატვრულ ტექსტში, სტრიქონებში, სულ გრძნობას ვეძებ. მინდა ამოვიკითხო უკვე „მოძველებულ“ გრძნობებზე, ტკივილზე, აღსასრულის სევდაზე, სიყვარულსა თუ სამშობლოზე... და როცა თამარ შაიშმელაშვილის ლექსები წავიკითხე, უცნაური ნათელი სევდა დამეუფლა, სევდა ადამიანად ყოფნისა (როგორც გოდერძი ჩოხელი იტყოდა)... და სრულიად მოულოდნელად გოდერძი ჩოხელისეული (თუმცა მხოლოდ გოდერძი ჩოხელი რატომ? გაიხსენეთ, რამდენი ასეთი სევდით სავსე მწერალი გვყავდა) ტკივილი ვიგრძენი, სტრიქონიდან სტრიქონში რომ გადაედინებოდა და მკითხველს შეფარული, ბოლომდე ამოუცნობი სევდით ავსებდა.

თბილი სიჩუმე — ეს მეტაფორა სწორედ ამ სტრიქონებიდან გამომყვა, ჩინებულია, თუმცა მოულოდნელი არაა თამარის ლექსებისთვის, რომელთაც უკვე შეგიძლია პოეზია უწოდო, პოეზია, რომელიც გულწრფელია და რომელიც მკითხველის თვალწინ იბადება, სიჩუმეს „ავსებს“ და ... თან მოგყვება, როგორც ნაცნობი, შეჩვეული პეიზაჟი და, ამავე დროს, მიღმიერი სამყაროს წამიერი გაელვება: ვთქვათ როგორიცაა — „მწიფს შინდი, როგორც ღვთისმშობელი დედის თავშალი“;

ღვთისმშობლის გახსენება უნებურად ჩაგაფიქრებს სამშობლოს ბედზე... და კვლავ სევდას „წამოგაშველებს“, სევდას, როგორც ყველა პოეტის გენეტიკური კოდია, ქართველ მწერალში ასე რომაა გამძაფრებული და... თამარ შაიშმელაშვილიც ხომ ქართველი მწერალია, მერე რა, რომ... ახლა ქართველობა აღარაა მოდაში?!

მერე რა...

ყველა ხომ ვერ აედევნება მოდას?!

ნინო ვახანია

შექსპირული ტრაგედიის გმირი

(ზუგდიდიდან ხაშურამდე)

I.

თბილისიდან დილით წამოსულები ქუთაისს რომ გავცდით, შემოდგომის მზემ ძალა მოიცა და ცოტათი დაღლილები კიდეც გაგვახალისა. უკვე სამეგრელოში, სხვებისა არ ვიცი და, მე გული სხვანაირად ამიძგერდა.

— ახლა გზას პირდაპირ რომ გავუყვეთ, სად მივალთ? — ვითომ არ იცის, ისე მეკითხება ბატონი როსტომი. კინაღამ შევცდი და ვუპასუხე, სოხუმში-მეთქი. სათქმელი ენის წვერზე შევიკავე, ერთმანეთს შეთქმულებივით გადავხედეთ და ხუთივ (მანქანაში მსხდომნი) წაგვიღო ერთმა ნაღველმა. **როსტომ ჩხეიძეც, მაკა ჯაფარიძეც**, ქუთაისში დამგზავრებული **ელგუჯა თავბერიძეც**, ჩვენი მძღოლი **თემურ მურაჩაშვილი** და მეც ერთს ფიქრსა ვფიქრობთ: როდის იქნება, რომ აქედან პირდაპირაც განვაგრძობთ გზას და დაუბრკოლებლად ვივლით სანამდისაც გაგვიხარდება — გალამდე, ოჩამჩირემდე, სოხუმამდე, გაგრამდე?! ბოლოს და ბოლოს ბევრზე კი არ ვოცნებობთ, მაგრამ ჯერჯერობით ხიდს იქით ჩვენ ნილ მხოლოდ უდაბნოა, ლურჯად ნახავერდები. ამჯერად კი ზუგდიდში მივდივართ სტუდენტებსა და პედაგოგებთან შესახვედრად.

— დღეს მართალი და გულწრფელი სიტყვა წამლის ტოლფასიაო, — შეხვედრის შემდეგ გამართული მცირე ტრაპეზის დროს თქვა **კახა ქორთუამ**, ზუგდიდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა (პროფესიით ისტორიკოსმა) და ასე გადაუხადა მადლობა როსტომ ჩხეიძეს იმდღევანდელი ლექციისთვის.

29 ნოემბერს **ზუგდიდის უნივერსიტეტის** ერთ-ერთ აუდიტორიაში სწორედ მართალი სიტყვის მოსასმენად შეკრებილიყვნენ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. გამოცხადებული იყო, რომ როსტომ ჩხეიძე **ივანე მაჩაბლის** შესახებ ისაუბრებდა, რაც იმავე დროს მისი პიესის, „26 ივნისის საიდუმლო“, წარდგინებაც იქნებოდა.

ზუგდიდის უნივერსიტეტი 2007 წლამდე თსუ-ს ფილიალი ყოფილა. შემდეგ კი დამოუკიდებელი გახდა და დღეს **შოთა მესხიას სახელობისაა**. სიხარულითა და ხაზგასმული პატივისცემით მიგვიღო სტუმრები რექტორმა, არაჩვეულებრივმა ქალბატონმა **თეონა ხუფენიამ.** სიამაყით დაგვათვალიერებინა უნივერსიტეტის შენობა, მოვლილ-გაკრიალებული დერეფნები და შესანიშნავი აუდიტორიები, ისეთი, კაცს გული რომ მიუვა, ლექციის მოსასმენადაც განაწყობს მსმენელს და თავსაც სრულფასოვან, ღირსეულ, დაფასებულ ადამიანად აგრძნობინებს. ყველაფრიდან ჩანს, აქ მარტო სტუმრებს არ სცემენ პატივს, უპირველესად სწორედ საკუთარ სტუდენტებსა და მათ აღმზრდელებზე ზრუნავენ, მათ აფასებენ...

ქალბატონი თეონა უნივერსიტეტის საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება, თან წამდაუწუმ გვებოდიშება — ხან იმის გამო, რომ ტელეფონის ზარი აწყვეტინებს საუბარს, ხან — საღამოს გამართვა დიდ სააქტო დარბაზში რომ ვერ მოუხერხდა, ხან რის და ხანაც — რის... მერე მსმენელებით გადავსებულ ოთახში შეგვიძღვება, სტუმარს — როსტომ ჩხეიძეს — წარუდგენს შეკრებილთ. დანანებით იტყვის, რომ ადმინისტრაციული საქმეების გამო თვითონ ბოლომდე ვერ დაესწრება შეხვედრას, კიდევ ერთხელ მოგვიბოდიშებს და სიტყვას უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოლოგს, ჩვენს მეგობარ **ნესტან ფიფიას** გადასცემს.

ნესტანს უჭირს მოკლედ საუბარი — საკუთარი გრძნობებიც უნდა გამოხატოს, ბატონი როსტომის მრავალმხრივ მოღვაწეობაზეც თქვას თუნდ მცირედი, ზუგდიდის უნივერსიტეტის მუშაობაც ახსენოს... და ეს ყველაფერი ორიოდე წუთში მოასწროს, რათა დრო მოწვეულ ლექტორს დაუთმოს, ვის მოსასმენადაც შეკრებილა დღეს აქ ამდენი ხალხი.

ნესტან ფიფია:

დღეს ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში მოლოდინის აღსრულების დღეა.

გვეწვია ბატონი როსტომ ჩხეიძე; ნიჭით, შემოქმედებითი ბარაქიანობით, კაცთმოყვარეობით გამორჩეული ადამიანი.

ქართველთა სამკვიდროს ჭეშმარიტი ჭირისუფალი.

ბატონი როსტომის ათეულობით სქელტანიან ქმნილებას, თარგმანებს, მის მიერ აღდგენილ სალონურ კულტურას წარდგენა ჩვენგან არ სჭირდება, მაგრამ არის განსაკუთრებული მადლი, რასაც კეთილი მებაღის მიერ ნერგი კეთილობის ხელდასხმა და ნიჭის ქომაგობის წყურვილი ჰქვია. ოთარ ჩხეიძის ფუძეზე, წითელი რეჟიმის დროს სამართლიანობისათვის ბრძოლის გარემოში აღზრდილი როსტომ ჩხეიძე ერის, გენის, სამართლიანობის ერთგული რაინდია. მას მრავალთაგან გამოარჩევს სწორედ ნიჭის ქომაგობის წყურვილიც.

ბატონი როსტომი სანთლით კი არა, შინაგანი ნათლიერების ჩირაღდნით დაეძებს ნიჭს, ნიჭის ნასახს საქართველოში, რათა ის არ დაიკარგოს, არ დაეკარგოს გასახარჯად საქვეყნო საქმეს, ქვეყანას, დღევანდელი სტუმრობაც ამის დასტურია. ის მობრძანდა უნივერსიტეტში საჯარო ლექციის წასაკითხად.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი ურთიერთობა ბატონ როსტომთან ჩვენს სტუდენტებს დაწყებული აქვთ. რამდენიმე სტუდენტმა ბოლო ორი წლის განმავლობაში წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი მის ბიოგრაფიულ რომანებზე 2012-13 წელს — „მზის რაინდის," „მზე და მწუხრის", „ყაზბეგიანას" მიხედვით, 2013-14 სასწავლო წელს „ბურჯი ეროვნებისას" მიხედვით.

2014-15 სასწავლო წელს ბაკალავრი **თათია ჯაპავა** მუშაობს თემაზე „შავი ჩოხის" მიხედვით, **სალომე ჭკადუა** კი „მგზავრი თიბათვის თვეში" მიხედვით.

აღნიშნული თანამშრომლობა მადლიანი აღმოჩნდა, თამამად ვიტყოდი. ამის უფლებას მაძლევს იმ სტუდენტთა აღტაცება ბატონი როსტომის წიგნების გაცნობის შემდეგ არსებისმომცველი სიწრფელით რომ იტყვიან:

— მთელი ეპოქაა.

— ჩავიკარგე მწერლის მიერ შექმნილ სამყაროში.

— ეს წიგნი არ უნდა გამომრჩენოდა.

ბატონებო და ქალბატონებო, საუბარი როსტომ ჩხეიძის ღვაწლსა და შემოქმედებაზე ვრცელი და ძნელია თავისი მრავალფეროვნების გამო. მე მხოლოდ გილოცავთ შემდგარ საინტერესო შეხვედრას და ვიტოვებთ იმედს, რომ ეს არის დასაწყისი შემდგომი ურთიერთობისა.

შემდეგ სიტყვა უნივერსიტეტის პროფესორმა **ბელა მოსიამ** ითხოვა და ცამეტი წლის განმავლობაში გულში ნატარები ხმამაღლა გაამჟღავნა:

2001 წელს გაზეთ „ახალ ეპოქაში" (უფრო სწორად, მის ლიტერატურულ დამატებაში „ჩვენი მწერლობა") დაიბეჭდა გამოხმაურება ჩემს ახალგამოცემულ მონოგრაფიაზე. წიგნს ერქვა „ახალი აღთქმის სახისმეტყველებითი აზროვნების ასახვა ქართულ ფოლკლორში (მეგრული მასალების მიხედვით)." რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევდა ჩემს ნაშრომს. მე კი, მონოგრაფიის ავტორი, ბატონ როსტომს, ამ გაზეთის რედაქტორს, პირადად არც ვიცნობდი. ახლა, ცამეტი წლის შემდეგ საჯაროდ ვუხდი მადლობას იმ გულისხმიერებისა და დაფასებისთვის, რაც მაშინ ასე უშურველად გამოიჩინა.

სამადლობელო კიდევ ბევრი აქვთ აქაურებს, თუმცა უჯობთ სტუმარს მოუსმინონ. აქვე გთავაზობთ **როსტომ ჩხეიძის** ლექციის მოკლე ჩანაწერს:

ამ კედლებში პირველად ვარ. ზუგდიდში პირველად არ ვარ. ჩემი წიგნების განხილვაც ყოფილა, სხვისი წიგნების განხილვაშიც მიმიღია მონაწილეობა, საჯარო ლექციებიც წამიკითხავს. დღეისთვის მე და ქალბატონმა ნესტანმა საჯარო ლექციის თემად შევარჩიეთ ივანე მაჩაბლის ტრაგიკული გაქრობის ამბავი.

ეს არის ყველაზე მღელვარე ხანა, დახუნძლული მძაფრი, მწვავე მოვლენებით, ათასნაირი წინააღმდეგობებით, შეჯახებებით და, თუ ვინმე წარმოდგებოდა იმხანად გამოკვეთილ ფიგურად, ივანე მაჩაბელი. მისი სახელი დღეს უფრო ცნობილია უილიამ შექსპირის მთარგმნელად და ნაკლებადაა დაფასებული, როგორც ქართული ენის კანონმდებელი. უნდა იცოდეთ, რომ ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილთან ერთად ივანე მაჩაბელსაც მიუძღვის გამორჩეული წვლილი ქართული ენის ნორმების დადგენაში.

კახა ქორთუა, როსტომ ჩხეიძე, თეონა ხუფენია

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ილია ქვეყნის პრეზიდენტად მოიაზრება, ხოლო ივანე მაჩაბელს მის შემცვლელად მიიჩნევენ. ეს ის დროა, როცა ყველა, ვინც კი საზოგადოებრივ ასპარეზზეა, ცდილობს ილიას დაემსგავსოს, აგერ გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, ივანე მაჩაბელი და ისიც ცდილობს ილიას დაემსგავსოს. ილიამაც ამოიყენა ვანო გვერდით, რამაც ხელისუფლება შეაშფოთა.

თუ ვინმე შეეგება ვანო მაჩაბელს სიხარულით, ეს ილია იყო. მათ ერთად მოჰკიდეს ხელი „მეფე ლირის" თარგმნას შექსპირის თარგმნა სხვებმა დაიწყეს. დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი „რომეო და ჯულიეტა" პირველად ბანძაში დაიდგა, ნიკო დადიანის, შალვა დადიანის მამის თაოსნობით. აქედან იწყება ჩვენში შექსპირიანა. სხვათა შორის, ყველა იდეა, რომელსაც ილიამ მოაბა თავი, სხვისა იყო. იდეების დაუშრეტელ წყაროდ განსაკუთრებით დიმიტრი ყიფიანი მოჩანს. თუმცა დაინახავს თუ არა, რომ სხვა უკეთ შეასრულებს მის წამოწყებულ საქმეს, მაშინვე უთმობს ასპარეზს. ასე მოხდა შექსპირის თარგმნასთან დაკავშირებითაც. გამოჩნდა თუ არა ივანე მაჩაბელი, დიმიტრი ყიფიანმა შექსპირს თავი მიანება.

ილიასა და ივანე მაჩაბლის პოზიციები ბანკში გაიხლიჩა და კიდეც მოყვა ტრაგედია. სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ისინი ერთმანეთს.. თავიდან ეს იყო კამათი ორ მეგობარს, ერთმანეთის მოყვარულ ადამიანებს შორის. თითქოს უბრალო რამით დაიწყო უთანხმოება. ილია უფრო მკაცრი საბანკო პოლიტიკის მომხრე იყო, მაჩაბელი კი — უფრო ლიბერალურის. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჩაერივნენ სხვები და მთელი თბილისი ორად გაიყო, ქართლი და კახეთი სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდა. ილია რომ თავგადაკლული იბრძოდა საქართველოს ერთიანობისთვის, ახლა მის თვალწინ იშლებოდა ერთიანი საზოგადოება. მაშინდელი ბანკი ფაქტობრივად პარლამენტი აღმოჩნდა, სადაც შესვლა და პაექრობაზე დასწრება თავისუფალი გახლდათ. დირექტორობის ორივე კანდიდატს საკუთარი მხარდამჭერები ჰყავდა. თუმცა ვანო მაჩაბელს, როგორც ახალგაზრდასა და გამოცდილი მოპაექრისაგან დაჩაგრულს, უფრო მეტი ადამიანი უჭერდა მხარს.

საყურადღებოა ერთი ფაქტი. ვანომ მოინდომა „დროების" რედაქტორობა. სერგეი მესხი დააკვდა ამ გაზეთს, შექმნა, გამოსცა და კიდეც გადაყვა მას, ახალგაზრდა გარდაიცვალა. და აი, როცა სერგეი მესხი ავად გახდა და რედაქტორობა მაჩაბელს

უნდა აეღო ხელში, ხელისუფლებამ, რომელიც ამ ამბით შეშფოთებული იყო, არ მისცა დრო ახალ რედაქტორს ვალების გადასახდელად. სულაც წინასწარ მოსთხოვა ვალების გადახდა, რისი შესაძლებლობაც მაჩაბელს არ ჰქონდა. ილიამ წერილი მისწერა დავით მესხს და სთხოვა, მას ეთავა, რომ ქართველი საზოგადოება დახმარებოდა მაჩაბელს. მე ამდენი შემომიწირია და სხვებიც მხარში უნდა ამოუდგნენ ამ კარგ საქმესო. ამას ახდილად ვერ ვიტყვი, რადგან მე და ვანო დაპირისპირებულნი ვართ და ჩემგან დახმარებას არ მიიღებსო. ამ წერილით კარგად ჩანს ილიას პიროვნება. მისთვის ჯერ საზოგადოებრივია უწინარესი და მერე — პირადი. მოგვიანებითაც, როცა მაჩაბელი უკვე მარტო თარგმნიდა შექსპირის პიესებს, „ივერია“ ხელმოუწერელი სტატიით, რომლის ავტორიც ილია ჭავჭავაძე გახლდათ, გამოეხმაურა ამ თარგმანებს. მიგვაჩნია ისინი ქართული კულტურის შენაძენად და ქართველი საზოგადოების გამარჯვებადო, — აღნიშნავდა ავტორი. მაჩაბელსაც არანაკლებ უყვარდა ილია, მაგრამ დაპირისპირებას მაინც ვერ დაუსხლტნენ. ვანომ რამდენჯერმე უარი თქვა ილიასთან ბრძოლაზე, მაგრამ ამის საშუალება მომხრეებმა არ მისცეს. გადასახლებული დიმიტრი ყიფიანის მკვლელობის ამბავი რომ გაიგეს, ვანომ და ილიამ ერთად იტირეს...

ილიამ ბრძოლა ლამის წაგო. მაჩაბელს მეტი მომხრე ჰყავდა და აქ მას მოუვიდა საბედისწერო შეცდომა. ქვეყნდება ანონიმური წიგნი, სადაც მოთხრილია ილია ჭავჭავაძე. გველეშაპივით აწევს ქვეყანას, წყალს არ უშვებს ჩვენკენ, ყველაფერი თავისთვის უნდაო, რასაც კი ხელი მოკიდა, სულ წაახდინა, სხვა უკეთ გააკეთებდა, მაგრამ არავის არაფერს ანდობსო, და სხვა. წიგნაკის ავტორი მაჩაბელი გახლდათ. ამ წიგნმა მკითხველზე საპირისპიროდ იმოქმედა და სასწორი ილიასკენ გადაიხარა.

დავით ერისთავმა, „სამშობლოს“ ავტორმა, ტივებით ჩამოიყვანა ხალხი, ვანოს გამარჯვება რომ ეზეიმათ, მაგრამ გაიმარჯვა ილიამ დიდი უპირატესობით.

თუმცა გამარჯვებულმა შესთავაზა წაგებულს ბანკში დარჩენა, მაგრამ იგი წავიდა ბანკიდან და საერთოდ, ცოცხლად დაინგრა, დაიშალა. ამას იმით ხსნიან, დამარცხება განიცადაო. ვინც იცნობს ივანე მაჩაბლის პიროვნულ ხასიათს, მიხვდება, რომ გამორიცხულია, ამის გამო გამხდარიყო ცუდად. მან ვერ გადაიტანა ის ბროშურა. იცოდა, რაც იქ ეწერა, პირწმინდა ტყუილი იყო. თვითონ პატიოსანი კაცი სხვებს აჰყვა და ამან მიიყვანა იქამდე, რომ ძლივს გადარჩა.

მაჩაბელი გაქრა შუაგულ თბილისში. გაოგნდა ყველა, შეშფოთდა მთელი საზოგადოება. გაისმოდა ათასნაირი ტყუილ-მართალი. შეითხზა უამრავი ჭორი. ერთი ვერსიით, მტკვარში გადავარდაო. გაჩხრიკეს მტკვარი კასპიის ზღვამდე, მაგრამ გვამი ვერ იპოვეს (როცა XX საუკუნის 60-იან წლებში მტკვარში უნებურად გადავარდა ცნობილი მეცნიერი, მჭევრმეტყველი, ნიკოლოზ კანდელაკი, მისი გვამი მალევე აღმოაჩინეს მდინარეში). ისიც ითქვა, დუხობორებს გაჰყვა საბერძნეთშიო. არაფერი საერთო მათთან არ ჰქონდა და საქართველოს ვიღაც რუსი სექტანტების გულისათვის როგორ მიატოვებდა. ერთი სიტყვით, შექსპირის გმირივით გაქრა... ამით კარგად ისარგებლეს სოციალ-დემოკრატებმა და მახვილი ილიასკენ მიმართეს, მისი სახელის გატეხვას შეეცადნენ. მოკლავდა ის, ვისაც მისი არყოფნა ხელს აძლევდაო, გამჭვირვალედ მიუთითეს ილიასკენ. აქედან დაიწყეს ილიას დისკრედიტირება. მერე სხვა წერილებიც მოაყოლეს და ულმობელი წამოწყება წიწამურით დაამთავრეს.

თედო სახოკიამ, შალვა დადიანმა, გერონტი ქიქოძემ, წესიერმა, პატიოსანმა ადამიანებმა იცოდნენ სიმართლე ივანე მაჩაბლის საიდუმლო გაქრობასთან დაკავშირებით. იცოდნენ, რომ ეს ოჯახური დრამის შედეგი იყო. მათ უამბეს ამის შესახებ ვახტანგ ჭელიძეს და ოთარ ჩხეიძეს. მეც იმათგან ვიცი. ვახტანგ ჭელიძემ დაწერა შესანიშნავი ბიოგრაფიული რომანი ივანე მაჩაბელზე. მკითხველს თვალწინ გადაეშლება ხასიათები, მთელი ეპოქა. რომანი წყდება იმით, რომ ილია ძალიან განიცდის მაჩაბლის გაუჩინარებას. ღია ფინალია, მოშარავანდებული ლეგენდით. სიმართლის დაწერის დრო ჯერ არ არისო, — ამბობდნენ ისინი. მე კი დავწერე მხატვრულ-დოკუმენტური პიესა, „26 ივნისის საიდუმლო“, სადაც ილია ჭავჭავაძე გამოვიყვანე გამომძიებლად, დეტექტივად და კიდეც გავახსნევინე საქმე.

ცნობილია, აკაკი ეტრფოდა ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელს. უძღვნიდა ლექსებს, უგზავნიდა წერილებს. ეს იყო პლატონური სიყვარული და არაფერი მეტი. სოსო სიგუამ ფსიქოანალიზის მეთოდი მოიმარჯვა და ისე წაიკითხა აკაკის „გამზრდელი“, რომელიც პოეტმა მაჩაბლის დაკარგვის შემდეგ მალევე დაწერა. 60 წლის მწერალმა დიდი გზნებით შექმნა ეს ნაწარმოები. დარწმუნებული ვარ, აკაკიმ საკუთარი თავი იგულისხმა საფარ-ბეგში. საკუთარ თავს მოექცა ძალიან მკაცრად, უღმერთოდ. უკიდურესი სიმძაფრით ამოაფრქვია თავისი განცდები, მე ვარ დამნაშავე, თუნდაც ფიქრშიო.

შეუძლებელია, ილიას გამოუკვლეველი დარჩენოდა ეს ამბები. აკაკიმ ქალის ღირსების გადასარჩენად სიმართლის დამალვა არჩია. ილია არ ეთანხმებოდა, მაგრამ როცა აკაკიმ უთხრა, ტასო თავს მოიკლავს და არც მე ვიცოცხლებო, ილიაც იძულებული გახდა, პირში წყალი ჩაეგუბებინა. ორი ადამიანი იყო მაშინ საქართველოში, ვისაც ილია გაუწევდა ანგარიშს — აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი. გოგებაშვილს ამ საქმესთან არაფერი აკავშირებდა, აკაკი კი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული სიმართლის დამალვაში და ილიამაც მას თანაუგრძნო.

. . .

ლექციის შემდეგ წიგნის ავტორმა ერთი საგულისხმო პასაჟი წაიკითხა პიესიდან მსახიობური ოსტატობით.

. . .

თითქოს გამაოგნებელი, თავზარდამცემი ამბავი გაიგო საზოგადოებამ. არადა, პირველად არ ესმით. პიესა წიგნად 2011 წელს გამოვიდა და მსმენელთაგან ბევრსა აქვს წაკითხული. ლექციის შემდეგ ჩამოვარდნილი სიჩუმის რამდენიმე წამი ბატონი როსტომის კიდევ ერთი გამარჯვებაა. დოკუმენტებით გამყარებულ სიმართლეს ორატორის არტისტიზმი უფრო გამოკვეთს და ათვალსაჩინოებს. პიესიდან ერთი ნაწყვეტის წაკითხვა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. სწორედ ამის დასტური გახლდათ რამდენიმე ხნის განმავლობაში გაყუჩული, სუნთქვაშეკრული დარბაზი. მერე კი, ზაფრის გადავლის შემდეგ, სეტყვასავით წამოვიდა კითხვები:

— ოჯახური დრამის შესახებ ილიას სადმე უწერია თუ თქვენი ფანტაზიაა? — მიმართავს ლექტორს ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტი **ხვიჩა ძიძარია.**

ამ ეკონომისტ-მათემატიკოსებს ხომ ყველაფერი დოკუმენტურად მოწესრიგებულ-დადასტურებულ-დასაბუთებული უყვართ. მწერლური ფანტაზიის სიმართლისა არა სჯერათ.

— პიესის დაბეჭდვის შემდეგ, — უპასუხებს ბატონი როსტომი, — ქუთაისის მუზეუმის არქივში ტრიფონ ჯაფარიძის მოგონებებს მიაგნო და გამოაქვეყნა ისინი ციცინო მუმლაძემ. ტრიფონ ჯაფარიძე მოულოდნელად და ჩემდა სასიხარულოდ, ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, ვანო მაჩაბლის დაღუპვა ოჯახური დრამის შედეგი იყოო.

— ილიას მკვლელობაში რომ „იმერელი ბიჭი“ ურევია, ნოდარ გრიგალაშვილმა დაწერა, სერგო ორჯონიკიძე არ არისო, და დავიჯეროთ? — სხვა კალაპოტი მისცა საუბარს **ნესტან ფიფიამ**.

ბატონი როსტომი დარწმუნებულია, რომ ილიას მკვლელობაში ორჯონიკიძის ხელი აშკარად ურევია და „იმერელი ბიჭი“ თუნდ სხვა აღმოჩნდეს, ამით სერგო ორჯონიკიძის ავკაცობა ოდნავადაც ვერ შემცირდება.

კითხვა-პასუხში უნივერსიტეტის ლექტორები; **თამთა როგავა, კახა ქორთუა და ზეინაბ სარია,** სტუდენტი **ნოე თოფურიაც** ჩაერთვნენ.

— შოთა რუსთაველმაც რეალისტურად მოგვიტანა სამეფო კარის ამბები. ახლა ქვეყანას რთული ეპოქა უდგას. რომელი ვამჯობინოთ — ლეგენდა თუ სინამდვილე? რამდენადაა საზოგადოება სიმართლისთვის მზად?

— უნდა მოვამზადოთ საზოგადოება სიმართლისთვის. ლეგენდაც დარჩეს: გაქრეს შექსპირის მთარგმნელი შექსპირის გმირივით. ოღონდ მე მომხრე ვარ — როგორი მწარეც უნდა იყოს სიმართლე, ის უნდა ვიცოდეთ შეულამაზებლად. ბოლოს და ბოლოს, ამ შემთხვევაში გავათავისუფლოთ ცილისწამებისგან ილია.

— აკაკის ჯენტლმენობის შესახებ ვიცით, მაგრამ სიმართლის დაფარვა დანაშაული არაა? საიდან, რომელი წყაროებიდან ჩანს, რომ ტასო აკაკის შეეხმიანა და მას უხმო დასახმარებლად? ეს ამბავი ილიამ იცოდა?

— ჩანს თედო სახოკიას ნაამბობიდან. სხვათა შორის, 1938 წელს, ლოგინად ჩავარდნილმა სოსიკო მერკვილაძემ შეუთვალა თედოს, მნახოსო. სავარაუდოდ, ამ ამბის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. ვვარაუდობ, რომ ილიამ სიმართლე იცოდა.

— მაინც რჩება კითხვები...

— თედო სახოკია ტყუილს არ იტყოდა. მისი ვარაუდიც კი საყურადღებოა. ჩანს, რომ რეალური ამბავია.

— რატომ არ გაამჟღავნეთ ოფიცრის ვინაობა?

— არ ვიცი და იმიტომ. თედო სახოკიამ იქნებ იცოდა, მაგრამ მე არ ვიცი. და ეს არც არის მთავარი...

რეპლიკა დარბაზიდან; —არც ის დარჩებოდა უცნობი...

მსმენელი ღელავს. ტასო მაჩაბელს ჩრდილი მიადგა. არ ემეტებათ ულამაზესი ქალბატონი... პიესისთვის, დრამატურგიული კონფლიქტისათვის კი კარგია, მაგრამ რამდენად მართალია? რეალობაა? მაინც შეჩვეული ჭირი ხომ არ გვირჩევნია. არ თქმულა, მაგრამ ქვეტექსტი აშკარაა: იყოს ისევ ბანკის საქმეების გამო შურისძიება ან ლეგენდურ-მისტიკური გაქრობა. სიმართლე მწარეა.

ახლა **ელგუჯა თავბერიძე** მიმართავს ცნობისმოყვარეობით ატაცებულ, უფრო მეტის გაგების სურვილით შეპყრობილ აუდიტორიას:

— როსტომ ჩხეიძის ეს პიესა („26 ივნისის საიდუმლო“) ლიტერატურულ-დოკუმენტური ნაწარმოებია. ლიტერატურულად ნებისმიერი ამბავი შეიძლება ნებისმიერად დამუშავდეს და კარგად დაწერილს ყოველთვის ექნება სიცოცხლისა და არსებობის უფლება, თუნდ რეალობისგან შორსაც იდგეს. თუმცა როსტომის ეს პიესა რეალობასთან ყველაზე მიახლოებული ვერსიაა, მიუხედავად იმისა, რომ მასში დოკუმენტები გამოყენებული არაა. თედო სახოკიას „ჩვენი საუკუნის ადამიანები“ ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. ავტორმა ბევრი კულუარული ამბავიც იცოდა. ვფიქრობ, სიმართლის დრო არასოდეს იქნება, თუ ერთხელაც არ თქვი. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ილია ამას გამოუძიებლად არ დატოვებდა. ის ბრალდება ხომ უნდა აეშორებინა თავიდან, რასაც მარქსისტები უვრცელებდნენ. ტრიფონ ჯაფარიძის მოგონებები ახლა წიგნადაც გამოვიდა. იქ რაც წერია, ნამდვილია. თვითონ საინტერესო პიროვნება გახლდათ. მას აქვს შედგენილი აკაკის თხზულებათა კრებული, რომელიც შემდეგ ერთმა ჯგუფმა მიითვისა... საყურადღებოა, რომ აკაკიმ „გამზრდელის“ ფესვები, რაც შეიძლება, შორს გადასწია, მოქმედება აფხაზეთში გადაიტანა ალბათ, იმიტომ, რომ იოლად ვერავის ამოეცნო დაშიფრული ამბავი. მაგრამ ილიას თვალს რამე გამოეპარებოდა?! შეიძლება, მომავალში კიდევ გამოჩნდეს დოკუმენტები, რომლებიც ამ ვერსიას დაადასტურებენ.

პიესისგან კიდევ ბევრ რამეს გაიგებთ. ძალიან შთამბეჭდავადაა დახატული სოციალ-დემოკრატთა სახეები. ისინი ბოგინობდნენ იმ ქვეყანაში, რომლისთვისაც ილიას უნდა მოევლო.

ამ მრავალმნიშვნელოვანი აზრის გამოთქმით დაასრულა თავისი სათქმელი ბატონმა ელგუჯამ, ნესტან ფიფიამ კი შეაჯამა:

— ჩვენი შეხვედრა კი არ დასრულდა, ის მხოლოდ დაიწყო და მომავალში აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

ვიშლებით და არც გვეთმობა ერთმანეთი გასაშორებლად.

აგერ, ერთმა ლექტორმა სოხუმში გატარებული სტუდენტობა გაიხსენა, მეორემ — სოხუმელი ლექტორი, რომელიც 90-იანებში ზუგდიდში უკითხავდა ლექციებს... რაღაც ხშირად ვახსენებთ სოხუმს, აფხაზეთს... ჰაერიც თითქოს ტკბილმწარე მოგონებებითაა გაჟღენთილი. ფიზიკურადაც ისე ახლოს ვართ მონატრებულ მხარესთან, იოლად ვაძლევთ თავს სასიამოვნო ილუზიებით მოტყუების უფლებას — თითქოს იქაური ცა დაგვყურებს და იქაური ჰაერით ვსუნთქავთ.

ხაშურის I საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეები

უცნაური და იდუმალ-მეტაფიზიკური ძაფებით გადაება ერთმანეთს ივანე მაჩაბლის გაქრობა და აფხაზეთის დაკარგვა.

რა საერთო აქვს ამ ორ ტრაგედიას ერთმანეთთან? ალბათ, არც არაფერი ან იქნებ თვალისთვის შეუმჩნეველი ღრმა და საფუძვლიანი რამ? ამაზე არ ვსაუბრობთ. უნივერსიტეტის ეზოში სამახსოვრო ფოტოს ვიღებთ და, კაცმა არ იცის, ჩვენს სახეებზე აღბეჭდილი ფარული ნაღველი ივანე მაჩაბლის ბედის გამოძახილია თუ აუტანელი ნოსტალგიის.

II.

ზუგდიდური შთაბეჭდილებებიდან ჯერ კარგად გამოსული არც ვიყავით, როცა გავიგეთ, რომ იმავე საკითხით, ივანე მაჩაბლის ტრაგიკული დაკარგვით და ამ თემაზე დაწერილი პიესით ახლა ხაშურის პირველ საჯარო სკოლაში დაინტერესდნენ. „26 ივნისის საიდუმლოს“ ავტორი**, როსტომ ჩხეიძე**, პარასკევს, 12 დეკემბერს, პირველ საათზე სკოლაში გახლდათ და მოსწავლეებსა და მათ აღმზრდელებს ესაუბრებოდა. მანამდე, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილმა დირექტორმა, **მორის დანდურიშვილმა**, რომელიც ამ სკოლაში სულ ახალი (ათიოდე დღის) დანიშნული აღმოჩნდა, თავის კაბინეტში მიგვიღო, გულმტკივნეულად და სიყვარულით გვესაუბრა სკოლაზე, ქალაქზე, აღზრდისა და სწავლების საჭირბოროტო საკითხებზე. გავიგეთ, რა გულმოდგინედ ემზადებიან სკოლის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ეს ძველისძველი, მკვიდრად ნაგები, მდიდარი წარსულის მქონე სკოლა სამართლიანად ამაყობს თავისი აღზრდილებით, უპირველესად მაინც გრიგოლ კიკნაძით.

ამჟამად მწერალთან შეხვედრის თაოსანი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, VI კლასის დამრიგებელი, ქალბატონი **ფატი კურტანიძეა**. ალბათ, ამიტომ მსმენელთა დიდი ნაწილი მეექვსეკლასელებია, მათთან ერთად კი, აბა, ამ შემთხვევას ხელიდან ვინ გაუშვებს და, მაღალკლასელებიცა და მასწავლებლებიც შეკრებილან. გემოვნებით მოწყობილი კაბინეტი თავისთავად მეტყველებს პედაგოგის ღირსებასა და მოწოდებაზე. თვალნათლივ ვრწმუნდებით, როგორ უყვართ აქაურებს ქართული სიტყვა, როგორ აფასებენ მწერალს, როგორ უფრთხილდებიან ხსოვნას, უვლიან და ესათუთებიან ისტორიას და იმედით შეჰყურებენ მომავალს.

სტუმრის უშუალო, გულითადმა და იმავე დროს პროფესიულმა საუბარმა, როგორც ყოველთვის, ახლაც მოხიბლა, მოაჯადოვა მსმენელი. არც მიფიქრია, რომ ერთი კვირის წინ წაკითხულ ლექციას ახლაც სიტყვა-სიტყვით გაიმეორებდა. ასეთი რამ მისი რანგის ლექტორისგან მოსალოდნელი არ არის, მაგრამ ასე განსხვავებულად თუ შეძლებდა იმავე თემაზე მსჯელობას და ისე, რომ არც ეშხი მოკლებოდა ნათქვამს და არც შემეცნებითი მნიშვნელობა, მაინც ვერ წარმომედგინა. მწერალმა შეკრებილთ ხელისგულზე გადაუშალა XIX საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარე. დინჯად და ძირისძირობამდე მოჩხრიკა ბევრი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ამბავი, ყურადღება გაამახვილა მოღვაწეთა პიროვნულ თვისებებზე, გამოკვეთა ხასიათები, საგულისხმოდ შეაფასა მოვლენები.

ლექცია ისე იყო შეკრული და აგებული, რომ მოსწავლეებს არ გაუჭირდებოდათ ზნეობის მაგალითების ამოკრება, თუმცა არცერთი დიდაქტიკური მოწოდება არ გახმიანებულა. სხვადასხვა კუთხიდან დავინახეთ, სხვადასხვა ჭრილში გავეცანით ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, დიმიტრი ყიფიანის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, სხვათა საქმიანობას. ერთიანობაში, მთლიანობაში გავიაზრეთ და აღვიქვით მათი გამორჩეულობის საფუძველი. გამოიკვეთა: ინდივიდუალური თვისებებით ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანებს საერთო მიზანი აერთიანებდა, პიროვნულზე მაღლა საზოგადოებრივი ინტერესების დაყენებით არარსებული, გამქრალი სახელმწიფოს კვლავ ამოგებას ესწრაფოდნენ. ეს მუხტი მსჭვალავდა საუბარს.

მოსწავლეთა ცნობისმოყვარე, გაფართოებული, მრავლისმეტყველი თვალები სარკესავით ირეკლავდა ყოველი ფრაზის, წინადადების, აზრის განწყობას.

და კიდეც აქტიურად ჩაერთვნენ ლექციის შემდეგ გამართულ სჯა-ბაასში მეექვსეკლასელები: **დემეტრე კაპანაძე, მარიამ ზაზაძე, ნიკოლოზ ბარბაქაძე, საბა გოგიჩაიშვილი, ინოლა ღონღაძე, არჩილ ცაცანაშვილი, ნინო რომაშვილი,** მეათეკლასელები: **ქეთი ბარბაქაძე, დავით ბარათაშვილი, დავით კონსტანტინოვი, ანი ბერიძე.**

ბავშვური გულწრფელობით ისინი ზოგჯერ თავადვე სვამდნენ შეკითხვებს, თავადვე პასუხობდნენ მათზე, თავადვე გამოთქვამდნენ ვარაუდებსა და მოსაზრებებს... თქვენ რას ფიქრობთ? თქვენ როგორ შეაფასებთ? თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ? თქვენი აზრი გვაინტერესებს. თქვენ რომ იქ ყოფილიყავით, როგორ მოიქცეოდით? ვის დაუჭერდით მხარს? თქვენ მიხვდებოდით? გაამჟღავნებდით? — თითქმის ყველა კითხვა ამ ინტერესით მთავრდებოდა.

უნდა გენახათ და მოგესმინათ როგორი სერიოზულობით, როგორ მოფიქრებულად, ღრმად ანალიტიკურად უპასუხებდა ბატონი როსტომი ახალგაზრდების ხანდახან უმწიფარ შეკითხვებსაც.

ბოლოს სტუმარსაც და დამხვდურთაც მადლობა გადაუხადეს ქალბატონმა ფატი კურტანიძემ, ბატონმა მორის დანდურიშვილმა, სასწავლო ნაწილის გამგემ, ქალბატონმა **თამარ ბოჯგუამ,** თუმცა მეექვსეკლასელები და მათი დამრიგებელი იოლად ვერ შეელივნენ როსტომ ჩხეიძეს. მას შემდეგ, რაც სხვები დაგვემშვიდობნენ, ოთახში, მყუდრო გარემოში, ჩვენთან ერთად მხოლოდ ფატი მასწავლებელი და მისი კლასი დარჩა. ყმაწვილებმა თავიანთი შემოქმედება გაგვაცნეს — წაგვიკითხეს ლექსები, ჩანახატები, ნოველები... მათ გულში უკვე ჩასახულია მთავარი — ქვეყნის, ერთმანეთის, ზოგადად, ადამიანის სიყვარული. აღმზრდელთა ყოველდღიური მზრუნველობა და შიგადაშიგ ასეთი შეხვედრები, ცხადია, ნერგს კეთილს გაზრდის და მოგვცემს „ნაყოფს ვით კაცი კაცურს“...

ამ იმედით ვემშვიდობებით სკოლას. გულში კი იოსებ დავითაშვილის უნებლიეთ წამოგონებულ სტრიქონებს ვიმეორებ:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო...

და უკვე მომავალ შეხვედრებს ვგეგმავთ.

ვარლამ შალამოვი

პატარ-პატარა ნოველები

გულშეღონება

კედელი შექანდა და ნაცნობი მოტკბო გულზიდვა მომაწვა ყელში. ასანთის დამწვარი ღერი უკვე მეათასეჯერ მიცურავდა ჩემს თვალწინ. ხელი უნდა მეტაცა ამ აბეზარი ასანთისათვის, მაგრამ სადღაც გაქრა — ვეღარაფერს ვხედავდი. სამყარო ჯერ კიდევ მთლად არ წასულიყო ჩემგან: იქ, ბულვარზე, მესმოდა ხმა, შორეული, დაჟინებული ხმა ექთნისა. მერე აციმციმდა თეთრი ხალათები, სახლის კუთხე, ვარსკვლავიანი ცა, საიდანღაც ამობობღდა ვეებერთელა ნაცრისფერი კუ, გულგრილად რომ უბრწყინავდა თვალები; ვიღაცამ ნეკნები შეუმტვრია კუს და რომელიღაც სოროში შევფორთხდი, ხელებით ვებღაუჭებოდი და სხეულის მაღლა აზიდვას ვლამობდი, მხოლოდ ხელებსღა ვენდობოდი.

გამახსენდა სხვისი დაჟინებული თითები, რომლებიც ჩემს თავსა და მხრებს მარჯვედ მილურსმავდნენ საწოლს. ყველაფერი მიყუჩდა და მე ერთი-ერთზე დავრჩი ვიღაცასთან, გულივერივით უზარმაზარი რომ იყო. მწერივით ვიწექი ფიცარზე და ეს ვიღაც ლუპით მათვალიერებდა. აქეთ-იქით ვტრიალებდი და საზარელი ლუპა კვალდაკვალ მომდევდა. შემზარავი მინის ქვეშ ვიკაკვებოდი. და როდესაც სანიტრებმა საავადმყოფოს საწოლზე გადამასვენეს და დადგა ნეტარი განსვენება მარტოობისა, მაშინღა მივხვდი, რომ გულივერის ლუპა კოშმარი როდი ყოფილა, არამედ — მორიგე ექიმის სათვალე. ამიტომაც ენით გამოუთქმელი სიხარული დამეუფლა.

თავი მტკიოდა და ერთი ბეწოზეც თუკი გავინძრეოდი, თავბრუ მეხვეოდა. ფიქრი მიჭირდა და მხოლოდ მოგონებებში შემეძლო წასვლა, და ძველისძველი, თავზარდამცემი სურათები ჩნდებოდა, როგორც მუნჯი კინოს კადრები შავ-თეთრი ფიგურებით. მოტკბო გულზიდვა, მსგავსი ეთერის ნარკოზისა, არა და არ მეშვებოდა. ამას კარგად ვიცნობდი და ეს პირველი შეგრძნება ახლაღა გამოვიცანი. გამახსენდა, რომ მრავალი წლის წინათ, ჩრდილოეთში, ექვსთვიანი შეუსვენებელი მუშაობის შემდეგ, პირველად გამოგვიცხადეს დასვენების დღე. ყველას, უკლებლივ ყველას, ეწადა წოლა, წოლა და უქმად ყოფნა — არც ტანსაცმელი უნდა შეგელაზათებინა და არც უნდა განძრეულიყავი... წოლა, წოლა და წოლა! მაგრამ ყველანი დილითვე წამოგვახტუნეს და შეშაზე გაგვრეკეს. დასახლებიდან რვა კილომეტრის მანძილზე ტარდებოდა ხეტყის დამზადება. უნდა ამოგერჩია მორი, რომელსაც მოერეოდი და შინ მიგეტანა. მე განზე გასვლა ვარჩიე — ორი კილომეტრის იქით ძველი შტაბელები მეგულებოდა და შესაფერ მორს ვიპოვი-მეთქი. აღმართში სვლა გამიჭირდა და როცა შტაბელს მივადექი — მსუბუქ მორს ვერსად წავაწყდი. უფრო ზევით შავად აჩონჩხილიყო შეშის ზვინები და აღმართს ავუყევი. თვალში მომხვდა თხელი მორები, ოღონდ ბოლოებით შტაბელში ჩაჭედილიყვნენ და მე კი ჯანი არა მყოფნიდა მორის გამოსათრევად. რამდენჯერმე ვცადე და არაქათი სულმთლად გამომელია. მაგრამ უშეშოდ დაბრუნება არ ეგებისო, უკანასკნელი ძალღონე მოვიკრიფე და კიდევ უფრო მაღლა ავფოფხდი შტაბელამდე, ზედ თოვლი რომ ეყარა. დიდხანს მოვუნდი ფხვიერი, ჭრაჭუნა თოვლის გადახვეტას ხელებითა და ფეხებით, და ბოლოს და ბოლოს ერთი მორი გამოვაძვრინე. მაგრამ ეს ოხერი მორი ძალზე მძიმე გამოდგა. მაშინ ყელიდან მოვიძრე ჭუჭყიანი პირსახოცი, შარფის მაგივრობას რომ

მიწევდა, მორის კენწერო ზედ მივაბი და ქვევით მივათრევდი მორს. ის კი ხტუნაობდა და ფეხებში მირტყამდა. ანდა ხელიდან მისხლტებოდა და დაღმართში წინ მისწრებდა. დროდადრო ქონდარა ბუჩქში იჩხირებოდა ან თოვლში ჩაერჭობოდა, მივუხოხდებოდი და ისევ დავძრავდი ადგილიდან. ჯერ კიდევ მაღლა მთაზე ვიყავი, როცა შევნიშნე, რომ უკვე ბინდდებოდა.მივხვდი, დიდი დრო გასულა-მეთქი, დასახლებისა და ზონისაკენ მიმავალი გზა კი ჯერ შორს იყო. შარფი მოვწიე და მორი კვლავ ხტუნვა-ხტუნვით გავარდა ქვევით. და აი, როგორც იქნა, მორი გზაზე გამოვათრიე. ტყე ჩემს თვალწინ გაქან-გამოქანდა, მოტკბო გულზიდვა მომაწვა ყელში და გონს მოვედი მეჯალამბრის ჯიხურში — მეჯალამბრე სუსხიანი თოვლით მიზელდა ხელებსა და პირისახეს.

ყოველივე ეს ახლა მეზმანებოდა კედელზე, საავადმყოფოში.

ოღონდ მეჯალამბრის ნაცვლად ჩემი ხელი ექიმს ეჭირა. რივა-როჩის აპარატიც, სისხლის წნევის გასაზომად, აქვე ჩანდა. და მე, როდესაც მივხვდი, რომ ჩრდილოეთში როდი ვიმყოფებოდი, სიხარულმა შემიპყრო.

— სადა ვარ?

— ნევროლოგიის ინსტიტუტში.

ექიმი რაღაცას მეკითხებოდა. ძლივძლივობით ვპასუხობდი. მარტოდმარტო დარჩენა მეწადა. არ მეშინოდა მოგონებებისა.

მაგია

მინაზე ჯოხით დააკაკუნეს და მივხვდი, რაც იყო — სტეკი განყოფილების უფროსისა.

— ემსაათში მოვდივარ, — დავიღრიალე ფანჯრიდან, შარვალი ჩავიცვი და გიმნასტურის საყელო შევიკარი. იმავე წამს ოთახის ზღურბლზე გამომეცხადა ჩემი უფროსის შიკრიკი მიშკა და ხმამაღლა წარმოთქვა ჩვეულებრივი ფორმულა, რომელიც ჩემთვის ყოველი სამუშაო დღის დაწყებას ნიშნავდა:

— უფროსი გიხმობს!

— კაბინეტში?

— არა, ვახტზე!

ამასობაში უკვე გავდიოდი ოთახიდან.

ამ უფროსთან მუშაობა მეიოლებოდა. იგი სისასტიკეს არ იჩენდა ტუსაღების მიმართ, გონიერი კაცი გახლდათ და თუმცა მაღალ მატერიებს ნიადაგ თარგმნიდა თავის უხეშ ენაზე, მაინც მშვენივრად ესმოდა — რა და როგორ.

მართალია, მაშინ მოდაში იყო „გადაწრთობა“ და ეგებ უფროსი ცდილობდა, რომ უცნობ კალაპოტში სწორ ფარვატერს გაჰყოლოდა. ვინ იცის, ვინ იცის! იმხანად ამაზე ფიქრით თავი არ ამიტკივებია.

ვიცოდი, რომ უფროსს — სტუკოვი იყო გვარად — ბევრჯერ ჰქონია შეხლა-შემოხლა უმაღლეს უფროსობასთან, მისთვის მრავალი საქმეც კი „შეუკერიათ“ ლაგერში, მაგრამ ამ უნაყოფოდ დასრულებული საქმეებისა თუ შუაგზაზე შეწყვეტილ გამოძიებათა წვრილმანები და არსი მე არ ვიცი.

სტუკოვს იმიტომ ვუყვარდი, რომ ქრთამებს არ ვეტანებოდი და მთვრალები არ მეჭაშნიკებოდა. სტუკოვს კი რატომღაც სძულდა მთვრალები... კიდევ რა? ალბათ გამბედაობისთვისაც ვუყვარდი.

სტუკოვი ხნიერი იყო, მარტოხელა. ძალიან უყვარდა ტექნიკისა და მეცნიერების ყოველგვარი სიახლენი. ასე რომ, მონათხრობი, ვთქვათ, ბრუკლინის ხიდზე მის აღფრთოვანებას იწვევდა. მაგრამ მე არ მეხერხებოდა თხრობა იმისა, რაც ბრუკლინის ხიდს დაემსგავსებოდა.

სამაგიეროდ, სტუკოვს ამას უამბობდა მილერი, პაველ პეტროვიჩ მილერი, ინჟინერი, გასამართლებული ქალაქ შახტის ცნობილ პროცესზე.

მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

სტუკოვს ამიტომაც უყვარდა მილერი და ათასგვარ სამეცნიერო სიახლეებს ხარბად ისმენდა.

ვახტთან დავეწიე სტუკოვს.

— სულ გძინავს და გძინავს.

— სულაც არა.

— აბა თუ იცი, ეტაპი რომ მოვიდა მოსკოვიდან? პერმის გამოვლით. ამიტომაც ვამბობ, გძინავს-მეთქი. შენები წამოიყვანე, ხალხი უნდა ამოვარჩიოთ.

ჩვენი განყოფილება ბინადრობდა თავისუფალი სამყაროს ზედ კიდეზე, სარკინიგზო ხაზის ბოლოში — იმას იქით იწყებოდა მრავალდღიანი ქვეითი ეტაპები ტაიგის გავლით — და სტუკოვს მიცემული ჰქონდა უფლება, რომ თავად გამოერჩია და დაეტოვებინა საჭირო ხალხი.

ეს იყო გასაოცარი მაგია, ფოკუსები გამოყენებითი ფსიქოლოგიიდან, თუ რა ქვია მაგას, ფოკუსები, რომელთაც გვიჩვენებდა სტუკოვი, ჩვენი უფროსი, სატუსაღოებში სამუშაოზე უკვე რომ დაბერებულიყო. სტუკოვს მაყურებლები სწყუროდა და, ალბათ, მარტოოდენ მე ძალმიძდა შემეფასებინა მისი საოცარი ნიჭი, უნარი, რომელიც კარგა ხანს ზებუნებრივი მეგონა, იმ დრომდე მეგონა, ვიდრე ვიგრძნობდი, რომ ამ მაგიურ ძალას თავად მეც ვფლობდი.

უმაღლესმა უფროსობამ ნება დაგვრთო, რომ განყოფილებაში ორმოცდაათი ხურო დაგვეტოვებინა. და აგერ, ჩვენი უფროსის წინაშე ჩამწკრივებული იყო ეტაპი, ოღონდ ერთ რიგად კი არ იდგნენ, უკან სამი-ოთხი რიგი იყო გადაჭიმული.

სტუკოვი ნელ-ნელა მიაბიჯებდა ეტაპის გასწვრივ და სტეკს არაკუნებდა თავის გაუწმენდელ ჩექმებზე. დროდადრო ხელს აღმართავდა და:

— გამოდი შენ, შენ, შენც. არა, შენ არა. აი — შენ... სულ რამდენია?

— ორმოცდაორი.

— კეთილი, კიდევ რვა გვინდა. შენ... შენ... შენ.

ჩვენ ყველანი გვარებს ვიწერდით და პირად საქმეებს ვიბარებდით.

ორმოცდაათივეს ემარჯვებოდა ნაჯახისა და ხერხის ხმარება.

— ოცდაათი ზეინკალი!

ოდნავ შეჭმუხნილი სტუკოვი ისევ მიაბიჯებდა ეტაპის გასწვრივ.

— გამოდი შენ... შენ... შენ... შენ კი — უკან! ბლატარებიდან ხომ არა ხარ?

— დიახ, ბლატარებიდანა ვარ, მოქალაქე უფროსო.

ერთ შეცდომასაც კი არ უშვებდა წამლად, ისე გამოარჩევდა ოცდაათ ზეინკალს.

ახლა საჭირო იყო ათი კანცელარისტი.

— თვალით შეგიძლია ამოარჩიო?

— არა.

— მაშ წავედით. აბა, გამოდი შენ... შენ... შენ.

გამოვიდა ექვსი კაცი.

— მეტი მოანგარიშე ამ ეტაპზე არა გვყავს, — თქვა სტუკოვმა.

შევამოწმეთ საქმეები და სწორია: მეტი არ ყოფილა. კანცელარისტები მომდევნო ეტაპიდან უნდა გამოგვერჩია.

ეს იყო საყვარელი გართობა სტუკოვისა, მე კი მაოგნებდა და მაოგნებდა. თავად სტუკოვს ბალღივით უხაროდა თავისი მაგიური ნიჭი და წუხდა, თუკი თავდაჯერებას კარგავდა. იგი შეცდომას როდი უშვებდა, უბრალოდ კარგავდა თავდაჯერებას და ჩვენ ხალხის აყვანა მაშინვე უნდა შეგვეწყვიტა.

მუდამ სიამოვნებით ვუცქერდი ამ თამაშს, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო სისასტიკესთან და არც სხვათა სისხლისღვრასთან.

მანცვიფრებდა სტუკოვისეული ცოდნა ადამიანისა. მანცვიფრებდა ეს ძველისძველი, მარადიული კავშირი სულსა და სხეულს შორის.

აუჰ, რამდენჯერ მინახავს ეს ფოკუსები, ეს დემონსტრაცია ჩვენი უფროსის იდუმალი ძალისა, ტუსაღებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილების გარდა არაფერს რომ არ ეყრდნობოდა. პატიმრის ტანსაცმელი წარხოცავს განსხვავებებს და აიოლებს ამოცანას — ადამიანის სახეზე, ხელებზე ამოიკითხო მისი პროფესია.

— მოქალაქე უფროსო, დღეს ვინ უნდა გამოვარჩიოთ?

— ოცი ხურო. ოღონდ ტელეფონოგრამა მივიღე სამმართველოდან — გამოვარჩიო ყველა, ვისაც ადრე ორგანოებში უმუშავია, — სტუკოვს ჩაეცინა, — და მიყენებული აქვს საყოფაცხოვრებო ან სამსახურებრივი მუხლი. მაშასადამე, ხელახლა მიუჯდებიან გამომძიებლის მაგიდას. აბა, ამაზე შენ რას ფიქრობ?

— არაფერსაც არა ვფიქრობ. ბრძანება არის ბრძანება.

— მიხვდი კი შენა, ხუროებს როგორ გამოვარჩევდი?

— თითქოს მივხვდი...

— მე უბრალოდ გლეხებს გამოვარჩევ ხოლმე, გლეხებსა. ყოველი გლეხი ხუროც არის. და კეთილსინდისიერ მუშაკაცებსაც გლეხებში ვეძებ. და არასდროს მეშლება. თვალებზე კი როგორ უნდა გამოვიცნო ორგანოთა მუშაკები — ამას ვერ გეტყვი. თვალები აქეთ-იქით გაურბით თუ რა არი?! მითხარი ერთი!

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი. აბა, ეგებ სიბერეში ვისწავლო. სანამ პენსიაზე გავალ.

ეტაპი, როგორც ყოველთვის, ვაგონების გასწვრივ გამწკრივდა. სტუკოვმა წარმოთქვა თავისი ჩვეულებრივი სიტყვა მუშაობისა და ჩათვლების თაობაზე, მერე ხელი გაიშვირა და ვაგონების გასწვრივ ორჯერ გაიარ-გამოიარა.

— მე ხუროები მჭირდება. ოცი კაცი. თავად გამოვარჩევ, არავინ გაინძრეს. გამოდი შენ... შენ... შენ. მორჩა და გათავდა. გამოართვით საქმეები.

უფროსის თითებმა რაღაც მოსინჯეს ფრენჩის ჯიბეში.

— ჯერ არ დაიშალოთ. კიდე ერთი საქმე მაქვს.

სტუკოვმა მუჭში ჩაბღუჯული ქაღალდი მაღლა ასწია.

— არიან თქვენში ორგანოთა მუშაკები?

ორი ათასი პატიმარი დუმდა.

— გეკითხებით, არიან თქვენს შორის ისინი, ვისაც ადრე ორგანოებში უმუშავია? ორგანოებში!

უკანა რიგებიდან, თითებით მეზობლებს რომ გასწი-გამოსწევდა, ენერგიულად მოძვრებოდა გამხდარი კაცი, თვალები მართლაც აქეთ-იქით გაურბოდა.

— მოქალაქე უფროსო, მე ჩამშვებად ვმუშაობდი.

— დაიკარგე აქედან! — ზიზღითა და სიამოვნებით წარმოთქვა სტუკოვმა.

ᲞᲠᲝᲢᲔᲖᲔᲑᲘ

ლაგერის იზოლატორი ძველისძველი ნაგებობა იყო. იფიქრებდი, კარცერში ხის კედელს ხელი რომ ჰკრა, კედელი ჩამოვარდება, იზოლატორი დაიფშვნება და მორები აქეთ-იქით გაიფანტებაო. მაგრამ იზოლატორი არ ეცემოდა და ერთკაციანი კარცერები, სულ შვიდი ცალი გახლდათ, ჭაპანს ერთგულად ეწეოდნენ. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ხმამაღლა ნათქვამი მეზობელს ესმოდა, მაგრამ კარცერში მჯდომთ ძალიან ეშინოდათ სასჯელისა. მორიგე ზედამხედველი საკანს ცარცით ჯვარს დაუსვამდა და საკნის ბინადარს საკვებს აღარ მიართმევდნენ. ორ ჯვარს დაუსვამდა და პურსაც დაემშვიდობებოდი. ეს იყო კარცერი ლაგერში ჩადენილი დანაშაულისათვის. უფრო სახიფათო ქმედებაში ეჭვმიტანილთ — ყველას სამმართველოში მიაბრძანებდნენ ხოლმე.

ახლა კი, მოულოდნელად, აქამდე რომ არ მომხდარა, უცებ დააპატიმრეს ყველა ტუსაღი, ვინც ლაგერის დაწესებულებათა გამგეებად გაემწესებინათ. რაღაც მსხვილი საქმე იკერებოდა, რაღაც სალაგერო პროცესი მზადდებოდა. ვიღაცის განკარგულებით მზადდებოდა.

და აი, ჩვენ ყველანი, ექვსი სული, ბადრაგებით გარშემორტყმულნი, ვიდექით იზოლატორის ვიწრო ტალანში, ვგრძნობდით და გვესმოდა მხოლოდ ის, რომ ჩვენ ისევ წამოგვედო მჭრელი კბილანები იმავე მანქანისა, როგორც რამდენიმე წლის წინათ, და რომ მიზეზს შევიტყობდით მხოლოდ ხვალ, უფრო ადრე — ვერა და ვერა...

საცვლებისამარა დაგვტოვეს და ყოველი ჩვენგანი შეჰყავდათ ერთკაციან კარცერში. მეკუჭნავე შესანახად მიღებულ ნივთებს ბეჯითად აღნუსხავდა, ტომრებში სტენიდა, საჭდეს მიაბამდა და ზედ აწერდა, ვისიაო. გამომძიებელი, მე ვიცოდი მისი გვარი — პესნიაკევიჩი — მართავდა „ოპერაციას“.

პირველი ჩვენგანი ყავარჯნებზე იდგა. ფარნის ახლოს მდებარე მერხზე ჩამოჯდა, ყავარჯნები იატაკზე დააწყო და ტანისამოსის გახდას შეუდგა. გაუშიშვლდა ფოლადის კორსეტი.

— მოვიხსნა?

— აბა როგორ!

კორსეტის ბაწრების გახსნა დაიწყო და გამომძიებელი პესნიაკევიჩი მისახმარებლად დაიღუნა.

— მიყიდე, ჯიგარო? — ბლატარულად მოუქცია კორსეტოსანმა. მიყიდეო, ამ სიტყვაში შეურაცხმყოფელი აზრი არ ჩაუდია.

— გიცანი, პლევე.

კორსეტოსანი იყო პლევე, ლაგერის სამკერვალო სახელოსნოს გამგე. ეს გახლდათ შესაშური ადგილი, სადაც ოცი ოსტატი მუშაობდა. ისინი მოქირავნეთაგანაც იღებდნენ შეკვეთებს — უფროსობის ნებართვით.

ტიტლიკანა კაცი მერხზე მოიკეცა. ფოლადის კორსეტი იატაკზე ეგდო. მიმდინარეობდა ჩაწერა ჩამორთმეული ნივთების ოქმში.

იზოლატორის მეკუჭნავემ კორსეტს ჩექმის წვერი ჰკრა და პლევეს ჰკითხა:

— ეს ხარახურა როგორ ჩავწეროთ?

— ფოლადის პროტეზი-კორსეტი, — მიუგო ტიტლიკანა კაცმა.

გამომძიებელი პესნიაკევიჩი სადღაც განზე გავიდა და პლევეს ეკითხე:

— ამ მეძებარს მართლა იცნობდი წინათ?

— აბა რა! — ხისტად თქვა პლევემ. — დედამისს ბორდელი ჰქონდა გახსნილი მინსკში. ჰოდა, დავდიოდი იქა. ჯერ კიდევ იმ პირსისხლიან ნიკოლოზის დროს.

ტალანის სიღრმიდან გამოჩნდა პესნიაკევიჩი და მასთან ერთად — ოთხი ბადრაგი. ისინი პლევეს ხელ-ფეხს ჩაეჭიდნენ, ასწიეს და კარცერში შეაგდეს. კლიტე გატკაცუნდა.

მომდევნო იყო ცხენბაზის გამგე კარავაევი. ყოფილი ბუდიონელი, სამოქალაქო ომში ხელი რომ ჰქონდა დაკარგული. კარავაევმა პროტეზის რკინა დაარაკუნა მორიგის მაგიდაზე.

— თქვე ნაბიჭვრებო...

— მოიძრე შენი რკინა. ჩაგვაბარე ხელი.

კარავაევმა მაღლა აღმართა მოხსნილი პროტეზი, თითქოს მოქნევა ეწადა. მაგრამ ბადრაგები დაასკდნენ ცხენარმიელს და ისიც კარცერში შეაგდეს. მაშინვე მოგვესმა ენამჭევრი დედის გინება.

— მისმინე შენა, რუჩკინ, — ალაპარაკდა იზოლატორის გამგე, — ამდენს რომ ხმაურობ, იცოდე, ცხელ საკვებს ვეღარ ეღირსები.

— წადი, შენი ცხელი საკვებიც...

იზოლატორის გამგემ ჯიბიდან ცარცის ნატეხი ამოიღო და კარავაევის კარცერს ჯვარი დაუსვა.

— აბა, ხელს ვინ მომინერს, ხელი ჩაგაბარეთო?

— არავინაც არ მოგიწერს. რამე ნიშანი დაუსვი, — ბრძანა პესნიაკევიჩმა.

დადგა ექიმის რიგი, ჩვენი დოქტორ ჟიტკოვისა. დაყრუებულმა ბერიკაცმა ჩააბარა ყურის სასმენი თალფაქი. შემდეგი გახლდათ პოლკოვნიკი პანინი, სადურგლო სახელოსნოს გამგე. გერმანიის ფრონტზე, სადღაც პრუსიაში, ქვემეხის ჭურვს ფეხი მოეგლიჯა პოლკოვნიკისათვის. ჩინებული დურგალი იყო და მიამბობდა, რომ რუსეთში თავადიშვილებს მუდამ რაიმე ხელობას ასწავლიდნენ ხოლმე, ვინ იცის, როდის გამოგადგებათო. აგერ ამას გამოადგა კიდეც. მოხუცებულმა პოლკოვნიკმა პროტეზი მოიხსნა და ასკინკილა გაძუნძულდა თავის კარცერში.

ორნიღა დავრჩით — გრიშა, გვარად შორი — უფროსი ბრიგადირი და მე.

— შეხედე, რა კოხტად მირბის, — თქვა გრიშამ. მას დაეუფლა ნერვიული მხიარულება პატიმრისა, — იმან ფეხი, ამან ხელი, მე კი, აგერ, თვალს ჩავაბარებ. — და გრიშამ მარჯვედ გამოიღო თავისი ფაიფურის თვალი, ხელისგულზე დაიდო და მაჩვენა.

— განა შენ ხელოვნური თვალი გაქვს? — გაკვირვებით ვკითხე. — არასოდეს შემიმჩნევია.

— ფინთად ამჩნევ. და თვალიც კარგად მაქვს მორგებული. იღბალი მქონია.

ვიდრე გრიშას თვალს იწერდნენ ოქმში, იზოლატორის გამგე გამხიარულდა და თავშეუკავებლად ხითხითებდა.

— იმან, მაშასადამე, ხელი, ამან — ფეხი, იმან — ყური, ამან კი ზურგი, იმან — თვალი. ნაწილ-ნაწილ მთელი სხეული მოგვიქუჩდება შენ რაღას შვრები? — ყურადღებით მათვალიერებდა ტიტლიკანას. — შენ რას ჩაგვაბარებ? სულს ჩაგვაბარებ?

— არა, — ვთქვი მე. — სულს არ ჩაგაბარებთ.

ხელწერა

გვიან ღამით კრისტი გამოიძახეს „ცხენბაზის მიღმა“. ლაგერში ასე ეძახდნენ მომცრო სახლს, დასახლების კიდეზე ბორცვს რომ მიხუტებოდა. იქ ბინადრობდა, როგორც ლაგერში ანგლობდნენ, „განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა“ გამომძიებელი, რამეთუ ლაგერში არა ყოფილა „საქმეები“, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ ყოფილიყო — ყოველი შეცოდება და შეცოდებისნაირობა შეიძლება დაესაჯათ სიკვდილით. ან სიკვდილი ან სრული გამართლება. ოღონდ ვიღას შეეძლო მოეთხრო თავისი სრული გამართლება? ყველაფრისათვის მზადმყოფი, ყველაფერზე გულაცრუებული კრისტი ვიწრო ბილიკზე მიაბიჯებდა. აი, შუქიც აინთო სამზარეულოს პაწია სახლში — ეს პურისმჭრელია. ახლა, ალბათ, საუზმისათვის ულუფების დაჭრას დაიწყებს. ხვალინდელი საუზმისათვის. ექნება კი კრისტს ხვალინდელი დღე და ხვალინდელი საუზმე? ეს არ იცოდა და თავისი არცოდნა უხაროდა. ფეხქვეშ რაღაც მოედო, არც თოვლსა ჰგავდა და არც ყინულის ნამსხვრევს. კრისტი დაიღუნა, დამზრალი ქერქი აიღო და მყისვე მიხვდა, რომ ეს იყო თალგამის ნაქურჩალი, გაყინული ქერქი თალგამისა. ყინული უკვე შემოადნა თითებში და კრისტმა ქერქი პირში ჩაიტენა. აჩქარება არაფრად ღირდა. კრისტმა შემოიარა მთელი ბილიკი, დაწყებული ბოლო ბარაკებიდან და ხვდებოდა, რომ ამ გრძელ, თოვლიან გზას მიკვალავდა, რომ დღეს ჯერ არავის გაევლო აქ, დასახლების პირას — გამომძიებლისაკენ. თითქოსდა ცელოფანში გახვეული ნაგლეჯები თალგამისა თოვლს მიჰყინოდა გზაზე. კრისტმა მთელი ათი ცალი მოიძია — ზოგი დიდრონი, ზოგიც მომცრო. დიდი ხანია კრისტს აღარ შეხვედრია ადამიანები, რომლებიც თოვლში გადაყრიდნენ თალგამის ქერქებს. არა, ამას ტუსაღი არ იზამდა. რა თქმა უნდა, მოქირავნე იქნებოდა. ეგებ თავად გამომძიებელიც ბრძანდებოდა. კრისტმა ნაპოვნი ქერქები კარგად დაღეჭა და შეჭამა — პირში რაღაც სუნი იგრძნო კარგახნის დავიწყებულისა — მშობელი მინაც ეთქმოდა, ნედლი ბოსტნეულიც, და გუნებაზე მოსულმა გამომძიებლის სახლის კარზე დააკაკუნა.

გამომძიებელი ტანმორჩილი იყო, გამხდარი, პირგაუპარსავი. აქ მხოლოდ სამსახურის კაბინეტი ჰქონდა, სადაც იდგა რკინის საწოლი, დაფარული ჯარისკაცული საბნით და ზედ — დაჭმუჭნილი ჭუჭყიანი ბალიში... მაგიდა — თვითნაკეთი საწერი მაგიდა გადაბრეცილი გამოსაწევი ყუთებით, რომლებიც გადაეტენათ ქაღალდებსა და რაღაც საქაღალდეებს. ფანჯრის რაფაზე — ყუთი ჩაწიკწიკებული ბარათებით. ეტაჟერიც მჭიდროდ გატენილი საქაღალდეებით იყო გავსებული. საფერფლე — გამოჭრილი კონსერვის ქილიდან. ფანჯრის თავზე — კედლის საათი. ახლა საათი თერთმეტის ნახევარს აჩვენებდა. გამომძიებელი ქაღალდით აჩაღებდა ცეცხლს რკინის ღუმელში.

გამომძიებელს თეთრი კანი ჰქონდა, ფერმკრთალი იყო ყველა გამომძიებლის დარად. ოთახში არც მედღეური ჩანდა, არც რევოლვერი.

— დაჯექ, კრისტ, — უთხრა გამომძიებელმა. ტუსაღს „თქვენობით“ მიმართავდა. ძველი ტაბურეტი მიუჩოჩა დასაჯდომად. თავად სკამზე იჯდა — თვითნაკეთ სკამზე, მაღალი საზურგე რომ ჰქონდა.

— თქვენს საქმეს გადავხედე, — თქვა გამომძიებელმა, — და ერთი წინადადება უნდა შემოგთავაზოთ. ოღონდ არ ვიცი, თქვენ ხელს გაძლევთ თუ არა.

კრისტი გაირინდა, ნეტა რა მოხდებაო. გამომძიებელი დადუმდა. მერე:

— მე უნდა ვიცოდე თქვენზე კიდევ რაღაც-რუღაცეები.

კრისტმა თავი ასწია და ვერაფრით შეიკავა ბოყინი. სასიამოვნო ბოყინი იყო — ნედლი თალგამის დაუოკებელი გემო.

— დაწერეთ განცხადება.

— განცხადება?

— ჰო, განცხადება. აი, ქაღალდის ფურცელი, აგერ კალამიც.

— განცხადება? რაზე? ვის?

— და ვინც გენებოთ, იმას! აბა, თუკი განცხადება არა, მაშინ ლექსი ბლოკისა. ჰოდა სულერთია. გამიგეთ? ანდა პუშკინის „ჩიტუნა“.

გუშინ გავაღე გალია
დატყვევებული ჩიტისა,
ტყეს დავუბრუნე ჭიკჭიკა
ლაღი და თავისუფალი, —

გამოთქმით წარმოთქვა გამომძიებელმა.

— ეს პუშკინის „ჩიტუნა“ არ გახლავთ, — გამომშრალი ტვინის მთელი ძალები დაძაბა და წაიჩურჩულა კრისტმა.

— აბა ვისია?

— ტუმანსკისა.

— ტუმანსკი? პირველად მესმის.

— ა-ა, თქვენ რაღაც ექსპერტიზა გჭირდებათ? ვინმე ხომ არ მომიკლავს? ან წერილი ხომ არ გამიგზავნია ლაგერიდან გარეთ? ანდა ბლატარებისათვის მაღაზიის ჩეკი ხომ არ დამიმზადებია?

— სულაც არა. ამგვარი ექსპერტიზები ჩვენ არ გვიჭირს. — გამომძიებელმა გაიღიმა, დასიებული ღრძილები გამოუჩნდა, წვრილ-წვრილი კბილები, სისხლმდინარე ღრძილები. ამ ღიმილის გაელვებამ, რაგინდ უფასური ყოფილიყო, მაინც ცოტაოდენი ნათელი შესძინა ოთახს. და კრისტის სულშიც ჩაიღვარა. კრისტმა უნებურად შეავლო თვალი გამომძიებლის პირს.

— ჰო, — თქვა გამომძიებელმა, ამ მზერას რომ ჩაავლო. — სურავანდია, სურავანდი. აქ სურავანდი ლაღებსაც ერჩის. ნედლი ბოსტნეული გვაკლია.

კრისტს გაახსენდა თალგამი. ვიტამინები — ქერქში უფრო ბლომად რომაა, ვიდრე რბილში — ერგო კრისტს და არა გამომძიებელს. კრისტს საუბრის გაბმა ეწადა, რათა მოეყოლა, როგორ წუწნიდა, როგორ ლოღნიდა თალგამის ქერქებს, რომლებიც გამომძიებელს გადაუყრია, მაგრამ ვერ გაბედა, ვაითუ უფროსობას არ დაეტუქსა მეტისმეტი თავის აგდება.

— მაშ გაიგეთ თუ ვერა? მე უნდა ვნახო თქვენი ხელწერა.

კრისტს ჯერ კიდევ ვერაფერი გაეგო.

— დაწერეთ! — კარნახობდა გამომძიებელი, — „საბადოს უფროსს. განცხადება ტუსაღ კრისტისა, დაბადების წელი, მუხლი, ვადა. გთხოვთ გადამიყვანოთ უფრო მსუბუქ სამუშაოზე...“ საკმარისია.

გამომძიებელმა აიღო კრისტის დაუმთავრებელი განცხადება, დახედა, მერე დახია და ცეცხლში მოისროლა... ღუმელის შუქი წამით აკაშკაშდა.

— დაჯექით მაგიდასთან. ნაპირას.

კრისტს ჰქონდა კალიგრაფიული ხელწერა, გადამწერლის ხელწერა, რომელიც თავად მას ძალიან მოსწონდა, მისი ამხანაგები კი ყველანი დასცინოდნენ, რომ მისი ხელწერა არ ჰგავდა პროკურორის ან ექიმის ხელწერას. ეს არ არის მეცნიერის, მწერლის, პოეტის ხელწერა, ეს არის საწყობის გამგის ხელწერაო. იცინოდნენ, რომ კრისტს შეეძლო გაეკეთებინა მეფის გადამწერლის კარიერა, რასაც კუპრინი მოგვითხრობსო.

მაგრამ დაცინვას კაცი არ მოუკლავს და კრისტი კვლავ მკაფიოდ გადათეთრებულ ხელნაწერებს აბარებდა გადასაბეჭდად — მბეჭდავ-მემანქანეები ამას უწონებდნენ, მაგრამ გულში ეცინებოდათ.

ახლა კი წერაქვსა და ნიჩბის ტარს მიჩვეული თითებით ვეღარ ახერხებდა საწერკალამის ხელში მოგდებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ესეც მოგვარდა.

— აქ უწესრიგობაა, ქაოსი, — ამბობდა გამომძიებელი. — ეს თავადაც კარგად მესმის. მაგრამ თქვენ ხომ დამეხმარებით, რომ ყველაფერი მოვაწესრიგოთ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — თქვა კრისტმა. ღუმელი უკვე გახურებულიყო და ოთახში დათბა. — ეჰ, მომაწევინა ერთი...

— მე მწეველი არა ვარ, — უკმეხად თქვა გამომძიებელმა. — და არც პური მაქვს აქა. ხვალ სამუშაოზე ნუ გახვალთ. განმწესებელს მე ვეტყვი.

აი ასე, რამდენიმე თვის მანძილზე, კვირაში ერთხელ, კრისტი ეწვეოდა ლაგერის გამომძიებლის გაუმთბარ, მყუდროებამოკლებულ საცხოვრებელს, სადაც ელოდა ქაღალდების გადაწერა, ჩაკერება.

ოცდაჩვიდმეტ-ოცდათვრამეტი წლის უთოვლო ზამთარი მთელი თავისი მომაკვდინებელი ქარებით უკვე შემოჭრილიყო ბარაკებში. განმწესებელნი ყოველ ღამით გარბი-გამორბოდნენ, რომელიღაც სიების მიხედვით ეძებდნენ და აღვიძებდნენ ტუსაღებს — „ეტაპში“ გასაგზავნად. ეტაპებიდან წინათაც როდი ეწერათ დაბრუნება, ამჟამად კი ამ ღამეულ საქმეებზე აღარც ფიქრობდნენ — რაც არი, ეგ არიო — სამუშაო ძალზე მძიმე იყო და სხვა რამეზე ფიქრის თავი არა ჰქონდათ.

სამუშაო საათებმა იმატა, გაჩნდა ბადრაგი, კვირა გაივლიდა და კრისტი, ცოცხალ-მკვდარი, მილასლასდებოდა გამომძიებლის ნაცნობ კაბინეტამდე და განაგრძობდა ქაღალდების ჩაკერებას. კრისტი შეეშვა დაბანვას, პირის პარსვას, მაგრამ გამომძიებელი თითქოსდა ვერ ამჩნევდა კრისტის ჩაცვენილ ლოყებსა და აგზნებულ მზერას. კრისტი კი ბეჯითად განაგრძობდა გადაწერას და ჩაკერებას. ქაღალდების ოდენობა სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. მათი მოწესრიგება ვერანაირად ვერ ხერხდებოდა. კრისტი გადაწერდა რაღაც უსასრულო სიებს, სადაც მარტოოდენ გვარები იყო, სიის კენწერო კი გადაეკეცათ, და კრისტი არასოდეს ცდილობდა ჩასწვდომოდა ამ კაბინეტის საიდუმლოებას. თუმცა საკმარისი იქნებოდა, რომ გადმოეშალა მის წინ მდებარე ფურცელი. გამომძიებელი ზოგჯერ ხელში იღებდა „საქმეთა“ დასტას, რომლებიც, კრისტის ჩაურევლად, ვინ იცის, საიდან ჩნდებოდნენ, და ნაჩქარევად კარნახობდა სიებს, ხოლო კრისტი წერდა და წერდა.

თორმეტ საათზე კარნახი თავდებოდა, კრისტი თავის ბარაკში მიეშურებოდა და იძინებდა. და ეძინა და ეძინა — ხვალინდელი განწესება სამუშაოზე მას არ ეხებოდა. კვირა მოსდევდა კვირას, კრისტი კი უფრო და უფრო მჭლევდებოდა, სულ წერდა და წერდა.

და აი, ერთხელაც მორიგი საქაღალდე რომ აიღო ხელში, რათა მორიგი გვარი წაეკითხა, გამომძიებელს ენა დაება. კრისტს მიაჩერდა და ჰკითხა:

— თქვენი სახელი, მამის სახელი?

— რობერტ ივანოვიჩ, — მიუგო კრისტმა, ეღიმებოდა. გამომძიებელს რომ დაეძახა „რობერტ ივანოვიჩო“ ნაცვლად ჩვეულისა „კრისტ“ თუ „თქვენო“ — ეს არ გაუკვირდებოდა. გამომძიებელი ახალგაზრდა იყო, შვილად ერგებოდა კრისტს. საქაღალდე ხელიდან არ გაუშვია და გვარიც არ წარმოუთქვამს, ოღონდ გაფითრდა. ფითრდებოდა და ფითრდებოდა, სანამ თოვლის ფერი არ დაედო. აჩქარებული თითებით გადასინჯა საქაღალდეში ჩაკერებული თხელი ქაღალდები, არც მეტი იყო და არც ნაკლები, ვიდრე ნებისმიერ საქაღალდეში იმ გროვიდან, რომელსაც იატაკი მოეფინა. გამომძიებელმა მერე ფიცხლად გამოაღო ღუმელი და ოთახი მყისვე განათდა, თითქოს ძირფესვიანად გაბრწყინდა სული და მასში, სადღაც ფსკერზე, აღმოჩნდა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი, ადამიანური. გამომძიებელმა საქაღალდე ნაკუწ-ნაკუწ დახია და ღუმელში შეჩურთა. კიდევ უფრო განათდა ოთახი. კრისტი ვერაფერს ვერა ხვდებოდა. და გამომძიებელმა, არც კი შეუხედავს კრისტისთვის, ისე თქვა:

— შაბლონია. არ ესმით, რასა სჩადიან, არც აინტერესებთ. — და თავისი პიტალო თვალებით მზერა გაუსწორა კრისტს. — განვაგრძოთ წერა. თქვენ მზადა ხართ?

— დიახ, მზად ვარ, — მიუგო კრისტმა და მრავალი, მრავალი წლის შემდეგღა მიხვდა, რომ ეს იყო მისი, კრისტის, საქაღალდე.

კრისტის უამრავი ამხანაგი უკვე დაეხვრიტათ. ის გამომძიებელიც უკვე დაეხვრიტათ. კრისტი კი ისევ ცოცხალი დარჩენილიყო და ხანდახან — რამდენიმე წელიწადში ერთხელ მაინც — აგონდებოდა აბრიალებული საქაღალდე, შეუპოვარი თითები გამომძიებლისა, კრისტის „საქმეს“ რომ ხევდნენ — აი, ასეთი საჩუქარი ხვდა წილად განწირულს გამწირველისაგან.

ხელწერა კრისტისა იყო მხსნელი, კალიგრაფიული.

რუსულიდან თარგმნა
ᲗᲐᲛᲐᲖ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ

სინამდვილისა და სიმართლის გამოძახილი

1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების XVI ტომში, სხვა საინტერესო მასალებთან ერთად, გამოქვეყნდა პროფ. კორნელი კეკელიძის სტატია „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის“.

ქართული წყაროთმცოდნეობის ამ ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომის დასაწყისში ვკითხულობთ:

„იმ ლიტერატურულ კოლონიაში, რომელიც 1801 წლის ისტორიული აქტის შემდეგ ფეხს იკიდებს რუსეთში, განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიოგრაფია იპყრობს; თავისი საქმიანობის ერთერთ მიზნად ეს კოლონია საქართველოს ისტორიის გაშუქებასაც ისახავს. ეს გამოწვეული იყო, სხვათა შორის, ეროვნული თავდაცვის საჭიროებითაც. ასეთი შრომებით ამ კოლონიას უნდა დაენახვებინა შემოსული ძალისათვის, რომ ქართველები მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მატარებელი არიან, ამისათვის ისინი ღირსი არიან ახალი ცხოვრების პირობებში შესაფერისი ადგილისა და ყურადღებისა. მეორე მხრით, ამ კოლონიის მოღვაწენი გრძნობენ, რომ უცხო რუსიფიკატორული რეჟიმის ბატონობისას შესაძლებელია ქართველების გათქვეფა და გადნობა ამ უსაზღვრო ოკეანეში, რომელსაც „რუსეთის იმპერია“ ეწოდებოდა. ამის ასაცილებლად საჭიროდ უცვნიათ მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება და ეროვნული კულტურული ტრადიციების განმტკიცება“.

ლაშა-გიორგის ფრესკა ბეთანიის მონასტერში

კორნელი კეკელიძის აზრით, სწორედ ამ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო დავით, თეიმურაზ და ბაგრატ ბატონიშვილთა ისტორიული შრომები, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა იოანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისა“, რომელიც მოთავსებულია მისსავე „კალმასობაში“, როგორც ორგანული ნაწილი ამ ღირსშესანიშნავი ენციკლოპედიური თხზულებისა.

კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ იოანე ბატონიშვილის (1768-1830) „ისტორია ქართლისა“, ზოგადად და ძირითადად, ვახუშტის ისტორიის თავისი სიტყვით გადმოცემა და გარდათხრობაა, მაგრამ იოანე ბატონიშვილს ვახუშტის თხრობა ალაგ-ალაგ ისეთი დეტალებით შეუვსია და გაუმდიდრებია, რომლებშიც შემონახულა ტრადიციული, გადმოცემითი ცნობები ჩვენი წარსული ცხოვრებისა, ყოფილ სამეფო ოჯახში იმხანად ჯერ კიდევ ცოცხალი რომ იყო, დღეს კი ჩვენთვის მკვდარი და დაკარგული არისო.

ვიდრე აღნიშნული სტატიის მთავარ გმირს მივადგებოდეთ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ სწორედ იოანე ბატონიშვილი გვაუწყებს იმ უნიკალურ და ღირსსახსოვარ ინფორმაციას, რომელიც ეხება საქართველოსა და ჯვაროსანთა ურთიერთობას XII საუკუნეში, კერძოდ — იერუსალიმის მეფის ბალდუინ II-ის ვიზიტს საქართველოში („მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა“) დავით აღმაშენებლისათვის სამხედრო დახმარების სათხოვნელად...

კორნელი კეკელიძის ნაშრომში გულდასმით არის ჩამოთვლილი იოანე ბატონიშვილის მიერ გამოყენებული უცხოური თუ ქართული ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები; ამ ჩამონათვალს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ერთი ფურცელი დაუკავებია.

და აი, მივადექით ლაშა-გიორგის, დასახელებული სტატიის მთავარ გმირს, რომელიც ჩვენი დაუვიწყარი წარსულის, ალბათ, ყველაზე კოლორიტულ და იდუმალ ფიგურად გვევლინება.

კორნელი კეკელიძე მიუთითებს, რომ დღესდღეობით ცნობილია სამი რედაქცია ლაშა-გიორგის ისტორიისა:

1. ივანე ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე; 2. XIV საუკუნის ჟამთააღმწერლის თხზულებაში; 3. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია და მისგან დამოკიდებული ვახუშტის ისტორია (ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და მასზე არც შევჩერდებითო).

კორნელი კეკელიძე ზემოხსენებულ პირველსა და მეორე რედაქციებს შორის „თვალსაჩინო იდეოლოგიურ განსხვავებას“ ხედავს. მკვლევარის სიტყვით, ეს განსხვავება ეხება ლაშა-გიორგის ზნეობრივი ფიზიონომიის შეფასებას. პირველი რედაქცია, ამ მხრივ, ასე გვიხატავს თამარის ძეს: **„ვიტყოდით ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გვრცხვენოდეს. მეფედ დაჯდა ნერგი, კეთილი მოზარდი და ყვავილი, ყოველთა ფერთაგან შემკობილი, უმანკო გონებითა... მოყვარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათთა პატივითა, მონაზონთა და მღვდელთა მათითა პატივითა, მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, მონისაცა ერთისა მათრახისა არა დამკვრელი“.**

ახლა ყური ვათხოვოთ მეორე რედაქციას (ჟამთააღმწერლის თხზულებაში), რომელიც კორნელი კეკელიძის სიტყვით, „გამანადგურებელ დახასიათებას“ იძლევა: **„იყო ლაღი, ამპარტავანი, თავხედი, თვითბუნება, სახეობის მოყვარე, ღვინის მოყვარე, გემოთმოყვარე, სმასა და ჭამას შექცეული“.**

ამ ორ ტექსტს ერთიმეორის მიყოლებით რომ ვკითხულობთ, გაოგნება გვიპყრობს. მართლაც რამხელა განსხვავებაა! როგორც იტყვიან, ცა და მიწა... როგორ უნდა გაარჩიო აქ მტყუან-მართალი?!

მაგრამ ჟამთააღმწერელი ამოსუნთქვასაც არ გვაცლის და გმობის ექსტაზი ეუფლება. მაშ კიდევ რაო? ლაშა-გიორგი ყოფილა ბილწი, მემრუშე, რომელმაც „არა ინება ქორწინება ცოლსა თანა შჯულიერსა“, არამედ ხასად მოიყვანა ველისციხიდან ერთი გათხოვილი ქალი. შემდეგ მოთხრობილია მეფის ურთიერთობა რინდებთან და ცალი თვალის დაკარგვა.

კორნელი კეკელიძე წერს, რომ ჟამთააღმწერლის შეხედულებით, ყოველივე ეს იყო მიზეზი ყველა იმ უბედურებათა, რაც თავს დაატყდა საქართველოს ანუ მონღოლების შემოსევა და გაბატონება, როგორც ღვთისგან მოვლენილი სასჯელი ჩადენილ უკეთურებათათვის.

ვის მხარეზეა ამ შემთხვევაში სიმართლე? — სვამს შეკითხვას მკვლევარი და იქვე პასუხსაც სცემს: **„ჟამთააღმწერლის დახასიათება შედეგი უნდა იყოს უფრო მისი მო-**

რალიზატორული ტენდენციისა და მისტიკურ-ასკეტიკური სულისკვეთებისა, ვიდრე სინამდვილის ანარეკლი".

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა დავიმოწმოთ ივანე ჯავახიშვილიც, ჯერ კიდევ 1916 წელს რომ წერდა: **„მაცდურ-სოფელის" მოძულე ბერი-მემატიანე თავისუფალი აზროვნების და ყოფა-ცხოვრების მიმდევარი საზოგადოებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნელობას ვერ გამოიჩენდა".**

კორნელი კეკელიძის მოსაზრებით, ავტორი პირველი რედაქციისა, ლაშა-გიორგის თანამედროვე, უფრო სწორად უნდა გადმოგვცემდეს როგორც მისი მეფობის ფაქტებს, ასევე მის ზნეობრივ პროფილს. ფაქტების მხრივ, სამაგალითოდ უნდა მივიჩნიოთ ლაშა-გიორგის მეფობაში მონღოლთა ორგზის შემოსევაო, დამოწმებული რომ არის არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის თხზულებაშიც. რაც შეეხება ზნეობრივ პროფილს, პირველი რედაქციის დახასიათებას სავსებით უჭერს მხარს იოანე ბატონიშვილი ან, უკეთ რომ ვთქვათ, მის მიერ გამოყენებული წყაროები.

როგორც ირკვევა, იოანე ბატონიშვილს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ორი ფაქტისათვის ლაშა-გიორგის ცხოვრებიდან: ცალი თვალის დაკარგვისა და ველისციხეში ქალის ტრფობისათვის. კორნელი კეკელიძე შენიშნავს, ეს ბუნებრივიც არისო, ვინაიდან საქართველოს მეფის ამორალობას სწორედ ამ ორი ფაქტით ასაბუთებდნენ. მკვლევარი იმოწმებს შესაბამის ტექსტებს:

ჟამთააღმწერელი: „შეიყვარა თანამოჰასაკენი მსმურობითა და დედათა უწესოთა თანააღრევითა და ესოდენ უსახურობათა მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რინდნი, მუნ მეფისა მისლვისა არამგონებელნი და ღვინითა უცნობოქმნილნი, ზედამოეტევნეს, მგვემელნი ძლიერად, ვიდრემდი ერთიცა თვალი, მარჯვენე, ხედვისაგან უხედვო ყვეს".

იოანე ბატონიშვილი: „ხოლო დღესა ერთსა, ვითარცა არს ჩვეულება ბურთაობისა და ჩოგანისა თამაშობისა მოედანსა ზედა, ოდეს არბევდეს ცხენთა და ენებათ ბურთისა გატანა, მაშინ ბარათიანთაგანი ვინმე ჭაბუკი, კარგი ცხენოსანი, მეცადინეობდა გატანად ბურთისა. ხოლო მეფეცა მეცადინეობდა არა დანებებად, და ამასობასა შინა მოახვედრა ბარათაშვილმან მეფესა უცებად ჩოგანი იგი თვალსა შინა და დიდად განუტეხა, ესრეთ რომელ თითქმის თვე ერთი ძლივსადმე განუმთელეს მეფესა და ამის გამო მცირედ ხედვისაგან მოკლებულ იქმნა ცალის თვალითა, ხოლო მეფემან არცაღა თუ ერთი ურიგო სიტყვა ჰკადრა ყრმასა მას".

კორნელი კეკელიძის სიტყვით, იოანე ბატონიშვილის მიერ ამგვარი გაშუქება ამ ფაქტისა სავსებით ახალია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ახლა ველისციხელი ქალის ამბავი ვნახოთ.

ჟამთააღმწერელი: „მისრულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხეს, იხილა ქალი ფრიადქმნული კეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და... მსწრაფლად თვისად მიიყვანა და შეიყვარა... არა ინება ქორწინება ცოლსა თანა შჯულიერსა, ამისთვის შეკრბეს კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და ვაზირნი და მოახსენებდეს: არა ჯერ არს, რათა მხევალი გესვას, და არა ცოლი... ხოლო მეფესა არა ენება, ამისათვის წარგვარეს ქალი იგი და ქმარსავე მისსა მისცეს, ხოლო არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებელად".

იოანე ბატონიშვილი: „ინება მეფემან ლაშა კახეთსა შინა წარსვლა და წარვიდა მცირისა უკვე კაცითა და მოვლო ადგილადგილ კახეთისა ადგილნი და გამოიკითხა საქმენი მათნი; და ვისაცა მოხელეთა შეეწუხებინათ ვინმე უსამართლოდ, იგი მოხელენი განპატიჟნა და ყოველთა აჩვენა კმაყოფილება. ხოლო ჟამსა ამას იყო დღესასწაულობა ჭერემისა ეკლესიისა, და მუნ მოილოცავდენ ერნი კახთანი. ინება მეფემანცა მუნ წასვლა სადღესასწაულოდ; ხოლო მისრულმან მეფემან მოილოცა წმიდა ესე ეკლესია და მერე იწყო ქვეითად სიარული ერთა შორის და ჭვრეტა განცხრომათა მათთა. ჟამსა ამას იხილა ქალი ვინმე მშვენიერი, რომელიცა სთნა მეფესა და მშვენიერებამან მისმან მოიცო გული მეფისა, ვინაითგან მეფეცა იყო ჭაბუკი კაცი; და უბრძანა ერთსა თვისსა სანდოსა მსახურსა, რათა გამოიკითხოს საქმე მის ქალისა და ვისიშვილობა და ანუ უქორწინია ანუ არა. წარვიდა მსახური იგი და მეზობელთაგან გამოიკითხა ვითარება ქალისა მის; ხოლო მეზობელთა აცნობეს, რომელ იგი ქალი და მშობელნი მისნი სცხოვრებენ ახაშენს სოფელსა შინა, და ესე ქალი არს ქალწულ და შვილი გაღარიბებულთა და ძველთა თავადთა კლდეკარის ერისთავთა გვარისა მიწობლიძეთა მონათესავეთაგანნი, გარდმოცვივნულნი არშაკუნიანთა დროთავე შინა, და აწ გლეხად მცხოვრებნი, რომელთაცა გლეხთა აწ სთხოვს ამას ველისციხეში გლეხი კაცი შვილისა თვისისათვის სასძლოდ, ხოლო დედ-მამა ამა ქალისა არა მნებებლობენ; და აქვთ ჯერეთცა ლაპარაკი, და თვით იგი გლეხნი ამბობენ: ჩვენგან აქვს მიცემული ნიშანი ქალსა მას. ხოლო ჰკითხა კაცმან მან სახელი ქალისა მის და ჰრქვა: სუსანა ეწოდებისო. წარმოვიდა კაცი იგი, ყოველივე აუწყა მეფესა. მაშინ მეფემან მოუწოდა მოძღვარსა თვისსა და აფუცა, რათა არავის უთხრას მღვდელმან მან საიდუმლო ესე მეფისა, და წარგზავნა მღვდელი იგი დედმამისა თანა მის ქალისა და ითხოვა ცოლად თვისად. ხოლო მათ ძნიად აღუჩნდათ საქმე ესე და თქვეს: ჩვენ აწ თითქმის გლეხად შერაცხილნი ვართ და აწ ვითა ეგების მეფემან ჩვენმან გლეხთა ასული მიიყვანოს ცოლად თვისაო? გარნა მცნობმან ამისმან მეფემან კვალად გაგზავნა მღვდელი იგი და იძულებით წარმოიყვანა ქალი იგი და იდუმალ ყოველთა იკურთხა მოძღვრისა თვისისაგან გვირგვინი".

ზემორე ტექსტის წამკითხველმა ვაითუ იფიქროს, რომ იოანე ბატონიშვილის გონება და კალამი ერთ მშვენიერ დღეს შემოქმედებით ფანტაზიას დაუპყრია და ამგვარად შეთხზულა ახალი ვერსია ლაშა-გიორგისა და ველისციხელი ქალის რომანისა. მართლაცდა როგორ შევუთავსოთ მისი საკმაოდ ვრცელი და ყოფაცხოვრებითი დეტალებით გადატვირთული მონათხრობი ჟამთააღმწერლის ლაკონიურ ტექსტს, ფრიად მომხიბვლელს მხატვრული თვალსაზრისით და დაკანონებულს ტრადიციისამებრ, ჩვენი წარსულის ავად თუ კარგად მცოდნეთაც ლამის ძვალ-რბილში რომ გვაქვს გამჯდარი.

მაგრამ... აი, ერთი საგულისხმო „მაგრამ":

იოანე ბატონიშვილი გარკვევით გვამცნობს თავის წყაროს — ეს გახლავთ მღვდელ-მონაზონი იოსებ გამრეკელისძე ანუ იოსებ ახალციხელი.

იოანე ბატონიშვილის სიტყვით, მეფის „სჯულიერი ქორწინების" მოწმე ყოფილა ექვთიმე კათალიკოსი, ხოლო მოძღვარი მეფისა — გიორგი ხარჭოშელი, რომელმაც ლაშა-გიორგის ჯვარი დასწერაო.

კორნელი კეკელიძე შენიშნავს, რომ მეფის „სჯულიერი ცოლი" მოხსენიებული ყოფილა აგრეთვე „დავით-საულიანში". ასეთი თხზულება დღეს არსადა ჩანს, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს ჯერ კიდევ არსებობდაო.

დასასრულ, დიდებული ქართველი მკვლევარი უაღრესი სიფრთხილით განსჯის: **„სანამ ლაშა გიორგის ისტორიაში გამოყენებული წყაროები აღმოჩენილი არაა, ძნელია მათი ღირებულების შესახებ საბოლოო დასკვნა გავაკეთოთ. ერთი კი შეიძლება ითქვას: ის გარემოება, რომ ლაშა გიორგის პიროვნების შეფასებაში ეს წყაროები სავსებით უჭერენ მხარს ლაშას თანამედროვე მემატიანეს, ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ წყაროებში იმდენად ფანტაზიისა და ხალხური შემოქმედების ანარეკლი არა გვაქვს, რამდენადაც სინამდვილისა და სიმართლის გამოძახილი და კვალი".**